ქვათ, ბირთვული იარაღის გამოცდაზე) და ა. შ.

მოქალაქეობა პიროვნების ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი პოლიტიკურ-სამართლებრივი მიკუთვნილობა, რის შედეგადაც მასზე ვრცელდება აღნიშნული სახელმწიფოს კანონმდებლობა, ამ სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური და სხვა სახის უფლებები და თავისუფლებები, აგრეთვე შესაძლებლობა შესაბამისი საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეების მართვაში მონაწილეობის მიღებისა. *მ-ის* საფუძვლები, ჩვეულებრივ, განისაზღვრება ქვეყნის კონსტიტუციითა და სპეციალური კანონმდებლობით. დემოკრატიულ ქვეყნებში *მ-ის* საფუძვლები ეყრდნობა ამ სფეროში საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებისა და, უპირველეს ყოვლისა, 1948 წლის ადამიანთა უფლებების დეკლარაციის აღიარებას. საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში ნათქვამია: „საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებითა და ნატურალიზაციით. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა ქვეყნის სახელმწიფოს მოქალაქე. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფლისა. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია. საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.“

მოქმედება იხ. *ქცევა, მოქმედება, სოციალური მოქმედება.*

მოხმარების სოციოლოგია მოხმარება ნიშნავს ინდივიდების მიერ საქონლისა და მომსახურების გამოყენების ხასიათსა და წესს. ტრადიციულად სოციოლოგები დიდ ყურადღებას უთმობდნენ წარმოებას, მაგრამ XIX ს-ის 80-90-იანი წლებიდან იზრდება სოციოლოგების პროფესიული ინტერესი მოხმარებისადმი. მოხმარებას სწავლობს სოციოლოგიის დარგი – *მ. ს.* იგი იკვლევს სამომხმარებლო ქცევის კულტურულ და სოციალურ განზომილებებს, როგორც მაკროსოციოლოგიური (ჯგუფების სოციოლოგია, მასმედიის ზეგავლენა ინდივიდებზე, სოციალური ფენისადმი მიკუთვნებულობის ზეგავლენა, ოჯახის ზეგავლენა მოხმარებაზე და ა. შ.), ასევე მიკროსოციოლოგიური პერსპექტივიდან. მოხმარების კულტურული ასპექტის თანახმად, ინდივიდი თავის სამომხმარებლო ქცევით, ანუ მოხმარების საკუთარი სტილით მისდევს ღირებულებით განსაზღვრულ მეტ-ნაკლებად საყოველთაოდ აუცილებელ ქცევის ძირითად ნიმუშებს. ცხოვრების სტილსა და სამომხმარებლო კულტურაში ინტერკულტურული განსხვავების გვერდით არსებობს ინტერკულტურალურად განპირობებული ქცევის ნიმუშები, რომლითაც ინდივიდები საკუთარი სამომხმარებლო ქცევისას ხელმძღვანელობენ. სამომხმარებლო ქცევა ხშირად სოციალურ-კულტურულ და *მოდაში* მიმდინარე ცვლილებებსაა დაქვემდებარებული. მოხმარების სოციალური ასპექტი გულისხმობს სამომხმარებლო ქცევაზე კულტურული, საზოგადოებრივი და სპეციფიკური ჯგუფების ზეგავლენის სისტემატიზაციას.

მრავალპარტიული სისტემა პოლიტიკური სისტემა, რომლის დროსაც არსებობს ისეთი პოლიტიკური პარტიების ფართო სპექტრი, რომელიც *არჩევნებში* მონაწილეობის საშუალებით ზეგავლენას იქონიებს მთავრობი-

სა და, შესაბამისად, *პოლიტიკის* ჩამოყალიბებაზე. *მ. ს-ები* არსებობს იმ ქვეყნებშიც, სადაც საარჩევნო ბატალიებში ჩვეულებრივ მხოლოდ *ორი პარტია* ფიგურირებს ხოლმე (მაგალითად, შეერთებულ შტატებში, კანადაში). ის ფაქტი, რომ ასეთ ქვეყნებში ხელისუფლებისათვის პრაქტიკულად ორი პარტია იბრძვის, განპირობებულია შესაბამისი ქვეყნების ტრადიციით ან საარჩევნო სისტემების სპეციფიკით. ქვეყანაში *მ. ს-ის* არსებობა სამართლიანად მიიჩნევა *დემოკრატიის*, პოლიტიკური *პლურალიზმის* გამოხატულებად, რისი მაგალითიცაა პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები.

მსოფლიო მთავრობა ხელისუფლების ზეეროვნული ჰიპოთეზური ორგანო, რომელიც *ძალაუფლების* მსოფლიო მასშტაბით ცენტრალიზებასა და *ძალის* გამოყენებით *მონოპოლიის* დაწესებას შეძლებდა. *მ. მ-ის* თეორეტიკოსთა აზრით, ეს ორგანო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობა გახდებოდა და საერთაშორისო *ანარქიის* დაძლევას შეძლებდა. *მ. მ-ის* შესაქმნელად საჭირო იქნებოდა *სახელმწიფოების სუვერენიტეტის* გაუქმება და თანამედროვე საერთაშორისო სისტემის საფუძვლიანი გარდაქმნა. *მ. მ-ის* შექმნა შეიძლება ან მსოფლიო *იმპერიის* დამყარების, ან *შიდა ანალოგიის* საფუძველზე სახელმწიფოთა *ფედერაციის* შექმნის საშუალებით. *მ. მ.* საერთაშორისო სისტემის მოწყობის ტრადიციული მოდელების – *ძალთა წონასწორობისა* და *კოლექტიური უსაფრთხოების* სისტემების ალტერნატივაა.

მსოფლიო ომი *ომის* განსაკუთრებული სახე, როცა შეიარაღებულ დაპირისპირებაში ჩაბმული აღმოჩნდება ყველა *დიდი სახელმწიფო* და მათი სატელიტები მსოფლიოს ყველა კონტინენტზე. *მ. ო-ის* დაწყების მიზეზი, როგორც წესი, წამყვან სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობის გამწვავებაა, რაც არსებულ ძალთა წონასწორობის დარღვევისა და მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისკენ არის მიმართული. *მ. ო-ის* ნარმოშობა შესაძლებელია მხოლოდ *იმპერიალიზმის* ეპოქაში, რადგან მანამდე არსებულ ისტორიულ ეპოქებში ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების არარსებობა გამორიცხავს *მ. ო-ის* გაჩაღებას. ამიტომ კაცობრიობის ისტორიაში მომხდარი ორივე *მ. ო.* XX ს-ში იყო. *მ. ო.* გამოირჩევა მსხვერპლისა და ნგრევის უმაგალითო მასშტაბებით. პირველ *მ. ო-ში* დაიღუპა რვა მილიონი სამხედრო და ორ მილიონამდე სამოქალაქო პირი. მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ჯარისკაცთა და ოფიცერთა საერთო რაოდენობამ 17 მილიონს მიაღწია, ხოლო მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი 35 მილიონს აღემატებოდა. განსაკუთრებულად კატასტროფული იქნება მესამე *მ. ო.* (თუ კაცობრიობამ ვერ შეძლო მისი თავიდან აცილება), რადგან წინა ორისგან განსხვავებებით, გამოყენებული იქნება *მასობრივი განადგურების იარაღი*, რამაც შეიძლება მთლიანად მოსპოს სიცოცხლე დედამიწაზე. ამიტომ ახალი *მ. ო-ის* თავიდან აცილება თანამედროვე *საერთაშორისო ურთიერთობების* ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

მსოფლიო პოლიტიკა ეს ტერმინი ზოგჯერ საერთაშორისო ურთიერთობების ან საერთაშორისო პოლიტიკის სინონიმად გამოიყენება. მაგრამ უფრო ხშირად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ *სახელმწიფოებსა* და სამთავრობო ორგანიზაციებს არ მიიჩნევს დომინანტად და იმავე (თუ უფრო მეტი არა) დონის *აქტორებად* განიხილავს *ტრანსნაციონალურ კორპორაციებს*, არასამთავრო-

ბო ორგანიზაციებსა და სხვა არასახელმწიფო სუბიექტებს. ბევრი მკვლევრის აზრით, *გლობალიზაციის* ეპოქაში, როცა განუხრელად მცირდება სახელმწიფოს როლი და იზრდება არასახელმწიფოებრივი აქტორების მნიშვნელობა, აშკარაა საერთაშორისო ურთიერთობების (პოლიტიკის) მსოფლიო პოლიტიკად გარდაქმნის პროცესი. ამგვარად, *მ. პ.* საერთაშორისო პოლიტიკისაგან განსხვავებით, არ არის *სახელმწიფოცენტრული* მიდგომა. იგი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე საერთაშორისო ურთიერთობები და არ დაიყვანება სახელმწიფოთშორის კავშირებზე. არის სხვა მოსაზრებებიც (ძირითადად რუსეთში), რომლის მიხედვითაც, *მ. პ.* არის სახელმწიფოთა მოღვაწეობა და ურთიერთობა საერთაშორისო არენაზე, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობები სახელმწიფოთა შორის არსებული რეალური კავშირების სისტემაა, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოგვიდგება როგორც ამ ურთიერთქმედების შედეგი, ხოლო, მეორე მხრივ, ის სივრცე და გარემო, სადაც ხორციელდება *მ. პ.*

მსოფლიო საზოგადოება არსებული *საერთაშორისო სისტემის* ალტერნატიული ხედვა, რომელიც უარყოფს *ძალაუფლებას*, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების წარმმართველ იდეას. *მ. ს-ის* თეორეტიკოსების ხედვით, საერთაშორისო ურთიერთობები არ არის „ბილიარდის მაგიდა", რომელზეც ცალკეული *სახელმწიფოები* ბილიარდის ბურთების ანალოგიით ურთიერთქმედებენ. მათი წარმოდგენით, საერთაშორისო ურთიერთობები ჰგავს სამგანზომილებიან ქსელს, რომელშიც არ არსებობს მკვეთრი მიჯნა შიდა და საგარეო პოლიტიკას შორის. *მ. ს-ის* თეორია აქცენტს აკეთებს არა ძალაუფლებასა და *კონფლიქტზე*, არამედ თანამშრომლობაზე.

მსოფლიო სისტემები საერთაშორისო ურთიერთობების გლობალისტური ხედვის სკოლა, რომელიც მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს კაპიტალისტური *ეკონომიკის* ჭრილში განიხილავს. *მ. ს-ის* თეორეტიკოსები არა მხოლოდ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არათანაბარი განვითარების მიზეზებს შეისწავლიან, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით უთანასწორობის მიზეზების დადგენას ცდილობენ. გარდა ამისა, *მ. ს-ის* სკოლა საერთაშორისო ურთიერთობების გაგებასა და ახსნას მსოფლიო ეკონომიკის ისტორიული განვითარების ანალიზის საფუძველზე აწარმოებს. ამ სკოლის თვალსაზრისით, ცალკეულ რეგიონებში შექმნილ ვითარებაში გარკვევა მთელი მსოფლიოს განვითარების ისტორიული ანალიზის გარეშე შეუძლებელია. *მ. ს-ის* თეორიის ყველაზე ცნობილმა წარმომადგენელმა, იმანუელ ვალერსტაინმა გლობალური განვითარების ისტორიულად დასაბუთებული თეორია შექმნა, რომელიც აანალიზებს პერიოდს ევროპაში *კაპიტალიზმის* წარმოშობიდან დღემდე. კაპიტალისტური მსოფლიო სისტემა მოიცავს ბირთვს (ისტორიულად მსოფლიოში ეკონომიკურად ყველაზე დაწინაურებულ ნაწილებს), ნახევრადპერიფერიასა და პერიფერიას (ნედლეულის მწარმოებელ ისტორიულად ჩამორჩენილ მხარეებს). ვალერსტაინის აზრით, შრომის არსებული საერთაშორისო დანაწილება არათუ არ ამცირებს ამ უთანასწორობას, არამედ, პირიქით, აღრმავებს მას.

მულტილატერალიზმი სამი ან მეტი სახელმწიფოს კოორდინირებული ურთიერთობა გარკვეული პრინციპების შესაბამისად. როგორც პოლიტიკა, *მ.* გულისხმობს სახელმწიფოს წინასწარ-განსაზღვრულ მოქმედებას სხვა სახელმწიფოებთან ერთად დასახული მიზნის მისაღწევად. ხშირად *მ.* ინსტიტუციონალურად ფორმდება და რეგი-

ონული ან საერთაშორისო ორგანიზაციის სახით წარმოჩინდება, მაგრამ ასევე ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა *მ.* ინსტიტუციონალურ სახეს არ იღებს. XX ს-ის მეორე ნახევრიდან სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების მზარდი პროცესის შესაბამისად, *მ.* ურთიერთობების ძირითადი ფორმა გახდა. ამასთან, იგი ხშირად ასოცირდება *ჰეგემონობისა* და *ლიდერობის* ცნებებთან. კერძოდ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთის ქვეყნების მულტილატერალისტური პოლიტიკა აშშ-ის აშკარა ლიდერობითა და ჰეგემონობით ხორციელდებოდა.

მულტიპოლარობა საერთაშორისო სისტემის ტიპი, როცა სისტემაში აშკარად დომინირებს სამი და მეტი პოლუსი. მათი გამოყოფის საფუძველია *აქტორების* ან აქტორთა ჯგუფის შესაძლებლობა და პოტენციური ძალა, როგორც პოლუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმი. როგორც წესი, პოლუსების როლს სისტემაში ასრულებენ არა ცალკეული სახელმწიფოები (თუმცა, ცალკეულ შემთხვევაში ესეც შესაძლებელია, მაგ., აშშ და სსრკ), არამედ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებად და კოალიციებად შეკავშირებული სახელმწიფოთა ჯგუფები. *მ-ის* ყველაზე ნათელი მაგალითია *ძალთა წონასწორობის* სისტემა. საკუთარი *უსაფრთხოების* უზრუნველყოფისა და გარედან *აგრესიის* შიშის გამო *სახელმწიფოები* ქმნიან კავშირებს ანდა ეტმასნებიან პოტენციურ აგრესორს. (იხ. *მიტმასნა*). კ. უოლცის აზრით, *მ.* ზრდის გაურკვევლობას და ეჭვს პოლარულ აქტორებს შორის და შესაბამისად იზრდება არასტაბილურობის საფრთხეც. *ცივი ომის* დამთავრების შემდეგ საერთაშორისო სისტემამ ძირეული ცვლილება განიცადა. ამჟამად საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისით, მსოფლიო სისტემა ტრიპოლარულია (აშშ, ევროკავშირი, იაპონია), სამხედრო უსაფრთხოების კუთხით კი აშშ უფრო დომინანტურად გამოიყურება.

მუსიკის სოციოლოგია სოციოლოგიის დარგი. შეისწავლის მუსიკასა და სოციალურ-კულტურული ცხოვრების სხვა ასპექტებს შორის კავშირის შედეგად წარმოქმნილ პროცესებს. ფუნქციონალისტური წარმოდგენით, სამუსიკო კულტურა ადამიანური საზოგადოების უნივერსალური თავისებურებაა, ასრულებს სოციალურ, აგრეთვე, ინდივიდუალურ და ექსპრესიულ ფუნქციებს. მუსიკის სოციოლოგიური შესწავლა მაქს ვებერის ინტერესის საგანსაც წარმოადგენდა. ამ საკითხისადმი ადრინდელი მიდგომები ყურადღებას ამახვილებს მუსიკის ელიტარულ და პოპულარულ ფორმებს შორის განსხვავებასა და მის იდეოლოგიურ მნიშვნელობაზე (ადორნო, ბენიამინი). გერმანელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, მუსიკისმცოდნე თ. ადორნო მასობრივი კულტურის გაანალიზებისას აღნიშნავდა კულტურის კომერციალიზაციასა და გაუხამსებას, მის გარდაქმნას „გართობის ინდუსტრიად". იგი მიიჩნევდა, რომ პოპულარული მუსიკა იწერება მხოლოდ გასაყიდად, ის იქცა სტანდარტიზებულად და მექანიკურად, არსებული საზოგადოებრივი სისტემის მსახურია და მისი „სოციალური ცემენტი", საბაზრო ძალების მიერ მანიპულაციასა და გაბატონებული კლასების ზემოქმედებას ემორჩილება, რადგან იმართება რეკლამის მიმწოდებლით, ტელევიზიით, კინოთი, ისინი კი, თავის მხრივ, ადამიანს *კონფორმულობისკენ* უბიძგებს. ადორნოს პოზიცია პესიმისტურად და ელიტარულად მიიჩნევა. ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა მუსიკის შესწავლა სტრუქტურალისტური და სემიოლოგიური თვალთახედვით, განსაკუთრებული ინტერესის საგანია, ერთი მხრივ, სამუსი-

კო სუბკულტურები (ჯაზი, ბლუზი), მეორე მხრივ, მუსიკა *სუბკულტურებში*, განსაკუთრებით, ახალგაზრდულში. კულტურალურ კვლევებში პოპმუსიკა გაიაზრება წინააღმდეგობრივ სფეროდ: ერთი მხრივ, მის ფორმირებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გაბატონებული კლასები, მეორე მხრივ, პოპმუსიკით ხალხი გულწრფელად უპირისპირდება ყოველგვარ *ჰეგემონიას*. მიდლტონი ნაშრომში „ვსწავლობთ რა პოპულარულ მუსიკას" (1990) განსაკუთრებით აღნიშნავს ხალხური ღირებულებების გააქტიურების ტენდენციას პოპკულტურის, მათ შორის მუსიკის ზეგავლენითა და მეშვეობით. საკვლევად მიმართავენ მრავალგვარ მეთოდს: სახელმწიფო და დარგობრივი სტატისტიკური მონაცემების ანალიზს, საზოგადოებრივი აზრის *გამოკითხვას*, *კონტენტ-ანალიზს*, სემანტიკურ, ინსტიტუციურ-ორგანიზაციულ ანალიზსა და სხვ.

მშვიდობა ერთ-ერთი სამი ძირითადი მდგომარეობიდან მსოფლიო პოლიტიკაში: *ომი*, „არაომი" და მშვიდობა. პირველი მათგანი გამოხატავს რეალური დაპირისპირებისა და მტრობის გამო შეიარაღებულ ბრძოლას *სახელმწიფოებსა* ან საზოგადოებრივ ფენებს შორის, ხოლო მესამე – ასეთი მდგომარეობის არარსებობას ან შეწყვეტას. ამდენად სიტყვა „მშვიდობა" როგორც ჩვეულებრივ სალაპარაკო ენაში, ისე *საერთაშორისო სამართალში* პოზიტიური ღირებულების გამომხატველია. იგი წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ საფუძველს, რომელსაც ეყრდნობა საერთაშორისო სამართალი და მისი ინსტიტუტები. რაც შეეხება „არაომს" (სხვაგვარად – „არც ომი და არც მშვიდობა"), იგი ახალი ცნებაა *საერთაშორისო ურთიერთობებში* და ძირითადად აღნიშნავს სიტუაციას, რომელიც იქმნება ურთიერთობების უკიდურესად დაძაბვის დროს (რასაც ხშირად შეიარაღებული კონფლიქტი მოჰყვება ხოლმე), ანდა შეესაბამება ზესახელმწიფოების მდგომარეობას ომის შემდგომ პერიოდში (მაგ., *ცივი ომი*). სიტყვა *მ.* მრავალ ენაში სრული სინონიმია სიტყვა „ზავისა". ლათინური სიტყვა pax ზავადაც ითარგმნება და მშვიდობადაც (მაგ., Pax americana – ამერიკული მშვიდობა ან ამერიკული ზავი). საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში *მ-ის* დამყარება ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო. ჯერ კიდევ კანტის „მარადიული მშვიდობის" იდეა ემყარებოდა ყველა სახელმწიფოს რესპუბლიკურ მმართველობაზე გადასვლასა და სახელმწიფოთა ფედერაციას. *მ-ის* უზრუნველყოფის მიზანს ისახავდა ერთა ლიგისა და გაერის წესდებებიც, აგრეთვე მარქსისტულ-ლენინური „მშვიდობიანი თანაარსებობის" პრინციპი. ე. წ. „დემოკრატიული მშვიდობის თეორიის" მიხედვით, საყოველთაო *მ-ის* მიღწევის ერთადერთი საშუალება ყველა ქვეყანაში ლიბერალურ-დემოკრატიული რეჟიმის დამყარებაა.

ნ

ნათესაური ურთიერთობები წარმომავლობასა და სოციალურ კავშირებზე დამყარებული ურთიერთობები ადამიანთა შორის, რეგულირებული ადათ-წესებითა და უფლება-მოვალეობებით. *ნ. უ.* აერთიანებს ადამიანებს სისხლით ან საქორწინო ნათესაობით, რაც განამტკიცებს (მხარს უჭერს) ასეთი კავშირით შექმნილ ჯგუფებს. ე. წ. მარტივ საზოგადოებებში მეტნაკლებად მნიშვნელოვანი სტატუსი სწორედ ნათესაობის საფუძველზე განისაზღვრება, ამიტომ ანთროპოლოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ნათესაობის სტრუქტურასა და ნომენკლატურას. *ნ. უ-ის* თავისებურება განსაზღვრულია კონკრეტულ ტერიტორია-

ზე ადამიანთა შორის ურთიერთობების სპეციფიკური სტრუქტურით, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკის სფეროსთან მიმართებების თავისებურებით. *ნ. უ-ის* ტერმინოლოგიური ანალიზი ავლენს კულტურულ მრავალფეროვნებას. ძირითადად შეისწავლიან სამ სფეროს: წარმომავლობა-მემკვიდრეობას, ქორწინების ფორმებს (თანაცხოვრების თავისებურებებს), სექსუალობის რეგულირებას ინცესტის ტაბუირებით. ნაშრომთა დიდი ნაწილი ეხება წარმომავლობისა და ქორწინების საკითხებს. მერდოკის თვალსაზრისით, *ნ. უ-თა* შორის *ოჯახი საზოგადოების* უნივერსალური მახასიათებელია. *ნ. უ-ის* ფორმალიზაციის დონე, აღიარების მნიშვნელობა და გამოყენება იცვლება დროშიცა და სხვადასხვა *საზოგადოებაშიც*. მაგალითად, *ნ. უ-ს* დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდ ბრიტანეთში *საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს* პოლიტიკის, აგრეთვე განათლების აუცილებლობის გამოცხადებამდე. დღეს ბევრი მეცნიერი აღნიშნავს *ნ. უ-ის* როლის დაქვეითებას, თუმცა მრავალი ადამიანისთვის იგი კვლავ რჩება ცხოვრებაში მხარდაჭერის უმნიშვნელოვანეს წყაროდ (მაგ., კარიერის შესაქმნელად, სამსახურში დასაწინაურებლად). კულტურათა უახლესი ემპირიული კვლევის მონაცემებით, თანამედროვე კოლექტივისტური კულტურების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა ძლიერი ორიენტაცია პირველად სოციალურ ჯგუფებზე, პირველ რიგში, ოჯახსა და ნათესაურ ჯგუფებზე, სწორედ ამიტომ ოჯახური როლები და ნორმები განსაზღვრავს ადამიანის ღირებულებებსა და მისი ცხოვრების წესსაც. ოჯახური ურთიერთობები განსაკუთრებული ღირებულებაა. კოლექტივისტი თავის თავს უფრო მეტად განიცდის ნათესაურ ურთიერთობებზე მიჯაჭვულად და ამ ურთიერთობებით განსაზღვრულად, ვიდრე ინდივიდუალისტი. ადამიანის თვითშეფასება მეტადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ აფასებენ მას ოჯახი და ნათესავები. კოლექტივისტისთვის სპეციფიკურ, სხვა ადამიანებზე დამოკიდებულად ყოფნის ფუნდამენტურ ორიენტაციას აღწერენ ტერმინით „მიჯაჭვულობის ორიენტაცია“.

ნარკომანია 1. ნარკოტიკული საშუალებებისადმი მოძალებული ლტოლვა; **2.** ნარკოტიკთა ხანგრძლივი გამოყენების შედეგად ჩამოყალიბებული ფსიქოზური მდგომარეობა. *ნ-ის* კონტროლი დასავლური ქვეყნების მთავრობებისა და გაეროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პრობლემაა ის, რომ ზოგიერთი ნარკოტიკი, რომელიც მიჯაჭვულობას არ იწვევს, აკრძალულია. ზოგიერთი კი, უფრო საშიში (მაგ., ალკოჰოლი ან თამბაქო) – არა. ამ ფაქტს ხსნიან იმით, რომ ღრმად ფესვგადგმული ნარკოტიკის, ან მორალური პანიკისა თუ *მასმედიის* მხრიდან გაზვიადების კონტროლი უფრო რთულია, შესაბამისად, სამართალდამცავი ზომები და კონტროლი უნდა გამკაცრდეს ახალდანერგილი ნარკოტიკების მიმართ, განსაკუთრებით მაშინ, როცა *ნ.* დაკავშირებულია სოციალური *დევიაციის* სხვადასხვაგვარ ფორმასთან ან ეთნიკურ უმცირესობათა, ან დაბალი სტატუსის მქონე ჯგუფებთან.

ნარცისიზმი ტერმინი მოდის ძველბერძნული მითიდან თავის თავზე შეყვარებული ახალგაზრდა კაცის – ნარცისის უბედური ემოციური განცდების შესახებ. ყველაზე ზოგადი გაგებით, ტერმინი გამოიყენება უზომო თვითტკბობის, საკუთარი ხატის, საკუთარი თავის მიმართ ავადმყოფური სიყვარულის აღსანიშნავად, მაგრამ ავტორის ორიენტაციის შესაბამისად, შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობა მიიღოს. კლასიკურ *ფსიქოანალიზში* ამ ტერმინით აღინიშნება ლიბიდოს მი-

ჯაჭვულობა საკუთარ „მე"-ზე, როგორც ობიექტზე. *ნ.* შეიძლება იყოს პირველადი (როცა *ეგო* და *იდი* ჯერ კიდევ ურთიერთგამოუყოფელია), რაც ნორმაში იცვლება ლიბიდოს ნაწილის მიჯაჭვულობით გარე ობიექტებზე, და მეორადი, როცა ლიბიდოს ნაწილი მოსწყდება გარე ობიექტებს და კვლავ მიიმართება საკუთარ „მე"-ზე. ე. ფრომის თვალსაზრისით, აუცილებელი არ არის ნარცისულმა ადამიანმა თავისი *ნ-ის* ობიექტად მთელი პიროვნება აქციოს: ზოგჯერ ნარცისულ შეფერილობას იძენს პიროვნების რაიმე ასპექტი (ფიზიკური უნარები, მახვილგონიერება, ლირსება); ზოგჯერ *ნ.* ისეთ თვისებას ეხება, რომლითაც ადამიანი არ ამაყობს, მაგალითად, მშიშარობა. ე. ფრომი მიიჩნევს, რომ სექსუალური და თვითშენახვის ინსტინქტების მსგავსად, *ნ-ს* მნიშვნელოვანი ბიოლოგიური ფუნქცია აკისრია, რამდენადაც ოპტიმალური (და არა მაქსიმალური) *ნ.* სიცოცხლის გადარჩენას ემსახურება და სოციალურ თანამშრომლობასთან მისი შეთავსებაც შესაძლებელია. მეორე მხრივ, ინდივიდუალური *ნ.* შეიძლება იქცეს ჯგუფურად; ასეთ შემთხვევაში *გვარი, ერი, რელიგია, რასა* ჩაანაცვლებს ინდივიდს და ნარცისული ლტოლვის ობიექტი გახდება. ამგვარად, ნარცისული ენერგია შენარჩუნდება, მაგრამ ემსახურება არა ერთი ინდივიდის, არამედ ჯგუფის სიცოცხლის გადარჩენის ინტერესს. ჯგუფურ *ნ-ს* სოციოლოგიური ფუნქცია აქვს, რაც ვლინდება კეთილთვისებიან და ავთვისებიან ფორმებში. აღმშენებლური ქმედებების მოთხოვნილება ინდივიდს აიძულებს ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებას, რასაც კეთილთვისებიანი *ნ-ის* განვითარება მოჰყვება; თუ ჯგუფის ინტერესის ობიექტი თვითონ ჯგუფია (მისი დიდება, ძველი მიღწევები), ნარცისული ორიენტაციის მატება იწვევს ავთვისებიან *ნ-ს.* საზოგადოებრივი *ნ-ის* პათოლოგიის სიმპტომია ობიექტურობისა და გონიერი განსჯის უკმარობა. ე. ფრომის თვალსაზრისით, წარმატებების მიღწევა იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ჯგუფის *ნ-ის* ობიექტი გახდება კაცობრიობა და არა ცალკე ხალხი, რასა ან პოლიტიკური სისტემა.

ნატურალისტური სოციოლოგია ზოგადად ფილოსოფიური თეორია, რომელიც სინამდვილის ასახსნელად საბუნებისმეტყველო მეცნიერების მეთოდებსა და ცნებებს იყენებს. *სოციოლოგიაში* ნატურალისტური კონცეფციების უმრავლესობისათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერების ვულგარულ-მატერიალისტური და პოზიტივისტური ინტერპრეტაცია, ადამიანის მოღვაწეობის (საქმიანობის) შეგნებული და მიზანმიმართული ხასიათის უარყოფა. ახალი დროიდან მოყოლებული სოციალური მეცნიერებები ევროპაში საბუნებისმეტყველო მეთოდოლოგიის ზეგავლენით ვითარდებოდა. XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში სოციალურ მეცნიერებაში არსებობდა ორი მთავარი ნატურალისტური მიმდინარეობა – ბიოლოგიზმი და სოციალური მექანიციზმი. ძირითადად გაბატონებული იყო ბიოლოგიზმი, რომელიც სოციალური ორგანიციზმის (სპენსერი, შეფლე, ვორმსი) და სოციალური დარვინიზმის (იხ. *სოციალ-დარვინიზმი*) თეორიით იყო წარმოდგენილი (გუმპლოვიჩი, სამნერი და სხვ.). ამ მიმართულების წარმომადგენლები ცდილობდნენ *საზოგადოების* ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერების ახსნას საზოგადოების ბიოლოგიურ ორგანიზმთან ან კიდევ ბიოლოგიურ ევოლუციასთან ანალოგიის მეშვეობით. მექანიციზმის მიმდევრები (კეტლე, კერი, პარეტო) საზოგადოებრივი მოვლენების ასახსნელად ფიზიკაში დადგენილ კანონებს მიმართავდნენ. XX ს-ის მიჯნაზე

ეს კონცეფცია ღრმა კრიზისში შევიდა. თანამედროვე დასავლურ სოციოლოგიაში შესაძლებელია ორი ძირითადი ნაკადის გამოყოფა: მეთოდოლოგიური ნატურალიზმი და ონტოლოგიური ნატურალიზმი. ორივე მიმართულება იზიარებს „მეცნიერების ერთიანობის" პოზიტივისტურ თეზისს. მეთოდოლოგიური ნატურალიზმის წარმომადგენლები აღიარებენ სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებისათვის საერთო „მეცნიერული მეთოდის" არსებობას. ონტოლოგიური ნატურალიზმის მომხრეები იცავენ სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შინაარსობრივი და საგნობრივი ერთიანობის იდეას და საზოგადოებრივი კანონზომიერებები ბუნებრივ კანონზომიერებებზე დაჰყავს.

ნაცია იხ. *ერი.*

ნაციზმი იხ. *ფაშიზმი.*

ნაციონალიზაცია მიწასა და ნაციონალური მეურნეობის მნიშვნელოვანი ნაწილის (მრეწველობა, ბანკები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და სხვ.) კერძო საკუთრებიდან სახელმწიფო მფლობელობაში გადაცემის პოლიტიკა და პრაქტიკა. XX ს-ში ბევრ ქვეყანაში *ნ.* სხვადასხვაგვარად და ფართოდ გამოიყენებოდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში მან მოიცვა ყოფილი სსრკ-ის, ხოლო 1945-50 წლებში რიგი სოციალისტური ქვეყნების მიწისა და სახალხო მეურნეობის თითქმის მთლიანი მოცულობა. *ნ-ის* მოთხოვნა ამა თუ იმ ფორმით ფიგურირებდა არასოციალისტური ქვეყნების მთელი რიგი პარტიების (უპირველეს ყოვლისა, სოციალისტური და კომუნისტური ორიენტაციის) საპროგრამო დოკუმენტებში; აქტიურად ხორციელდებოდა სოციალისტური მთავრობების (დიდ ბრიტანეთში ლეიბორისტების, საფრანგეთში სოციალისტების და სხვ.) მიერ. პრაქტიკამ აჩვენა, რომ *ნ.* ყოველთვის და ყველგან სასურველ შედეგს როდი იძლეოდა, ამიტომაც მას ხშირად პირუკუ – დენაციონალიზაციის პროცესი მოჰყვებოდა ხოლმე.

ნაციონალიზმი ეს ტერმინი ორი ძირითადი მნიშვნელობით გამოიყენება – როგორც *იდეოლოგია* და როგორც გრძნობა. პირველი მნიშვნელობით იგი ემყარება *ნაციის, ერის* ცნებას და გარკვეულ პოლიტიკურ და კულტურულ მიზნებს ისახავს. მათ შორის უმთავრესია *ეროვნული თვითგამორკვევის* იდეა, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნეს დამოუკიდებლობის, *ირედენტიზმისა* თუ *სეცესიის* გზით. მეორე მნიშვნელობით *ნ.* არის გრძნობა, რომლის მიხედვითაც *ერი* და *ერი-სახელმწიფო* არის უმაღლესი ღირებულება და მათდამი ლოიალობა დომინანტურია ყველა სხვა ლოიალობასთან შედარებით. ე. ი. *ეროვნული ინტერესები* მაღლა უნდა იდგეს პირად, ნათესაურ, ტომობრივ, კლასობრივ, რელიგიურ თუ ზოგადსაკაცობრიო ინტერესებზე. *ნ-ის* წარმოშობა XVIII ს-ის ბოლოს მიეკუთვნება და საფრანგეთის დიდ რევოლუციასა და ნაპოლეონის ომებს უკავშირდება. ევროპის ხალხების უმრავლესობამ მაშინ გააცნობიერა საკუთარი თავი კულტურულ ერთობად (რაშიც დიდი წვლილი შეიტანა მშობლიურ ენებზე წიგნებისა და პრესის სწრაფმა გავრცელებამ ანუ ე. წ. „ბეჭდვითმა კაპიტალიზმმა") და მიზნად პოლიტიკურ ერთობად ქცევა დაისახა, რაც საკუთარი *ეროვნული სახელმწიფოს* ჩამოყალიბებისათვის ბრძოლას ნიშნავდა. გერმანული და იტალიური *ნ.* გამაერთიანებელი *ნ-ის* მაგალითია. ავსტრია-უნგრეთისა და ოსმალეთის იმპერიაში მყოფი ხალხების (ჩეხური, პოლონური, უნგრული, ხორვატული, ბულგარული, ბერძნული, სერბული და

ა. შ.) *ნ.* კი განმათავისუფლებელ *ნ-ს* წარმოადგენს. ერისა და სახელმწიფოს შერწყმამ ერ-სახელმწიფოდ სათავე დაუდო *საერთაშორისო ურთიერთობების* თვისებრივად ახალ ეტაპს და ახალ ფორმას – *სახელმწიფოცენტრიზმს.* XIX და XX ს-ში *ნ-ის* იდეოლოგია ევროპიდან „ექსპორტირებულ" იქნა დანარჩენ მსოფლიოში, რაც *ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა* და *დეკოლონიზაციის* სახით გამომჟღავნდა. ამ ე.წ. ანტიკოლონიური *ნ-ის* შედეგად მსოფლიოში ასორმოცდაათამდე ახალი სახელმწიფო წარმოიშვა. თუმცა მათი უმრავლესობა ერ-სახელმწიფოებად ვერ ჩამოყალიბდა. ბევრ მათგანში ეთნიკური ჯგუფების მინი-ნაციონალიზმი (ანუ სეპარატული *ნ.*) სერიოზულ საფრთხეს უქმნის ამ სახელმწიფოთა მთლიანობას და მათ *კვაზისახელმწიფოების,* ზოგ შემთხვევაში კი არშემდგარი ქვეყნების რიცხვში აყენებს. *ნ.,* როგორც გრძნობა, განსხვავებულად არის წარმოდგენილი ერის ინდივიდებსა თუ სოციალურ ჯგუფებში. სხვა პოლიტიკური იდეების მსგავსად, *ნ-ც* მოსახლეობაში *სოციალიზაციის* მექანიზმის მეშვეობით ვრცელდება, თუმცა, როგორც წესი, იგი ძირითადად ინტელიგენციისათვის არის დამახასიათებელი. *ნ-ის* ერთ-ერთი ძირითადი სახე – *ეთნიკური ნ.,* მიზნის მიღწევის ანუ ეროვნული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, როგორც წესი, იცვლება ლიბერალურ და სახელმწიფო *ნ-ად,* რომლებიც აქცენტს არა ეთნიკურ, არამედ კულტურულ და პოლიტიკურ ერთობაზე აკეთებენ და უპირისპირდებიან სახელმწიფოს შიგნით არსებულ ეროვნულ უმცირესობათა *ეთნიკურ ნ-ს,* როგორც სახელმწიფოს ერთიანობის მთავარ მტერს. თუ ტიტულარული ერის *ნ.* საკუთარ დამოუკიდებელ სახელმწიფოშიც ეთნიკური ხასიათისაა, მაშინ სავარაუდოა, რომ იგი *შოვინიზმის, ფაშიზმისა* და *ნაციზმის* ფორმას მიიღებს. *ნ-ის* თავისებური ფორმაა პანნაციონალიზმი, რომელიც ზეეროვნული ხასიათისაა და ეთნიკურად, რასობრივად ან რელიგიურად მონათესავე ხალხების შეკავშირებისა და პოლიტიკური ერთიანობისათვის იბრძვის. (იხ. აგრ. *ეთნიკური ნაციონალიზმი*).

ნაციონალ-სოციალიზმი ტერმინი ხშირად გამოიყენება როგორც *ნაციზმის* აბრევიატურა. *ნ.-ს-ის* იდეები და პრაქტიკა უკავშირდება გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის იდეოლოგიას, რომლის ლიდერიც იყო ადოლფ ჰიტლერი (1889-1945). დასაწყისში ჰიტლერის იდეები სოციალისტური და ნაციონალისტური შეხედულებების ბუნდოვანი ნარევი იყო. ის მოითხოვდა გერმანიის პარტიული, განსაკუთრებით ბოლშევიკური პოლიტიკის ზეგავლენისაგან გათავისუფლებას, *იმიგრაციაზე* მკაცრ კონტროლსა და სხვ. ნაციზმის იდეებმა და პოლიტიკურმა პრაქტიკამ იტალიელი ფაშისტების დიდი ზეგავლენა განიცადა. გერმანელებსა და იტალიელებს შორის ამ საკითხში ძირითადი განსხვავება ის იყო, რომ გერმანელი ნაცისტები ავითარებდნენ ნაციონალისტურ *ელიტიზმს,* რომელიც, თავის მხრივ, *რასიზმს* ემყარებოდა. ამგვარ შეხედულებათა ფილოსოფიური წყარო, ნიცშეს ზეკაცის იდეა, დამახინჯებულად იყო გაგებული. ამ იდეიდან გამომდინარე, ნაცისტები ავითარებდნენ თვალსაზრისს არიული რასის მისიაზე – მართოს მსოფლიო.

ნაციონალური სახელმწიფო იხ. *ერი-სახელმწიფო;* აგრ. *ერი, სახელმწიფო, ნაციონალიზმი.*

ნეიტრალიზმი იხ. *მიუმხრობლობა.*

ნეიტრალიტეტი *ნეიტრალიზმისაგან* (*მიუმხრობლობისგან*) განსხვავებით სახელმწიფოს სამართლებრივი სტა-

ტუსია, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ ვალდებულებებსა და უფლებებს. *ნ.* გულისხმობს საგარეო პოლიტიკურ კურსს, რომელიც გამორიცხავს შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩარევასა და სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში შესვლას. იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც ომის პირობებში, ასევე მშვიდობიან დროს. *ნ.* შეიძლება იყოს მუდმივი და ევენტუალური ანუ გარემოებითი. უკანასკნელი დაკავშირებულია სხვა სახელმწიფოებს შორის წარმოებულ საომარ მოქმედებებთან. სახელმწიფო, რომელსაც არ სურს ომში მონაწილეობა, ოფიციალურად ატყობინებს მეომარ მხარეს და სხვა ქვეყნებს თავის ამ სტატუსს. მუდმივი *ნ.* შეიძლება იყოს გარანტირებული სხვა სახელმწიფოების მიერ (მაგ., შვეიცარია), აღიარებული, მაგრამ გარანტიის გარეშე (ავსტრია), ტრადიციული, როცა ქვეყანა ტრადიციულად ატარებს *ნ-ის* პოლიტიკას, მაგრამ ნეიტრალური ქვეყნის სტატუსი ოფიციალურად არა აქვს (შვედეთი, ფინეთი). იმისათვის, რომ ქვეყანამ მიიღოს ნეიტრალური ქვეყნის სტატუსი იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად პირობებს: ა) არ უნდა წარმოადგენდეს სხვა სახელმწიფოების *გეოპოლიტიკური* ინტერესების მნიშვნელოვან ობიექტს და გეოგრაფიულად „მარგინალურ ზონაში" უნდა მდებარეობდეს; ბ) უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დაცვა; გ) მისთვის უცხო უნდა იყოს ყოველგვარი ექსპანსიონიზმი; დ) უნდა ახასიათებდეს შიდა შეკავშირებულობის მაღალი დონე. თუ ქვეყანაში არსებობს შიდა გათიშულობა, სხვა ქვეყნები ადრე თუ გვიან ჩაერევიან მის საქმეებში; ე) უარი უნდა თქვას ყოველგვარ იდეოლოგიურ საგარეო პოლიტიკაზე. საკუთარი *ნ-ის* სხვა ქვეყნის მიერ დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფოს უფლება აქვს დაიცვას იგი საომარი გზით, რაც შეიარაღებული *ნ-ის* მაგალითია. *ცივი ომის* დამთავრების შემდეგ, როცა ინტეგრაციულმა პროცესებმა და ურთიერთდამოკიდებულებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად შინაარსად იქცა, *ნ-ის* იდეას, მრავალი მკვლევრის აზრით, საფუძველი გამოეცალა და მომავალში ანაქრონიზმად იქცევა.

ნეოიზოლაციონიზმი შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში *იზოლაციონიზმის* აღდგენის მცდელობა აშშ-ის მსოფლიო გავლენის „დაკნინების" ხანაში XX ს-ის 70-იან წლებში ვიეტნამის ომის შემდეგ. აშშ-ის საგარეო პოლიტიკური ელიტის ნაწილი მიიჩნევდა, რომ აშშ უნდა დაბრუნებოდა თავის „ფესვებს", რომლებიც *ინტერნაციონალიზმის* პოლიტიკის ნაცვლად, ტრადიციული *იზოლაციონისტური* საგარეო პოლიტიკის აღდგენას ითვალისწინებდა. ამ დოქტრინის მიხედვით, საკუთარი ნახევარსფეროს მილმა აშშ-ის ჩარევა საერთაშორისო საქმეებში შერჩევით საფუძველზე და მხოლოდ აშშ-ის ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. *ნ-მა ცივი ომის* დასრულებისასაც იჩინა თავი.

ნეოკოლონიალიზმი არათანასწორ, არათანაბარუფლებიან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემა ინდუსტრიულად განვითარებულ, წამყვან სახელმწიფოებსა და აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებს შორის (ძირითადად ყოფილ *მეტროპოლიებსა* და *კოლონიებს* შორის). *ნ.* ჩამოყალიბდა *კოლონიალიზმის,* როგორც სისტემის რღვევის პერიოდში და მიზნად ისახავს იმას, რომ წამყვანმა, განვითარებულმა სახელმწიფოებმა ახალი, უფრო დახვეწილი და მოქნილი მეთოდებით შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა და ზეგავლენა ყოფილ კოლონიებსა და სხვა განვითარებად ქვეყნებზე. განთა-

ვისუფლებული ქვეყნების უმრავლესობა *ნ-ისტური* პოლიტიკის თანამიმდევრული გატარების შედეგად სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება ყოფილ მეტროპოლიაზე. კლასიკური კოლონიალიზმისაგან განსხვავებით, *ნ.* გარეგნულად თითქოს სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ნებაყოფლობითი კავშირია, სადაც *საერთაშორისო სამართლის* პრინციპები ფორმალურად დაცულია. განვითარებადი ქვეყნები განვითარებულ ქვეყნებთან, ნებსით თუ უნებლიეთ, დებენ შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, რომლებიც ფაქტობრივად კაბალურია და განვითარებად სახელმწიფოებს დამოკიდებულ მდგომარეობაში აყენებს არა მარტო ეკონომიკურად, არამედ პოლიტიკურადაც.

ნეოკონსერვატიული ტალღა ამ ტერმინით აღინიშნება *ცივი ომის* მიწურულს დასავლეთის წამყვან სახელმწიფოთა ხელისუფლების სათავეში კონსერვატიული ძალების მოსვლა: აშშ-ში რეიგანი (1981-1989) და ბუში უფროსი (1989-1993); გერმანიაში კოლი (1982-1998); დიდ ბრიტანეთში თეტჩერი (1979-1990) და მეიჯორი (1990-1998). ნეოკონსევატიზმი, როგორც იდეური მიმართულება, გამოირჩეოდა ისეთი ტრადიციული კონსერვატიული და ლიბერალური ღირებულებების რესტავრაციით, როგორიცაა ინდივიდუალური თავისუფლება, სახელმწიფოს ჩაურევლობა კერძო სამეწარმეო საქმიანობაში, *ოჯახი, რელიგია* და ა. შ. შესაბამისად, საშინაო პოლიტიკის სფეროში ინგლისელმა კონსერვატორებმა მხარი დაუჭირეს რიგი წამგებიანი ნაციონალური საწარმოების დენაციონალიზაცია-პრივატიზაციას, წაახალისეს საშუალო ფენის საწარმოო ეკონომიკური აქტივობა. შეერთებულ შტატებში რეიგანმა პრიორიტეტული გახადა და წაახალისა ცალკეული შტატების ეკონომიკური ინიციატივები, შეზღუდა ფედერალური გადასახადები და სხვ. საგარეო პოლიტიკაში კონსერვატორები დაადგნენ მკაცრი კურსის პოლიტიკას საბჭოთა კავშირთან და მისი დაშლით ფაქტობრივად მიაღწიეს ცივი ომის დასასრულს.

ნეოლიბერალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში დღეს გავრცელებული ერთ-ერთი პარადიგმული მიდგომა, იგივე ნეოლიბერალური ინსტიტუციონალიზმი. *ნ., ნეორეალიზმთან* ერთად, დღევანდელი *საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის* წამყვანი დოქტრინაა. *ნ.* აერთიანებს „კომერციულ“ (ვაჭრობისა და მშვიდობის კავშირი), „რესპუბლიკურ“ (დემოკრატიისა და მშვიდობის კავშირი) და „სოციოლოგიურ“ (ინტეგრაციის აუცილებლობა) ლიბერალიზმს. ნეორეალიზმისაგან განსხვავებით, *ნ.* მეტ ყურადღებას უთმობს არა *საერთაშორისო კონფლიქტს*, არამედ თანამშრომლობას. გარდა ამისა, ნეოლიბერალები *უსაფრთხოების* ცნებას უფრო ფართოდ განმარტავენ, ვიდრე ნეორეალისტები და მასში სამხედრო კომპონენტის გარდა ეკონომიკურ, გარემოს დაცვით და სხვა ელემენტებსაც აერთიანებენ. ნეოლიბერალები იზიარებენ ნეორეალისტების ძირითად მოსაზრებებს საერთაშორისო სისტემის ანარქიულობისა და სახელმწიფოს, როგორც *საერთაშორისო ურთიერთობების* მთავარი მოქმედი პირის შესახებ, მაგრამ მეტ ყურადღებას უთმობენ ისეთ *აქტორებს*, როგორებიც *ტრანსნაციონალური კორპორაციები* და *საერთაშორისო ორგანიზაციებია* (იხ., აგრეთვე, *პლურალიზმი*). თავის მხრივ, *ნეორეალისტები* მიიჩნევენ, რომ ნეოლიბერალები აზვიადებენ საერთაშორისო ინსტიტუტებისა და *საერთაშორისო რეჟიმების* როლს *საერთაშორისო ურთიერთობებში*.

ნეომარქსიზმი არაერთგვაროვანი ფილოსოფიური, იდეოლოგიური და

პრაქტიკულ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც აგრძელებს მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას. *ნ.* მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყალიბდება. აკრიტიკებს რა ლენინიზმს და მის პრაქტიკულ რეალიზაციას, *ნ.* ცდილობს მოახდინოს მარქსის შრომების ახლებური ინტერპრეტაცია. *ნ-ის* ყურადღების ცენტრშია ადამიანის გაუცხოებისა და იმ პირობების მოხსნა, რომელიც გვიანკაპიტალისტურმა საზოგადოებამ (Spätkapitalismus) შექმნა (ძირითადი თემაა დამოკიდებულება სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, მდიდარ ინდუსტრიულ ქვეყნებსა და მესამე სამყაროს ღარიბ ქვეყნებს შორის). *ნ-ის* თეორეტიკოსები პოლიტიკურად ახლოს დგანან ახალ მემარცხენეებთან. *ნ-სტული* მიმდინარეობა წარმოდგენილია დიორ ლუკაჩის, ჰერბერტ მარკუზეს, მაქს ჰორკჰაიმერის, თეოდორ ადორნოს, ერიხ ფრომის, იურგენ ჰაბერმასის, ერნსტ ბლოხის ნააზრევის სახით.

ნ. XX ს-ის ოციან წლებში გაჩნდა ჰეგელიანური მარქსიზმის იმ ვერსიის ნიშნის ქვეშ, რომელიც დაკავშირებულია დ. ლუკაჩთან და კ. კორშასთან. აღნიშნული ვერსიის ყურადღების ცენტრში პროლეტარიატის მიერ თავისი მისიისა და ისტორიის „ობიექტური ჭეშმარიტების" რეალიზების პოლიტიკური და სულიერი წანამძღვრები იყო. 30-40-იან წლებში პირველ პლანზე გამოდის ფრანკფურტის სკოლასთან დაკავშირებული ჰეგელიანური მარქსიზმის სხვა ვერსია. მისი თეორეტიკოსები (მ. ჰორკჰაიმერი, თ. ადორნო) ეჭვქვეშ აყენებენ პროლეტარიატის პოტენციურ უნარს კრიტიკული, არაფეტიშური თვითშეგნების მოპოვების შესახებ. 50-60-იან წლებში ავანსცენაზე „ინდივიდუალისტური მარქსიზმის" სხვადასხვა მიმდინარეობები ჩნდება: ფროიდო-მარქსიზმი (ე. ფრომი, გ. მარკუზე), ეგზისტენციალური მარქსიზმი (მ. მერლო-პონტი, ჟ. პ. სარტრი), ფენომენოლოგიური მარქსიზმი (ე. პაჩი, პ. პიჩონე). მათ ამოცანას ადამიანის განთავისუფლების პოტენციალის ძიება შეადგენდა, რომლის პოვნასაც ისინი ისეთი ადამიანის სუბიექტურობის სიღრმეში ცდილობდნენ, რომელიც სოციალურობის შედეგად გაუპიროვნებას არ განიცდიდა. 60-იანი წლებიდან სტრუქტურული მარქსიზმი განვითარდა (ლ. ალტიუსერი, მ. გოდელიე, პოლიტიკური თეორიის სფეროში ნ. პულანცასი). მისი პათოსი „ისტორიის ობიექტური ჭეშმარიტების" უფლებებში აღდგენაა, რომელიც მან სუბიექტივისტური მიმდინარეობების შედეგად დაკარგა. ინგლისურენოვან ქვეყნებში *ნ.* სოციოლოგიისა და პოლიტეკონომიის სფეროში განსაკუთრებული ტენდენციის სახით ვითარდება, რომელსაც ანტიპოზიტივისტური მიმართულება აქვს (ჩ. რ. მილსი, ა. გოულდნერი, პ. ბარანი, პ. სუიზი და სხვ.). თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე *ნ.* უპირატესად მემარცხენე და მემარცხენე-ლიბერალურ, უპირველეს ყოვლისა, საუნივერსიტეტო ინტელიგენციაში ვრცელდებოდა. მისი რეალურ პოლიტიკაში გამოვლენა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ყოველთვის მინიმალური იყო. თვით *ნ-ის* თეორეტიკოსების აღიარებით, პოლიტიკური ბრძოლის სტრატეგიისა და ტაქტიკის გამომუშავება ყოველთვის იყო და რჩება მის სისუსტედ.

დ. ლუკაჩის (1885-1971) თანახმად, *სოციალიზმის* ისტორიულად აუცილებელი გამოჩენა ასპარეზზე *კაპიტალიზმის* თვითუარყოფის დიალექტიკური მოძრაობის შედეგია. კაპიტალისტური წარმოების წესი იწვევს იმას, რომ ადამიანთა შორის დამოკიდებულება ემსგავსება საგანთან დამოკიდებულებას (გასაგნება). საქონელი იქცა საერთო საზოგადოებრივ უნივერსალურ კატეგორიად. ეს პროცესი პროლეტარიატის რევოლუციურ-კლასობრივი ცნობიერების გადატრიალე-

ბას იწვევს, რამაც შესაძლოა კაპიტალიზმის „გამასაგნებელი" სტრუქტურა რევოლუციური მოქმედებით დაძლიოს.

ნ-ის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ფრანკფურტის სკოლის ფილოსოფოსების (ადორნო, ფრომი, ჰორკჰაიმერი, მარკუზე) კრიტიკულ თეორიას. შრომაში „განმანათლებლობის დიალექტიკა" (1947) ადორნო და ჰორკჰაიმერი მიუთითებდნენ თანამედროვე კაპიტალიზმის წინააღმდეგობაზე და ცდილობდნენ მარქსიზმზე ორიენტირებული კრიტიკულ-დიალექტიკური პერსპექტივის დაფუძნებას. ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლების უმრავლესობა ასევე უარყოფს კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ წმინდა ტექნიკურ-მიზანრაციონალურ აზროვნებას, „ინსტრუმენტულ გონებას" და აქედან გამომდინარე საბჭოთა მარქსიზმის თეორიასა და პრაქტიკას.

ე. ბლოხი ხაზს უსვამდა მარქსისტული აზროვნების მომავალზე მიმართულ ასპექტს და აგებდა „მომავლის პრინციპზე" დაფუძნებულ ყოვლისმომცველ ფილოსოფიას. ბლოხის თანახმად, უტოპიური აზროვნება არსებითია ადამიანისათვის და იგი სოციალურ უტოპიაშია წარმოდგენილი.

ი. ჰაბერმასი ეხება კრიტიკული თეორიის და მარქსიზმის შემეცნებით და მეცნიერულ-თეორიულ დასკვნებს. ბურჟუაზიული საზოგადოების რეპროდუქცია როგორც ადრე, ასევე ახლაც ლატენტურად შეიცავს მასალას კრიზისისათვის და მას საზოგადოებრივად წარმოებული სიმდიდრის მითვისების ასიმეტრია ახასიათებს. საზოგადოებრივი ინტერესები შეიძლება ლეგიტიმური იყოს მხოლოდ მაშინ, თუკი ისინი გადამოწმდებიან „პრაქტიკული დისკურსით". საჯაროობის პრინციპი, როგორც ბატონობისაგან თავისუფალ სივრცეში ინტერესთა კონფლიქტის კომუნიკაციური განხორციელება-გატარების გამჭვირვალობის პირობა, თანამედროვე კაპიტალიზმში შეუძლებელია.

ნეომარქსისტ მოაზროვნეებს შეიძლება მივაკუთვნოთ ასევე ფრანგი და იტალიელი მოაზროვნეები: ჰ. ლეფევრი, რ. გარაუდი, მ. მერლო-პონტი, ჟ. პ. სარტრი, ლ. ალთიუსერი, გალვანო დელა ვოლპე, ჩეზარე ლუპორინი, ჩეხი ფილოსოფოსი კ. კოზიკი, რ. კალივოდა, იუგოსლავიელი მოაზროვნეები გ. პეტროვიჩი, მ. მარკოვიჩი, ს. სტოიანოვიჩი, პოლონელი ლ. კოლაკოვსკი.

ნეორეალიზმი იგივე სტრუქტურული *რეალიზმი, საერთაშორისო ურთიერთობების* წამყვანი სკოლა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების განმსაზღვრელად *საერთაშორისო სისტემის* სტრუქტურულ მახასიათებლებს მიიჩნევს და არა ამ სისტემის შემადგენელ ნაწილებს. *ნ.* უკავშირდება კენეტ უოლცის ნაშრომებს. უოლცის აზრით, გლობალური სისტემის ხასიათი განაპირობებს სახელმწიფოების ქცევას და არა პირიქით. საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის ერთიანობის დემონსტრირებით *ნ.* საერთაშორისო პოლიტიკის ავტონომიურობას უსვამს ხაზს. საერთაშორისო პოლიტიკის ეს ავტონომიურობა საერთაშორისო ურთიერთობების ბუნების თეორიული განზოგადების საშუალებას იძლევა. *ნ-მა* ბევრი რამ ისესხა კლასიკური რეალიზმისაგან, მათ შორის სახელმწიფოების, როგორც რაციონალური და უნიტარული მოქმედი პირების თეზისი და *ძალაუფლების*, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრალური თემის ცნება. რეალიზმისაგან განსხვავებით, *ნ.* სახელმწიფოთა ქცევის ანალიზისას მათ *ეროვნულ ინტერესებს* კი არ ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას, არამედ *საერთაშორისო სისტემის* კონფიგურაციის ხასიათს. საერთაშორისო სისტემა გა-

ნაპირობებს სახელმწიფოების გათვლებს, ქცევასა და ურთიერთქმედებას. *საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ნ-ის* ძირითადი კონკურენტი *ნეოლიბერალიზმია. ნ-ს* მწვავედ აკრიტიკებენ *კრიტიკული თეორიისა* და *პოსტმოდერნიზმის* წარმომადგენელი მკვლევრები.

ნეოფაშიზმი ახალი, თანამედროვე ტიპის *ფაშიზმი.* უკიდურესად რეაქციული *იდეოლოგია,* რომელიც გამოდის ანტისემიტური, ნაციონალისტური და რასისტული პოზიციებიდანაც კი.

ნეოფროიდიზმი ორთოდოქსული ფროიდისტული პოზიციიდან გადახრილი კონცეფციები ან თეორიები, რომლებმაც ფროიდიზმი მნიშვნელოვნად შეცვალეს. ამ მიმართულების მომხრეები განსაკუთრებით გამოყოფენ სოციალური, კულტურული და ურთიერთობრივი ფაქტორების მნიშვნელობას, თუმცა კი ძირითადად დინამიკურ თვალსაზრისს ემხრობიან. ნეოფროიდისტებს მიაკუთვნებენ ე. ფრომს, ე. ერიქსონს, კ. ჰორნის, ჰ. სალივანს. ამასთან, ყველა მათგანის თეორია ინდივიდუალობით გამოირჩევა. მათი თვალსაზრისით, ფროიდის ზოგიერთი დებულება მოძველდა (მაგალითად, აქცენტი ინსტინქტების წამყვან როლზე), ხოლო ოიდიპოსის კომპლექსის ან ქალის დაქვემდებარებული მდგომარეობის დადასტურება ძალზე რთულდება იმ შემთხვევათა გარდა, რომლებიც კულტურული ფაქტორებითაა განპირობებული; ნევროზს ნეოფროიდისტები პრობლემურ ურთიერთობათა შედეგად მიიჩნევენ, ხოლო ჯანმრთელ პიროვნებას – ასევე სოციალური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. იმათ, ვინც მთლიანად გაწყვიტეს კონტაქტი ფროიდთან და თავიანთი სკოლები შექმნეს (კ. გ. იუნგი, ა. ადლერი), ნეოფროიდისტებს არ მიაკუთვნებენ.

ნეოფუნქციონალიზმი *ინტეგრაციის* სამეცნიერო *თეორია,* რომელიც ინტეგრაციის განვითარების ყველაზე ეფექტურ გზად ქვეყნების საერთო ინტერესების სექტორებში ნაბიჯ-ნაბიჯ დაახლოებას მიიჩნევს. *ნ-ის* მიხედვით, ეკონომიკური ინტეგრაციის დადებითი შედეგები მოქალაქეებში სახელმწიფოების ქვეშევრდომობის შეგნებას შეცვლის. *ფუნქციონალიზმისაგან* განსხვავებით, *ნ.* აქცენტს რეგიონულ და არა გლობალურ ინტეგრაციაზე აკეთებს. გარდა ამისა, ნეოფუნქციონალისტები თავიანთ წინამორბედებზე მეტ ყურადღებას აქცევენ ინტეგრაციის ინსტიტუციურ მხარეს, განსაკუთრებით მის პოლიტიკურ ასპექტებს. *საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ნ-ის* სკოლა *პლურალიზმის* პარადიგმას მიეკუთვნება, რადგან ინტეგრაციის პროცესში სახელმწიფოთა გარდა ინტერესთა ჯგუფების გავლენასაც დიდ ყურადღებას უთმობს (იხ. *გადმოღერის ეფექტი*).

ნეპოტიზმი თანამდებობის პირთა მხრიდან თავიანთი ნათესავებისა და ახლობლების მფარველობა.

ნომენკლატურა 1. საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში კომუნისტური პარტიის მიერ სახელმწიფო, პარტიულ და საზოგადოებრივ თანამდებობებზე ვაკანსიის დასაკავებლად შერჩეული ადამიანების სია. 2. ადამიანები, რომელთაც ეჭირათ მაღალი თანამდებობები ან კიდევ დასაწინშ სიაში იყვნენ შეყვანილნი. ზოგიერთ თანამედროვე პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ძველი პარტიული (სოციალისტური) *ნ-ის* წარმომადგენლები კვლავ მნიშვნელოვან სახელმწიფო პოსტებზე რჩებიან.

ნორმა და ნორმატიული 1. რაიმეს ზომა, ნიმუში, საშუალო სიდიდე; 2. დაკანონებული დადგენილება, აუ-

ცილებლობად აღიარებული წესრიგი, წყობა; **3.** გარკვეულ სიტუაციაში ქცევის წესი; **4.** ქცევის რეგულაციის ფორმა ბიოლოგიაში, ტექნოლოგიაში. *სოციოლოგიაში* ნორმის ცნება მოიაზრებს სოციალური ერთობის მიერ გამომუშავებული ყოველგვარი წესის (მოთხოვნების, მოლვაწეობის ნიმუშების, სტანდარტების, ქცევის, მათ მიმართ *საზოგადოების* მოლოდინების) ერთიანობას. ნორმები გულისხმობს საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთქმედების აბსტრაქტულ მოდელს, რომლის შესაბამისად ინდივიდს შეუძლია, ერთი მხრივ, ურთიერთქმედების სხვა მონაწილეთა ქცევის წინასწარმეტყველება, მეორე მხრივ, საკუთარის აგება. ნორმები მოქმედებს სხვადასხვა დონეზე (ინდივიდთა ყოველდღიური ცხოვრება, მაგალითად, სუფრასთან ქცევა, ან განვითარებულ საზოგადოებაში სამართლებრივი სისტემის ფორმულირება). *ნ-ები* მხარდაჭერილი და განმტკიცებულია ნაირგვარი სანქციით არაფორმალური მიულებლობიდან ფიზიკურ (მაგ., სიკვდილით) დასჯამდე. ნორმა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს სოციალური სისტემის წესრიგსა და სოციალური ურთიერთქმედების რეგულაციას. *ნ.* იმის კრიტერიუმია, თუ რა აღიქმება საზოგადოების მიერ ნორმალურად. ნორმის შესაბამისი ან ნორმაზე დაფუძნებული ნებისმიერი მოვლენა (ქცევა, მოლოდინი, წარმოდგენა და ა. შ.) არის ნორმატიული. ტერმინ ნორმას უპირატესობას ანიჭებენ ფუნქციონალური თეორიის წარმომადგენლები. სოციალური ფენომენოლოგია, ეთნომეთოდოლოგია უპირატესობას ანიჭებს ტერმინს წესი.

ნორმატიული თეორია ემპირიული საერთაშორისო თეორიის ალტერნატივა, რომელიც *საერთაშორისო ურთიერთობებს* ეთიკური კუთხით შეისწავლის. *ნ. თ.* შეისწავლის ცალკეულ პირებთან, სახელმწიფოებსა და სახელმწიფოთაშორისო სისტემასთან დაკავშირებული ქცევის, ვალდებულებების, პასუხისმგებლობისა და უფლებების სტანდარტებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საზღვრებისა და ქვეყნების ეთიკურ მნიშვნელობას, *ომისა* და *მშვიდობის* საკითხებს, *ადამიანის უფლებებს, ინტერვენციისა* და საერთაშორისო თანასწორობის პრობლემებს. *ნ. თ-ის* ფარგლებში შეიძლება განვიხილოთ XX ს-ის 20-30-იანი წლების *იდეალიზმი, საერთაშორისო საზოგადოების* ბრიტანული სკოლა და *ცივი ომის* შემდგომ პერიოდში საერთაშორისო პოლიტიკასთან დაკავშირებით წამოჭრილი ეთიკური საკითხები, როგორიცაა *სამართლიანი ომი, ინტერვენცია,* გარემოს დაცვა, საერთაშორისო უთანასწორობა, დაბოლოს, *კრიტიკული თეორიის* წარმომადგენლებისა და *პოსტმოდერნისტების* მიერ წინ წამოწეული *საერთაშორისო ურთიერთობების* სამეცნიერო კვლევის ზნეობრივი ასპექტები.

ნორმატიული მოქმედება *ნორმის* შესაბამისი ან ნორმაზე დაფუძნებული ქცევა. რაიმე ქცევის მოდელი კონკრეტულ *საზოგადოებაში* ნორმად გადაიქცევა მისი ხშირად გამეორების საფუძველზე. ყოველგვარი ნორმა, არსებითად, ქცევის სოციალურად მნიშვნელადი აქტების ერთიანობაა. წარმოდგენა ნორმატიულ ქცევაზე სოციალურ ურთიერთქმედებებში გამომუშავებულ სტანდარტებზე დაყრდნობით ყალიბდება, აღიქმება და კვლავ აღდგება. მისი შინაარსი გამომდინარეობს ინდივიდთა და სოციალურ ჯგუფთა რეალური ქცევიდან.

ნორმატიული წესრიგი მოცემული სოციალური სიტუაციის შესაბამისი წესებისა და კრიტერიუმების სისტემა. სოციალური ცხოვრების გაგება გაფორმებული მოლოდინებითა და მო-

ვალეობებით განპირობებულ, მოწესრიგებულ და უწყვეტ პროცესად სოციოლოგიურ თეორიებში ძალზე გავრცელებულია, თუმცა მას სხვადასხვაგვარ მნიშვნელობას ანიჭებენ. დიურკემის თვალსაზრისით, საზოგადოების ფუნქციონირების საფუძველი ზნეობრივი წესრიგია; ამ თვალსაზრისმა გავლენა მოახდინა თანამედროვე *ფუნქციონალიზმზე*. მაგ., პარსონსის თეორიაში ცნება *ნ. წ.* სოციალური სისტემის მთავარი ელემენტია. მისი თვალსაზრისით, ნორმის ცნება სოციალური კონტროლის ცნებასაც გულისხმობს, რამდენადაც ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს საზოგადოების წევრთა *კონფორმულობას* და სანქციების გამოყენებას დევიანტური ქცევის მიმართ. *ნ. წ.* ორ ძირითად ელემენტს მოიცავს – ღირებულებებსა და ნორმებს. ნორმები დაკავშირებულია *სოციალიზაციასა* და *როლებთან*; მოცემული სოციალური სიტუაციისთვის (მაგალითად, რაიმე თავყრილობა) დამახასიათებელი სპეციფიკური წესების სახით ისინი არეგულირებენ ინდივიდთა მოლვაწეობას ჯგუფის ან სისტემის ფარგლებში. ღირებულებები მარეგულირებელ ფუნქციასაც ასრულებს, მაგრამ, ამას გარდა, მორალურობის ნიშანიც აქვს. ამის გამო მათი მნიშვნელობა მით უფრო ფართოვდება, რაც უფრო მეტად სცილდება კონკრეტული სიტუაციის ფარგლებს – სხვადასხვა კონტექსტში ღირებულებები მაინფორმირებელ ნორმად განიხილება და ამით ისინი სხვადასხვა სისტემის შემაერთებელ ფუნქციას ასრულებს. სწორედ ამის გამო, პარსონსის თვალსაზრისით, *ნ. წ-ის* ღირებულებრივი ასპექტი გადამწყვეტია ნიმუშის შესანარჩუნებლად.

ნოტა ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი დიპლომატიური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი. იხ. აგრ. *დემარში, მემორანდუმი.*

ო

ობსტრუქცია რაიმე ღონისძიების ჩაშლისაკენ მიმართული ღია სახის მოქმედებები. *ო.* პარლამენტში საპარლამენტო ბრძოლის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც გულისხმობს ოპოზიციური ძალის მიერ განხორციელებული ქმედებების ერთობლიობას (დარბაზის დემონსტრაციულ დატოვებას, სხდომებზე არგამოცხადებასა და ა. შ.), მიმართულს შემოტანილი კანონპროექტის მოსმენის საწინააღმდეგოდ და მის ჩასაგდებად.

ოიდიპოსის კომპლექსი კლასიკური *ფსიქოანალიზის* ერთ-ერთი ძირითადი ცნება. ეწოდა ძველბერძნული მითოლოგიური პერსონაჟის – ოიდიპოსის სახელის მიხედვით, რომელმაც მამა მოკლა და დედა ცოლად შეირთო ისე, რომ ამგვარი ცოდვის ჩადენა ფიქრადაც კი არ გაუვლია. *ო. კ.* გულისხმობს ადრეული ბავშვობის პერიოდის არაცნობიერი ლტოლვების ერთიანობას, დაკავშირებულს მშობლებისადმი ბავშვის ამბივალენტურ (გაორებულ) დამოკიდებულებასთან – მას ერთდროულად კიდეც უყვარს და კიდეც სძულს თითოეული მათგანი; მათი სიკვდილი სურს, თან თავისი (არაცნობიერი) სურვილების გამო დასჯის ეშინია. გოგონებთან *ო. კ-ს* კ. გ. იუნგმა ელექტრას კომპლექსი უწოდა. იუნგისგან განსხვავებით, ფროიდი ამჯობინებდა *ო. კ-ის* ცნების გამოყენებას, რადგან, სქესისგან განურჩევლად, მას უნივერსალურად მიიჩნევდა. ამ ორ კომპლექსს შორის განსხვავებას ფროიდი მხოლოდ განვითარების ხასიათში ხედავდა. თანამედროვე ფსიქოანალიზურ მეცნიერებაში ტერმინი „ელექტრას კომპლექსი“ იშვიათად გამოიყენება; უფრო ხშირად *ო. კ-ის* ცნებას მიმართავენ. *ო. კ.* ინდივიდში იწვევს დანაშაულის გრძნობას, რომელსაც იგი არაცნობიერ სფეროში *კონფლიქტამ-*

დე მიჰყავს. კონფლიქტის დაძლევა ხდება თავისივე სქესის მშობელთან იდენტიფიკაციით. კასტრაციის საფრთხეს და თავისი ინცესტური ლტოლვების გამო შესაძლო დასჯის შიშს ბიჭი მიჰყავს *ო. კ-ის* ზიზღთან, ამ კომპლექსთან დაკავშირებული ეროტიკული ლტოლვები დესექსუალიზდება, სუბლიმირდება ანუ გადაირთვება სოციალურად მისაღებ მიზნებში. ამ პროცესის იდეალური განხორციელების შემთხვევაში *ო. კ.* ინგრევა და ქრება. მისი დაღუპვის პროცესში მშობელთა გარეგანი ავტორიტეტი თითქოს ბავშვის ფსიქიკაში შედის და მის შინაგან მიღწევად იქცევა, რასაც მნიშვნელოვანი ფსიქიკური ინსტანციის – *სუპერ-ეგოს* წარმოშობა მოჰყვება. ასე ხდება სუპერ-ეგო *ო. კ-ის* მემკვიდრე. ამის შემდეგ სუპერ-ეგო მომზირალი თვალის ან დამსჯელი სინდისის როლში გამოდის და ადამიანში დანაშაულის განცდას ინვევს. თეორიულად, ეს კომპლექსი სრულად მაშინ დაიძლევა, როცა ადამიანი საპირისპირო სქესის მშობელს თავიდან აღმოაჩენს მომწიფებულ, ზრდასრულ სექსუალურ ობიექტში. ფროიდის თვალსაზრისით, ამ კომპლექსის საფუძველზე აღმოცენდება ინცესტის აკრძალვასა და შესაბამის ნორმებთან დაკავშირებული მთელი ადამიანური *კულტურა. ო. კ-ში* თავს იყრის *რელიგიის,* ზნეობის, *საზოგადოების,* სოციალური ინსტიტუტებისა და ხელოვნების საწყისები.

ოკუპაცია 1. საარეისო მინის (terra nullius) დაკავება (ათვისება), ანუ ისეთი ტერიტორიის დაკავება, რომელიც არც ერთი სხვა *სახელმწიფოს* სამფლობელოს არ წარმოადგენს. ასეთი გაგებით *ო.* წარმოადგენდა სახელმწიფო ტერიტორიის შეძენის ერთ-ერთ ფორმას აზიისა და აფრიკის კოლონიზაციის პერიოდში (XVI-XIX სს.); **2.** სამხედრო *ო. ძალის* გამოყენებით, სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის დროებითი დაკავება. სამხედრო *ო-ის* დროს დამყარებული ხელისუფლება *სუვერენიტეტს* მოკლებული დროებითი ფაქტობრივი ხელისუფლებაა, რომელმაც პატივი უნდა სცეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა უფლებებს, დაამყაროს იქ წესრიგი და, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შეინარჩუნოს და პატივი სცეს იქ არსებულ *კანონებს.* სამხედრო *ო.* არ წარმოადგენს ტერიტორიის შეძენის ფორმას, არამედ იგი *ძალის* გამოყენებით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის მხოლოდ დროებითი დაკავებაა და, წესისამებრ, უნდა შეწყდეს *კონფლიქტის* მოწესრიგების შესახებ დადებული საზავო ან სხვა სახის ხელშეკრულებათა საფუძველზე (მაგ., ჰიტლერული გერმანიის ტერიტორია დაყოფილ იქნა ოთხ საოკუპაციო ზონად აშშ-ს, სსრ კავშირს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის).

ოლიგარქია ადამიანთა მცირე ჯგუფის ხელისუფლება. ამგვარადვე შეიძლებოდა განგვესაზღვრა *არისტოკრატიაც,* მაგრამ *ო-ს* განსხვავებული მნიშვნელობა დაუმკვიდრა არისტოტელემ და არისტოტელურმა ტრადიციამ პოლიტიკურ ფილოსოფიაში. კერძოდ, არისტოტელემ გამიჯნა მმართველთა მცირე ჯგუფი, რომელსაც მიზნად აქვთ საერთო კეთილდღეობა და ჯგუფი, რომლის მიზანსაც პირადი გამორჩენა წარმოადგენს. პოლიტიკურ სოციოლოგიაში არსებობს მოსაზრება (მისი გამტარებელი იყო მიხელსი), რომ სახელმწიფო ორგანიზაციულ, ბიუროკრატიულ სტრუქტურებს აქვთ მისწრაფება გახდნენ ოლიგარქიულნი.

ოლიგარქიის რკინის კანონი რობერტ მიხელსის (1876-1936) მიერ თავის წიგნში – „პოლიტიკური პარტიები" (1911) ჩამოყალიბებული პრინციპი, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაცია და პროფკა-

ვშირები (იხ. *პროფესიული კავშირები*), საბოლოო ჯამში, აუცილებლად ექცევა რამდენიმე ადამიანის უპირობო და უკონტროლო მმართველობის ქვეშ. მიხელსის თანახმად, რაც უნდა დემოკრატიული იყოს ორგანიზაციის დამფუძნებელთა განზრახვა, ორგანიზაციის გაფართოება აუცილებლად იწვევს სირთულეებს მის მართვასთან დაკავშირებით. ამდენად, ორგანიზაციის ფარგლებში ყალიბდება მყარი *ბიუროკრატია*, რომლის მიზანია მართვაში პრობლემების ეფექტური გადაწყვეტა. ასე ხდება *ძალაუფლების* კონცენტრაცია ძალზე მცირე რაოდენობის ადამიანების (ლიდერების) ხელში, რომლებიც თანდათან გამოდიან ორგანიზაციის რიგითი წევრების კონტროლიდან. ისინი ახდენენ კომუნიკაციური რესურსების მონოპოლიზებას და ამით იმყარებენ თავიანთ ძალაუფლებას. მიხელსი მიუთითებს იმ ძირითად ფაქტორებზე, რომლებიც განაპირობებს ოლიგარქიულობისკენ სწრაფვას: 1. ტექნიკური (ეფექტურად მართვადი ორგანიზაციის მოთხოვნილება); 2. ლიდერთა ფსიქოლოგიური ხასიათი (პოსტებისა და პრივილეგიების დამკვიდრებისკენ სწრაფვა); 3. მასების ფსიქოლოგიური ხასიათი (აპათიურობა და ხელმძღვანელისადმი მორჩილებისა და მართულობის სურვილი). *ო. რ. კ-ის* კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მიხელსის დასკვნა ზედმეტად პესიმისტურია – დემოკრატიას აქვს შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ძალაუფლების განაწილებას უზრუნველყოფს მართვის სხვადასხვა ჰორიზონტალურ რგოლს შორის.

ოლიგოპოლია ბაზარი, რომელშიც ცოტა გამყიდველია. შესაბამისად, მოლაპარაკების ან „სათამაშო" თეორიული სტრატეგიის გზით მათ შეუძლიათ ფასებისა და შემოთავაზებული საქონლის ხარისხის გაკონტროლება. პოლიტიკური ბაზრების უმრავლესობა, სადაც პოლიტიკური პარტიები პოლიტიკით „ვაჭრობას" ეწევიან, ოლიგოპოლიურია.

ომი ორგანიზებული შეიარაღებული ბრძოლა, რომელსაც შეიძლება აწარმოებდნენ *სახელმწიფოები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის* მონაწილე ხალხები, ასევე სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე შეიარაღებული *კონფლიქტის* მხარეები ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. თანამედროვე *საერთაშორისო სამართალი* აგრესიულ ომს (იხ. *აგრესია*) საერთაშორისო დანაშაულის კვალიფიკაციას აძლევს. განასხვავებენ *სამართლიან* (მართლზომიერ) *ო-სა* (ასეთებია, მაგ., ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვა აგრესიის წინააღმდეგ, ომი კოლონიზატორთა წინააღმდეგ, *თვითგამორკვევის* უფლების განხორციელებისათვის) და უსამართლო (არამართლზომიერ) ომებს (მაგ., *აგრესია*, *კოლონიური ომები*). ომს თან ახლავს რიგი სამართლებრივი შედეგები: მეომარ სახელმწიფოთა შორის დიპლომატიურ და სხვა ურთიერთობათა გაწყვეტა, საერთაშორისო ხელშეკრულებათა გაუქმება და ა. შ. თანამედროვე *საერთაშორისო სამართლით* ომი აკრძალულია. აიკრძალა არა მარტო ომის დაწყება, არამედ ნებისმიერი სახის სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ზომების გამოყენება ამა თუ იმ სახელმწიფოს დაპყრობის ან მისი პოლიტიკური დაქვემდებარების მიზნით. ნიურნბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების წესდებებითა და გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებით, აგრესიული ომის დაგეგმვა, მომზადება და გაჩაღება საერთაშორისო დანაშაულად არის აღიარებული. (იხ. აგრ. *კლაუზვიცის დოქტრინა, სამართლიანი ომი*).

ოპოზიცია 1. საზოგადოების შიგნით

მეტ-ნაკლებად ორგანიზებული ხალხის ჯგუფი, სოციალური ჯგუფები, პარტიები ან ორგანიზაციები, რომლებიც გაბატონებული უმრავლესობის პოლიტიკური და პრაქტიკული შეხედულებების საწინააღმდეგო ქმედების, დაპირისპირების, წინააღმდეგობის საკუთარ ხაზს ატარებენ. **2.** ერთი საპირისპირო შეხედულებებისა და პოლიტიკის მეორისადმი დაპირისპირების პროცესი. *ო-ის* არსებობა დემოკრატიული საზოგადოებისა და სახელმწიფოს არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობაა და მის იდეურ-პოლიტიკურ შემწყნარებლობაზე, *პლურალიზმზე*, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დამოუკიდებლობასა და ა. შ. მეტყველებს. ეს არის საშუალება, *საზოგადოება* და *სახელმწიფო* დაზღვეული იყოს უკონტროლობისა და ცალმხრივი, ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისაგან. შემთხვევითი არ არის, რომ ტოტალიტარულ სახელმწიფოებში *ო.* დაშვებული არ არის და მკაცრად ჩაიხშობა. ფორმის, სახისა და ხასიათის მიხედვით განასხვავებენ კონსტრუქციულ, საქმიან, დეკონსტრუქციულ, ლოიალურ, დამანგრეველ, კომპრომისისათვის მზადმყოფ, ზომიერ, საპარლამენტო და არასაპარლამენტო, შიდაპარტიულ და სხვ. *ო-ს.* უფრო ხშირად *ო.* სოციალურ-პოლიტიკურ უმცირესობას წარმოადგენს, რომელსაც დემოკრატიულ სახელმწიფოში გარკვეული უფლებები აქვს და მისი აზრი, ასე თუ ისე, უმრავლესობის მიერ გათვალისწინებულ უნდა იქნეს (მაგ., *პარლამენტში* საპარლამენტო უმრავლესობის და უმცირესობის აზრის გათვალისწინება).

ოპორტუნიზმი საბჭოთა პოლიტიკურ ლიტერატურაში გავრცელებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავდა მუშათა მოძრაობის პოლიტიკური და იდეოლოგიური ლიდერების შემგუებლობას *ბურჟუაზიის*, ბურჟუაზიული *იდეოლოგიის* მიმართ. საბჭოთა იდეოლოგია ოპორტუნისტულ გარიგებას კლასობრივ მტრებთან განასხვავებდა ტაქტიკური კომპრომისებისაგან, რომლებიც შეიძლება საჭირო გამხდარიყო პოლიტიკური ბრძოლის მსვლელობისას. კომპარტიის თეორეტიკოსები გამოყოფდნენ გარკვეულ კრიტერიუმებს, რომელიც საშუალებას იძლეოდა გამიჯნულიყო ოპორტუნისტული და ტაქტიკურ-დროებითი შეთანხმება ბურჟუაზიასთან. კერძოდ, *ო.* ცდილობდა საბოლოო ჯამში მუშათა მოძრაობა დაეყვანა კერძო მოთხოვნების რეალიზაციასა ან ცალკეულ რეფორმებზე და თავს არიდებდა მუშათა მოძრაობის ძირითადი მიზნისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ წაყვანას. ამგვარი კრიტერიუმების არსებობის მიუხედავად, პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად შესაძლებელი იყო ოპორტუნისტის იარლიყი მიეწებებინათ შიდაპოლიტიკურ ბრძოლებში ნებისმიერი დამარცხებული თანაპარტიელისათვის.

ორგანიზაცია 1. გარკვეული განზრახვების ან მიზნების მიღწევისათვის შექმნილი კოლექტივის ტიპი, რომელიც ხასიათდება წესების ფორმალური სტრუქტურით, ძალაუფლებითი ურთიერთობებით, შრომის დანაწილებით, შეზღუდული წევრობითა და წესებით. ცნება გამოიყენება რამდენიმე მნიშვნელობით: 1) სოციალური სტრუქტურის ელემენტი; 2) მოღვაწეობის სახე; 3) შინაგანი მოწესრიგებულობის ხარისხი და სხვ. ესენია: საქმიანი საწარმოები, სკოლები, საავადმყოფოები, ეკლესიები, ციხეები, არმია, პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები და ა. შ. ერთი სიტყვით, *ო.* წარმოადგენს განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ინდივიდების რაიმე სიმრავლის გამაერთიანებელი ურთიერთობების სისტემას. სოციალურ ურთიერთობათა მოდელი განსხვავდება სხვა სოციალური ჯგუ-

ფების – *ოჯახის*, მეზობლების ურთიერთობისაგან. *ო-ში* ასოციაციის ფორმები, ჩვეულებრივ, ადამიანის ცხოვრების მხოლოდ ნაწილს იკავებენ. (გამონაკლისია ტოტალიტარული *ო-ები*). **2.** სოციალური მოღვაწეობის ან მოქმედების ერთობლიობის რაიმე მიზნობრივი გაერთიანება. ამ აზრით იგი გულისხმობს აქტიურ კონტროლს ადამიანების ურთიერთობებზე. ამიტომ ხშირად *ო-სა* და *ბიუროკრატიას* სინონიმებად ხმარობენ, მაგრამ ეს მართებული არაა. თვით მ. ვებერიც წინააღმდეგი იყო მათი გაიგივებისა. საერთოდ კი *ო.* შეიძლება ხელმძღვანელობდეს ისეთი ნიმუშებით, რითაც ხასიათდება თანამედროვე *ბიუროკრატია*.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინის ყველასათვის მისაღები განსაზღვრება არ არსებობს. მისი მნიშვნელობა იცვლება თეორიულ მიდგომებში განსხვავებების შესაბამისად. ძირითადი პრობლემაა „ორგანიზაციის კულტურა". ეს პრობლემა აისახება ფორმალურ და არაფორმალურ *ო-ებს* შორის განსხვავებებშიც. პირველი მიეკუთვნება ოფიციალურ *იერარქიასა* და *ძალაუფლების* სტრუქტურებს, რომელთაც აქვთ მმართველობის დროებითი შუალედები, როგორც პირველად არის აღწერილი ფორმალური *ო-ის* თეორეტიკოსების მიერ და მეცნიერული *მენეჯმენტით*; მეორე – ხერხებით, რომლებითაც ოფიციალური წესები ინერგება ან ემხობა დაქვემდებარებულთა მოქმედებით (და რომლებიც აღმოჩენილ იქნა ჰოუტორნის ადრეულ ექსპერიმენტებში). (იხ. *ორგანიზაციის თეორია*).

მაშასადამე, *ო-ის* არსებით ნიშნებად უნდა გამოვყოთ: 1) მიზნების არსებობა; 2) საზოგადოებრივ თუ სოციალურ-ძალაუფლებრივ ურთიერთობათა კონკრეტული განხორციელება; 3) სტატუსებისა და *როლების* ურთიერთობა; 4) როლებს შორის ურთიერთობების მარეგულირებელი წესები; მიზნების, ამოცანებისა და ურთიერთობების მნიშვნელოვანი ნაწილის ფორმალიზაცია. *ო-ის* მნიშვნელოვანი ფუნქციებია: ა) ინდივიდების *ინტეგრაცია* და *სოციალიზაცია*; ბ) *ო-ის* წევრთა მოქმედების მოწესრიგება და სოციალური კონტროლი მათი ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროებზე.

ორგანიზაციის თეორია 1. ორგანიზაციული სტრუქტურისა და სოციალურ ურთიერთობათა დინამიკის სოციალური და დისციპლინათშორისი ანალიზი. იგი მოიცავს მართვის ფორმალურ და არაფორმალურ სტრუქტურებს, ამოცანათა განაწილებას, გადაწყვეტილების მიღებას, *მენეჯმენტს ორგანიზაციებში*, სიახლეებს, ტექნოლოგიებს, ორგანიზაციულ ცვლილებებსა და სხვა ამოცანებს. *ო. თ-ის* მიზანია სოციალური სისტემების უფრო ეფექტური ფუნქციონირების, მართვისა და მენეჯმენტის პირობების შესწავლა. ამ საქმეში მთავარი წვლილი შეაქვთ ისეთ დისციპლინებს, როგორიცაა სოციოლოგია, ფსიქოლოგია, პოლიტეკონომია, მენეჯმენტის მეცნიერება და ადმინისტრაციული თეორია. ფსიქოლოგიის წვლილი გამოიხატება ინდივიდუალური ქცევის შესწავლაში მოტივაციასა და წახალისებასთან, ლიდერობასა და გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად. მეცნიერებისა და ადმინისტრაციული თეორიის სფეროში შესრულებული ნაშრომები ძირითადად ეხება ურთიერთობებს ორგანიზაციასა და ქცევებს შორის. *ო. თ.* მოიცავს მენეჯმენტისა და ბიზნესის კურსების უმრავლესობაში მოცემულ სასწავლო გეგმებს. **2.** ალტერნატიული ტერმინი ორგანიზაციის სოციოლოგიისა, რომელიც ძალზე ახლოსაა *ო. თ-ის* გამოყენებით სფეროსთან. ეს ქვედისციპლინა შეიძლება ნაწილობრივ იდენტიფიცირებულ იქნეს აკადემიური სოციოლოგიის მთავარ მიმართუ-

ლებასთან, კერძოდ, ვებერის *ბიუროკრატიის* იდეალურ ტიპთან.

ვებერის ბიუროკრატიის იდეალური ტიპი გახდა საყრდენი წერტილი ორგანიზაციის სოციოლოგიის შემდგომი განვითარების საქმეში. გოულდნერმა თავის გამოკვლევებში აჩვენა, თუ როგორ შეიძლება ბიუროკრატიული წესების უარყოფა და დაამტკიცა, რომ ბიუროკრატიას შეუძლია მიიღოს სხვადასხვა ფორმა. ბერქსმა და სტოლკერმა მიუთითეს, რომ სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურების შეფასება უნდა ხდებოდეს მათი სტაბილურობის ხარისხის ან *საზოგადოებაში* მათი ნდობის შესაბამისად. მექანიკური სტრუქტურები ბიუროკრატიული, იერარქიული და ხისტია, ხოლო ორგანული – მოქნილი, დეცენტრალიზებული და უფრო ღიაა სიახლეებისა და გარემოს ცვლილებებისადმი. ორგანიზაციების ტიპოლოგიზაციის ცდები წარმოებდა იმ კრიტერიუმებზე დაფუძნებით, თუ „ვისთვისაა იგი მომგებიანი" (ბლაუ, 1955), აგრეთვე, დაქვემდებარების ტიპების მიხედვით (ეტციონი, 1961). *ო. თ-ის* განვითარებაზე მძლავრი გავლენა მოახდინა ფუნქციონალიზმმა თავისი „ორგანიზაციის, როგორც სისტემის" კონცეფციით, ორგანიზაციული „სიცოცხლისუნარიანობითა" და *ადაპტაციით* გარემოსადმი. ორგანიზაციები ალიარებულ იქნა „ღია სისტემებად", რომლებიც ახორციელებენ გაცვლას მათსა და გარემოს შორის.

ო. თ-ის შემდგომი განვითარება უკავშირდება შემთხვევითობის თეორიის (პუგო და სხვ. 1968; ლორენც და ლორში, 1967; ვუდვორდი, 1970) შემუშავებას. მეცნიერული მენეჯმენტის საპირისპიროდ, უპირატესობა ეძლევა იმ ურთიერთობათა მრავალგვაროვნების შესწავლას, რომელიც არსებობს „კონტექსტურ ცვლილებას" (მაგ., ტექნოლოგიებს, ცვლადებს, გარემომცველ პირობებს), ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მოქმედების ტიპებს შორის. შემთხვევითობის თეორია მკვეთრი კრიტიკის ქვეშ მოექცა მისი დეტერმინისტული ვარაუდების, ემპირიზმისა და დადგენილი კორელაციების სისუსტის გამო. ძალაუფლებითი ურთიერთობების უგულებელყოფა ჩანაცვლებულ იქნა ჩაილდის (1985) მიერ სტრატეგიული შემთხვევითობის თეორიით.

ინტერაქციონისტულ პროექტებში ხაზი ესმებოდა „ხელშეკრულებითი წესრიგის" ორგანიზაციული მექანიზმების სოციალურად სტრუქტურირებულ ხასიათსა და ორგანიზაციული წესების არასაიმედოობას (სილვერმანი, 1970). სიმბოლური ინტერაქციონიზმის საფუძველზე დაწერილმა ნაშრომებმა გამოავლინეს ორგანიზაციული კულტურების გაფართოებადი სფერო, რაც ეთნოგრაფიული მეთოდების გამოყენებას გულისხმობდა.

ორგანიზაციის სოციოლოგია იხ. *ორგანიზაციის თეორია.*

ორპალატიანი სისტემა სახელმწიფოს მართვის სისტემა, რომლის დროსაც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანიზაცია ორი პალატისაგან შედგება. ბევრ ქვეყანაში ზემო პალატას შედარებით შეზღუდული, ქვედა პალატაში მიღებულ გადაწყვეტილებებზე ზედამხედველობისა და მათი დროებით შეჩერების უფლებები აქვს. გამონაკლისია შეერთებული შტატები, სადაც ორივე პალატას (სენატსა და წარმომადგენელთა პალატას) თითქმის თანაბარი უფლებები აქვს. ორ პალატას შორის კონფლიქტის შემთხვევაში მომრიგებლის როლს ასრულებენ შემთანხმებელი, საერთო კომისიები. ორპალატიანი საკანონმდებლო სისტემა ძირითადად ფუნქციონირებს ფედერაციული მოწყობის ქვეყნებში (აშშ, გფრ, რუსეთი და სხვ.), სადაც ზედა პალატაში წარმოდგენილნი არიან ფედე-

რაციის სუბიექტების წარმომადგენლები, რომელთა რაოდენობა, ჩვეულებრივ, დამოკიდებული არ არის ფედერალური ერთეულის ტერიტორიასა და მისი მოსახლეობის რაოდენობაზე. *ო. ს-ში* ზედა პალატები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია ერთმანეთისაგან როგორც დეპუტატების არჩევის წესის, ასევე ფუნქციების მიხედვით. ამ მხრივ ალბათ განსაკუთრებულად გამორჩეულია დიდი ბრიტანეთი, სადაც ზედა, ლორდთა პალატის წევრები არ აირჩევიან, არამედ ინიშნებიან ან მემკვიდრეობით იღებენ მანდატებს.

ორპარტიული სისტემა იხ. *პარტიული სისტემა.*

ოფიციოზი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ ხელისუფლებასთან, გამოხატავენ მის ოფიციალურ პოლიტიკურ კურსს, თუმცა, ამავე დროს, ფორმალურად არ უკავშირდებიან ხელისუფლებას.

ოხლოკრატია ძველბერძნულ პოლიტიკურ თეორიებში ტერმინი აღნიშნავდა ბრბოს ბატონობას. თანამედროვე პოლიტიკურ ლიტერატურაში ტერმინი შეიძლება იხმარებოდეს ნეგატიური ფორმით, რომელიმე პოლიტიკური რეჟიმის გასაქილიკებლად.

ოჯახი ადამიანის აღწარმოების საზოგადოებრივი მექანიზმი, სისხლით ნათესაობასა ან ქორწინებაზე დაფუძნებული მცირე სოციალური ჯგუფი, რომლის წევრები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ყოფითი ერთიანობით, ურთიერთდახმარებითა და მორალური პასუხისმგებლობით. რამდენადაც მეულლეობა და მშობლობა იღებს სოციალურ სანქციას, მორალურ და სამართლებრივ დაკანონებასა და სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას, *ო.* წარმოადგენს, აგრეთვე, სოციალურ ინსტიტუტს.

ისტორიულად არსებობდა *ო-ის* მრავალი ფორმა. მათი სოციოლოგიური ანალიზის საკვანძო ცნებებია: რთული (დიდი) და მარტივი ნუკლეარული *ო.* პირველი მიეკუთვნება ნათესაობით დაკავშირებულ ადამიანთა ჯგუფს, სადაც ერთად ცხოვრობს (ან მჭიდრო სიახლოვით) ნათესავთა ორზე მეტი თაობა, მეორე შედგება ცოლქმრისა და შვილებისაგან ან შვილის გარეშე, ან ერთ-ერთი მშობლისა და დაუქორწინებელი შვილებისაგან. *ო-ის* ნუკლეარული ფორმა განვითარდა *ინდუსტრიალიზაციასთან* დაკავშირებით, აგრეთვე გეოგრაფიული და სოციალური მიზიდულობის ზრდის კვალად. *ო-ის* ფორმების მრავალგვარობა დამოკიდებულია სოციალურ და კულტურულ ნორმებზე.

თანამედროვე *ო-ის* ფუნქციებს შორის აღსანიშნავია: რეპროდუქციული, აღმზრდელობითი, წარმოებრივ-ეკონომიკური, სამომხმარებლო, რეკრეაციული, ურთიერთდახმარებითი და სხვ. *ო-ის* მზარდი როლი ბავშვთა *სოციალიზაციაში* აქცევს მას *საზოგადოების* ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად. როგორც სოციალიზაციის პირველი აგენტი, *ო.* უზრუნველყოფს თაობის სოციალურ, კულტურულ და ლინგვისტურ ასპექტებს. (იხ. *ოჯახის სოციოლოგია*).

ოჯახის სოციოლოგია სოციოლოგიის მნიშვნელოვანი განყოფილება, რომელიც შეისწავლის *ოჯახს* როგორც სოციალურ ინსტიტუტს. სოციალური გამოკვლევები წარიმართება ოჯახისა და მისი სტრუქტურული ნაირსახეობების აღწერისა და ანალიზის მიზნით. ამ აზრით იგი მჭიდროდ გადაეჯაჭვება შობადობის შესწავლას. XX ს-ის 60-იან წლებამდე ბატონობდა ოჯახის ფუნქციონალისტური თეორია, რომელიც აანალიზებდა ოჯახის

„უნივერსალურ“ ფუნქციებსა და ნუკლეარული ოჯახის განსხვავებულ ფორმებს, რომლებიც აღმოცენდება ინდუსტრიული საზოგადოების განსაზღვრული ფუნქციების მოთხოვნების შესაბამისად. 60-იან წლებში აღმოცენდა ახალი კრიტიკული მიდგომა სოციალური მეცნიერების *ფემინისტური* ანალიზის გავლენით (მორგანი, 1975). ფუნქციონალისტური თეორია ოჯახის პირველად ფუნქციებად მიიჩნევდა: ა) სექსუალური ურთიერთობის რეგულირებას; ბ) ბავშვთა პირველად სოციალიზაციას, გ) მეუღლეთა ურთიერთემოციურ მხარდაჭერას. ოჯახი, როგორც წესი, ჩვეულებრივ ასრულებს დამხმარე ფუნქციებსაც: უზრუნველყოფა საცხოვრებლით, აგრეთვე ოჯახური ჯგუფის ეკონომიკური მხარდაჭერა, დახმარება განათლების მიღებაში, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

ფუნქციური შეხედულებებისა და ოჯახის თანამედროვე სტრუქტურების კრიტიკამ, ალტერნატიულმა შეფასებებმა ყურადღების ცენტრში დააყენა ბევრი ასპექტი და წამოაყენა რიგი საერთო პრობლემებისა, როგორებიცაა: 1. ოჯახის ფორმების დიდი მრავალგვარობა თანამედროვე, აგრეთვე ტრადიციულ საზოგადოებებში; 2. ისტორიულად ძალზე გამარტივებული განსხვავება „გაფართოებულ – ნუკლეარულ“ ცნებებს შორის ინდუსტრიამდელი და ინდუსტრიული საზოგადოებების მიმართ, ვინაიდან ნუკლეარული ოჯახი გვხვდება ინდუსტრიალიზმამდეც, ხოლო გაფართოებულის მნიშვნელობა შენარჩუნებულია ინდუსტრიულ საზოგადოებაშიც; 3. ოჯახის ემოციური და მჭიდრო კავშირები ფარავენ *კონფლიქტის* მაღალ ხარისხს და მრავალ შემთხვევაში ფაქტობრივ ძალადობას, ამიტომ პრობლემათა შესწავლა უნდა წარმოებდეს თანამიმდევრულად; 4. ანალიზის მნიშვნელობა *ძალაუფლებისა* და ავტორიტეტის თანაფარდობის, აგრეთვე ეკონომიკურ ურთიერთობათა თვალსაზრისით; 5. ოჯახური ჯგუფის იდენტიფიკაციის სიძნელე ინდუსტრიამდელ საზოგადოებებში. (იხ. აგრ. *ოჯახი, ქორწინება*).

3

პანელური გამოკვლევა განმეორებითი სოციოლოგიური გამოკვლევის ტიპი, რომელიც გულისხმობს ერთი და იმავე სოციალური ობიექტის შესწავლას გარკვეული დროითი ინტერვალით და ერთი და იმავე მეთოდიკის გამოყენებით. აღნიშნული ტიპი *ლონგიტუდური კვლევების* ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია პოლიტიკური ატიტუდებისა და თვალსაზრისების შესწავლასთან. მისი მიზანია ადამიანთა დამოკიდებულებებსა და წარმოდგენებში ცვლილებების შესწავლა და გარკვეულ ტენდენციებზე დაკვირვება. მაგალითად, ამ მეთოდს მიმართავენ მაშინ, როდესაც სურთ ელექტორული ქცევის შესწავლა არჩევნებამდე, არჩევნების დროს და მათ შემდეგ. ამ დროს, შერჩეულ ადამიანთა ჯგუფი (პანელი) განმეორებით გამოიკითხება, რათა დაფიქსირდეს ცვლილებები მათ პოლიტიკურ შეხედულებებში და შეფასდეს პოლიტიკური კამპანიის გავლენა. *პ.გ-ის* ორგანიზებას ახლავს გარკვეული სიძნელეები შერჩევის მოცულობის განსაზღვრისას, რამდენადაც სხვადასხვა მიზეზის გამო (ინტერესის გაქრობა, ფიზიკური ადგილგადანაცვლება, გარდაცვალება და სხვ.) მოსალოდნელია დანაკარგები. ამიტომ, როგორც წესი, შერჩევით ერთობლიობას ზრდიან 20-25%-ით იმასთან შედარებით, რასაც რეპრეზენტაციული სტატისტიკური განაწილება ითვალისწინებს. *პ.გ-ს* ლონგიტუდურისაგან ის განასხვავებს, რომ იგი ნაკლებად ხანგრძლივია და მეტად ფოკუსი-

რებული (*იხ. ლონგიტუდური კვლევები*).

პანიკა *იხ. კოლექტიური მოქმედება.*

პანნაციონალიზმი *ნაციონალიზმის* ერთ-ერთი სახეობა, რომელიც სხვა სახეობებისაგან განსხვავებით თავისი შინაარსით ტრანსნაციონალურია და მიზნად ისახავს ეთნიკურად, რასობრივად და რელიგიურად მონათესავე ხალხების პოლიტიკურ გაერთიანებას. *პ-ის* ყველაზე გავრცელებული მაგალითებია პანამერიკანიზმი, პანარაბიზმი, პანაფრიკანიზმი, პანთურქიზმი, პანისლამიზმი, პანგერმანიზმი, პანსლავიზმი და სხვ. *პ-ს* ხშირად ადარებენ *ეთნიკურ ნაციონალიზმს*, რადგან ორივე მათგანი *ერი-სახელმწიფოს* წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ თუ ეთნიკური ნაციონალიზმი ერ-სახელმწიფოს შლის, *პ.* ცალკეულ ერ-სახელმწიფოთა ერთ პოლიტიკურ ერთობად ჩამოყალიბებისთვის იბრძვის. ამ თვალსაზრისით *პ.* რეგიონული კოოპერაციისა და ინტეგრაციის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება. ამავე დროს იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჰეგემონური და ექსპანსიური საგარეო პოლიტიკური მიზნების გასამართლებლად (პანსლავიზმი, პანგერმანიზმი), ზოგჯერ კი ანტიკოლონიურ და განმათავისუფლებელ ბრძოლასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული (პანაფრიკანიზმი, პანარაბიზმი).

პარადიგმა იდეათა და შეხედულებათა ერთობლიობა (უპირატესად საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში); აყალიბებს კონსენსუსურ ჩარჩოს ან მოდელს, რომლის შიგნითაც მეცნიერები ოპერირებენ. *პ-ის* საფუძველზე განისაზღვრება არსებული ცოდნის მოცულობა, საკვლევი პრობლემის ბუნება, კვლევის შესაფერისი მეთოდების არჩევა, შედეგების ანალიზისა და ინტერპრეტაციის გზები. დომინანტური *პ.* უკუაგდებს სამყაროს შესახებ ალტერნატიულ წარმოდგენებს ან ახდენს მათ ბლოკირებას. *პ-ის* მაგალითად შეიძლება გამოდგეს სამყაროს შესახებ ნიუტონის ან აინშტაინის კონცეფცია. ამ ცნების ანალიზი დაკავშირებულია თომას კუნთან, რომელიც ამტკიცებდა, რომ მეცნიერული ცოდნის მთავარი მახასიათებლები არ არის არც ობიექტურობა და არც კუმულატიურობა, არამედ იგი განვითარდა *პ-თა* მონაცვლეობის მეშვეობით. კუნი იკვლევდა მეცნიერული ცოდნის ცვლილების ბუნებას. იგი ამტკიცებდა, რომ მეცნიერები მუშაობენ *პ-ების* ფარგლებში, რომლებიც სამყაროს ხედვის ზოგადი ხერხებია. *პ-ები* შესაძლებელს ხდის „ნორმალური მეცნიერების" არსებობას. თუმცა, დროთა განმავლობაში, „ნორმალური მეცნიერების" წიაღში ჩნდება რიგი „ანომალიები", რომელთა გადაჭრა ვერ ხერხდება არსებული *პ-ის* ფარგლებში. ესაა გარდატეხის მომენტი, როდესაც ძველი *პ.* იცვლება ახლით, რომელიც „ნორმალური მეცნიერების" ფუნქციონირების ახალ პერიოდს მოინიშნავს. მეცნიერების განვითარება სხვა არაფერია, თუ არა არსებული *პ-ების* ჩანაცვლება ახლით. *სოციოლოგიის* მიმართ ამ ტერმინის გამოყენება შედარებით ბუნდოვანია. ზოგიერთი სოციოლოგი ამტკიცებს, რომ სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, იმყოფება წინაპარადიგმულ საფეხურზე, რამდენადაც არ არსებობს არავითარი კონსენსუსი *საზოგადოების* ბუნებასთან დაკავშირებით და არც საყოველთაოდ მიღებული მოდელი არსებობს იმისა, თუ როგორ უნდა განხორციელდეს სოციოლოგიური გამოკვლევა. არსებობს მოსაზრება, რომ *პ-ად* მიჩნეულ იქნეს სოციოლოგიური სკოლა, რამდენადაც ყოველი სკოლა შედარებით თვითკმარია და იყენებს საკუთარ მეთოდებს და თეორიებს.

საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინის შექმნის შემ-

სუფლებაში დაკავებული ადგილითაც განსხვავდებიან. განასხვავებენ ლეგალურ და არალეგალურ, მმართველ და ოპოზიციურ, მემარცხენე, მემარჯვენე, ცენტრისტულ *პ-ებს. პ-ები* პარტიულ სისტემას ქმნიან.

პარტიზანული ომი იხ. *ომი.*

პარტიული ორგანიზაცია დემოკრატიულ ქვეყნებში განისაზღვრება როგორც იმგვარი სტრუქტურა, რომელიც *პოლიტიკურ პარტიებს* საშუალებას აძლევს იბრძოლონ ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად, განსხვავებით ერთპარტიული სისტემებისაგან, რომლებიც ყოფილ საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში უზრუნველყოფდა „დემოკრატიული ცენტრალიზმის" პრინციპზე აგებული ერთი პარტიის ბატონობას. დემოკრატიულ ქვეყნებში პარტია პოლიტიკური ორგანიზაციის მხოლოდ ერთი ფორმაა. *პ. ო-ის* ძირითადი ამოცანაა *არჩევნებში* პარტიას ხმების მაქსიმალური რაოდენობა მოუპოვოს. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში გამარჯვება პარტიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა, არანაკლები მნიშვნელობა აქვს შიდაპარტიული დემოკრატიის საკითხს ან იმას, თუ რამდენად ასრულებს პარტია თავის დანაპირებს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. ეფექტურად ორგანიზებული პარტია ემყარება პროფესიონალ ორგანიზატორებს, რაც მას ათავისუფლებს მრავალრიცხოვანი ადგილობრივი რგოლების შექმნის აუცილებლობისაგან. დემოკრატიული ქვეყნების პარტიების შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა შეიძლება არ იყოს მკვეთრი, რაც იმას ნიშნავს, რომ წევრობა არ იყოს მკაცრად განსაზღვრული. პარტია შეიძლება ემყარებოდეს არაოფიციალურ ჯგუფებს პარტიული ორგანიზაციის გაუთვალისწინებლად. იმ შემთხვევაში, თუ პარტია კარგადაა ორგანიზებული გამოკვეთილი შინაგანი სტრუქტურით, საკმაოდ შესაძლებელია, რომ თავად პარტიული ამხანაგობის რიგები არ იყოს დიდი, მაგრამ მათ ჰყავდეთ მრავალი მომხრე, რომლებიც სხვა ორგანიზაციის სახელით მოქმედებენ (მაგ., კონსერვატიული პარტიის ასეთი მასობრივი ორგანიზაცია – „ენძელას ლიგა" – უკვე XIX ს-ში შეიქმნა). მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ *პ. ო-ის* სახე განსაზღვრულია პარტიის მიზნებითა და იმ პოლიტიკური გარემოთი, რომელშიც მას უსდება მოღვაწეობა.

პარტიული სისტემა ქვეყანაში არსებული ყველა მნიშვნელოვანი *პარტიის* ერთიანობა და მათი ურთიერთდამოკიდებულება ისევე, როგორც ამასთან ერთად აღებული საარჩევნო სისტემა და ამომრჩეველთა მხარდაჭერის ხანგრძლივობა *პ. ს-ს* შეადგენს. გავრცელებულია *პ. ს-ების* დაყოფა ერთპარტიულ, ორპარტიულ და მრავალპარტიულ სისტემებად, თუმცა ის ავტორები, რომლებიც ასეთი დაყოფის მიზანშეწონილობას არ ცნობენ, განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ ზოგადად *პ. ს-ის* ფუნქცია იმდენად პარტიების დაყოფა, დანაწილება კი არ არის, რამდენადაც მოსახლეობის პოლიტიკური დანაწილება-დაპირისპირების აღმოფხვრა, რაც დამახასიათებელი იყო მუშათა მოძრაობების აღმოცენებისას და მიზნად ჰქონდა მუშებისათვის სამოქალაქო უფლებების გაფართოება.

პატერნალიზმი სოციალური პარტნიორობის, ქველმოქმედების, საზოგადოების სოციალურად ნაკლებად დაცულ ნაწილზე ზრუნვის თეორია, პოლიტიკა და პრაქტიკა. მას განვითარებულ ქვეყნებში ადამიანური ურთიერთობების დოქტრინის ფარგლებში გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. იგი მიზნად ისახავდა კონფლიქტურ საზოგადოებებ-

ში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წინააღმდეგობების დაძლევას.

პატრიარქატი 1. სოციალური ორგანიზაციის ფორმა, რომელიც ხასიათდება მამაკაცების წამყვანი როლით მეურნეობაში, *ოჯახში, საზოგადოებაში. პ-ის* წარმოშობა უკავშირდება სამეურნეო საქმიანობის (მესაქონლეობის, მინათმოქმედების, მეტალის დამუშავების) აღმავლობასა და პირველყოფილი საზოგადოებრივი წყობის ბოლო ეტაპად, დაშლის პერიოდად მიჩნევას. **2.** სისტემა, რომლის მეშვეობით მამაკაცები მოიპოვებენ და ხელს უნყობენ სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ბატონობას ქალებსა და უფრო ახალგაზრდა მამაკაცებზე. დღეს ტერმინს ფემინისტთა გავლენით ძირითადად უარყოფითი ელფერი აქვს. მეცნიერთა ინტერესს იწვევს *პ-ის* გაჩენა და შედეგები. მიზეზთა შორის სახელდება ქალებსა და მამაკაცებს შორის ბიოლოგიური განსხვავებები, კულტურული და სოციალური წყაროები; ფემინისტურ თეორიებში ტერმინის გამოყენებამ ხელი შეუწყო გენდერულ ურთიერთობათა განხილვის პოლიტიზაციას, რაც ეყრდნობა ქალსა და მამაკაცს შორის ძალაუფლების უთანასწორო განაწილების თეზას.

პატრიმონიალიზმი მემკვიდრეობითი, გვაროვნული ფასეულობების აღიარება.

პატრიოტიზმი საკუთარი სამშობლოს, მამულის სიყვარული, მზადყოფნა მისი ერთგული სამსახურისა და დაცვისათვის, ზოგჯერ – პირადი და ჯგუფური ინტერესების საერთო, საქვეყნო ინტერესებისათვის სრულად დაქვემდებარების ხარჯზე.

პატრონაჟი მფარველობა, დაცვა. შუა საუკუნეებში ამ ტერმინმა ახალი – საეკლესიო სამწყსოში მღვდლის დანიშვნის უფლების მნიშვნელობა მიიღო. ორივე მნიშვნელობა სრულიად თავსდება პოლიტიკური *პ-ის* კონტექსტში.

პატრონ-კლიენტური ურთიერთობები იხ. *კლიენტელიზმი.*

პაციფიზმი *ომზე,* როგორც სადავო საკითხების გადაწყვეტის საშუალებაზე, უარის თქმა ამ ომის ხასიათისა და მიზნების გაუთვალისწინებლად. პაციფისტები ეწინააღმდეგებიან განმათავისუფლებელი ომების შესაძლებლობასაც იმ მოტივით, რომ ყოველგვარ ომს ადამიანური მსხვერპლი მოჰყვება. პაციფისტურად შეიძლება დახასიათდეს კვაკერებისა და განდიზმის პოლიტიკური პრაქტიკა. *პ-ს* ხშირად მიჯნავენ „პაციფიციზმისაგან“, რომელიც გულისხმობს არა ზოგადად ომზე უარის თქმას, არამედ მის გამოყენებას რომელიმე კონკრეტული საკითხის გადასაჭრელად. ასე მაგალითად, ითვლება, რომ ისინი, ვინც დიდი ბრიტანეთის ჰიტლერთან ომში ჩაბმის მოწინააღმდეგე იყო, პაციფიცისტია და არა პაციფისტი.

პერიფერია ამ ტერმინით ლიტერატურაში გამოხატავენ *მესამე სამყაროს* ანუ განვითარებად ქვეყნებს, რომლებიც უპირისპირდებიან „ბირთვს“ – განვითარებულ ქვეყნებს. ბირთვი-პერიფერიის წინააღმდეგობა სხვაგვარად ჩრდილოეთ-სამხრეთის დაპირისპირებადაც აღიქმება. *პ-ის* ქვეყნებს ახასიათებთ განვითარების დაბალი დონე, უმუშევრობა, მცირე ანაზღაურება, მოძველებული ტექნოლოგია, პოლიტიკური არასტაბილურობა და ა. შ. ჩვეულებრივ იგულისხმება, რომ არსებობს ბირთვის ქვეყნების მიერ *პ-ის* ქვეყნების ექსპლუატაცია. ხოლო, ნეომარქსისტების აზრით, დაპირისპირება „ბირთვი-პერიფერია“ თანამედ-

როვეობის მთავარი წინააღმდეგობაა და დღევანდელი *საერთაშორისო ურთიერთობების* შინაარსს შეადგენს. ცალკე გამოყოფენ ე. წ. ნახევრადპერიფერიულ ქვეყნებს, რომელთა შორის ბევრია ყოფილი სოციალისტური და საბჭოთა რესპუბლიკა. სავარაუდოა, რომ ზოგი მათგანი გადავა „ბირთვის" კატეგორიაში, მაგრამ უმრავლესობა, როგორც ჩანს, *პ*-ში გადაინაცვლებს.

პერმანენტული რევოლუცია ტროცკის თეორია უწყვეტი *რევოლუციის* შესახებ (ტროცკიზმი), რომლის თანახმადაც არასოციალისტური რევოლუცია თანდათან შეიძლება გადაიზარდოს პროლეტარულ სოციალისტურ რევოლუციაში. აღნიშნული თეორია მან ძირითადად გამოხატა თავის ნაშრომში „შედეგები და პერსპექტივები", მაგრამ თვით იდეა *პ. რ-ის* შესახებ კ. მარქსს ეკუთვნის. ტროცკის რუსეთი მოჰყავდა იმ ქვეყნის მაგალითად, სადაც ყველაზე უფრო თანამედროვე სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები შეთანხმებულია ყველაზე უფრო ჩამორჩენილთან. იგი თვლიდა, რომ რუსეთში სოციალიზმისათვის არ არსებობდა მატერიალური ბაზა, და ამ პრობლემის გადაჭრას საგარეო ფაქტორებს — მსოფლიო რევოლუციას უკავშირებდა. მისი აზრით, ევროპული პროლეტარიატის მხარდაჭერის გარეშე რუსეთი ვერ გაძლებდა.

პიროვნების სოციოლოგიური თეორიები პიროვნების თეორია არის იდეების, პრინციპებისა და მოდელების ურთიერთდაკავშირებული სისტემა, რომელიც გულისხმობს ადამიანის ქცევის ძირითადი ასპექტების შესწავლას. პიროვნების სოციოლოგიური კონცეფციების ძირითადი მახასიათებელია ადამიანის ქცევის ახსნის მცდელობა სოციალური ფაქტორების ზეგავლენით. პიროვნების შესწავლის პროცესში სოციოლოგიზმის უკიდურეს გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს პიროვნების სოციალური სტრუქტურის ეპიფენომენად წარმოდგენა.

პიროვნების სოციოლოგიური კონცეფციის ერთ-ერთი პირველი მაგალითია „სარკისებრი მეს" თეორია (ჩ. კული, ჯ. ჰ. მიდი). ამ თეორიის მიხედვით, პიროვნება არის იმ სოციალური ინტერაქციის ფუნქცია, რომლის პროცესში პიროვნება სწავლობს საკუთარ თავს როგორც ობიექტს, სხვა ადამიანების თვალით. პიროვნების სოციოლოგიური კონცეფციის მაგალითია, აგრეთვე, *რეფერენტული ჯგუფისა* და როლური თეორია (რ. ლინტონი, ტ. პარსონსი). როლური თეორია პიროვნებას განიხილავს როგორც იმ სოციალური როლების ერთობლიობას, რომლებსაც ადამიანი სოციალურ სამყაროში ასრულებს. პიროვნება ყალიბდება *სოციალიზაციის* პროცესში, რაც გულისხმობს *როლებისა* და მათთან დაკავშირებული მოლოდინების შესწავლას.

XX ს-ის 50-იანი წლებიდან სოციოლოგიაში ფსიქოანალიტიკური ნაკადის ფარგლებში (დ. რისმენი, ე. ფრომი) პოპულარული გახდა ე. წ. ბაზისური პიროვნების ანუ სოციალური ხასიათის კვლევა. ბაზისური პიროვნება წარმოადგენს იმ სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების ერთობლიობას, რომლებიც სტატისტიკურად ყველაზე მეტადაა გავრცელებული მოცემულ საზოგადოებაში. ბაზისური პიროვნების კვლევა გულისხმობს როგორც ეთნიკურობასთან, ასევე სოციალურ სტრუქტურასთან დაკავშირებული ცვლადების ანალიზს. განსხვავებული სოციალური ხასიათები თანაარსებობენ ყველა საზოგადოებაში, თუმცა, ყველა საზოგადოებაში პრევალირებს მოცემული სოციალური წესრიგისთვის ადეკვატური ხასიათი და ამ ადეკვატურობას განსაზღვრავს ეკონომიკური, სოციალური, დემოგრაფიული ფაქტორები, *ურბანიზაციის* ხარისხი და ა. შ.

პიროვნების თანამედროვე სოციოლოგიური კონცეფციები (სტრუქტურული ლინგვისტიკა, პოსტსტრუქტურალიზმი) უარს ამბობს პიროვნების, როგორც სოციალური სტრუქტურის მიერ მკაცრად კონტროლირებადი ელემენტის მოდელზე. სტრუქტურულ ლინგვისტიკაში და პოსტსტრუქტურალიზმში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე. ნ. „დეცენტრალიზებული სუბიექტის" კატეგორიას. სუბიექტის ცნობიერება განიხილება როგორც უფრო ფართო სტრუქტურული ძალების სიმპტომი და ზოგჯერ აღიწერება როგორც სოციალური ურთიერთობების ენა და არაცნობიერი მოცემულობა.

პლატფორმა პოლიტიკურ დებულებათა ერთობლიობა, რომელსაც რომელიმე პიროვნება ან *პარტია* წამოაყენებს *არჩევნების* წინ. პარტიის *პ*, როგორც წესი, ყალიბდება პარტიულ კონფერენციებზე, რომლებზედაც მიღწეულია საჭირო კონვენცია. *პ-ის* ელემენტები ყალიბდება როგორც შიდაპარტიული ჯგუფების *კონსენსუსის*, ასევე ინტერეს-ჯგუფების ზეწოლის შედეგად. პარტიის წინასაარჩევნო *პ-ს* დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საარჩევნო სისტემებში, სადაც ამომრჩეველი თავის სოციალურ სტატუსს რომელიმე პარტიასთან აკავშირებს.

პლებისციტი საერთო სახალხო კენჭისყრის ნაირსახეობა. ტერმინი მომდინარეობს ძველი რომაული პოლიტიკური პრაქტიკიდან, სადაც იგი აღნიშნავდა მდაბიოების მიერ გამართულ კენჭისყრას ამა თუ იმ საკითხზე. ახალ დროში ტერმინი კვლავ გამოიყენა ვოლტერმა, როდესაც იგი ახასიათებდა შვეიცარიაში გამართულ *რეფერენდუმს*. ინგლისურენოვან პოლიტიკურ ლიტერატურაში *პ* შეიძლება შეგვხვდეს ნეგატიური მნიშვნელობით, როგორც სახელდახელოდ მოწყობილი რეფერენდუმების აღმნიშვნელი ტერმინი, რომელთა საშუალებით დიქტატორები ცდილობდნენ გაემართლებინათ საკუთარი ხელისუფლება.

პლურალიზმი ცხოვრების იდეური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ძირითადი პრინციპი, რომლის ფარგლებშიც დაშვებული, უზრუნველყოფილი და აღიარებულია სხვადასხვა იდეური, სოციალური და პოლიტიკური მიმდინარეობების მრავალობითობა. იგი *სახელმწიფოსა* და *საზოგადოების* დემოკრატიულობისა და ჰუმანურობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. *პ.* კეთილისმყოფელ ატმოსფეროს ქმნის ინოვაციებისა და საზოგადოების ღიაობისათვის, ხელს უშლის სტაგნაციას, სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურების არაეფექტურ ფუნქციონირებასა და განვითარებას, აძლიერებს თვითკონტროლსა და თვითრეგულირებას, შესაბამისად, ხელს უწყობს სოციალური და პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაციას.

პ. საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი პარადიგმული მიდგომაა, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის არსებით მოქმედ პირებად სახელმწიფოებთან ერთად *საერთაშორისო ორგანიზაციებსა* და *ტრანსნაციონალურ კორპორაციებსაც* აღიარებს. *პ-ის* მიმდევრების აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციული სკოლა, *რეალიზმი*, ჩამოყალიბდა იმ ეპოქაში, როდესაც საზოგადოებებს შორის არსებული ურთიერთკავშირი სუსტი იყო და ძირითადად სახელმწიფოთაშორის კავშირებზე დაიყვანებოდა. პლურალისტები ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებამ *საერთაშორისო ურთიერთობებში* სახელმწიფოების როლი შეამცირა. პლურალისტები რეალისტებზე მეტ ყურადღებას უთმობენ საერთაშორი-

სო თანამშრომლობის შესწავლას, რადგან მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთდამოკიდებულება საერთაშორისო თანამშრომლობის უფრო ფართო შესაძლებლობებს აჩენს. პლურალისტების თვალსაზრისს აძლიერებს ისეთი გლობალური პრობლემების გაჩენა, როგორიცაა *ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის* გავრცელება და გარემოს დაბინძურება, რომელთა გადაწყვეტა რეალისტების სახელმწიფოცენტრული მიდგომით შეუძლებელი ჩანს.

პოზიტივისტური სოციოლოგია 1. კონტის მიერ ფორმულირებული დოქტრინა, რომლის თანახმადაც მხოლოდ ჭეშმარიტი ცოდნა წარმოადგენს მეცნიერულს, ანუ დაკვირვებადი მოვლენების – როგორც ფიზიკურის, ისე სოციალურის – თანაარსებობისა და თანამიმდევრულობის აღწერისა და შესწავლის უნარის მქონეს. XIX ს-ის ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრის მიმართულება, რომლის მიხედვითაც სოციოლოგიური ცოდნა უნდა აგებულიყო საბუნებისმეტყველო მეთოდოლოგიის გამოყენების საფუძველზე. ო. კონტისა და მისი მიმდევრების – ჰ. სპენსერის. ე. დიურკემისა და სხვ. შრომებში ჩაისახა ნატურალისტური მიდგომა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი, ორგანიცისტული სკოლისა და სოციალისტური მექანიციზმისათვის დამახასიათებელი ტენდენცია საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ადამიანის ქცევაზე ფიზიკური მეცნიერებების მიერ დადგენილ კანონზომიერებათა გავრცელებისა. ამ კონცეფციებისათვის დამახასიათებელია ანტიისტორიზმი, სპეკულაციური, გონებაჭვრეტითი ხასიათი და ა. შ. XX ს-ის 20-30-იან წლებში ემპირიული სოციოლოგიის გავრცელების შედეგად იწყება ამ მიმართულების ევოლუციის თანამედროვე ეტაპი. ნეოპოზიტივიზმის ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენდა ლოგიკური პოზიტივიზმი (იხ. *2*).

პოზიტივიზმის ძირითადი პრინციპები სოციოლოგიაში შემდეგია: 1) სოციალური მოვლენები ექვემდებარება მთელი სინამდვილისათვის (ბუნებრივი, სოციალური, ისტორიული) დამახასიათებელ საერთო კანონებს; 2) სოციალური კვლევის მეთოდები ისეთივე ზუსტი, მკაცრი და ობიექტური უნდა იყოს, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა (სციენტიზმი); 3) ადამიანის ქცევის „სუბიექტური ასპექტები" შეიძლება გამოკვლეულ იქნეს მხოლოდ დაკვირვებადი ქცევის მეშვეობით (*ბიჰევიორიზმი*); 4) მეცნიერული ცნებებისა და მტკიცებების ჭეშმარიტება უნდა დგინდებოდეს კვლევის ემპირიული პროცენტულობის საფუძველზე (ვერიფიკაციონიზმი); 5) ყველა სოციალური მოვლენა უნდა აღიწეროს და გამოიხატოს რაოდენობრივად (*კვანტიფიკაცია*); 6) სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, თავისუფალი უნდა იყოს ღირებულებადი განსჯისაგან, *იდეოლოგიისაგან.* კონტის პოზიტივიზმს ჰქონდა ორი განზომილება: მეთოდური და სოციალურ-პოლიტიკური, რამდენადაც სოციალური მოვლენების ცოდნა შესაძლებლობას იძლევა ახლებურად, მეცნიერულად დაფუძნდეს ჩარევა *პოლიტიკაში* და მთელ რიგ საქმეებში, რომელიც გარდაქმნის სოციალურ ცხოვრებას. **2.** ლოგიკური პოზიტივიზმი – „ვენის წრის" 1920-1930-იანი წლების ფილოსოფოსთა ჯგუფის თვალსაზრისი, რომლის იდეები ნაწილობრივ ეფუძნებოდა კონტის თეორიას, მისი პოზიტივიზმის შემცირებით უფრო საიმედო ლოგიკური საფუძვლის ხარჯზე. „ვენის ჯგუფის" მთავარი დოქტრინა – „ვერიფიკაციის პრინციპი" ისაა, რომ ერთადერთი ვალიდური ცოდნა გრძნობითი გამოცდილებით შემოწმებული ცოდნაა, რომ მეცნიერული ცოდნა, საბოლოო ანგარიშით, ფორმულირდება ლოგიკურად

ურთიერთდაკავშირებულ „საბაზისო ფაქტებზე“ დაფუძნებულ „გრძნობით მონაცემებში“. წრის ზოგიერთი წარმომადგენელი სარგებლობდა აგრეთვე კონტის პროექტით ტექნიკური მეცნიერების მეთოდების სოციოლოგიაში გადატანის შესახებ. „პოზიტივიზმის“ ტერმინით კონტი ვარაუდობდა, უარი ეთქვა ადრინდელი რელიგიური ან მეტაფიზიკური „ცოდნის“ საფუძვლებზე. იგი მეცნიერულ ცოდნას აფასებდა როგორც „შედარებითს“ და არა აბსოლუტურს. ეს უკანასკნელი ყოველთვის მიუწვდომლად მიაჩნდა. კონტის პროგრამა ითვალისწინებდა საზოგადოების რეორგანიზაციას ახალი მეცნიერების – სოციოლოგიის საწყისებზე. სოციოლოგებისათვის გამოიყოფოდა როლები მთავრობაში, განათლებასა და ახალი „კაცობრიობის რელიგიის“ დაწესებაში. ლოგიკური პოზიტივიზმის მეთოდოლოგია უფრო მრავალგვაროვანია კონტთან შედარებით. ეთიკის სფეროში, მაგ., ლოგიკური პოზიტივისტები ხშირად ასოცირდებოდნენ დოქტრინასთან, რომელიც მკვეთრად მიჯნავდა „ფაქტებსა“ (რაც ვერიფიცირებადია) და „ღირებულებებს“ (რაც არავერიფიცირებადია). ლოგიკური პოზიტივისტების მცდელობა, შეემუშავებინათ პოზიტივიზმისა და „მეცნიერების“ უფრო მკაცრი ფორმულირება, წარუმატებლად დამთავრდა. პოზიტივიზმის ცენტრალური პრობლემა აღმოცენდება ე. წ. „ემპირიზმის პრობლემიდან“. მეორე დამაჯერებელი პუნქტი კრიტიკისა ისაა, რომ ვერიფიკაციის პრინციპი არ ექვემდებარება შემოწმებას – ესაა ე. წ. „პოზიტივიზმის პარადოქსი“. უკანასკნელ წლებში პოზიტივისტებს ბრალს სდებენ მეცნიერული ცოდნის, როგორც „შედარებითი“ ცოდნის საკუთარი კონცეფციის ღალატში.

პოზიტიური დისკრიმინაცია მოსახლეობის ისტორიულად მარგინალიზებული ფენებისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების კანონიერი საშუალების მიცემა. *პ. დ.* გულისხმობს შერჩევის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას ამ ჯგუფების შესარჩევად, რაც ამავე დროს გარკვეული ხერხი იქნებოდა სოციალური უთანასწორობის დასაძლევად. ზოგჯერ *პ. დ-ის* მისაღწევად შემოაქვთ სპეციალური კვოტების სისტემა. ამგვარ გზას მიმართავენ, მაგ., *პარტიაში* ან რომელიმე სხვა სახის *ორგანიზაციაში* ქალების ფიქსირებული წარმომადგენლობის შემოსატანად, ან ელიტარული განათლების მიღებაზე ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის შესაძლებლობის გასაფართოებლად. *პ. დ-ს* განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ ინდოეთში ამ ქვეყნის ისტორიული კასტური სოციალური სტრუქტურის გამო. ხელისუფლება ცდილობს სოციალური ყოფის თითქმის ყველა სფეროში შემოიტანოს სპეციალური კვოტები უმდაბლესი კასტების წარმომადგენელთათვის.

პოლარიზაცია სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების პოზიციებში სხვაობის გაზრდა, დაპირისპირება (პოლარულობა). *პ.* შეიძლება გამოვლინდეს როგორც დაპირისპირების ფორმა სხვადასხვა *კლასებს*, ფენებს, სოციალურ ჯგუფებს, *პარტიებსა* და ა. შ. შორის.

პოლემოლოგია მეცნიერება *ომის* შესახებ. მნიშვნელოვანი მიმართულება დასავლურ პოლიტიკურ მეცნიერებაში, რომელიც ომისა და შეიარაღებული *კონფლიქტების* პრობლემას სწავლობს. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული *მშვიდობის* კვლევასთან – ირენოლოგიასთან. იგი განვითარდა ომის შემდგომ პერიოდში, უპირველეს ყოვლისა, ფრანგი სოციოლოგისა და დემოგრაფის გასტონ ბუტულის შრომებში, რომელმაც 1951 წელს პარიზში

პ-ის ინსტიტუტი შექმნა. შემდგომში ანალოგიური ინსტიტუტები შეიქმნა ჰოლანდიაში, იტალიაში, ბელგიაში. ხელმძღვანელობენ რა ლოზუნგით – „გსურს მშვიდობა – გაიაზრე ომი“, პოლემოლოგები ყურადღებას ამახვილებენ სოციოლოგიის, დემოგრაფიის, ბიოლოგიის, მათემატიკისა და სხვ. მეცნიერებების მეთოდებისა და ელემენტების გამოყენებით ომის, კონფლიქტებისა და სხვა კოლექტიური *აგრესიის* ფორმების შესწავლაზე. ისინი ცდილობენ პასუხი გასცენ კითხვას ომისა და კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების შესახებ, ახსნან მათი წარმოშობის მიზეზები, რისთვისაც კვლევისას პოზიტივისტურ მეთოდოლოგიას იყენებენ და ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ მაჩვენებლებს აერთიანებენ.

პოლიანდრია მრავალქმრიანობა, ჯგუფური ქორწინების იშვიათი გადმონაშთი, როცა ერთ ქალს რამდენიმე ქმარი ჰყავს. XIX ს-ში შემორჩენილი იყო ალეუტებსა და ესკიმოსებთან, ხოლო ტიბეტსა და სამხრეთ ინდოეთის ზოგიერთ ეთნოგრაფიულ ჯგუფში უფრო გვიანაც არის დამოწმებული. როგორც ჩანს, *პ.* ბადებს სიტუაციას, რომელიც უცხოა *პოლიგინიისთვის: პ-ის* დროს, როგორც წესი, ბავშვის ბიოლოგიური მამა უცნობია. *პ-ის* არსებობის *ძირითადი* მიზეზი *ცხოვრების* დაბალი *დონეა.*

პოლიგამია ქორწინების ფორმა, როდესაც კაცს ან ქალს შეუძლია ერთდროულად რამდენიმე მეუღლე ჰყავდეს.

პოლიგინია მრავალცოლიანობა, ქორწინების ერთ-ერთი ისტორიული ფორმა, რომელიც დამახასიათებელი იყო უმთავრესად პატრიარქატისათვის. *პ-ს* ახლაც ეხვდებით აღმოსავლეთის მთელ რიგ მუსულმანურ ხალხებში (მაგ. ბრუნეიში და სხვ.). რამდენიმე ცოლის ყოლის უფლებით უმთავრესად სარგებლობენ მხოლოდ მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის პირები. ოჯახის *პ-ური* ფორმის არსებობისას წარმოიშობა შიდა ოჯახური კონფლიქტები, რომლებიც რეგულირდება თავისებური ვერტიკალური რანჟირებით (უფროსი, უმცროსი ცოლი და ა. შ.).

პოლისი **1.** ძვ. წ. VI ს-ში საბერძნეთში აღმოცენებული სახელმწიფო მოწყობის სამოქალაქო-დემოკრატიული ფორმა, სადაც უარყოფილ იქნა ტირანისა და არისტოკრატიის ხელისუფლება. **2.** პოლიტიკური ერთობა, რომელსაც თითოეული ადამიანი ბუნებრივად მიეკუთვნებოდა და რომლის დანიშნულებაც ამ ადამიანის აღზრდა, მხარდაჭერა და მისთვის მოქმედების ასპარეზის მიცემა იყო. აღნიშნული ერთობის გამყარება მოქალაქის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენდა. *პ.* წმინდა იყო, მის სამსჯავროზე ღმერთებსაც კი ასამართლებდნენ. ძვ. წ. IV ს-ში *პ-ის* ასეთი აღზევება თანდათან გაქრა და იგი ინტერესთა, ძალისა და ხელსუფლებისათვის ბრძოლის არენად იქცა.

პოლიტიკა **1.** სახელმწიფო და საზოგადოებრივი ხელისუფლების განხორციელების ძირითადი პრინციპები, ნორმები და მიმართულება (უფრო ფართო გაგებით – მთლიანი მოღვაწეობა). **2.** საზოგადოებრივი (ეკონომიკური, სოციალური და სულიერი) ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი სფერო, რომელიც დაკავშირებულია სოციალური სუბიექტების ურთიერთობებთან, სახელმწიფოსა და საზოგადოებაში ხელისუფლების ფუნქციონირებასა და შეცვლასთან. *პ-ის* გაგების წარმოშობას, ჩვეულებრივ, არისტოტელეს ნაშრომის სახელწოდებას – „პოლიტიკას“ უკავშირებენ, რომელშიც

იგი *სახელმწიფოსა* და პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაციისა და მოღვაწეობის საკითხებს იხილავს. მას შემდეგ *პ-ს* სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ. ერთი რამ უდავოა, *პ.* ფართო, რთული, მრავალწახნაგოვანი და მრავალსაფეხურიანი მოვლენაა, რომელიც პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელებასა და პოლიტიკურ ძალაუფლებასთან არის დაკავშირებული. შეიძლება გამოვყოთ მისი შემადგენელი შემდეგი სტრუქტურული ელემენტები: ა) პოლიტიკური ინტერესები, მიზნები და მიზანდასახულობანი; ბ) პოლიტიკური კავშირები, მოქმედებები და ურთიერთობები; გ) საზოგადოების, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტების, ორგანიზაციებისა და გაერთიანებების პოლიტიკური ორგანიზაცია; დ) პოლიტიკური ცნობიერება, როგორც სუბიექტების მიერ თავიანთი პოლიტიკური ინტერესების გათვითცნობიერება; ე) პრაქტიკული პოლიტიკური მოღვაწეობა, რომელიც მიმართულია შემუშავებული პოლიტიკური ხაზის რეალიზაციისა და გარკვეული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მოკლედ რომ ვთქვათ, საჭიროა განვასხვაოთ *პ.* და პოლიტიკური ცნობიერება, *პ.* და პოლიტიკური პრაქტიკა, მაგრამ იმდენად, რამდენადაც *პ-ს* უფრო ფართო გაგება აქვს, ერთიცა და მეორეც *პ-შია* გაერთიანებული. *პ.* თავისი მოქმედების სფეროს მიხედვით იყოფა საშინაო (შიდასახელმწიფოებრივ) და საგარეო (სახელმწიფოთაშორის, საერთაშორისო, მსოფლიო) *პ-დ.*

პოლიტიკური გეოგრაფია ზოგი ავტორი მას *გეოპოლიტიკის* სინონიმურ ტერმინად იყენებს. ამ გაგებით *პ.გ.* არის იმ პოლიტიკური და გეოგრაფიული ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტულ პოლიტიკურ სახეს, საარსებო სივრცესა და დამოკიდებულებას სხვა *სახელმწიფოებთან.* ამ მნიშვნელობით, *პ.გ-ის* დამფუძნებლად ითვლება რატცელი. მეორე მნიშვნელობით, *პ.გ.* სახელმწიფოებისა და შიდასახელმწიფოებრივი მოწყობის ერთეულების გეოგრაფიულ აღწერას ემყარება. თუმცა ტერმინმა დაკარგა წმინდა დესკრიფციული აზრი მას შემდეგ, რაც მონტესკიემ არსებულ კლიმატსა და ქვეყნის პოლიტიკურ წყობას შორის მჭიდრო კავშირის მტკიცება დაიწყო. იმავე ორიენტაციის გამგრძელებლად შეგვიძლია ჩავთვალოთ თანამედროვე *პ.გ-ის* მამამთავარი ზიგფრიდი, რომელიც პარალელს ავლებდა ქვეყნის მოცემული რეგიონის ნიადაგსა და ამომრჩევლის ქცევას შორის.

პოლიტიკური ეკონომია ტრადიციულად, მართვის ხელოვნების ის სფეროა, რომელიც დაკავშირებულია ხალხების სიმდიდრის მიზეზებისა და ბუნების სისტემატურ შესწავლასთან. დღეს ტერმინი ხშირად, და არცთუ მთლად მართებულად, ეკონომიკური სტრატეგიის პოლიტიკური ასპექტების შემუშავების აღსანიშნავად იხმარება. მიუხედავად ამისა, *პ.ე-ში* სამი ტრადიციული მიმართულების გამოყოფა შეიძლება, რომლებიც პოლიტიკური მეცნიერების განვითარებაზე დღესაც დიდ გავლენას ახდენენ. უპირველეს ყოვლისა, არის ტრადიციული კლასიკური *პ.ე.*, მარქსისტული სკოლა და, ბოლოს, *პ.ე.*, რომელიც ეკონომიკისა და მართვის ურთიერთკავშირის შესახებ ჰიპოთეზების შესამოწმებლად სტატისტიკასა და მოდელირების ტექნიკას იყენებს. *პ.ე.* როგორც დისციპლინა, რომელიც *კაპიტალიზმის* პირობებში ნამატი პროდუქტის დაგროვებასა და განაწილებასთან დაკავშირებულ ფუნდამენტურ პოლიტიკურ პრობლემებს აანალიზებს, აბათილებს სოციალურ მსჯელობას ამ თანამედროვე მეცნიერების ვიწრო გაგების შესახებ. ცდილობენ რა თავიდან აიცი-

ლონ ის იდეოლოგიური ასოციაცია, რასაც თვით ტერმინი *პ. ე.* იწვევს, მეცნიერ-პოლიტოლოგთა სულ უფრო დიდი ნაწილი ეკონომიკური მეცნიერების პოლიტიკური ასპექტების სფეროში მუშაობს და, ძირითადად, ეკონომიკური სტრატეგიების შემუშავებაში პოლიტიკოსების როლისა და პოლიტიკურ პროცესებზე მათი ზეგავლენის საკითხებს შეისწავლის. თანამედროვე *პ. ე-ის* მეთოდოლოგია და თეორია მნიშვნელოვანწილად სტატისტიკურ და ეკონომიკურ მოდელირებას ეყრდნობა და მიიჩნევს, რომ ჰიპოთეზები არგუმენტირებული უნდა იყოს. დაშვებული უნდა იყოს, აგრეთვე, გაბათილების შესაძლებლობაც. მაგ., პოლიტიკური საქმიანი ციკლი, რომლის თანახმადაც, *არჩევნებისათვის* მზადებასთან დაკავშირებით, ხშირად მთავრობა დროებით მის მიერ არჩეულ პოლიტიკურ კურსზე უარს ამბობს იმ პოლიტიკის სასარგებლოდ, რომელიც *ელექტორატში* პოპულარობის ზრდას უზრუნველყოფს და იყენებს *პ. ე-ის* მეცნიერებაში კარგად ცნობილ ჰიპოთეზას. დღეისათვის *პ. ე-ის* კლასიკური და მარქსისტული მიმართულებები არა თუ შენარჩუნებულია, არამედ შემდგომ განვითარებასა და გავრცელებას პოვებს, რადგანაც ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის სკოლის წარმომადგენლები ხშირად უარს ამბობენ გაიზიარონ კაპიტალისტური წარმოებისა და განაწილების პოლიტიკური ბაზისი და მისი სოციალური შედეგები.

პოლიტიკური თეორია ხელისუფლების, მისი კანონიერების, ზოგადად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოლიტიკის ადგილისა და როლის განმსაზღვრელ შეხედულებათა სისტემა. *პ. თ-ის,* როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული თეორიის წარმოშობას წინ უძღოდა სოლიდური ფილოსოფიური ტრადიცია, რომელიც სათავეს ანტიკურობაში, პლატონისა და არისტოტელეს გამოკვლევებში იღებს. დღეს ითვლება, რომ *პ. თ.* პოლიტიკური ფილოსოფიისაგან განსხვავდება, თუმცა მათ შორის ზღვარის გავლება ყოველთვის იოლი არ არის. როგორც ერთი, ასევე მეორე, პოლიტიკური სოციოლოგიის, პოლიტიკური ეკონომიის და სხვა დისციპლინების გვერდით, პოლიტიკურ მეცნიერებათა შემადგენელ ნაწილად ითვლება. *პ. თ.,* პოლიტიკური ფილოსოფიისაგან განსხვავებით, არ ცდილობს თავისი დებულებების დასაბუთებისათვის ადამიანის ზოგადი ბუნების გარკვევას. *პ. თ.* მსგავსი საკითხების გარკვევას პოლიტიკურ ფილოსოფიას უთმობს და თავად დაკავებულია პოლიტიკის სფეროში მიმდინარე პროცესების, პოლიტიკური ქცევების მოტივებისა და თანმხლები რისკების ანალიზით. *პ. თ-ის* მეორე სპეციფიკურ ნიშანი, ამ თავისებურების გათვალისწინებით, მისი ეკლექტური ხასიათია. *პ. თ.* ფილოსოფიის გარდა ემყარება ისეთი დისციპლინების მიერ მოპოვებული მასალის განზოგადებას, როგორიცაა სოციოლოგია, ეკონომიკა, ფსიქოლოგია, იურისპრუდენცია და სხვ.

პოლიტიკური იდეალიზმი ზოგჯერ უწოდებენ, აგრეთვე, „პოლიტიკურ უტოპიზმს", „პოლიტიკურ რაციონალიზმს" ან „პოლიტიკურ ლიბერალიზმს". *საერთაშორისო ურთიერთობათა* მეცნიერებაში იგი არის ერთ-ერთი თეორია, რომლის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობებში განმსაზღვრელი ფაქტორებია *საერთაშორისო სამართალი,* საერთაშორისო მორალი, ინტერესების თანხვდენა, ჰარმონიზაცია და ა. შ. აღნიშნული ფაქტორები საგარეო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებისას დომინირებს ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა *ძალა, ეროვნული ინტერესები,* დამოუკიდებელი *მოქმედება* და სხვ. *პ. ი-ის* მიხედვით, ადამიანი ბუნებით კეთილი და

მშვიდობისმოყვარეა და, ამდენად, *აგრესია*, ძალადობა და უსამართლობა ალოგიკური და ანომალიური მოვლენებია; „კარგი მთავრობების", სრულყოფილი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და ძლიერი *საერთაშორისო ორგანიზაციების* პირობებში საყოველთაო მშვიდობა და ურთიერთხელსაყრელი და მეგობრული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები გარანტირებულია. *პ. ი-ის* თეორეტიკოსთა და მიმდევართა აზრით, საყოველთაო *განიარაღება* გამორიცხავს ომის საშიშროებას, ხოლო განათლებული, შეგნებული და მაღალი ზნეობის მქონე ადამიანების მოსვლა სახელმწიფო მმართველობაში უტყუარი პირობაა მოსახლეობის კეთილდღეობისათვის; საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივა *მსოფლიო მთავრობის* შექმნაა, რაც თავისთავად ყველა საერთაშორისო პრობლემას გადაჭრის, რადგან მთელ მსოფლიოს ერთი ხელისუფლება ეყოლება.

პ. ი. განსაკუთრებით პოპულარული იყო XX ს-ის 20-30-იან წლებში. ამის ნიმუშად გამოდგება აშშ-ის პრეზიდენტ ვუდრო უილსონის „14 პუნქტი" და ერთა ლიგის შექმნის იდეა. პირველი მსოფლიო ომი უილსონს უკანასკნელ ომად მიაჩნდა კაცობრიობის ისტორიაში, ხოლო ერთა ლიგა – მომავალი მსოფლიო მთავრობის მოდელად. *პ. ი-ის* მაგალითია, აგრეთვე, ბრაიან-კელოგის პაქტი და XX ს-ის 20-იან წლებში მიმდინარე კამპანია საყოველთაო განიარაღებისათვის.

საერთაშორისო ურთიერთობებში 30-იან წლებში მომხდარმა მოვლენებმა (*ნაცი ზმის* გამარჯვება გერმანიაში, *ფაშიზმისა* – იტალიაში, იაპონიის მილიტარიზაცია, საბჭოთა კავშირში ბოლშევიზმის განმტკიცება და ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის აგრესიული და ექსპანსიური კურსი) საფუძველი გამოაცალა *პ. ი-ის* თეორიას. მეორე მსოფლიო ომმა და ომის შემდგომი მსოფლიოს ბიპოლარიზაციამ (იხ. *ბიპოლარობა*) ამ თეორიის მიმდევართა რიცხვი მკვეთრად შეამცირა და საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერებაში გაბატონებული ადგილი *პოლიტიკური რეალიზმის* თეორიამ დაიკავა.

პოლიტიკური იმიჯი პოლიტიკური მოღვაწის, პოლიტიკური მოვლენის მიზანმიმართულად ფორმირებული სახე, რომელიც მოწოდებულია პოპულარიზაციის, წარმატების მიღწევისა, და სხვ. მიზნით ემოციურ-ფსიქოლოგიური გავლენა მოახდინოს ხალხზე, ელექტორატსა და სხვ.

პოლიტიკური კლასი ტერმინი პოპულარული გახდა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. იგი აღნიშნავს ყველა იმ ადამიანს, რომელიც მონაწილეობს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში და წარმოადგენს არსებული პოლიტიკური ძალის ელემენტს.

ამ გაგებით, *პ. კ-ის* წევრები არიან ხელისუფლების სამივე შტოს უმაღლესი ბიუროკრატიის წარმომადგენლები, პოლიტიკური პარტიებისა და გავლენის ჯგუფების, ბიზნესის, ქვეყანაში არსებული ძირითადი კონფესიების, ძალოვანი სტრუქტურებისა და იმ აკადემიური წრეების ლიდერები, რომლებიც კონსულტანტებად შეარჩიეს პოლიტიკოსებმა.

პოლიტიკური კულტურა *საზოგადოების* პოლიტიკური ქცევის მოდელი, პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ორიენტაციების ერთობლიობა, სულიერი კულტურის ორგანული ნაწილი და პოლიტიკური სისტემის აუცილებელი ელემენტი. *პ. კ-ის* განვითარების დონე (ტიპი) ფაქტობრივად განსაზღვრავს საზოგადოების დემოკრატიზაციის ხარისხსა და პოლიტიკური რეჟიმის ხასიათს. ტერმინი *პ. კ.* პირველად გვხვდება XVIII ს-ში გერმანელი განმა-

ნათლებლის ი. ჰერდერის შრომებში, ხოლო მისი მეცნიერული ცნება, როგორც პოლიტიკური სისტემის შემადგენელი ნაწილისა, შემოიტანა ამერიკელმა პოლიტოლოგმა გ. ალმონდმა 1956 წელს დაწერილ სტატიაში „შედარებითი პოლიტიკური სისტემები". *პ.კ-ის* კონცეფციის შემუშავებაში გ. ალმონდთან და ს. ვერბასთან ერთად დიდი როლი ითამაშა ლ. პაის, გ. პაუელის, უ. როზენბაუმის, რ. როუზის, ა. ლიპსეტის, დ. დივაინის და სხვათა შრომებმა. დღეისათვის არსებობს *პ.კ-ის* ათეულობით განსაზღვრება. ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, კულტურის ფენომენის სირთულესა და მრავალფეროვნებას; მეორეს მხრივ, იმას, რომ საზოგადოებათმცოდნეები სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე იკვლევენ *პ.კ-ის* სტრუქტურულ ელემენტებსა და ფუნქციებს.

პოლიტიკური პასიურობა ინდიფერენტულობა პოლიტიკის მიმართ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის სურვილის არქონა. იგი შეიძლება მასობრივი, ცალკეული ფენების, *კლასების*, ჯგუფების განწყობილებად გადაიქცეს. *პ.პ.* მოქალაქეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობაშიც გამოიხატება (მაგ., *არჩევნებში*, მხარდამჭერ ან საპროტესტო კამპანიებში მონაწილეობაზე უარით). შეიძლება იყოს ამა თუ იმ კლასისა თუ ფენის განუვითარებელი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელი ან არსებული ხელისუფლებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების ფორმა.

პოლიტიკური პრიორიტეტები პოლიტიკური ურთიერთობების ძირითადი მიმართულებები, რომლებიც *პარტიის* თუ სხვა პოლიტიკური დაჯგუფების, ან სულაც *სახელმწიფოს* ხელმძღვანელობის მიერ გამოიყოფა პოლიტიკური მიზნების განხორციელებისას.

პოლიტიკური პროცესი პოლიტიკური სუბიექტების (ინდივიდების, კლასების, ორგანიზაციების) ერთობლივი მოღვაწეობა, რომლის საშუალებითაც ხორციელდება საზოგადოების პოლიტიკური სისტემის შეცვლა და განვითარება. *პ.პ-ში* გამოიყოფა შემდეგი ეტაპები: პოლიტიკური სისტემებისა და ურთიერთობების ჩამოყალიბება და აღდგენა; პოლიტიკურ-ალმასრულებელი გადაწყვეტილებების მიღება; პოლიტიკურ მოვლენებზე დაკვირვება და მათ ფუნქციონირებაზე კონტროლი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ეს ეტაპი მჭიდროდაა დაკავშირებული დანარჩენებთან, ყოველი მათგანი ინარჩუნებს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკას.

პოლიტიკური რეალიზმი *საერთაშორისო ურთიერთობათა* მეცნიერებაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული თეორია, რომლის მიხედვით საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადი სუბიექტი *სახელმწიფოა*, ძირითადი მამოძრავებელი იდეა – სახელმწიფოს *ეროვნული ინტერესები*, განმსაზღვრელი ფაქტორი – ძალა (სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური), ხოლო ძირითადი რეგულატორი – *ძალთა წონასწორობა*, რასაც ემორჩილება *საერთაშორისო სამართალი* და მორალი. *პ.რ-ის* ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბა მაკიაველიმ 1513 წელს დაწერილ ნაწარმოებში „მთავარი", თუმცა ამ თეორიის ცალკეული იდეები ჯერ კიდევ თუკიდიდეს „პელოპონესის ომების ისტორიაში" გვხვდება (ძვ. წ. V ს.). აღნიშნულმა პრინციპებმა შემდგომი განვითარება პოვა თომას ჰობსის „ლევიათანში" (1651), მაგრამ *პ.რ.*, როგორც მეცნიერული თეორია XX ს-ის შუა წლებში ჩამოყალიბდა, მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა ე. ქარის „ოცნლიანი კრიზისი" (1946) და განსაკუთრებით ჰ. მორგენტაუს „პოლიტიკა სახელმწიფოებს შორის" (1948). *პ.რ-ის*

წარმომადგენლები არიან საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერების ცნობილი მკვლევრები ჯ. ბერცი, მ. უაიტი, ნ. სპაიკმენი, ჯ. კენანი, რ. არონი, ჰ. კისინჯერი, რ. როზენკრანცი, კ. ტომსონი და სხვ. კლასიკური *პ. რ-ის* მიხედვით, ადამიანი ბუნებით აგრესიული და კონფლიქტური არსებაა, რომლის მიზანია სხვაზე უპირატესობის მოპოვება და საკუთარი ძალაუფლების განმტკიცება. ამიტომ *ომები* და დაძაბულობა ჩვეულებრივი, სავსებით ბუნებრივი მოვლენაა საერთაშორისო ურთიერთობებში. ნებისმიერი *სახელმწიფო* ცდილობს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს მიაღწიოს, რაც სხვა ქვეყნების ხარჯზე შეიძლება მოხდეს და რისი ერთადერთი საშუალებაც *ძალაა*. ამიტომ საერთაშორისო სისტემაში ნებისმიერი სახელმწიფოს როლი და ადგილი ამ სახელმწიფოს სიძლიერეს შეესაბამება, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობათა ერთადერთი რეგულატორი და მომწესრიგებელი ძალთა ის წონასწორობაა, რომელიც დამყარებულია მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა შორის. საერთაშორისო სამართალი და *საერთაშორისო მორალი* მხოლოდ ასახავს წამყვან სახელმწიფოთა შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობასა და ძალთა წონასწორობას.

კლასიკური *პ. რ-ისაგან* განასხვავებენ *ნეორეალიზმს* (ხშირად უწოდებენ, აგრეთვე, სტრუქტურულ რეალიზმს), რომლის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია კ. უოლცის წიგნში „საერთაშორისო ურთიერთობათა პოლიტიკის თეორია" (1979), სადაც განმსაზღვრელ ფაქტორად მიჩნეულია არა ადამიანის ბუნება, არამედ *საერთაშორისო სისტემის* სტრუქტურა, კერძოდ, მისი ანარქიული ხასიათი.

პ. რ-ს (როგორც კლასიკურს, ისე ნეორეალისტურს) ხშირად ადარებენ მიკროეკონომიკის თეორიას, რადგან სახელმწიფოების ქცევა საერთაშორისო სისტემაში დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ფირმებისა საბაზრო ეკონომიკის პირობებში. საზოგადოდ, საერთაშორისო ურთიერთობის მკვლევართაგან ამ თეორიას გაცილებით მეტი მიმდევარი ჰყავს, ვიდრე სხვა მიმართულებებს. იგივე შეიძლება ითქვას პრაქტიკოს პოლიტიკოსთა შესახებ, რომელთა უმრავლესობა თავიანთი მოღვაწეობით სნორედ რეალისტური მიმართულების წარმომადგენლებად უნდა ჩაითვალოს.

პოლიტიკური რეჟიმი იმ საშუალებების და მეთოდების ერთობლიობა, რომელსაც გაბატონებული სოციალური ფენა იყენებს საკუთარი ეკონომიკური და სოციალური დომინანტური მდგომარეობის შესანარჩუნებლად. რეჟიმისათვის დამახასიათებელია ცხოვრების (შრომის, კვების, დასვენების) მკაცრი წესი. მმართველობის ამგვარი რეგლამენტაციის გამო „რეჟიმი" ხშირად გამოიყენება ავტორიტარული ან ტოტალიტარული მმართველობის სისტემების, ან სულაც სამხედრო მმართველობის კონტექსტში, როგორც, ვთქვათ, „სამხედრო რეჟიმი".

პოლიტიკური რიტუალი საზოგადოების, საზოგადოებრივი ჯგუფების, პოლიტიკური დაჯგუფებების, ორგანიზაციებისა და სხვათა მიერ ისტორიულად დადგენილი წეს-ჩვეულების სიმბოლური განხორციელება, ცერემონიალი.

პოლიტიკური საზოგადოება იხ. *საზოგადოება.*

პოლიტიკური სოციალიზაცია პროცესი, რომლის საშუალებითაც ადამიანები შეუერთდებიან პოლიტიკურ შეხედულებებსა და ღირებულებებს. *პ. ს-ის* პროცესისათვის დამახასიათებელია ჯერ ადრეულ ასაკშივე ცნობილი ისტორიული პერსონაჟებით დაინ-

ტერესება და მათი ღვაწლის გაიდეალება. შემდგომში იზრდება ინტერესი არჩევითი თანამდებობების მქონე პირთა, *პრეზიდენტების, პრემიერ-მინისტრების* მიმართ. უფრო გვიან ხორციელდება შეგნებული იდეოლოგიური პოზიციის ფორმირება. ამ უკანასკნელის დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების ეთნიკური კუთვნილობის იდენტიფიკაცია, რომელიც სიღრმისეული ხასიათით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, პარტიულ-იდეოლოგიურმა იდენტიფიკაციამ, როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, შეიძლება არ იქონიოს ზეგავლენა პიროვნების პოლიტიკურ ქცევაზე ან მის გადაწყვეტილებაზე *არჩევნების* დროს.

პოლიტიკური სტაბილურობა სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტებს შორის არსებული კავშირის სისტემა, რომლისთვისაც გარკვეული მთლიანობა და მასზე დაკისრებული ფუნქციების ეფექტური რეალიზებაა დამახასიათებელი. განასხვავებენ შიდა პოლიტიკურ, რეგიონალურ და საერთაშორისო *პ. ს-ს.* ამ სისტემების სპეციფიკა, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება მასში ჩართული პოლიტიკური სუბიექტებით. მის მთავარ სუბიექტებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები წარმოადგენენ.

პოლიტიკური სიმბოლიკა გამომხატველობითი საშუალებების ერთობლიობა, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებას, პოლიტიკურ ქმედებას, პოლიტიკის მატერიალიზაციის სხვადასხვა ფორმებს აშკარა, განსაკუთრებით თვალსაჩინო, ხაზგასმულ ან პირიქით, შენიღბულ მნიშვნელობას ანიჭებს. შეესაძლოა *პ. ს.* პოლიტიკურ აქტს ავსებს, აფორმებს, მის ძირითად პოლიტიკურ მნიშვნელობას უფრო მკვეთრად გამოხატავს (მაგ., შეკრებილთა წინაშე ჰიმნის შესრულება – შეკრებილთა ერთიანობის მაჩვენებელია). ასეთი სიმბოლური ნიშნების თვისებები, მათი ლაკონურობა, ცხადი მნიშვნელობა, რომელიც დამატებით ახსნას არ საჭიროებს, მასობრივ აღქმაზეა გათვლილი. არსებობს რამდენიმე ნიშნობრივი სიმბოლური სისტემა. ენობრივი სიმბოლიკა მოიცავს პოლიტიკური საუბრის სხვადასხვა სიტყვათა კრებულს, რომელთაც გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ, გამომხატველობითი სიმბოლიკა სახვითი ხელოვნებითაა გამოხატული – ეს არის პლაკატი, სურათი პოლიტიკური დატვირთვით, კარიკატურა და ა. შ. სიმბოლური დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს ხელოვნების სხვა სახეებსაც: ლიტერატურას, თეატრს, კინემატოგრაფს, მუსიკას და სხვ. სიმბოლურ დატვირთვას იძენს სახვითი ხელოვნების და ხელისუფლების, პოლიტიკური იერარქიის, სახელმწიფოს პატივისა და ღირსების აღმნიშვნელი (დროშა, გერბი, ნიშანი და სხვ.) ნიშნების მატერიალური სისტემის შეთავსება. გარეგნული განმასხვავებელი ნიშნები (კოსტუმი, მუნდირი, რიტუალური პროცესია – აღლუმი, საზეიმო შეხვედრები და სხვ.) თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში თავის წინანდელ მნიშვნელობას კარგავს, მაგრამ არ ქრება. შენარჩუნებულია, აგრეთვე, პოლიტიკური ქმედების განსახორციელებელი განსაკუთრებული ადგილის (რეზიდენცია, სასახლე, კაბინეტი), პოლიტიკური პროცესიის (კორტეჟი, თანხლება, საზეიმო მილებები, ჯილდოები, ორდენები და სხვ.) სიმბოლური დატვირთვა.

პოლიტიკური ფილოსოფია შემოთავაზებული ფილოსოფიური დილემების გადაწყვეტის პოლიტიკური შედეგების სისტემატური, დეტალური შესწავლა. ამ სფეროში შექმნილი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ცნობილი ნაშრომები აღნიშნული შედეგების წარმოჩენას ფუნდამენტურ, კოსმოლოგიურ, ონტოლოგიურ და გნოსეო-

ლოგიურ ჭრილში ცდილობენ და *პოლიტიკურთან* აკავშირებენ. *პ. ფ.* იკვლევს აგრეთვე კონკრეტული საკამათო პოლიტიკური მოვლენების მნიშვნელობას, მაგ., ადამიანური „მე"-ს ბუნებას ან მორალური პასუხისმგებლობის გაგებას. უდავოა, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი *პ. ფ-სა* და მორალის ფილოსოფიას შორის, რამეთუ ორივე მათგანი ითვალისწინებს ფასეულობების შესახებ ჩვენი შეხედულებების ბუნების კვლევას. შესაბამისად, როდესაც გნოსეოლოგიური მოსაზრების საფუძველზე გაკეთდა დასკვნა იმის შესახებ, რომ ფილოსოფიას არ ეხება ეს ნორმატიული საკითხები, საფუძველს მოკლებულად გამოცხადდა თვით *პ. ფ-ც.* თანამედროვე *პ. ფ.* საკმაოდ წარმატებულად ვითარდება, უკუგდებულ იქნა გნოსეოლოგიური დასკვნა, რომელიც ერთ დროს მისთვის ფატალური აღმოჩნდა. *პ. ფ.* ცდილობს ერთდროულად გაიაზროს ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, გააანალიზოს და გვირჩიოს, რა უნდა გაკეთდეს. თანამედროვე *პ. ფ-ს* თავისი კონტექსტი აქვს, გასული დროის ფილოსოფოსები კი მარადიული ჭეშმარიტებების ახსნას ცდილობდნენ. დღეს ადამიანთა ცხოვრების პირობების პოლიტიკური შედეგების კვლევისას ორივე ზემოთ აღნიშნული მიდგომა სათანადოდ ავსებს ერთმანეთს.

პოლიტიკური ფსიქოლოგია პოლიტიკური კვლევების სპეციფიკური სფერო, რომელიც გულისხმობს ადამიანთა ჯგუფების პოლიტიკური განწყობის ჩამოყალიბების სპეციფიკას, სხვადასხვა პოლიტიკურ სიტუაციებში ადამიანთა ქცევებისა და პოლიტიკურ ორგანიზაციებში პიროვნებათშორისი ურთიერთობების მორალურ-ფსიქოლოგიური მხარეების ანალიზს. ცალკე კვლევების სფეროდ გამოიყოფა საარჩევნო მასობრივი *პ. ფ.*, იმ ფსიქოლოგიური ასპექტების ბუნება, რომელიც ძირითად როლს ასრულებს ამომრჩევლის გადაწყვეტილებაზე.

პოლიტიკური ქცევა გულისხმობს ცალკეული ადამიანების, ჯგუფებისა თუ მთელი კლასების იმგვარ აქტივობებს, რომლის საშუალებითაც ხორციელდება საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ფორმირება ან ცვლილება. ამგვარ ქცევათა შორის შეგვიძლია დავასახელოთ საარჩევნო, ლობისტური და საკუთრივ პოლიტიკური აქტივობები. ამ ტიპის ობიექტების კვლევებს ძირითადად სოციოლოგები, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ჯგუფები და ემპირიული კვლევების სხვა მომხრეები მიმართავენ, რითაც ისინი ემიჯნებიან პოლიტიკის იმ მკვლევრებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სახელმწიფო მოწყობის, პოლიტიკური ფილოსოფიისა თუ პოლიტიკის ისტორიის ანალიზით.

პოლიტიკური ღირებულებები (ფასეულობები) მეტ-ნაკლებად აღიარებული პოლიტიკური ქცევის სტანდარტები, ანუ საზოგადოებისა და გარკვეული სოციალური ჯგუფის შეხედულებები პოლიტიკური მიზნების – იმ ძირითადი გზებისა და საშუალებების შესახებ, რომლებსაც ამ მიზნების განხორციელებისაკენ მივყავართ. ფასეულობების ცნება შემოიტანა მაქს ვებერმა. შემდგომში ტ. პარსონსი და სტრუქტურული ფუნქციონალიზმის სხვა წარმომადგენლები მას განიხილავდნენ როგორც ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, რომლის საფუძველზეც სოციალური და პოლიტიკური თანხმობა მიიღწევა. იგი პოლიტიკური კულტურისა და სოციალური სისტემის რეგულაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, და უზრუნველყოფს ასეთი რეგულაციის საერთო, სტრატეგიულ ხაზს. *პ. ღ-ის* საფუძველზე შემუშავდება სოციალური და პოლიტიკური ნორმები. უმნიშვნელოვანეს *პ. ღ-ს* მიეკუთვნება

მაგ., პიროვნების თავისუფლება, *სამოქალაქო საზოგადოება, სამართლებრივი სახელმწიფო, მშვიდობა,* სოციალური თანასწორობა, მოქალაქეობრივი მოვალეობა და სხვ.

პოლიტიკური ცნობიერება პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატეგორია, რომელიც მისი გაგების კოორდინატთა სისტემაში შედის და სუბიექტის მიერ გარემომცველი სინამდვილის აღქმის იმ ნაწილს შეეხება, რომელიც *პოლიტიკას* და მასთან მიმართებაში მყოფ ქმედებასა და მდგომარეობასთან არის დაკავშირებული და რომელშიც იგი თავად არის ჩართული. *პ. ც-ის* ცნების გამოყენებას საზოგადოებათმცოდნეობის სხვადასხვა სფეროებში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ სპეციალურად პოლიტიკურ მეცნიერებათა კვლევის ქცევითი მიმართულების ჩარჩოებში იკვლევენ. ამ სახის კვლევებმა განსაკუთრებული პოპულარობა XX ს-ის მეორე ნახევარში მოიპოვა, მას შემდეგ, რაც ორთოდოქსული ბიჰევიორისტული მიმდინარეობის შეზღუდულობა გამოვლინდა და აღმოჩნდა, რომ პოლიტიკური ქცევისა და, უფრო ფართოდ, პოლიტიკური პროცესების დინამიკის გაგება მოითხოვს ისეთი „დამოუკიდებელი ცვლადის" მხედველობაში მიღებას, როგორიცაა *პ. ც.* და ამ ქმედების სუბიექტის ფსიქიკური სფეროს შესწავლას. თვით პოლიტიკური მეცნიერების ჩარჩოშიც კი *პ. ც.* კვლევის დისციპლინათაშორის, კომპლექსურ კატეგორიას მიეკუთვნება.

პოლიტიკური ძალა პოლიტიკური მეცნიერების ცენტრალური, თუმცა საკმაოდ ბუნდოვანი კატეგორია. ტერმინი „ძალა" უაღრესად მრავალმნიშვნელოვან კონტექსტებში გამოიყენება. ასე მაგალითად, შეგვიძლია ვილაპარაკოთ ვინმეს მიერ „მეტი" ან „ნაკლები ძალის" ფლობაზე ისე, რომ ანგარიში არ გავუწიოთ ამ ჩვენი მსჯელობების შეფასებით ხასიათს და ისინი დესკრიპციებად ჩავთვალოთ. ხშირად „ძალის" ირგვლივ არსებულ დისკუსიებს ისიც ართულებს, რომ ძალის მფლობელი დაინტერესებულია, დამალოს თავისი რეალური ძალა. სხვა შემთხვევებში ჩვენ მიერ რაიმე დაჯგუფების ან პერსონის პოლიტიკური ძალის მქონედ არასწორად აღქმამ მართლაც შეიძლება გააძლიეროს ის. ასეთი და სხვა სახის სიძნელეები პრობლემებს ქმნის *პ. ძ-ის* შესწავლისას. ცნების საუკეთესო განსაზღვრება მაქს ვებერს ეკუთვნის, რომლის მიხედვითაც, *პ. ძ.* არის ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის უნარი, გააკეთებინოს სხვას ის, რასაც ეს უკანასკნელი არ გააკეთებდა საკუთარი სურვილით.

პოლიტიკური წყობა ინსტიტუტების (სახელმწიფო დაწესებულებების, პოლიტიკური პარტიების, ორგანიზაციების) სისტემა, რომლის საზღვრებშიც მიმდინარეობს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრება და მართვა. *პ. წ-ის* სახე ზეგავლენას ახდენს კონკრეტული მმართველობის ფორმებზე. მაგ., დიდი ბრიტანეთი დღემდე იწოდება სამეფოდ, თუმცა დღევანდელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობის ინგლისი სრულიად განსხვავდება მმართველობის თვალსაზრისით ფეოდალიზმის ეპოქის ინგლისის სამეფოსაგან.

პოლიტოლოგია სპეციალური საზოგადოებრივი მეცნიერება *პოლიტიკის,* პოლიტიკური მოვლენების, ურთიერთობებისა და პროცესების, პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელების კანონზომიერების, გზების, ფორმების, ორგანიზების, ფუნქციონირებისა და განვითარების შესახებ. დამოუკიდებელ მეცნიერებად *პ.* საბოლოოდ XX ს-ის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. *პ-ის* განსაზღვრის სირთულეა პო-

ლიტიკის როგორც მეცნიერების, ან მეცნიერებების ობიექტის განსაზღვრის სირთულე, რადგან პოლიტიკა თავისთავად მეტად ფართო, თითქმის უნივერსალური და რთული მოვლენაა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აღწევს და ბევრი მეცნიერების მიერ შეისწავლება (პოლიტიკური ფილოსოფია, პოლიტიკური სოციოლოგია, პოლიტიკური კულტუროლოგია, პოლიტიკური გეოგრაფია და სხვ.). აღნიშნულის გამო აუცილებელი ხდება *პ-ის* განსაზღვრა ფართო და შედარებით უფრო ვიწრო მნიშვნელობით. პირველ შემთხვევაში – ეს არის სხვადასხვა სახის, მასშტაბისა და დონის ცოდნა პოლიტიკისა და პოლიტიკურის, მათი ყოველნაირი გამოვლინების შესახებ, რომელიც თავისებურ მეტამეცნიერებას წარმოადგენს პოლიტიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების შესახებ. მეორე შემთხვევაში გამოყოფენ განსაკუთრებულ, სპეციალურ (კერძო) მეცნიერებას, რომელიც პირდაპირ მოწოდებულია გამოიკვლიოს საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური სფერო და მასთან დაკავშირებული პოლიტიკური მოვლენები, ურთიერთობები, პროცესები, სისტემები და მათი განვითარების კანონზომიერებები. *პ.* შეისწავლის პოლიტიკურ შეხედულებებსა და თეორიებს, ინტერესებსა და ძალებს, ინსტიტუტებს (*სახელმწიფო*, ხელისუფლება, სამართალი და სხვ.), ორგანიზაციებსა და გაერთიანებებს (*პარტიები, ბლოკები* და სხვ.), პოლიტიკურ სისტემებსა და პოლიტიკურ კულტურას და ა. შ. სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების მსგავსად *პ.* ნაირგვარ ფუნქციას ასრულებს: თეორიულ-შემეცნებითს, მსოფლმხედველობითს, პრაქტიკულ-გამოყენებითს, იდეურ-აღმზრდელობითს, პროგნოზულსა და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი როლი პოლიტიკური თეორიის მეცნიერული საფუძვლების შემუშავებისა და მისი პოლიტიკურ პრაქტიკაში რეალიზებისას. *პ-მ* ოფიციალური აღიარება სსრკ-ში და შესაბამისად, საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში ჰპოვა. უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულ იქნა სასწავლო კურსი *პ-ში.*

პოპულიზმი უბრალო ხალხის ინტერესების დაცვა. ტერმინს ნეგატიური შეფერილობა აქვს, რადგან ითვლება, რომ ამ ინტერესების დაცვის სურვილი არაგულწრფელია და მყვირალა განცხადებებით შემოიფარგლება. პოპულისტური ტერმინოლოგია მეტნაკლებად ერთგვარია ყველა პოლიტიკურ სპექტრში და გულისხმობს ტრადიციული ღირებულებების, უბრალო ადამიანების ყოფის დაცვას სხვადასხვაგვარი სოციალური ცვლილებებისაგან, მთავრობისა და ბიზნესის „დამღუპველი" პოლიტიკისაგან. პოპულისტური პოლიტიკური კამპანიის ნიმუშად მიიჩნევენ 1992 წელს შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებში დამოუკიდებელი კანდიდატის, როს პეროს პროპაგანდას. თუმცა, საკუთარი საარჩევნო მიზნებიდან გამომდინარე, *პ-ს* ხშირად მიმართავენ მრავალრიცხოვანი *პარტიები* სხვადასხვა ქვეყანაში. *პ.* გამოიყენება XIX ს-ის მეორე ნახევრის შეერთებულ შტატებში ფერმერული მოძრაობის აღსანიშნავად, როცა ფერმერებმა თავი მთავრობის მიერ მოტყუებულად იგრძნეს დასავლეთ შტატებში იაფი მიწის ნაკვეთების გადაცემის მოლოდინში. პოპულისტებმა თავიანთი კანდიდატი წამოაყენეს პრეზიდენტის პოსტზე და ცდილობდნენ სხვა თავიანთი წარმომადგენლების სენატში გაყვანას. პოპულისტებმა წამყვანი პოზიციები დაიკავეს ჯერ დემოკრატიულ პარტიაში, ხოლო შემდეგ შეერწყნენ პროგრესისტების მოძრაობას.

პოსტ- თავსართი, რომელიც აღნიშნავს შემდეგს, მომდევნოს. მაგ.:

პოსტინდუსტრიული – ინდუსტრიული შემდგომი და ა. შ.

პოსტემპირიზმი მიმართულება, რომელიც აღმოცენდა მეცნიერებისა და პოსტპოზიტივისტური ფილოსოფიის გავლენით. მოიცავს სრულიად სხვადასხვაგვარ კონცეფციას – კრიტიკულ რაციონალიზმს (კ. პოპერი, ი. დიკატონი), ისტორიულ მიმართულებას (ტ. კუნი, ჯ. ჰოლტონი), მეცნიერულ რეალიზმსა (რ. არე) და სხვ. სოციალური მეცნიერების, ფილოსოფიის პოსტპოზიტივისტური კონცეფციების მრავალგვარობა და გაფანტულობა არ იძლევა საშუალებას რაიმე ერთიანი მეთოდოლოგიური პოზიციის დაფიქსირებისათვის, მაგრამ მაინც შეიძლება გამოიყოს მისი ორი ყველაზე ზოგადი მახასიათებელი. ჯერ ერთი, ის არის „მეტაფიზიკის“ რეაბილიტაცია, ფილოსოფიური დაშვებების მნიშვნელოვანი როლის აღიარება სოციალურ გამოკვლევებში, რომლის კატეგორიული წინააღმდეგი იყო ტრადიციული პოზიტივიზმი. ფილოსოფიური და მსოფლმხედველობრივი იდეების აღიარებასთან არის დაკავშირებული პოსტპოზიტივისტური მეთოდოლოგიის მომხრეთა მისწრაფებაც – სოციალურ გამოკვლევებში ჩაერთოთ შემეცნებითი პროცესის კომპონენტი. მეორე – ახალი მეთოდოლოგიური ორიენტაცია მთლიანად იღებს პოსტპოზიტივისტურ თეზისს ცოდნის თეორიული დონის თვისებრივი თავისებურებებისა და შემეცნებაში მისი განმსაზღვრელი როლის შესახებ.

პოსტინდუსტრიული საზოგადოება სიტყვასიტყვით – საზოგადოება, რომელიც იქმნება ინდუსტრიული საზოგადოების შემდეგ; დასავლეთის სოციოლოგიაში ფართოდ გავრცელებული ტერმინი თანამედროვე საზოგადოების აღსანიშნავად. *პ. ს-ის* კონცეფციის შემუშავებაზე არსებითი თეორიული ზეგავლენა მოახდინა *ინდუსტრიული საზოგადოების* თეორიებმა (განსაკუთრებით რ. არონისა და უ. როსტოუს კონცეფციებმა). *პ. ს-ის* კონცეფცია შეიმუშავა ამერიკელმა სოციოლოგმა დ. ბელმა. მისი გამოჩენილი წარმომადგენლები არიან აგრეთვე გ. კანი, ზ. ბჟეზინსკი, ა. ტოფლერი (აშშ), ჟ. ფურასტიე და ა. ტურენი (საფრანგეთი). ზოგადი კონცეფციის მიხედვით, მსოფლიო ისტორია იყოფა ინდუსტრიამდელ (აგრარულ), ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებად. ასეთ დაყოფას საფუძვლად უდევს წარმოების ტექნიკური დონე და შრომის დარგობრივი და პროფესიული დანაწილება. ინდუსტრიამდელ საზოგადოებაში განმსაზღვრელი იყო სოფლის მეურნეობის სფერო ეკლესიითა და არმიით, როგორც საზოგადოების მთავარი ინსტიტუტებით; ინდუსტრიულ საზოგადოებაში – მრეწველობა, კორპორაციითა და ფირმით სათავეში; ხოლო პოსტინდუსტრიულში – თეორიული ცოდნა უნივერსიტეტით, როგორც მისი წარმოებისა და თავმოყრის ადგილით. მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი როლი საზოგადოებაში განაპირობებს არსებით ცვლილებებს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. *პ. ს-ში,* ამტკიცებს მაგ., დ. ბელი, ქრება კაპიტალისტთა კლასი, ხოლო მის ადგილს იკავებს ახალი მმართველი ელიტა, რომელიც ფლობს განათლებისა და ცოდნის მაღალ დონეს. სოციალური სტრატიფიკაციისას განმსაზღვრელი ხდება განათლებისა და ცოდნის დონე და არა წარმოების საშუალებების საკუთრება, როგორც ეს ადრე იყო. კონფლიქტი შრომასა და კაპიტალს შორის იცვლება კონფლიქტით ცოდნასა და არაკომპეტენტურობას შორის.

XX ს-ის 60-იანი წლების ბოლოს *პ. ს-ის* კონცეფციები გააკრიტიკეს „ახალმა მემარცხენეებმა“, რომლებმაც მასში დაინახეს არა საზოგადოებრივი

განვითარების ახალი სტადია, არამედ კაპიტალისტური საზოგადოების იდეალიზებული ვარიანტი.

პოსტკოლონიური სახელმწიფო ხელახლა შექმნილი *ეროვნული სახელმწიფო*, რომელიც მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დეკოლონიზაციის შედეგად გაჩნდა. სხვაგვარად მათ *განვითარებად ქვეყნებსაც* უწოდებენ. ამ ქვეყნების პოლიტიკურ მოწყობაში ბევრი ისეთი ნიშან-თვისება შეინიშნება, რომელიც კოლონიურ ქვეყნებს ახასიათებს. მაგ., ინგლისის პარლამენტის მოდელი ბევრმა ყოფილმა ბრიტანეთის კოლონიამ გადაიღო, მაგ., ინდოეთმა. *პ. ს-ები* ორი ნიშნით ხასიათდება: როგორ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს გადაწყვეტენ ისინი და რამდენად ძალუძთ მმართველობა. იმისდა მიხედვით, ვის როგორი უნარი შესწევს ცხოვრებაში გაატაროს პოლიტიკური გადაწყვეტილებანი, ანუ ვის როგორი პოლიტიკური ინფრასტრუქტურა აქვს და როგორ მუშაობს, ისინი იყოფიან „ძლიერ" და „სუსტ" სახელმწიფოებად.

პოსტკომუნიზმი იმ სოციალისტური ქვეყნების საზოგადოებების მდგომარეობა და მოძრაობა, რომლებიც შედარებით ახლო წარსულში განუდგნენ სახელმწიფოს საზოგადოებრივი ცხოვრების ტოტალიტარულ საფუძვლებსა და ფორმებს. ტოტალიტარული რეჟიმის მსხვრევამ აქტუალური გახადა საზოგადოების კვაზისოციალიზმიდან კაპიტალიზმზე ან სხვა არაკაპიტალისტურ, მაგრამ ახალ წყობაზე გადასვლის პროცესის შესწავლა. დღეს ასეთი ტრანზიტული სახელმწიფოების პრობლემები სამამულო და საზღვარგარეთელი მეცნიერების შესწავლის საგანია. ამასთან, მთავარ სადისკუსიო საკითხად რჩება: საით, კონკრეტულად როგორი გზებით, რა საშუალებებით, რა მიმართულებით ხორციელდება გარდაქმნები სხვადასხვა ქვეყნებში. ხშირად პერსპექტივის სახით წინა პლანზე შემდეგი ალტერნატივები გამოდის: ან ევოლუცია პლურალისტური დემოკრატიისაკენ, ან ამა თუ იმ ფორმით ნაციონალისტურ საფუძველზე დამყარებული ავტორიტარული მმართველობა.

პოსტმოდერნიზმი ცნება სოციალურ მეცნიერებებში შემოვიდა არქიტექტურიდან, იგი შემოიტანა ამერიკელმა არქიტექტურის თეორეტიკოსმა ჯენქსმა 1976 წელს; მიმდინარეობა სოციოლოგიაში, ასევე სხვა მეცნიერებებში. *პ-იზ* თანახმად, თანამედროვე საზოგადოებაში გარკვეულობის ყველა ელემენტი დარღვეულია და საეჭვოდაა მიჩნეული, მასში ადამიანების ცხოვრების პირობები გლობალური და ფრაგმენტული საზოგადოების ხასიათს ილებს და არ არსებობს შეფასების აბსოლუტური წესები და კრიტერიუმები. *პ-იზ* სამი წამყვანი თემაა: 1) „მეტანარატივების" კრიტიკა და უნივერსალური ცოდნის პრობლემურობა; 2) ობიექტური ჭეშმარიტების არარსებობა და ორი განსხვავებული სიბრტყის – რეალობის და აზროვნების თანხვედრის პრობლემურობა; 3) ცნებებისა და საგნების იდენტურობის ფიქსაციის პრობლემა.

პოსტმოდერნისტული სოციოლოგია სოციალურ-ფილოსოფიური და სოციოლოგიური თეორიის ერთ-ერთი ვერსიის ზოგადი სახელწოდება (ბოდრიარი, ბაუმანი, მაფესოლი და სხვები). *პ. ს-ური* თეორიის ფორმირება მნიშვნელოვანწილად განაპირობა პოსტმოდერნისტი ფილოსოფოსების – ლიოტარის, დერიდას, ჯეიმისონისა და სხვათა შრომებმა. *პ. ს.* ყურადღებას ამახვილებს ეპისტემოლოგიის და მოდერნის ეპოქის ონტოლოგიის ამოწურვაზე და გვთავაზობს სოციოლოგიის რადიკალურ ინტერპრეტაციას.

ჰ. ს-ის საფუძვლები ვლინდება: 1. პოსტსტრუქტურალიზმის ცნებობრივი აპარატის გამოყენებასა და მისთვის მარგინალური სოციალური პრობლემატიკის წინ წამოწევაში, რაც საბოლოო ჯამში სოციოლოგიის ემპირისტულ-ოპერაციონალისტური ხასიათის ხარჯზე თვით პოსტსტრუქტურალიზმის არსებით მოდიფიკაციასა და განვითარებას იწვევს; 2. „ცოდნის", „ყოველდღიურობის", „კულტურისა" და ა. შ. სოციოლოგიური კატეგორიების პრობლემატიზაციაში, რაც, ერთი მხრივ, ვლინდება „სოციალურზე" ამ კატეგორიების ექსტრაპოლაციაში, ხოლო, მეორე მხრივ, სოციოლოგიის, როგორც გარკვეული ყოველდღიური, ცოდნითი და კულტურულ-პოლიტიკური პრაქტიკის ეჭვქვეშ დაყენებაში; 3. თანამედროვე საზოგადოებების „პოსტთანამედროვე", *პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებად* ტრანსფორმაციაში. რიგი მოაზროვნეები (მაგ., ი. ჰაბერმასი, ე. გიდენსი) ერთმანეთისაგან განასხვავებენ „პოსტმოდერნის სოციოლოგიასა" და „პოსტმოდერნისტულ სოციოლოგიას." გიდენსმა და ჰაბერმასმა შეინარჩუნეს რაციონალიზმის პოზიცია, ისინი ხაზს უსვამენ მოდერნისტული პროექტის (ეპოქის) მემკვიდრეობითობას და დაუსრულებლობას, მიუთითებენ „ორგანიზებული მოდერნის დაშლასა" და „რეფლექსურ თანამედროვეობაზე", ყურადღებას ამახვილებენ „პოსტტრადიციულ წესრიგზე", მაგრამ არ იზიარებენ *პოსტმოდერნიზმის* ფილოსოფიას.

ჰ. ს-ის თავდაპირველი ამოცანა მოდერნის კრიზისის სიმპტომების დადგენაში, სოციოლოგიური დისკურსის დეკონსტრუქციასა და სოციოლოგიის კონცეპტუალური აპარატის ტოტალურ რევიზიაში მდგომარეობდა. ამას შედეგად მოჰყვა *საზოგადოების* ცნებაზე უარის თქმა. საზოგადოება პოსტმოდერნისტი სოციოლოგების მიერ გაგებულია როგორც ტექსტი. რ. ჰ. ბრაუნის თანახმად, საზოგადოება არის ტექსტი, მაგრამ სტრუქტურალისტური მიდგომისაგან (მაგ., ლევი-სტროსი) განსხვავებით, ეს ტექსტი არ არის ერთიანი და არ დაიყვანება გენეტიკურად ადამიანის გონში ფიქსირებულ სტრუქტურაზე. საზოგადოება, როგორც არარედუცირებადი ტექსტი, განსხვავებული ტექსტების სიმრავლეა. აქედან გამომდინარე, სოციალური მეცნიერების ამოცანაა ჰერმენევტიკული გაგებისა და სტრუქტურის სემიოტიკური ანალიზის მეშვეობით ტექსტის (საზოგადოება როგორც ტექსტი) წაკითხვა და მოდერნული სოციოლოგიური თეორიის (დიდი ნარატივების) დეკონსტრუქცია. *ჰ. ს.* ყურადღებას ამახვილებს ყველა სახის გაგების მეტაფორულ და რიტორიკულ ხასიათზე.

ჰ. ს. გვთავაზობს სოციალურის ლოკალურ გაგებას. მას სურს დაძლიოს ბინარული ოპოზიციები (შემეცნების სუბიექტისა და ობიექტის დაპირისპირება, სოციალური სტრუქტურის ცენტრად და პერიფერიად დაყოფა). პოსტკოლონიალურ კვლევებში არის მცდელობა „ქალურისა" და „მამაკაცურის" დაპირისპირების მოხსნისა. ყურადღება გამახვილებულია ცნობიერების ინტერტექსტუალობაზე და პიროვნება გაგებულია როგორც „თვითთხრობა", „ლია იდენტობა".

ჰ. ს. განსაკუთრებით უპირისპირდება „დიდ ნარატივებს" სოციოლოგიაში (სტრუქტურულ-ფუნქციონალურ ანალიზსა და „საზოგადოებრივი აზრის" გამოკითხვის პრაქტიკას). ეს დაპირისპირება და კრიტიკა ხშირად ეპატაჟური ხასიათისაა. პოსტმოდერნამდელი სოციოლოგია *ჰ. ს-ის* მიერ გაგებულია როგორც მოდერნის პროექტი, რომელიც „სოციალური წესრიგისა და ანომიის" ბინარულ ოპოზიციას ემყარება, საიდანაც გამომდინარეობს მისი ძირითადი თეზისები: 1. პროექტულობა. *ჰ. ს-ის* თანახმად, მოდერნისტული სოციოლოგია სოციალურ წესრიგს

იდეალად სახავდა და მის მიღწევას საკუთარ მიზნად მიიჩნევდა. აქედან გამომდინარე, *ანომია* განიხილებოდა სოციალური რეალობის ამოსავალ ნიშნად, ერთგვარ ქაოსად, რომელიც საჭიროებს წესრიგს. რადიკალურ ვერსიებში მოდერნისტული სოციოლოგიის პროექტულობა, *პ. ს-ის* წარმომადგენლების აზრით, სოციალური *უტოპიზმის* სახეს იღებდა (მაგ., *ტექნოკრატიზმი, კომუნიზმი*). ამას გარდა, მოდერნისტული სოციოლოგიის „პროექტული განწყობა" ემყარებოდა დროის ლინეარულობის გაგებას, რომელიც თავდაპირველად წარმოდგენილი იყო სოციალური პროგრესის სახით, რომელიც შემდგომში გააზრებულ იქნა როგორც *მოდერნიზაცია*. 2. პრობლემატური დამოკიდებულება ფილოსოფიასთან. მოდერნის ეპოქაში, *პ. ს-ის* წარმომადგენლების აზრით, სპეკულატური ფილოსოფიის საფუძვლების რღვევა სამი მიმართულებით განხორციელდა: პირველ რიგში მოხდა ფილოსოფიის სოციალური საფუძვლების აღმოჩენა, რაც აისახა ცოდნის სოციოლოგიის მომიჯნავე პრობლემატიკის წინ წამოწევაში. მეორე მხრივ, შემოთავაზებულ იქნა რადიკალურად ახალი მეთოდი. მესამე: ჩამოყალიბდა წარმოდგენა ოპერაციონალურ („რეალურ") ობიექტზე. შესაბამისად, მოდერნის მიერ სოციოლოგია გაიგებოდა როგორც „ფილოსოფიის მოწესრიგების" პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა პოზიტიური (კონტი), კალკულირებადი (კეტლე) ან კიდევ „ქმედითი" (მარქსი) ცოდნის ფორმირებას. 3. პრობლემატური დამოკიდებულება ჰუმანიტარულ მეცნიერებებთან. მოდერნისტული სოციოლოგიის თანახმად, სოციოლოგია განეკუთვნებოდა ადამიანის შესახებ მეცნიერებათა სფეროს, იმავდროულად იგი ემიჯნებოდა საკუთრივ ინდივიდუალურის შესწავლას და ინდივიდუალურს (ინდივიდს) სოციალურით (ზოგადით) განპირობებულად მიიჩნევდა. *პ. ს-ის* თანახმად, სოციოლოგია იქცა „სოციალური ბუნების სარკედ." სოციოლოგიის პროექტში ჩადებული განწყობები მოდერნის ეპოქის საზოგადოების სრული ეკვივალენტი აღმოჩნდა, რის გამოც სოციოლოგიამ დაკარგა საკუთრივ „ სოციოლოგიური სივრცე". ზ. ბაუმანის თანახმად, მოდერნის ეპოქის სოციალური რეალობა (ანუ მოდერნისტულ სოციოლოგიაში აღწერილი სოციალური რეალობა) გამოდიოდა ადმინისტრირების ობიექტის (იარაღის) როლში. ბაუმანის აზრით, მოდერნის ეპოქის სოციალური რეალობა – ეს იყო „გენერალური დირექტორის მაგიდიდან დანახული სამყარო". ასეთ სამყაროში დასახული მიზნების რეალიზაცია გულისხმობდა მათ ქვეპრობლემებად და ქვემიზნებად დაყოფას. პრინციპები, რომელთაც ადმინისტრირების აღნიშნული პერსპექტივა ეყრდნობოდა, იყო: 1. მოდელირებული სამყაროს მთლიანობა. მოდერნისტულ სოციოლოგიაში ამ მთლიანობის „შეკავება" მიიღწეოდა „საზოგადოების" ცნებით, რომელიც ნაწილობრივ გაიგივებული იყო *ეროვნულ სახელმწიფოსთან.* მსგავს როლს ასრულებდა „კულტურის" ცნებაც, რომელიც მაინტეგრირებელ ფუნქციამდე დაიყვანებოდა. ეპისტემოლოგიურად მოდელირებული სამყაროს მთლიანობის იდეა ემყარებოდა ჭეშმარიტების არსებობის იდეას და მის ფესვგადგმულობას ყოფაში, რაც მოდერნისტული სოციოლოგიის მიერ ავთენტურობის, იდენტურობისა და ორიგინალობის არსებობის აღიარებაში გამოიხატებოდა. 2. კოჰერენტულობა. სოციუმი და კულტურა გაიგებოდა მთლიანობად, რომელიც გაჟღენთილია მრავალრიცხოვანი ურთიერთკავშირით, ფუნქციითა და მექანიზმით, რომლებიც მოქმედებს როგორც აწყობილი სისტემა. სოციოლოგიის ამგვარი გაგებიდან შეიქმნა ისეთი ცნებები, როგორიცაა, *თანხმობა* (ჰომეოსტაზი), *სოცია-*

ლური ნორმა, სოციალიზაცია, დევიაცია და ა. შ. 3. დროის კუმულატურობა და მიმართულობა. მოდერნისტული სოციოლოგიის თანახმად, სამყარო არის პროექტი რეალიზაციის პროცესში, რომელიც ითავსებს დროის ლინეარულობას, რაც სათავეს ქრისტიანული ესქატოლოგიიდან იღებს და რაც უფრო გვიან დეტერმინიზმის კონცეფციაში ფორმდება. ამგვარად, მოდერნისტულ სოციოლოგიაში სოციოლოგია იმთავითვე გაიგებოდა როგორც ცოდნის „თეორია", ანუ დისციპლინა და სოციალური მოწესრიგების „პრაქტიკა" ანუ ძალაუფლება-ცოდნის შესრულების საშუალება. „ორმაგი კოდირების" პრინციპი ის ზოგადი საფუძველია, რომელიც პოსტმოდერნს ანიჭებს სოციეტალურ კონფიგურაციას. ზოგადად კოდი წარმოადგენს ნიშანდების წესების გარკვეულ სტრუქტურას, რომელსაც თავისი ისტორია აქვს. ორმაგი კოდირება კი წარმოადგენს აქ და ახლა ისტორიაზე დამოკიდებულების შემცირებას ან ისტორიის (როგორც წარსულისა და როგორც თხრობის) სრულ ელიმინიაციას (მოტაცება, მოშორება). ბოდრიარის მიერ დამუშავებული ჰიპერრეალობის ფარგლებში პოსტმოდერნის მდგომარეობაში გადასვლა ხასიათდება როგორც სიმულაკრების პროცესია-მსვლელობა. სოციალური, რომელიც ინდივიდუალური მოხმარების საგანი გახდა, გაიაზრება როგორც მხოლოდ სოციალურ-სიმულაციური მოდელი, რომელიც სოციოლოგიისა და სოციალურის სიკვდილის მომასწავებელია. კომუნიკაციისა და განსაკუთრებით კი მასობრივი კომუნიკაციის განვითარება აყალიბებს მასას, რომელსაც, ბოდრიარის თანახმად, არ გააჩნია არც ატრიბუტი, არც პრედიკატი, არც თვისება და არც რეფერენცია. მასას შეადგენენ მხოლოდ ისინი, ვინც თავისუფალია საკუთარი სიმბოლური ვალდებულებებისგან, მასის წევრები გვეელინებიან კომუნიკაციის უსასრულო ქსელების „მრავალსახა ტერმინალებად". მასები არ გვევლინებიან რეფერენტებად, რამდენადაც ისინი არ განეკუთვნებიან რეპრეზენტაციის წესრიგს. მასები არ გამოხატავენ (წარმოგვიდგენენ) საკუთარ თავს, ხდება მხოლოდ მასების ზონდირება. მასები არ რეფლექსირებენ, მათ უბრალოდ ტესტებს ავსებინებენ. ამასთან, ზონდირება, ტესტები, *რეფერენდუმები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები* გვევლინებიან მექანიზმებად, რომელებიც მოქმედებენ არა როგორც რეპრეზენტაციები, არამედ როგორც სიმულაციები. ამ სიტუაციაში მასების, ანუ მდუმარე უმრავლესობის რეპრეზენტაცია წარმოადგენს მორიგ სიმულაციას, ხოლო ამ მასებს რეკლამის, ტექნიკის, პოლიტიკის, მეცნიერების ყოვლისშემძლეობის იმედი აქვთ. მასა არ აღიქვამს საზრისს და აინტერესებს მხოლოდ ნიშანი, კომუნიკაცია მასისათვის წარმოადგენს ნიშანთა უწყვეტ შთანთქმას, რომელიც განპირობებულია სანახაობის წყურვილით. ბოდრიარი რადიკალური *ჯ. ხიის* წარმომადგენელია. უფრო ზომიერი პოზიცია უჭირავს მ. მაფესოლს. პოსტმოდერნზე გადასვლის მთავარ ნიშნად მაფესოლი „სოციალურის" „სოციალურობაში" გადასვლას მიიჩნევს. პირველ მათგანს (ანუ „სოციალურს") შეესაბამება „საზოგადოება" (თიონისის ტერმინი Geselschaft), „პრომეთესეული" კულტურა და აქ სოციალური კავშირების საფუძვლად „მექანიკური სოლიდარობა" (დიურკემი) და მექანიკური სოლიდარობისათვის დამახასიათებელი ინსტრუმენტალობა, პროექტულობა, რაციონალიზმი და ტელეოლოგიზმი გვევლინება. ამის საპირისპიროდ, პოსტმოდერნისტული სოციალური წესრიგი აღიწერება „თემის" (თიონისის ტერმინი Gemeinschaft), „დიონისური" კულტურის, ან კიდევ „ორგიასტული" სოლიდარობის ტერმინებით.

პოსტმოდერნისტული სოციალობისათვის დამახასიათებელია აწმყოთი შეპყრობილობა, არალოგიკურობა, იმორალიზმი და კომუნიკაცია. მაფესოლი თეონისეულ *გემაინშაფტის* ტერმინს ცვლის ნეოტრაიბალიზმის საკუთარი კონცეპტით. ნეოტრაიბალიზმის დადგომის სიმპტომად მაფესოლი მიიჩნევს ყოველივე ბუნებრივისადმი ინტერესისა და სამყაროს მოჯადოებულობის გრძნობის ზრდას. ინდივიდი, მაფესოლის თანახმად, პერსონად, პოლიფუნქციონალური თვისებების ანუ „ნილბების“ მფლობელად, ხოლო ჯგუფები და ორგანიზაციები – მასად და „ტომად“ (ტრაიბი) ტრანსფორმირდება. ტომი-ტრაიბი არის მცირე ერთობა (თანასაზოგადოება) თავისუფალი წევრობით, ინტერსუბიექტურობით, რომელიც ემყარება აფექტურობას. ის სოციალურობის არამდგრადი, გაფანტული კონსოლიდაციაა. ტომი-ტრაიბის განმასხვავებელ ნიშანს „მისი იმანენტური ტრანსცენდენტურობა“ წარმოადგენს. ეს ისეთი ერთობაა, რომელიც თავისი წევრების ტრანსცენდირებას ახდენს, მაგრამ თვითონ არაფერით არის ტრანსცენდირებული. პოსტმოდერნისტი მოაზროვნეების სოციოლოგიური და ფილოსოფიური კონცეფციები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ მათი განზოგადება ისეთ თეორიაში, რომელსაც მეტნაკლებად თითოეული მათგანი შეესაბამებოდა, საკმარისად რთულია. მიუხედავად ამისა, ბ. სმარტი გამოყოფს სამ პოსტმოდერნისტულ პოზიციას: პირველი, უკიდურესი პოსტმოდერნისტული პოზიციის თანახმად, მოხდა ფუნდამენტური რღვევა და თანამედროვე საზოგადოება პოსტმოდერნისტული საზოგადოებით შეიცვალა. ამ თვალსაზრისს იცავენ ჟ. ბოდრიარი, ჟ. დელიოზი და ფ. გუატარი. მეორე პოზიციის თანახმად, მართალია, თანამედროვე საზოგადოება პოსტმოდერნისტულით შეიცვალა, მაგრამ *პოსტმოდერნიზმი* მოდერნიზმის წიაღიდან გამოვიდა და მჭიდროდ არის მასთან დაკავშირებული. ამ მიმართულების წარმომადგენლები არიან მარქსისტი მოაზროვნეები ფ. ჯეიმისონი, ე. ლაკლაუ და შ. მუფე, ასევე პოსტმოდერნისტული ფემინიზმის მიმდევრები ნ. ფრეზერი და ლ. ნიკოლსონი. არსებობს მესამე პოზიციაც, რომელსაც იზიარებს თვით სმარტი, რომლის თანახმადაც, მოდერნიზმი და *პოსტმოდერნიზმი* უნდა განვიხილოთ არა როგორც ცალკეული ეპოქები, არამედ როგორც ხანგრძლივი და უწყვეტი პროცესის მონაწილენი, ამასთან *პოსტმოდერნიზმი* მუდამ მიუთითებს მოდერნიზმის შეზღუდულობაზე.

პოსტსტრუქტურალიზმი კონცეფცია, რომელიც უარყოფს სოციალურ სამყაროში ზოგადსაყოველთაო ლოგიკის ან კიდევ სტრუქტურის არსებობას. პოსტსტრუქტურალისტების თანახმად, არსებობს მხოლოდ ზედაპირული, ყოველგვარ ღრმა კავშირებს მოკლებული გარე სამყარო. ამიტომ *პ-ის* აზრით, სოციოლოგიის საგანი უნდა იყოს პრაქტიკაში განცდილი სამყარო და არა ჰიპოთეზური საბაზისო სტრატები. *პ-ის* წამყვანი წარმომადგენლები არიან დერიდა, დელიოზი, ბოდრიარი, ლიოტარი, კასტორიადისი, კრისტევა. ამ მიმდინარეობას მიეკუთვნებიან ამერიკელი ლიტერატურათმცოდნეები: მილერი, ბლუმი, დე მანი და ა. შ., რომელთაც დერიდას ზეგავლენა განიცადეს. ხშირად პოსტსრუქტურალისტურად მიიჩნევენ რ. ბარტის შემოქმედების „პოლიტიკური სემიოლოგიისა“ და მ. ფუკოს „ძალაუფლების გენეალოგიის“ პერიოდს. *პ.* ერთიანი არ არის და არა აქვს საერთო პროგრამა, რომელიც შეიძლება ყველა პოსტსტრუქტურალისტმა სავალდებულოდ მიიჩნიოს. თუმცა არსებობს *პ-ისათვის* საპროგრამო ხასიათის შრომები, ასეთია, მაგ., დერიდას შრომა „გრამატოლოგიის შესახებ“.

პოსტფორდიზმი იგივეა, რაც ნეოფორდიზმი. დაკავშირებულია კომპიუტერებისა და რობოტოტექნიკის წარმოების სფეროში გამოყენებასა და ასევე მათი მეშვეობით ინფორმაციისა და საქონლის გაცვლის ახალ შესაძლებლობებთან. ფორდიზმის საპირისპიროდ, პოსტფორდისტული ეპოქის ნიშანს წარმოადგენს მოცულობით შედარებით მცირე საწარმოები და წარმოების მოქნილობა (წარმოების პროფილის ადვილი შეცვლა). პოსტფორდიზმს შედეგად მოჰყვა სოციალური და ეკონომიკური ხასიათის ცვლილებები: 1) გაქრა „მბოლავი მილების" მქონე სამრეწველო წარმოება და დარგები, 2) შრომის ორგანიზაციამ მიიღო უფრო მოქნილი და დეცენტრალიზებული ფორმა, 3) მოხდა შრომის ბაზრის რეორგანიზაცია, ბაზარზე გაჩნდა კვალიფიციური და მოქნილი მუშახელის მოთხოვნა, 4) *ლუარჯსაყელოიანების* (არაკვალიფიციური მუშახელი) ხვედრითი წილი შემცირდა და გაიზარდა *თეთრსაყელოიანების* (პროფესიონალი, ტექნიკური მმართველების) რაოდენობა, 5) ახალი ტექნოლოგიების ზეგავლენით მოხდა შრომის მრავალი პროცესის *ფემინიზაცია,* 6) მრავალეროვანი კორპორაციების რიცხვმა და ავტონომიურობამ მოიმატა, 7) შრომის საერთაშორისო განაწილებამ შესაძლებელი გახადა გლობალური წარმოების ორგანიზება. ფორდიზმიდან *პ*-ზე გადასვლის ზუსტი დათარიღება შეუძლებელია.

პრაგმატიზმი (პოლიტიკური) ზოგადად წარმოადგენს ფილოსოფიურ მიმდინარეობას, რომელიც უარყოფს ჭეშმარიტების ობიექტურობას და ასეთად მიიჩნევს მხოლოდ იმას, რასაც პრაქტიკული შედეგები აქვს. ანალოგიურადვე *პ.* პოლიტიკაში ინდივიდის ან ჯგუფებისათვის განმსაზღვრელად თვლის ბრძოლას არა აბსტრაქტული იდეალების რეალიზაციისათვის, არამედ კონკრეტული პრაქტიკული შედეგებისა და სარგებლიანობისათვის. *პ.,* როგორც დამოუკიდებელი იდეების სისტემა, ჩამოყალიბდა XIX ს-ში შეერთებულ შტატებში. თუმცა იგი არ გაჩენილა ცარიელ ნიადაგზე და თუ მხოლოდ ბრიტანული პოლიტიკურ-ფილოსოფიური ტრადიციით შემოვიფარგლებით, წინამორბედ ფორმად შეგვიძლია იერემია ბენტამის *უტილიტარიზმი* მივიჩნიოთ.

გამოდიოდა რა სარგებლიანობის პრინციპიდან, ბენტამმა მილთან და რიკარდოსთან ერთად განსაზღვრა *საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს* პრინციპები, ხელი შეუწყო *ლიბერალიზმის* განვითარებას.

პრაქსისი *იხ. სტრუქტურაციის თეორია.*

პრაქტიკული ცნობიერება ე. გიდენსის მიხედვით, გამოხატავს *ქცევის* განმეორებადი (რუტინული) ფორმების ნაგულისხმევ, იმპლიციტურ ცოდნას. ასეთ ცოდნას ვფლობთ, როდესაც ვმოქმედებთ წესების, ანუ სტრუქტურის მოთხოვნების შესაბამისად ისე, რომ მათზე აქტიურ რეფლექსიას არ ვახდენთ. მაგ., საუბრისას ვიცავთ ენის გრამატიკულ წესებს, თუმცა, მათ შესახებ აქტიურ ცოდნას არ ვფლობთ. მაშასადამე, აღნიშნულ დონეზე *აქტორი* ახორციელებს პასიურ, არაფორმალურ რეფლექსიას. *პ. ც.* შესაძლებელს ხდის, რომ პრაქტიკა შესრულდეს პირდაპირი (უშუალო) მოტივაციის გარეშე. ამ კალაპოტში თავსდება ყოველდღიური ქცევების დიდი ნაწილი. ადამიანების შესაძლებლობები შეზღუდულია იმისათვის, რომ *დისკურსული ცნობიერების* ველში მოაქციონ როგორც საკუთარი, ისე სხვისი ქცევების მრავალფეროვანი ასპექტები. მოქმედებათა დისკურსული იდენტიფიკაცია ხდება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს რუტინათა შეწყვეტას ან მათ კრიტი-

კულ მსხვრევას (იხ. *დისკურსული ცნობიერება; არაცნობიერი მოტივაცია*).

პრევენციული პოლიტიკური ზომები ზომები, რომლებიც მიმართულია პოლიტიკური მოვლენების სახიფათოდ განვითარების თავიდან აცილებისაკენ.

პრევენციული შეზღუდვა ზოგადი დახასიათება კანონიერი ქმედებების გამოყენების აღსანიშნავად, რომელთაც მიმართავენ მოსალოდნელ მძიმე ქმედებათა აღსაკვეთად. პრევენციულ ღონისძიებათა შორის შეიძლება იყოს სასამართლო აკრძალვა, *დეკლარაცია* ან განჩინება. განჩინების წარდგენის შემთხვევაში აღმასრულებელ მხარეს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი, რომელსაც ის დაასაბუთებს. აკრძალვა, თავის მხრივ, წარმოადგენს *პ. შ-ს*, რომელიც ავალდებულებს კანონის დამრღვევ მხარეს, თავი შეიკავოს შემდგომი მსგავსი ქმედებებისაგან. დაბოლოს, *დეკლარაცია* შეიცავს უფლებათა განმარტებას ნებისმიერი შესაძლო დავის შემთხვევაში.

პრევენციული დიპლომატია დიპლომატიური ქმედება, რომელიც წინასწარ ხორციელდება მოსალოდნელი კრიზისის თავიდან აცილების ანდა შეზღუდვის მიზნით. *პ. დ-ის* მაგალითია კოლექტიური უსაფრთხოება, სამშვიდობო ოპერაცია, ჰუმანიტარული ინტერვენცია, კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვა და მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებები.

პრევენციული ომი სამხედრო *ძალის* დროებითი უპირატესობის წარმატებით გამოყენების მიზნით განზრახ დაწყებული *ომი. პ. ო-ის* დაწყების მთავარი მოტივია დასწრება, რათა უპირატესობა მოწინააღმდეგემ არ ჩაიგდოს ხელში. *პ. ო.* „შეტევის კულტის“ დოქტრინას ეფუძნება, რომლის მიხედვითაც, სამხედრო მოქმედებებში გამარჯვების მეტი შანსი შემტევ მხარეს აქვს. გარდა ამისა, *პ. ო.* ეყრდნობა ვარაუდს, რომ ომი გარდაუვალია.

პრეზიდენტი **1.** არჩევითი ხელმძღვანელი, თავმჯდომარე რიგ საზოგადოებრივ და სამეცნიერო დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, მათ შორის საერთაშორისოში. **2.** სახელმწიფოს მეთაური რესპუბლიკური მმართველობის ქვეყნებში. ე. წ. საპარლამენტო რესპუბლიკებში (იტალია, ინდოეთი, გერმანია) *პ.* აირჩევა პარლამენტის ან განსაკუთრებული კოლეგიის მიერ, რომელიც ძირითადად პარლამენტარებით არის დაკომპლექტებული. *პ.* აირჩევა პირდაპირი (მაგ., საფრანგეთი) ან არაპირდაპირი გზით (მაგ., აშშ).

პრემიერ-მინისტრი *სახელმწიფოს* პარლამენტური სისტემით მოწყობის შემთხვევაში აღმასრულებელი ხელისუფლების, *მინისტრთა კაბინეტის* მეთაური. ამ პოსტის მნიშვნელობა სახელმწიფოსათვის დამოკიდებულია ქვეყნის ინსტიტუციონალურ მოწყობაზე, მთავრობის პარტიულ შემადგენლობაზე და კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებებზე. ქვეყნის ინსტიტუციონალურ ორგანიზაციაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ქვეყნის ტერიტორიული განაწილების შესაბამისი სახელისუფლებო სტრუქტურების განაწილება. მთავრობის პარტიულ შემადგენლობას მნიშვნელოვანი ზეგავლენა შეუძლია მოახდინოს *პ.-მ-ის* ხელისუფლებაზე მაშინ, თუ მთავრობა წარმოადგენს რამდენიმე ან თუნდაც ორი *პარტიის კოალიციას.* ისეთ ქვეყნებში, სადაც მთავრობა, როგორც წესი, კოალიციურია ხოლმე (ამგვარი ვითარება ტიპურია ნიდერლანდებისათვის), *პ.-მ-ს* უნევს შიდასამთავრობო აზრთა სხვადასხვაო-

ბისა და დაპირისპირების მომრიგებელის ფუნქციის შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ *პ.-მ-ის* ხელისუფლება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, ყველგან დიდადაა დამოკიდებული პარლამენტის მხარდაჭერასა და საკუთარი პარტიის კონსოლიდაციაზე.

პრეროგატივა აღმასრულებელი ხელისუფლების ან რომელიმე კონკრეტული ოფიციალური პირის უფლება, იმოქმედოს ამა თუ იმ ვითარებაში საკანონმდებლო ხელისუფლების კონტროლის გარეშე. ამგვარი უფლება თითქმის ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მცირდება. შეერთებულ შტატებში *პრეზიდენტის პ.*, რომელიც, თავის მხრივ, გარანტირებულია *კონსტიტუციით*, გულისხმობს, რომ პრეზიდენტს, რომელიც უმაღლესი მთავარსარდალია, შეუძლია დანიშნოს უმაღლეს სამხედრო თანამდებობებზე ოფიცრები. მასვე აქვს უფლება შეინყალოს ფედერალური დამნაშავე. პრეზიდენტსვე აბარია საგარეო პოლიტიკური კურსი, ელჩების შემადგენლობა და ა. შ.

პრესტიჟი საზოგადოების ან მის წევრთა ჯგუფის მიერ სხვადასხვა ობიექტების, მოვლენების, სოციალური მნიშვნელობისა და პოზიციების დადებითი ან უარყოფითი შეფასება. პოზიტიური აზრით, ამა თუ იმ მოვლენის სოციალური მნიშვნელობის აღიარება, მოწონება, სოციალურ ერთობაში მიღებული ნორმებისა და ღირებულებების სისტემასთან შესატყვისობა და მიმზიდველობა-სასურველობა. ამგვარად შეფასებული მოვლენა გამოდის როგორც განსაზღვრული სურვილების, გრძნობების, განზრახვების მოტივატორი, იწვევს ინდივიდებში სოციალური აღიარების, მოწონების, წახალისების, იდენტიფიკაციის მისწრაფებას – დაიკავოს შესაბამისი მდგომარეობა.

პრეფერენცია ზომა, რომელიც რომელიმე პირს, *სახელმწიფოს* ან *ორგანიზაციას* ანიჭებს ეკონომიკურ ან რაიმე სხვა სახის უპირატესობას. არსებობს პრეფერენციული გადასახადები საქონლის (რომელიმე ან ყველა სახის) შემოტანაზე რომელიმე ქვეყნის მიმართ, რომელიც სხვა დანარჩენ ქვეყნებზე არ ვრცელდება. ასეთი გადასახადები ხშირად წესდებოდა კოლონიური სახელმწიფოების მიერ კოლონიებთან და დამოკიდებულ ქვეყნებთან ვაჭრობისას.

პრეფექტი ცენტრალური ხელისუფლების უმაღლესი რანგის წარმომადგენელი, რომელიც დანიშნულია რეგიონის მთავარ აღმასრულებლად. საფრანგეთში *პ-ების* ინსტიტუტი შემოიღო ნაპოლეონმა 1800 წელს. მათი ძირითადი ფუნქცია რეგიონებში ცენტრალური ხელისუფლების ნების გატარება იყო. ამიტომ, უმრავლეს შემთხვევაში, ადგილობრივი მოსახლეობა უნდობლობით ეკიდებოდა მათ მოღვაწეობას, რამდენადაც პრეფექტურებს ადგილობრივი, არჩეული ხელისუფლებაც ჰყავდა. მეორე პრობლემა ამ ხელისუფლებასა და *პ-ს* შორის თანამშრომლობა იყო, თუმცა ცენტრალურ ხელისუფლებასთან კავშირები, რომლიდანაც რეგიონები ინვესტირებას მოელოდნენ, *პ-ს* უალრესად საჭირო პოლიტიკოსად აქცევდა. 1964 წელს საფრანგეთი დაიყო 22 რეგიონად ამდენივე *პ-ით*, ხოლო 1982 წლის კანონმა დანიშნული *პ-ები* გადააქცია რეგიონებში არჩეული საბჭოების თავმჯდომარეებად.

პროგრესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების აღმავალი მოძრაობა დაბალი ფორმებიდან უფრო მაღალი ფორმებისაკენ. *პ-ული* მოძრაობა პოლიტიკაში გულისხმობს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების მიღწევას. ამგვარი მოძრა-

ობის ტიპური ნიმუშია XX ს-ის დასაწყისში შეერთებულ შტატებში გავრცელებული მოძრაობა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, ასევე რესპუბლიკელები და უპარტიო აქტივისტები.

პროლეტარიატი კაპიტალისტური საზოგადოების *კლასი*, რომლის შემოსავლისა და, შესაბამისად, არსებობის ძირითად წყაროს მის ხელთ არსებული ერთადერთი საშუალება – შრომა და ამ შრომის ანაზღაურება წარმოადგენს. ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება „მშრომელთა კლასის" სინონიმად, თუმცა მარქსისტები, რომელთაც განსაკუთრებით დეტალურად დაამუშავეს *პ-ის* თეორია, ერთმანეთისაგან მიჯნავდნენ ამ ორ ტერმინს იმ მოტივით, რომ მშრომელთა კლასი ყველა კლასობრივ საზოგადოებაში არსებობდა, მაშინ როდესაც *პ.* ევროპაში წარმოიშვა მხოლოდ XIX ს-ში საწარმოო რევოლუციის შედეგად. მარქსისტული თეორია *პ-ს* საგანგებო ისტორიულ-სოციალურ ფუნქციას აკისრებს; მან უნდა მოახდინოს *რევოლუცია*, დაამყაროს *დიქტატურა* და მომზადოს პირობები უკლასო საზოგადოებაზე, *კომუნიზმზე* გადასასვლელად.

პრომისკუიტეტი უწესრიგო, შემთხვევითი, არარეგულირებადი სქესობრივი კავშირები. მორგანის თანახმად, პირველყოფილ ერთობებში სქესობრივ ურთიერთობათა უძველესი ფორმაა და წინ უსწრებს *ქორწინებისა* და *ოჯახის* წარმოშობას. სქესობრივ ურთიერთობებს *საზოგადოება* ყოველთვის არეგულირებს რაიმე ფორმით, რაც დამოკიდებულია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებსა და *იდეოლოგიაზე*. აბსოლუტური *პ.* ანუ სქესობრივ ურთიერთობათა სრული მოუნესრიგებლობა მეცნიერთა მიერ ფიქსირებული არსად არაა – მსგავსი რამ დროებით დაშვებულია მხოლოდ ორგიასტული დღესასწაულების დროს.

პროპაგანდა პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი, მიზნად ისახავს შექმნას და განამტკიცოს ისეთი საზოგადოებრივი აზრი, რომელიც ხელსაყრელი იქნება პროპაგანდისტისათვის და ხელს შეუწყობს მისი პოლიტიკის განხორციელებას. *საერთაშორისო ურთიერთობებში პ-ის* მიზანია შექმნას საკუთარი ქვეყნის მაქსიმალურად მიმზიდველი *იმიჯი* და დანერგოს მისდამი სიმპათია, მაქსიმალურად ეცადოს გაამართლოს ქვეყნის ყოველი ქმედება, ხოლო დაპირისპირებული ქვეყნების მიმართ შექმნას უარყოფითი წარმოდგენა და ნეგატიურად განაწყოს მსოფლიო საზოგადოება. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში *პ-ის* ტრადიციულ საშუალებებს – პრესას, რადიოს, ტელევიზიას დაემატა ისეთი მძლავრი საშუალება, როგორიც ინტერნეტია. საგარეო პოლიტიკური *პ-ის* მიზანია ზეგავლენა მოახდინოს „სამიზნე" ქვეყნის მოსახლეობაზე, რათა მან, თავის მხრივ, გავლენა მოახდინოს თავისი მთავრობის მოქმედებაზე. *პ-ის* პროცესი გულისხმობს: 1) „კომუნიკატორს" სხვათა განწყობის, აზრის, ქცევის შეცვლის განზრახვით; 2) სიმბოლოებს – დაწერილს, თქმულს ან ქცევითს – რომელთაც კომუნიკატორი იყენებს; 3) *კომუნიკაციის* საშუალებას; 4) აუდიტორიას ანუ სამიზნეს. *პ.* ძალიან იშვიათადაა სრული სიმართლე, მაგრამ მთლიანად ტყუილიც არ შეიძლება იყოს. იგი მაქსიმალურად დამაჯერებელი უნდა იყოს, ამასთანავე განწირულია წარუმატებლობისათვის, თუკი გარეგნულად ჩანს, რომ *პ*-აა.

პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება მაქს ვებერის (1864-1920) მიერ 1904-1906 წლებში

შექმნილი შრომა Die Protestanticshe Ethik und der Geist des Kapitalizmus (გამოქვეყნდა 1920 წ.), სადაც ის აანალიზებს პროტესტანტული და, შესაბამისად, კალვინისტური კონფესიის (აღმსარებლობის) საერო ცხოვრებაში გამოყენებასა და მის სპეციფიკურ მორალს, რომელმაც განსაზღვრა *კაპიტალიზმის* ღირებულებათა სისტემა. ვებერი ამ შრომაში ეხება კაპიტალიზმის განვითარების საკითხებსაც. ვებერის თანახმად, კაპიტალიზმი მეურნეობის ტიპია, რომელიც ემყარება გაცვლის გამოყენებით მოგების მიღების მოლოდინს. ამგვარი კაპიტალიზმი, აღნიშნავს ვებერი, ყველგან არსებობდა: ჩინეთში, ინდოეთში, ბაბილონში, ეგვიპტესა და ძველ საბერძნეთში. შუასაუკუნეების ევროპაში და ახალ დროშიც კაპიტალიზმის ადრე არსებული ფორმებისაგან დასავლურ კაპიტალიზმს შემდეგი ნიშნები განასხვავებს: 1) სასაქონლო ბაზარზე ორიენტაცია; 2) თავისუფალი (ფორმალური) შრომის ნაციონალურ-კაპიტალისტური ორგანიზაცია; 3) წარმოების მოწყვეტა საოჯახო მეურნეობისაგან; 4) რაციონალური საბუღალტრო აღრიცხვა; 5) მეცნიერებისა და მეცნიერებაზე დამყარებული ტექნიკის გამოყენება, რაც ხელს უწყობს 6) სამართლის რაციონალური სტრუქტურისა და მართვის ფორმირებას. დასავლური კაპიტალიზმის ფორმირება მნიშვნელოვანწილად განაპირობა ასკეტური პროტესტანტიზმის რაციონალურმა ეთიკამ. ასკეტური პროტესტანტიზმის რაციონალური ეთიკის მატარებლად, ვებერის თანახმად, გვევლინება კალვინიზმი, პიეტიზმი, მეთოდიზმი და ანაბაპტისტებიდან გამოსული სხვა სექტები. ვებერი ძირითადად კალვინიზმს აანალიზებს, სწორედ კალვინიზმმა შეუწყო ხელი თანამედროვე „ეკონომიკური ადამიანისა" და ეკონომიკური თვალსაზრისით ბურჟუაზიული რაციონალური ცხოვრების წესის ფორმირებას. ამასთან დაკავშირებით ვებერის არგუმენტებია: 1) პურიტანიზმი (წინასწარგანსაზღვრულობის (პრედესტინაციის) რწმენა, თითოეული ადამიანის მოვალეობა იშრომოს ღვთის სადიდებლად, მკაცრი ასკეტიზმი და ა. შ.) გამორიცხავს მისტიციზმს და აქვს ანტირიტუალური ხასიათი. ეს კი მოხსნის ყველა დაბრკოლებას „სამყაროს განჯადოების" (სამყაროს გრძნეულებისაგან განთავისუფლების – die Entzäuberung der Welt) გზაზე. 2) პურიტანიზმმა საშუალება მისცა მორწმუნეს, პროფესიული საქმიანობის წარმატება საკუთარი რჩეულობის და, მაშასადამე, ხსნის ნიშნად მიეჩნია. პროფესიული საქმიანობა გაგებულ იქნა, როგორც მუხლჩაუხრელი შრომა ღვთის სადიდებლად, ხოლო ასეთი შრომით მოპოვებულ ფულს ჩამოშორდა ვერცხლისმოყვარეობის ცოდვის იარლიყი. 3) პურიტანების ეთიკას აქვს მკაფიოდ გამოხატული ასკეტური ხასიათი და ამ ეთიკას ფულის ხარჯვა დაჰყავს მინიმუმამდე, რასაც ფულის მასის მუდმივი მატების შემთხვევაში (მოგება) ავტომატურად მივყავართ წარმოების მეტ ინვესტიციებამდე და გაფართოებამდე. ასკეზის ანალიზს განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ვებერის ამ ნაშრომში. ვებერის აზრით, მან ორი ეტაპი გაიარა: 1) ასკეზამ ბერ-მონაზვნური სენაკიდან პროფესიულ ცხოვრებაში გადაინაცვლა და საერო ზნეობაზე გაბატონდა; 2) რელიგიური ასკეზის საერო ზნეობაზე გაბატონებამ ადამიანი უფრო დამოკიდებული გახადა საერო ცხოვრებასა და მის სიკეთეებზე. ვებერის თანახმად, საერო ცხოვრება განთავისუფლდა რელიგიური ასკეზის სულისკვეთებისაგან და უკვე არ სჭირდება ასკეზის რელიგიური საყრდენი.

პროტესტი 1. გაბედული გალაშქრება რაიმეს წინააღმდეგ, განაცხადის გაკეთება თანხმობაზე უარის შესახებ; **2.** სასამართლო ან პროკურატურის ორგანოების მიერ წარმოდგენილი

ოფიციალური დოკუმენტი განაჩენისა და გადაწყვეტილებების გადახედვის შესახებ.

პროტექციონიზმი შიდა ბაზრის იმპორტისაგან დაცვის პოლიტიკა, რომელიც ამ მიზნით იყენებს ტარიფებს, კვოტებს, სუბსიდიებსა და სხვა საშუალებებს. *პ-ის* მთავარი ამოცანა სამამულო წარმოების განვითარებაა. *პ-ს* შეიძლება მიმართავდეს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო ერთად. ეკონომიკის კლასიკური ლიბერალური თეორია, რომელიც თავისუფალი ვაჭრობის მომხრეა, ტარიფებისა და ვაჭრობის სხვა შემზღუდავი ბარიერების, ამგვარად, *პ-ის* წინააღმდეგაც გამოდის. ეს თვალსაზრისია ჩადებული ტარიფებისა და ვაჭრობის საყოველთაო შეთანხმებასა (GATT) და მისი მემკვიდრე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წესდებაში. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ტარიფებისა და ვაჭრობის სხვა ბარიერების შემცირებას ცდილობს. *პ-ის* დამცველებად გამოდიან ნეომერკანტილისტები, რომელთა უმრავლესობა *მესამე სამყაროს* ქვეყნების წარმომადგენლები არიან.

პროფესია შეძენილი (დასწავლის შედეგად მიღებული) უნარებისა და ჩვევების ერთობლიობა, რომელიც საჭიროა სპეციფიკური საშუშაოს შესასრულებლად და რომელიც ინდივიდს ათვისებული აქვს. *პ-ების* წარმოშობა დაკავშირებულია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან. მაქს ვებერის თანახმად, *პ.* არის ცხოვრების ხანგრძლივად უზრუნველყოფის, ნივთებისა და საარსებო საშუალებების შეძენის შანსების საფუძველი. სიტყვა *პ-ის* (გერმ. Beruf, berufen, berufene მოწოდებული) შინაარსი, ვებერის თანახმად, უკავშირდება პიროვნულ პასუხისმგებლობას. ვებერის სოციოლოგიაში *პ.* რელიგიურად, სოციალურად და ნორმატიულად დეტერმინირებულია. სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური მიდგომის თანახმად (პარსონსი, სმელზერი), თანამედროვე *საზოგადოებების,* როგორც სისტემის, მზარდი განვითარება (*მოდერნიზაცია*) იწვევს საზოგადოებისათვის აუცილებელი ფუნქციების გამოყოფა-დიფერენციაციას, რაც, თავის მხრივ, *პ-თა* დიფერენციაციის საფუძველს წარმოადგენს. სუბიექტზე ორიენტირებული სოციოლოგიური მიდგომა (ბოლტე/ტროიტნერი, 1983), განსხვავებით სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური მიდგომისაგან, გამოდის არა ტექნიკურ-ფუნქციონალისტურად დაფუძნებული სპეციალიზებული *პ-ული* საქმიანობის ცნებიდან, არამედ ხაზს უსვამს *პ-ული* უნარების შაბლონს, რომელიც სოციალურად გამყარებულია და სოციალური სტრუქტურაციის პროცესის შედეგია. სუბიექტზე ორიენტირებული მიდგომის მეშვეობით შეიძლება აიხსნას, თუ როგორ განსაზღვრავს *პ.* ამა თუ იმ ადამიანის აზროვნებასა და მოქმედებას და რა წვლილი შეაქვს პროფესიას სოციალური უთანასწორობის თაობიდან თაობაზე გადაცემასა და გამყარებაში.

პროფესიული კავშირები მუშათა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლის ძირითადი ამოცანაა დაქირავებულსა და დამქირავებელს შორის ინდივიდუალური ხელშეკრულების სისტემის კოლექტიური სისტემით შეცვლა. პროფკავშირების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს არაორგანიზებული მშრომელების უფლებების დაცვა, მათი შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა და ა. შ. პროფკავშირული ორგანიზაციების ჩამოყალიბება და გაძლიერება უკავშირდება XVIII ს-ში მრეწველობის მოცულობის და მუშათა რაოდენობის ზრდას. განსაკუთრებული როლი ითამაშეს პროფკავშირებმა დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, სადაც ამგვარ გაერთიანებათა ადრეული

ფორმები 1824 წლამდე არალეგალურად არსებობდა, ხოლო მათი მოლვაწეობის ამკრძალავი კანონების გაუქმების შემდეგ კი დაინყეს ნაციონალური მასშტაბის ცენტრალიზებულ გაერთიანებებად ჩამოყალიბება. პირველ პროფკავშირულ ორგანიზაციებს „ელიტარული“ ხასიათი ჰქონდა და იცავდნენ მაღალკვალიფიციურ მუშებს, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ თავიანთი პრივილეგირებული პოზიციების შენარჩუნებით შრომის ბაზარზე. XIX ს-ის მეორე ნახევრიდან შეიქმნა უნივერსალური ტიპის (სხვადასხვა პროფესიის მშრომელთა) გაერთიანებები, რომლებიც უკვე დაბალი ანაზღაურების მშრომელების უფლებებს იცავდნენ. პროფკავშირების პოლიტიკური როლისა და ფუნქციების შეფასება არაერთგვაროვანია. ბოლშევიკური თვალსაზრისით, პროფკავშირების პოლიტიკური როლი მინიმალურია, რამდენადაც ეს გაერთიანებები წმინდა ეკონომიკური ამოცანების მოგვარებით შემოიფარგლება. ამისგან განსხვავებით, ვებერი თვლიდა, რომ პროფკავშირები აქტიურ როლს თამაშობენ სოციალურ გარდაქმნებში. ვებერის ამ თვალსაზრისის გარკვეულ გამართლებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ თანამედროვე ლეიბორისტული პარტია დიდ ბრიტანეთში სნორედ პროფკავშირული გაერთიანებებისაგან წარმოიშვა.

პუბლიკა საუბრისა თუ გამონათქვამების, ასევე სიგნალების მიმღებ ადამიანთა ერთობლიობა (მსმენელები, თანამხილველები, მკითხველები). სოციოლოგიაში *პ.* შეიძლება ნიშნავდეს ფორმალურად არაორგანიზებულ ჯგუფს, რომლის წევრებს საერთო ინტერესები აქვთ. სოციოლოგიაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ მასას, ბრბოსა და *პ-ს.* ადამიანთა ამგვარ გაერთიანებას იკვლევდნენ ფრანგი სოციოლოგები – ლებონი და ტარდი.

პუტჩი შეთქმულთა მცირე ჯგუფის მიერ ინიცირებული სახელმწიფო *გადატრიალების* მცდელობა; განხორციელებული *გადატრიალება პ-ად* აღიქმება მხოლოდ მისი მოწინააღმდეგეების მიერ, რომლებიც დროებით ან საბოლოოდ დამარცხდნენ.

ჟ

ჟანრი ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინი. გამოიყენება ლიტერატურული ფორმების კლასიფიკაციისათვის. ლიტერატურათმცოდნეობაში განასხვავებენ შემდეგ *ჟ-ებს:* რომანი, მოთხრობა, ლექსი, ტრაგედია, კომედია და ა. შ. სოციოლოგიამ გააფართოვა *ჟ-ის* ცნება, ასე მაგ., კომუნიკაციური *ჟ-ის* ცნება აღნიშნავს საუბრისა და ქცევის მყარად ქცეულ ფორმას, რომელიც სპონტანურად წარმოებული კომუნიკაციის ფორმისაგან განსხვავდება. კულტურის სოციოლოგიაში *ჟ.* დაწერილი და დაუწერელი (ასევე, არასიტყვიერი) ტექსტის ტიპია, რომელიც თავისი არქიტექტონიკით არაფორმალურ წესებსა და ლიტერატურულ პირობითობას მისდევს.

რ

რადიკალიზმი გულისხმობს განზრახულობათა გადამჭრელ, უკომპრომისო განხორციელებას დასახული მიზნების მისაღწევად. *რ.,* როგორც გარკვეული პოლიტიკური მიმდინარეობა, წარმოიშვა XIX ს-ში და მიზნად ისახავდა ლიბერალურ რეფორმებს. ამ ტიპის *იდეოლოგიის* საფუძველზე წარმოიქმნა კონკრეტული რადიკალური *პარტიები,* რომლებიც მიზნად ისახავდნენ საარჩევნო და სამოქალაქო უფლებების გაფართოებას, ხალხის მაქსიმალურად ფართო მასების მონაწილეობას პოლიტიკაში, მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის გაზრდას.

XX ს-ში ტერმინის მნიშვნელობა რამდენადმე შეიცვალა. რადიკალურად მიიჩნიეს იმ ჯგუფების და პარტიების მიზნები, რომლებიც ან პოლიტიკური დებატების პირველადი საზღვრების გაფართოებას ცდილობდნენ („მწვანეთა მოძრაობა"), ან გამოდიოდნენ ანტიკლერიკალური მოთხოვნებით ქვეყნებში, სადაც არსებობს მჭიდრო შეხება *ეკლესიასა* და *სახელმწიფოს* შორის. რიგმა ევროპულმა პარტიებმა და სხვა სახის გაერთიანებებმა შეინარჩუნეს რადიკალურის სახელწოდება, თუმცა მათი მოთხოვნები და მიზნები თანდათანობით სულ უფრო ზომიერი გახდა, მაშინ როდესაც ტერმინის პირველადი მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელიც ფესვს უკავშირდება, „რადიკალური" აღნიშნავს იმგვარი პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც სისტემის ძირფესვიან გარდაქმნას გულისხმობს.

რასა საკმაოდ ბუნდოვანი ტერმინი, დაკავშირებული წარმოდგენებთან კაცობრიობის ისეთ ჯგუფებად დანაწევრების შესახებ, რომლებიც განსხვავდებიან მათ წარმომადგენელთა შთამომავლობითი ფიზიკური მახასიათებლებით. ასეთი აზრით, *რ-ის* კატეგორია წარმოდგენილია ევოლუციისა და ბუნებრივი შერჩევის პროცესების შესატყვის არგუმენტად, როცა ხალხთა ერთი კატეგორია უფრო განვითარებულად არის წარმოდგენილი, ვიდრე მეორე. მსგავსი წარმოდგენები შემდგომ იმის მტკიცებაში გადაიზარდა, რომ ბიოლოგიურ განსხვავებებს თან ახლავს სხვა, ასევე თანდაყოლილი განსხვავებები ინტელექტისა და ქცევის მოდელების დონეზე. რასობრივი თეორია დღეს ნაკლებად პოპულარულია. სოციოლოგიას აინტერესებს ამ კონცეფციის გამოყენების თავისებურებები ერთი ჯგუფის მიერ მეორის შესავიწროებლად, მაგ., როგორც ნაცისტების მიერ ებრაელების შევიწროებისას; როგორც სამხრეთ აფრიკაში აპართეიდის სისტემის ხელშემწყობი და ა. შ.

რასიზმი რეაქციული *იდეოლოგია*, ფსიქოლოგია, *პოლიტიკა* და პრაქტიკა, რომელიც დაფუძნებულია ადამიანთა *რასის* ვითომდა ბუნებრივ, ბიოლოგიურ, წინასწარგანსაზღვრულ არაერთფასოვნებასა და მათ „მაღალ", „დაბალ", „სრულფასოვან", „არასრულფასოვან" დაყოფაზე, რომელიც ერთი რასის მეორეზე ბატონობის საფუძველს იძლევა. *რ-ის* ისტორიული ძირები ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მოდის. მოგვიანებით იგი ფართოდ გამოიყენებოდა კოლონიზატორების მიერ. მაგრამ *რ-ის* თეორია მხოლოდ XIX ს-ის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა (ჟ. გობინო, „ესე ადამიანთა რასების უთანასწორობის შესახებ", 1884, ჰ. ჩემბერლენი, „მეცხრამეტე ასწლეულის საფუძვლები" 1889, და სხვ.). *რ-ის* არსი შემდეგში მდგომარეობს: რასები თანაბარნი არ არიან და სწორედ ეს მოქმედებს ადამიანთა ხასიათსა და ქცევაზე, *კულტურაზე*, მთლიან სოციალურ ცხოვრებაზე; უპირველეს ყოვლისა, რასობრივი სხვაობა განაპირობებს შესაბამისი რასის წარმომადგენლების ინტელექტუალურ მონაცემებსა და შემოქმედებით შესაძლებლობებს; აღნიშნულით არის განპირობებული, აგრეთვე, რასებისა და ხალხების იერარქიული დაყოფა, რომელიც *საზოგადოების* განვითარების უცვლელ, მუდმივ კანონს წარმოადგენს; რასების აღრევა უარყოფითად მოქმედებს სოციალურ-კულტურულ პროცესებზე და ცივილიზებული საზოგადოება შეიძლება კატასტროფამდე მიიყვანოს. *რ.* ფაშისტური გერმანიისა და ნაციონალ-სოციალიზმის ოფიციალური იდეოლოგია და თეორია იყო. მსოფლიო თანამეგობრობა, გაერო *რ-ს*, როგორც *ადამიანის უფლებების* საყოველთაო და უხეშ დარღვევას

მკაცრად კიცხავს და ყველა ქვეყნისაგან მის აღმოსაფხვრელად ბრძოლას მოითხოვს. (1948 წლის ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, 1963 წლის დეკლარაცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, 1978 წლის დეკლარაცია რასისა და რასობრივი გადმონაშთების შესახებ და სხვ.).

რაციონალიზაცია პროცესი, რომლის მეშვეობითაც თანამედროვე საზოგადოებებში სოციალური პრობლემების გააზრება და გადაჭრა ხდება ლოგიკისა და რაციონალობის საფუძველზე. *რ.*, ვებერის თანახმად, ძირითადი ცნებაა თანამედროვე *კაპიტალიზმის* ანალიზისათვის. მისი გამოხატულებაა მიზან-რაციონალური მოქმედებების განვითარება, რომლებიც ძირითადი მახასიათებელია მოდერნისტული, ტრადიციული საზოგადოების საპირისპიროდ. *რ-ის* პროცესი საფუძვლად უდევს დასავლური საზოგადოებების ეკონომიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების ფუნქციონირებას. მისი გავლენა აშკარაა ისეთ სექტორებზეც, როგორიცაა მეცნიერება, განათლება, მუსიკა და რელიგიური ორგანიზაციები. კერძოდ, ეკონომიკის სფეროში *რ-ის* პროცესის გამოხატულებაა წარმოების ორგანიზება *ბიუროკრატიის* საფუძველზე და მოგების კალკულაცია სისტემატური საბუღალტრო პროცედურების მეშვეობით; სამართლის სფეროში – უნივერსალური კანონების ჩამოყალიბება და დედუქციური აზროვნების პრაქტიკაზე გადასვლა, თვითნებური, პრეცედენტული სამართლის საპირისპიროდ, რომელიც დამახასიათებელი იყო ტრადიციული საზოგადოებებისათვის; პოლიტიკის სფეროში – ქარიზმატული და ტრადიციული ბატონობის შეცვლა ლეგალურით; რელიგიის სფეროში – მაგიისა და რელიგიური საიდუმლოებების ჩანაცვლება პირადი პასუხისმგებლობითა და ა. შ. ზოგი სოციოლოგი ამტკიცებს, რომ *რ-ის* მნიშვნელობა გადაჭარბებულია და რომ თანამედროვე საზოგადოებებს ასევე ახასიათებს ირაციონალობა და აფექტურობა (იხ. აგრ. *რაციონალობა; რაციონალობის ტიპები*).

რაციონალობა ზოგადი აზრით, აღნიშნავს იმას, რაც გონებისეულია, ანუ რისი წვდომა და ახსნა შეიძლება ინტელექტის საფუძველზე, საპირისპიროდ ირაციონალურისა, გონების მიღმიერისა, რომელიც მოითხოვს ჩვეულის, ტრადიციულის, ავტორიტეტულის უპირობოდ მიღებას. შესაბამისად, საჭირო ხდება არაგონებისეული უნარების (თანაგანცდა, მგრძნობელობა და სხვ.) გამოყენება. სოციოლოგები *რ-ს* განიხილავენ როგორც მოდერნიზმის სპეციფიკურ თავისებურებას, რომელიც იმას გულისხმობს, რომ თანამედროვე საზოგადოებებში მოქმედებები იმართება ლოგიკური აზროვნებითა და ინსტრუქციებით. ამით მოდერნისტული საზოგადოებები განსხვავდება ტრადიციულისაგან, სადაც მოქმედებებს აკონტროლებენ იმის საფუძველზე, რაც გამომუშავებულია ხანგრძლივი ჩვევის შედეგად. *რ.* კონკრეტულად უკავშირდება ბიუროკრატიულ ორგანიზაციებს, სადაც ორგანიზაციის წევრთა მოქმედებები კოორდინირებული და კონტროლირებულია წესების მეშვეობით, რათა მიღწეულ იქნეს ორგანიზაციის მიზნები რაციონალური გზით. *რ-ის* ანალიზი სოციოლოგიაში დაკავშირებულია მაქს ვებერის სახელთან, რომელიც განასხვავებდა მიზან-რაციონალურ (Zwerkrational) და ღირებულებით-რაციონალურ (Wertrational) მოქმედებებს (იხ. აგრ. *სოციალური მოქმედების ტიპები; რაციონალიზაცია*).

რაციონალობის ტიპები ვებერი განიხილავს *რაციონალობის* ოთხ ფორ-

მას: ა) კონცეპტუალური (რაციონალური) – იგულისხმება ნებისმიერი კოგნიტური პროცესი, რომელიც რეალობის მართვას ახორციელებს აბსტრაქტული ცნებების აგების გზით. იგი წარმოადგენს კოგნიტურ კონფრონტაციას ადამიანის რეალურ გამოცდილებასთან ისეთი აზროვნებითი პროცესების მეშვეობით, როგორიცაა. ლოგიკური დედუქცია და ინდუქცია, მიზეზობრიობის მიწერა, სიმბოლური მნიშვნელობების ფორმირება და სხვ; ბ) ინსტრუმენტული (პრაქტიკული) – ეს ტიპი ადამიანის მოღვაწეობას განიხილავს წმინდა პრაგმატულ და ეგოისტურ ინტერესებთან მიმართებაში. იგი ითვალისწინებს მოცემული მიზნის მეთოდურ განხორციელებას ტექნიკურად ეფექტური და ოპერატიული საშუალებების გამოყენებით. აქ მოქმედების მოდელები განხილულია არა თვითკმარი ღირებულებების სისტემის, არამედ უტილიტარიზმის პოზიციებიდან; გ) სუბსტანციური (თვითმყოფადი) რაციონალობა – იგი დაკავშირებულია შეფასებით სტანდარტებთან. ეს ფორმა აყალიბებს ვალიდურ წესებსა და კრიტერიუმებს, რომლებიც მოიცავს ეთიკურ იმპერატივებს, ესთეტიკურ საზომებს, სამართლებრივ და პოლიტიკურ მაქსიმებს და ა. შ. მათ საფუძველზე შეირჩევა, გაიზომება და შეფასდება ემპირიულ მოვლენათა ერთობლიობა; დ) ფორმალური რაციონალობა – ეს ტიპი აყალიბებს აბსტრაქტულ პროცედურებს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს პიროვნული კავშირებისა და საზოგადოებრივი თვალსაზრისების გავლენა და მაქსიმალურად გაზარდოს ქმედებების გათვლის შესაძლებლობა. იგი, პრაქტიკული რაციონალობის მსგავსად, სოციალურ მოქმედებებს აქცევს კალკულირებადი წესრიგის ფარგლებში, მაგრამ თუ პრაქტიკული რაციონალობა ყოველთვის ამოდის პრაგმატული ინტერესებიდან, ფორმალური რაციონალობა მიზან-საშუალებათა გამოთვლას ახდენს უნივერსალურად გამოყენებადი წესების, კანონებისა თუ ნორმების საფუძველზე. ასეთი გამოთვლის შესაბამისად, გადაწყვეტილებები მიიღება „პიროვნებების მხედველობაში მიღების გარეშე". ვებერი ფორმალური რაციონალობის გამოკვეთილ ინდიკატორად ბიუროკრატიულ ძალაუფლებას მიიჩნევს.

რაციონალური არჩევანი პოლიტიკური თეორია, რომელიც ნებისმიერ მოქმედ ინდივიდს პოლიტიკური ანალიზის ძირითად ერთეულად განიხილავს. *რ. ა-ის* თეორია ახორციელებს პოლიტიკური ურთიერთობების მოდელირებას იმ ფუნდამენტური დაშვებიდან გამომდინარე, რომ მოქმედებისას ინდივიდები ყველაზე უფრო რაციონალური და უსაფრთხო მოტივებით სარგებლობენ. თეორია ემყარება მიკროეკონომიკურ თეორიებში დამუშავებულ ტექნოლოგიებს. *რ. ა.* ხასიათდება ორი ძირითადი ნიშნით – გარდამავლობით და მუდმივობით. არჩევანის დედუქციები შეიძლება შემოწმდეს პოლიტიკოსების კონკრეტული მოქმედებების ფონზე. სწორედ ამ კონტექსტში გამოითქმება თეორიის საპირისპირო მოსაზრება, რომ *რ. ა.* შეიძლება განხორციელდეს საკითხთან დაკავშირებული მხოლოდ სრული ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, რაც პრაქტიკულად არც ერთი ინდივიდისათვის არ არის ხელმისაწვდომი.

რაციონალური არჩევანის თეორია სხვანაირად რაციონალური მოქმედების თეორიასაც უწოდებენ. თავიდან ცნობილი გახდა გაცვლის თეორიის (პიტერ ბლაუ, ჯორჯ ჰომანსი) სახელით და წარმოადგენდა ოპოზიციურ რეაქციას პარსონსის „გრანდთეორიაზე", რომელიც, მართალია, „ერთეული აქტის" განხილვით იწყება, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, სოციალური და

კულტურული სისტემის ინტერესებს ანაცვალებს ინდივიდის ვოლუნტარისტულ ავტონომიურობას. *რაციონალური* მოქმედების თეორია (ჯ. კოლემანი, ჯ. ელსტერი, მ. ჰოლისი, ჯ. გოლდსორპი), პირიქით, სოციალური სისტემისა და კოლექტივის ინტერესებს უგულებელყოფს და ამოსავლად ინდივიდის კერძო ინტერესებს აცხადებს. ამ თეორიას აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული უტილიტარული ხასიათი: დოგმატური საწყისი პრინციპის – არ არსებობს ისეთი რამ, რასაც საზოგადოების ინტერესები ჰქვია – ფონზე, იგი აღიარებს, რომ ინდივიდები რაციონალურად მოქმედებენ კერძო სიტუაციაში პირადი სარგებლობის (მოგების) მაქსიმალური გაზრდის უზრუნველსაყოფად და დანაკარგების მინიმუმამდე შესამცირებლად. ყოველ ინდივიდს აქვს საკუთარი უპირატესობების სკალა და ამის შესაბამისად აკეთებს არჩევანს, რამაც მას მაქსიმალური კმაყოფილება უნდა მოუტანოს.

რეალიზმი (პოლიტიკური) იხ. *პოლიტიკური რეალიზმი.*

რეალპოლიტიკა დიპლომატიური გზებითა და *ძალის* გამოყენებით მოკლევადიანი, ზომიერი ამოცანების გადაწყვეტის *პოლიტიკა,* რომელიც XIX ს-ის მეორე ნახევრის გერმანიასა და კანცლერ ბისმარკის სახელს უკავშირდება. *რ-ს* ხშირად უმართებულოდ აიგივებენ ძალის პოლიტიკასთან.

რეგალია სამეფო ხელისუფლების გამოსარჩევი გარე სიმბოლიკა – გვირგვინი, სკიპტრა და სხვ. შემდგომში ტერმინის ამ მნიშვნელობიდან გავრცელდა მონათესავე გაგებაც, რომელიც *რ-დ* თვლიდა საერთოდ წარჩინების სიმბოლიკას, ორდენს, მედალსა და ა. შ. ტერმინის საზრისი შუა საუკუნეების ევროპაში კვლავ მეფეებს უკავშირდებოდა და გულისხმობდა მათი განსაკუთრებული სახის პრივილეგიებსა (საბაჟო, სასამართლო ან სხვადასხვა საჯარიმო სანქციებით შემოსულ თანხებს) და მათი განკარგვის უფლებას.

რეგიონალიზმი შეხედულებებისა და იდეების კომპლექსი, რომელიც მოსახლეობას შიდა სახელმწიფოებრივ ან საერთაშორისო დონეზე არსებული რეგიონის მიმართ აქვს. რეგიონები, ძირითადად, გეოგრაფიული სიახლოვისა და სოციალური ერთგვაროვნების პრინციპებით განისაზღვრება. *სახელმწიფოთა* შიგნით *რ-ის* იდეა ხშირად ეთნიკურ სეპარატიზმსა და რეგიონის დამოუკიდებლობის ან მეტი ავტონომიის მოთხოვნებს უკავშირდება. საერთაშორისო დონეზე *რ.* ეკონომიკური ეფექტურობის ზრდასთან და საერთო უსაფრთხოების მოთხოვნილებებთან ასოცირდება. *რ-ის* ინსტიტუციური განხორციელების მაგალითებია ალიანსები, საერთო ბაზრები და თავისუფალი ვაჭრობის ზონები. *რ-ის* ზრდა მსოფლიოში, ერთი მხრივ, სახელმწიფოს *სუვერენიტეტის* შემცირებას იწვევს, მეორე მხრივ კი უსაფრთხოების, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და სხვა დარგებში უნივერსალური ინსტიტუტების ჩამოყალიბებას უშლის ხელს.

რეგიონული უსაფრთხოება იხ. *უსაფრთხოების თანამეგობრობა* და *უსაფრთხოების კომპლექსი.*

რეგლამენტი სახელმწიფო ორგანიზაციის, დაწესებულების საქმიანობის განმსაზღვრელი წესების ერთობლიობა. მსგავსი მნიშვნელობით ტერმინი შეიძლება შეგვხვდეს როგორც სხდომის, კონფერენციის ან ყრილობის სესიათა წარმართვის წესების აღმნიშვნელი. დაბოლოს, *რ-ებად* იწოდება ზოგიერთი საერთაშორისო კონგრესისა და კონფერენციის დასკვნითი აქტები, როგორიც იყო, მაგ., 1815 წლის ვე-

ნის კონგრესის რეგლამენტი.

რევანშიზმი *ომში* დამარცხებული ქვეყნის რადიკალური პოლიტიკური წრეების კურსი, რომელიც მიმართულია ომით დაკარგული პოზიციების აღდგენისკენ ნებისმიერი, მათ შორის საომარი მოქმედებების გაჩაღების გზით. *რ-ის* პოლიტიკა *აგრესიის* წინაპირობაა. შურისძიებისა თუ რევანშის ფსიქოლოგიის გაღვივებით შესაბამისი პოლიტიკური წრეები მოითხოვენ და ცდილობენ დაკარგული ტერიტორიების, ომამდელი საზღვრების აღდგენას. *რ-ის* ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომამდელი გერმანიის პოლიტიკა, როდესაც *ნაცისტებმა* დაიწყეს პირველი მსოფლიო ომის შედეგების გადასინჯვა. ამ პოლიტიკამ მსოფლიო ახალ ომამდე მიიყვანა.

რევიზიონიზმი ფართო მნიშვნელობით ამჟამად ტერმინი გამოიყენება იმ პოლიტიკური შეხედულებების აღსანიშნავად, რომლებიც მიმართულია ადრე აღიარებული შეხედულებების წინააღმდეგ. თავდაპირველად ტერმინი გამოიყენებოდა იმ მარქსისტების მოღვაწეობის კრიტიკისათვის, რომლებმაც დაიწყეს თავად მარქსის თეორიის გადასინჯვა. რევიზიონისტებს შორის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო XIX ს-ის გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ლიდერი, ედუარდ ბერნშტეინი (1885-1932). ის ამტკიცებდა, რომ *კაპიტალიზმი* უფრო ხანგრძლივი და სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, ვიდრე ეს მარქსს ეგონა და რომ *სოციალიზმის* მიზნები შეიძლება მიღწეული იყოს *რევოლუციისაგან* განსხვავებული, დემოკრატიული ხერხებით.

რევოლუცია ხელისუფლების დამხობის გზით არსებული პოლიტიკური სისტემის ან *რეჟიმის* ძირეული, ხარისხობრივი შეცვლა, რომელსაც თან ახლავს საზოგადოებრივი და ეკონომიკური ურთიერთობების რადიკალური გარდაქმნა. *რ-ს* საფუძვლად უდევს *ელიტების* დაპირისპირება და სახალხო მასების *აჯანყება*, რასაც როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო მიზეზები აქვს. ხშირად საბოლოო მიზნები მონაწილეთა თავდაპირველი მიზნებისაგან განსხვავებულია. რთულია განსაზღვრო, თუ როდის იწყება და მთავრდება *რ.* ისტორიაში ცნობილია *რ-ური* სიტუაციები, რომლებიც *გადატრიალებით* არ დამთავრებულა. განასხვავებენ პოლიტიკურ და სოციალურ *რ-ებს*. პირველი, როგორც *სახელმწიფოს* ხელისუფლების ხასიათის, ასევე მისი აპარატის შემადგენლობის ცვლილებასაც ინვევს. სოციალური *რ-ები* გაცილებით უფრო იშვიათად ხდება და ისინი პოლიტიკურ და სოციალურ გარდაქმნებს, კლასობრივ ბრძოლასა და რადიკალური ცვლილებების მოთხოვნით ქვემოდან ზეწოლას ითვალისწინებს. მასების ეს გამოსვლა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა მონაწილეთა მიერ, რომელთაც თავიანთი, ხშირად ფართო მასებისაგან განსხვავებული მიზნები აქვთ. იმისდა მიხედვით, თუ როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მისი ესა თუ ის მოქმედი პირები, *რ-ის* აღქმა სხვადასხვაგვარია. სოციალური ცვლილებების სილრმე *კლასობრივი ბრძოლის* ინტენსივობაზე, კლასობრივი ძალების განლაგებაზე, სტრატეგიაზე, რევოლუციური ძალების ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობაზე, ასევე არსებული ხელისუფლების სიცოცხლისუნარიანობაზეა დამოკიდებული. კარლ მარქსი *რ-ს* „ისტორიის ლოკომოტივს“ უწოდებდა. ისტორიული პროცესის განვითარების შესახებ მარქსის შეხედულებები ყველაზე უფრო მოკლედ გადმოცემულია მისი ნაშრომის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ წინასიტყვაობაში (1859). *რ-ები* საზოგადოებრივ *ძა-*

ლებსა და საზოგადოებრივ საწარმოო საშუალებებს შორის არსებული წინააღმდეგობების შედეგად წარმოიშობა, რაც კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასა და „სოციალური რევოლუციის ეპოქის" დადგომაში გამოიხატებოდა. ყოველი *კლასი* გაბატონებული კლასის წინააღმდეგ პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლის პროცესში თავის თვითშეგნებას ავითარებდა. შედეგი ახალი წარმოებითი ურთიერთობებისა და მისი შესაბამისი იდეოლოგიური ფორმების – გამარჯვებული კლასის ჰეგემონიის დამყარება იყო. მარქსის აზრით, არც ერთი საზოგადოებრივი წყობილება არ ამოწურავს თავის თავს, სანამ არ ამოიწურება საწარმოო ძალების განვითარების შესაძლებლობა და არ მომწიფდება ახალი წარმოებითი ურთიერთობები. მარქსი უშვებდა ზოგიერთ განვითარებულ ქვეყნებში (მაგ., დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში) ახალ საზოგადოებრივ წყობილებაზე მშვიდობიანი გზით გადასვლის შესაძლებლობას, მაგრამ, ამასთან, ამტკიცებდა, რომ სოციალისტურ *რ-თა* უმეტესობას ძალადობის ხასიათი ექნებოდა. მარქსის თეორია იმ გათვლას ეყრდნობოდა, რომ *რ-ები* მაღალგანვითარებულ, საწარმოო ქვეყნებში ხდება. მაგრამ ისტორიამ გვიჩვენა, რომ *რ-ები* როგორც განვითარებულ, ისე არასაკმარისად განვითარებულ საზოგადოებებში ხდება. *მარქსისტებისაგან* განსხვავებით, სხვა მეცნიერები, განსაკუთრებით კი ისინი, ვინც სოციალურ-პოლიტიკური ევოლუციონიზმის პოზიციაზე დგანან, თვლიან, რომ ოპტიმალურია საზოგადოების თანდათანობითი, *ევოლუციური* განვითარება, ხოლო *რ.* ისტორიის ნორმალური მსვლელობიდან გადახრას, ანომალიას წარმოადგენს. მათ მიაჩნიათ, რომ ევოლუციური რეფორმების საშუალებით ღრმა სოციალური ცვლილებების განხორციელებაა შესაძლებელი, რაც *რ-ების* თანმდევი მასობრივი მსხვერპლის, ხალხის უბედურების, ძალადობის, ქაოსისა და განუკითხაობის თავიდან აცილების საშუალებას იძლევა.

რეიფიკაცია აბსტრაქტული ცნების განხილვა, თითქოს მას ჰქონდეს რეალური (კონკრეტული) არსებობა. როგორც წესი, *რ-ს* აქვს უარყოფითი დატვირთვა, რადგან ითვლება, რომ ცნების რეალურად მიჩნევა არალეგიტიმური და მცდარია. მაგ., *მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის* წარმომადგენლები ბრალს სდებენ *ფუნქციონალისტებს*, რომ ისინი ახდენენ ზოგადი ცნებების *რ-ს*, როგორიცაა *საზოგადოება* ან *სტრუქტურა*. ამრიგად, *რ.* ხშირად უკავშირდება საზოგადოების შესახებ ფუნქციონალური ცნებების კრიტიკას, რამდენადაც ფუნქციონალისტები ამტკიცებენ, რომ საზოგადოება არსებობს „იმის იქით", რასაც მისი შემადგენელი ინდივიდების ჯამი გულისხმობს. სიტყვასიტყვით ეს ტერმინი აღნიშნავს „გასაგნებას" („განივთებას"); მისი შემოტანა დაკავშირებულია მარქსისტების, კერძოდ, ლუკაჩის (1885-1971) სახელთან. ისინი ამ ტერმინით გამოეხმაურნენ არამარქსისტების ტენდენციას, რომ მკაცრი საგნობრივი სტატუსი მიეწერათ იმისათვის, რაც დანახული უნდა ყოფილიყო როგორც სოციალურ ურთიერთობათა რთული და ცვალებადი ქსელი. ლუკაჩის თანახმად, *რ.* გვხვდება კაპიტალისტურ საზოგადოებებში, სადაც საქონელი ინარმოება გაცვლისათვის და არა უშუალო მოხმარებისათვის. ეს გაცვლა კი ნიღბავს ინდივიდებს შორის არსებულ სოციალურ ურთიერთობებს და განიხილება როგორც ადამიანის კონტროლს დაუქვემდებარებელი, გაყინული და უცვლელი.

რეკლამა პროცესი და საშუალებები (*მასმედია*), რომელთა მეშვეობითაც მოხმარების საგნების შესახებ ინფორ-

მაცია მიეწოდება მომხმარებელს. *რ-ის* ნიშნები უკვე XV ს-ში შეინიშნება, როდესაც „მოძრავი ანბანით“ ბეჭდვა გამოიგონეს. დღეს *რ-ს* განიხილავენ არა მხოლოდ როგორც სიუხვის უშუალო ნიშანს და მაჩვენებელს, არამედ როგორც კულტურის მოვლენას, თავისუფლების მაჩვენებელს, აღიქვამენ როგორც რაღაც ფუნდამენტურ ღირებულებას, რომლის მნიშვნელობა ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა გახდა თანამედროვე სოციოლოგიაში. ნიშნებით აქტიური მანიპულირება იქამდე მიდის, რომ ნიშანი და საქონელი ერთიან მთელში შეირწყმება (ჟან ბოდრიარი, 1970). არსებობს *რ-ის* ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მეთოდების მთელი არსენალი. მასიურმა *რ-მ* შექმნა მომხმარებლური ციებ-ცხელება. სოციოლოგების აზრით, *რ.* განაპირობებს მოხმარების პერსონალური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტას. სოციოლოგები მიუთითებენ, რომ *რ.* სერიოზულ მარეგულირებელ ფუნქციებს ასრულებს საზოგადოებაში, რადგან კურნავს ფსიქიკურ არამდგრადობას.

მეორე ასპექტია ზემოქმედება მაუწყებლობის ზოგად შინაარსზე, იგი გავლენას ახდენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შინაარსისა და სტრუქტურის ორგანიზაციაზე, მოქმედებს როგორც სისტემის *პატრონაჟი*, ემსახურება უფრო წარმოებას, ვიდრე პოლიტიკური დემოკრატიის ღირებულებების დაცვას. თანამედროვე *ინდუსტრიულ საზოგადოებაში რ.* არის *საზოგადოების* ქვესისტემა, რომელიც ეკონომიკური კომუნიკაციებით განპირობებულ სოციალურად და კულტურულად აუცილებელ ფუნქციებს ასრულებს.

რელიგია 1. რწმენისა და პრაქტიკის უნიფიცირებული სისტემა საკრალურ (წმინდა) საგნებთან მიმართებაში. მოწინებით დაცულ და განცალკევებულ საგანთა ერთობლიობა, რომელიც მის მომხრეებს აერთიანებს მორალურ თემში ან *კიდევ ეკლესიაში* (დიურკემი). სოციალური ფუნქციის თვალსაზრისით, არ არსებობს მკვეთრი განსხვავება *რ-სა* (რომელიც აღიარებს სულისა და ზებუნებრივი ძალების არსებობას) და სხვა სოციალურად გამაერთიანებელ იდეას, მაგ., *ნაციონალიზმს* შორის. ეს უკანასკნელი შეიძლება განიხილებოდეს როგორც *რ-ის* ფუნქციონალური ალტერნატივა ან კიდევ მისი ფუნქციონალური ეკვივალენტი. ამას გარდა, ზოგი *რ.* და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა, რომელიც ტრადიციულად *რ-დ* ითვლება (მაგ., კონფუციანელობა და *ბუდიზმი*), *რ-ის* სტანდარტულ განსაზღვრებაში (სულებისა და ღმერთების თაყვანისცემა) ძნელი მოსაცევია; 2. გელენის თანახმად, *რ-დ* შეიძლება იწოდებოდეს დოქტრინა, რომელიც ამომწურავ პასუხს იძლევა იმ ძირითად და ეგზისტენციალურ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა ემპირიულად შეუძლებელია; 3. ტაილორის (Tylor E. B.) თანახმად, სულების არსებობის რწმენა და მასთან დაკავშირებული წესები და პრაქტიკა.

რელიგიის სოციოლოგია *სოციოლოგიის* დარგი, იკვლევს *რელიგიაზე* საზოგადოებრივ მოთხოვნილებასა და *საზოგადოებაზე* რელიგიის ზეგავლენას, რელიგიისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების საკითხებს. იგი ესაზღვრება რელიგიათმცოდნეობას და თეოლოგიას. *რ. ს.*, როგორც დამოუკიდებელი დარგი XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში ყალიბდება. მაქს ვებერი მიჩნეულია *რ. ს-ის* ფუძემდებლად. შრომებში „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება“ და „მსოფლიო რელიგიების სამეურნეო ეთიკა“ იგი იკვლევდა ეკონომიკურ ცხოვრებაზე და *რაციონალობის* განვითარებაზე

რელიგიური ეთიკის ზეგავლენას. ვებერი მიიჩნევდა, რომ ეკონომიკურ ცხოვრებაზე ზეგავლენას ახდენს არა საკუთრივ ეკონომიკური კანონები, არამედ რელიგიური ეთოსი. ამ მოსაზრებით ვებერი დაუპირისპირდა ისტორიის მატერიალისტურ გაგებას, *მარქსიზმს*, რომლის თანახმადაც, რელიგია წარმოადგენს ზედნაშენსა და ეკონომიკური ურთიერთობების პროდუქტს. ე. დიურკემი შრომაში „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები" (1912) რელიგიას განიხილავდა, როგორც საზოგადოების ფუნქციონალური ინტეგრაციის უნივერსალურ საშუალებას, რითაც მან საფუძველი ჩაუყარა რელიგიის ფუნქციონალისტურ თეორიას. ახალი მიმართულება *რ. ბ-ში* დაკავშირებულია ფრანგი სოციოლოგის გაბრიელ ლე ბრასის სახელთან. რელიგიის „ახალ" სოციოლოგიაში საუბარია თეოლოგებსა და სოციოლოგებზე, რომლებიც რელიგიას *ქრისტიანობასთან* და, თავის მხრივ, ქრისტიანობას *ეკლესიასთან* აიგივებენ. ამის გამო ამ მიმართულების სოციოლოგები დაკავებულნი არიან მხოლოდ ინსტიტუციონალიზებული ქრისტიანობის, შესაბამისად, ეკლესიის კვლევით. ახალი რელიგიის სოციოლოგიას ეკლესიის სოციოლოგიასაც უწოდებენ. იმისდა მიხედვით, თუ რა მიზანს ისახავს და რა ინტერესებს ემსახურება რელიგიის ახალი სოციოლოგია, საქმე გვაქვს რელიგიის ახალი სოციოლოგიის იდეოლოგიზაციასა ან გაეკლესიურებასთან. ამის გამო საუბრობენ რელიგიის ახალი სოციოლოგიის „მარქსისტულ" და „ბურჟუაზიულ" ფორმაზე. რელიგიის ახალი სოციოლოგიის „მარქსისტული" მიმართულება დარწმუნებულია, რომ სოციოლოგიის მეშვეობით შესაძლებელია რელიგიის დაძლევა; რელიგიის ახალი სოციოლოგიის „ბურჟუაზიულ" მიმართულებას კი იმედი აქვს, რომ *რ. ბ-ს* შეუძლია რელიგიის გადამრჩენის როლი შეასრულოს. უკანასკნელ წლებში მატულობს იმ სოციოლოგთა რიცხვი (მაგ., საფრანგეთში), რომლებიც რელიგიის სოციოლოგიის ეკლესიის სოციოლოგიად ტრანსფორმაციას უარყოფენ, თუმცა ეს არ გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ *რ. ს.* დღეს ევროპაში კრიზისს განიცდის, განსხვავებით ამერიკისაგან, სადაც იგი წარმატებით ვითარდება. ამერიკული *რ. ბ.* აჩვენებს, თუ რა ნაყოფიერი შეიძლება იყოს კლასიკოსების, კერძოდ კი ვებერის თეორიის გამოყენება ამ სფეროში. 1930 წელს ტ. პარსონსმა ინგლისურად თარგმნა მ. ვებერის „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება". *რ. ბ-ის* საკითხებს იკვლევდა ასევე რ. მერტონი. მერტონმა ყურადღება გაამახვილა ვებერის მიერ „პროტესტანტული ეთიკის" შენიშვნაში ხსენებულ ფაქტზე, პურიტანიზმსა და მეცნიერებას შორის არსებულ კავშირზე, რასაც შედეგად მოჰყვა მერტონის შრომა „მეცნიერება, ტექნიკა და საზოგადოება XVII ს-ის ინგლისში". ამ შრომამ ახალი იმპულსი მისცა როგორც მეცნიერების სოციოლოგიას, ასევე *რ. ბ-ს. რ. ბ-ს* საუნივერსიტეტო აღიარება მოუპოვეს ისეთი სოციოლოგების შრომებმა, როგორებიც არიან ჯ. მილტონ ინგერი (J. Milton Yinger) და დევიდ ო. მობერგი (David O. Moberg). 60-70-იან წლებში სოციოლოგიაში ძლიერდება ფენომენოლოგიური მიდგომის პოზიციები. ბერგერი და ლუკმანი ჰუსერლის ფილოსოფიაზე დაყრდნობით ცდილობენ საზოგადოება და სოციალური ინსტიტუტები განიხილონ როგორც ადამიანთა ინტერსუბიექტური ცნობიერების პროდუქტი. მათი პოსტულატი მდგომარეობს „სოციალური რეალობების" პლურალიზმში, სადაც მთავარი ადგილი „ყოველდღიური ცხოვრების რეალობას" უჭირავს, სწორედ მასზე იგება „სიმბოლური უნივერსუმების" ანუ რელიგიის, ხელოვნების, რელიგიის ფილოსოფიის სისტემა.

ბერგერი და ლუკმანი ფართოდ იყენებენ ცნობიერების ინტენციონალობის პრინციპს, რომელიც საშუალებას იძლევა, თავიდან ავიცილოთ რელიგიური რწმენის საგნის ილუზორულობისა თუ რეალურობის საკითხი. ლუკმანი წიგნში „უხილავი რელიგია" აყალიბებს რელიგიის საკუთარ გაგებას. ის ერთმანეთისაგან განასხვავებს რელიგიურობის საეკლესიო და რელიგიის „არასპეციფიკურ" საყოველთაო სოციალურ ფორმას. ეს უკანასკნელი არსებობს ადამიანის ბიოლოგიური ბუნების „ტრანსცენდირებისა" და საზოგადოების მიერ გამომუშავებული მნიშვნელობათა სხვადასხვა სისტემის ათვისების წყალობით. ლუკმანის თანახმად, რელიგიის საფუძველი ადამიანის ანთროპოლოგიურ ბუნებაში დევს.

რეპატრიაცია იმ პირთა დაბრუნება სამშობლოში, რომლებიც სხვადასხვა იძულებითი გარემოების გამო სხვა *სახელმწიფოს* ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ. *რ.* ხშირად დაკავშირებულია *მოქალაქეობის* შეცვლასთან. სამხედრო ტყვეების *რ-ის* ვალდებულებას ითვალისწინებს ჟენევის 1949 წლის კონვენცია ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ, რომლის თანახმად, ომის მონაწილე მხარეთა მოვალეობაა სამხედრო მოქმედების დროს სამშობლოში დააბრუნონ მძიმედ დაჭრილი ტყვეები და ავადმყოფები, ხოლო სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შემდეგ ტყვეები დაუყოვნებლივ გაცვალონ. ამასთან, გაცვლა შეიძლება არ შეეხოს მძიმე ავადმყოფს, ბრალდებულსა და მსჯავრდებულს.

რეპრეზენტატულობა ტერმინი გულისხმობს რაიმე მოვლენის (ობიექტის, რიცხვის, გამოსახულებისა და ა. შ.) უნარს, ჩაანაცვლოს საგანი ან თვითონ ჩანაცვლდეს რაიმეთი ზოგადი სტრუქტურის დარღვევის ან სისტემატურ შეცდომათა დაშვების პირობების შექმნის გარეშე. *რ.* შერჩევითი ერთობლიობის ძირითადი მახასიათებელია. რეპრეზენტატული შერჩევა ზუსტად ასახავს იმ პოპულაციას, საიდანაც შერჩევა მოხდა. მას მიუკერძოებელ შერჩევად მიიჩნევენ. შერჩევის ყველა სისტემატური პროცედურა დამუშავებულია სწორედ ასეთი შერჩევის შესაქმნელად, რომლის რეპრეზენტატულობის ხარისხი დამოკიდებულია შერჩევითი ერთობლიობის ზომაზე, შერჩევის ტიპსა და მის რეალიზაციაზე.

რესპონდენტი პირი, რომელიც სოციოლოგიურ *გამოკითხვაში* (*ანკეტირებაში* ან *ინტერვიუში*) მონაწილეობს და ინფორმაციის წყაროს ან კომუნიკატორს წარმოადგენს. პირველადი სოციალური მონაცემები დასმულ კითხვებზე გაცემული შესაბამისი პასუხების სახით მიიღება. *რ-ს* სოციოლოგიურ გამოკვლევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე ბევრადაა დამოკიდებული კვლევის საბოლოო შედეგების საიმედობა (სანდოობა).

რ-ები შეიძლება იყვნენ როგორც ექსპერტები (სპეციალური *რ-ები*, რომლებიც თავიანთი პროფესიული საქმიანობის ან ცხოვრებისეული გამოცდილების გამო საკვლევ თემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ), ისე ტიპური წარმომადგენლები (ე. ი. საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის, ჯგუფის წევრები, რომლებსაც შესასწავლი საკითხის შესახებ გარკვეული ცოდნა აქვთ).

არსებობს *რ-თა* სხვა ტიპებიც; ლ. რ. გორდენი (L. R. Gorden) სამი ტიპის *რ-ს* გამოყოფს: 1. ძირითადი ინფორმატორები (მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია კვლევის სტრატეგიულ პრობლემებს ეხება), 2. სპეციალური *რ-ები* (პირები, რომლებიც მკვლევარს გამოკვლევის პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებულ ინფორმაციას

ანწდიან), 3. ტიპური წარმომადგენლები (სოციალური ჯგუფებისა და დემოგრაფიული პოპულაციების წარმომადგენლები).

კ. პლამერი (K. Plummer) განასხვავებს *რ-თა* შემდეგ ტიპებს: ტიპური (ჩვეულებრივი) წარმომადგენლები (მოსახლეობის ფართო მასების ნიმუშები), *მარგინალები* (რომლებიც ორ *კულტურას* შორის კონფლიქტის მატარებლები არიან), ექსტრემალური ტიპები (ისინი გარკვეული ტენდენციის მაჩვენებლები არიან) და აგრეთვე, გამოჩენილი პიროვნებები (რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს გარკვეული სფეროს განვითარებაზე ან გარკვეულ ეპოქაზე).

რ-ის ნაცვლად ზოგჯერ ხმარობენ ტერმინს „ინფორმანტი", როდესაც გამოკვლევის დროს არაფორმალური კვლევითი ტექნიკა (როგორიცაა, მაგ., არასტრუქტურიზებული ინტერვიუები) გამოიყენება.

რესპუბლიკა სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც მმართველობის ყველა უმაღლესი ინსტიტუტი ან არჩევითია, ან ყალიბდება საერთო სახალხო წარმომადგენლობითი დაწესებულებების (*პარლამენტების*) მიერ. *რ-ში* გარანტირებულია მოქალაქეთა პირადი პოლიტიკური უფლებების დაცვა. ლიტერატურული ტრადიციის მიხედვით, „რესპუბლიკა" თავდაპირველად *სახელმწიფოს* სინონიმურ ტერმინად გამოიყენებოდა. სწორედ ამგვარად ითარგმნა ლათინურად პლატონის პოლიტიკური ტრაქტატის სახელწოდება. უფრო გვიან, XVII ს-დან *რ-ს* უწოდებდნენ ისეთ სახელმწიფოს, რომელშიც არ არსებობდა სამეფო ხელისუფლება. თანამედროვე მნიშვნელობა *რ-მ* გაცილებით გვიან მიიღო, თუმცა, აქაც მედისონი განასხვავებდა პოლიტიკურ მმართველობას, რომელიც ემყარება წარმომადგენლობითობას (მისი ტერმინოლოგიით, *რ-ს*) და სახელმწიფოს, რომელშიც ყოველი მოქალაქე პირადად მონაწილეობს მმართველობაში (*დემოკრატიას*).

რესპუბლიკანიზმი იხ. *რესპუბლიკა*.

რესტავრაცია რაიმეს პირველადი ან მასთან მიახლოებული სახით აღდგენა. ტერმინის პოლიტიკური მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, ამა თუ იმ მმართველობასთან, რეჟიმთან მიმართებით გამოიყენება. *რ-ის* ნიმუშებად შეიძლება დასახელდეს საფრანგეთში ბურბონების დინასტიის ორჯერ აღდგენა (1814-1815 და 1915-1930 წლებში). *რ-ის* სულისკვეთება მკაფიოდაა წარმოდგენილი დახასიათებაში, რომელსაც ბურბონების აღდგენილ *რეჟიმს* აძლევდნენ თანამედროვეები – კერძოდ, ემიგრაციაში მყოფმა სამეფო გვარმა ვერც დაივიწყა და ვერც ისწავლა რაიმე.

რეტრიტიზმი მერტონის მიხედვით, *დევიაციის* ერთ-ერთი ფორმა, როდესაც ინდივიდები უარყოფენ როგორც *საზოგადოებაში* (*კულტურაში*) აქცენტირებულ (გაზიარებულ) მიზნებს, ისე მიზნის მიღწევის *ლეგიტიმურ* (ინსტიტუციურ, კანონიერ) საშუალებებს. ეს ადამიანები „ამოვარდნილები" არიან საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, თავს გრძნობენ „უცხოებად", განდგომილნი არიან ადამიანებისაგან, იკეტებიან თავიანთ სამყაროში, ხდებიან მარტოსულები. ასეთ ადამიანთა კატეგორიას ეკუთვნიან მაწანწალები, ლოთები, ნარკომანები... მერტონი ყურადღებას ამახვილებს *რ-ის* სოციალურ-სტრუქტურულ წყაროებზე – ხშირად არსებული სოციალური გარემო ზღუდავს ან საერთოდ კეტავს ინდივიდისათვის ხელმისაწვდომი ინსტიტუციური საშუალებებით წარმატების მიღწევის შესაძლებლობას. იქმნება ორმაგი კონფლიქტი – მორალური ვალდებულება

იმისა, რომ გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კანონიერი საშუალებები, წინააღმდეგობაში მოდის გარეგან იძულებასთან – მიზნის მისაღწევად მოხდეს აკრძალული, მაგრამ ეფექტური საშუალებების გამოყენება. ამდენად, ინდივიდს ერთმევა შესაძლებლობა, გამოიყენოს საშუალებები, რომლებიც კანონიერიც იქნებოდა და ეფექტურიც. კონფლიქტი გადაიჭრება როგორც მიზნების, ისე საშუალებების უარყოფის გზით, ინდივიდი ხდება ტოტალურად გაუცხოებული. მარტოობაში გაქცევა არის არჩევანის შედეგი და არა დამარცხების სიმპტომი. *რ.* დევიაციის უფრო ინდივიდუალური ტიპია, ვიდრე კოლექტიური (*იხ. ინოვაცია, რიტუალიზმი, ამბოხი*).

რეფერენდუმი სახელმწიფო ცხოვრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის საკითხზე მოწყობილი საერთო სახალხო კენჭისყრა. არსებობს *რ-ის* სხვადასხვა ფორმა. საკანონმდებლო *რ-ის* შემთხვევაში სახალხო განხილვის საგანი ხდება *კანონის* პროექტი. კონსტიტუციური *რ-ის* შემთხვევაში სახალხო განხილვის საგანია მთელი *კონსტიტუცია* ან ცვლილება მასში. დაბოლოს, შეიძლება არსებობდეს ე. წ. კონსულტატიური *რ.*, რომელიც, პრინციპში, საზოგადოებრივი აზრის გაგებას გულისხმობს ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხზე. *რ-ებს* სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული სახე და ფორმა აქვს, რაც განისაზღვრება როგორც ქვეყნის პოლიტიკური ტრადიციით, ასევე კონკრეტული პოლიტიკური ვითარებებით. ყველა შემთხვევაში *რ-ის* გამართვა ასუსტებს როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიების როლს, არსებითი ზეგავლენა იქონიონ პოლიტიკური კურსის ფორმირებაზე, თუმცა, თავად *რ.* მეორე შემთხვევაში შეიძლება გაიმართოს აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის, *პრეზიდენტის* ან საკანონმდებლო ხელისუფლების, *პარლამენტის* ინიციატივით. *რ-ის* მოწყობას აქვს როგორც დადებითი (პოლიტიკოსები უფრო გულისხმიერნი ხდებიან ამომრჩეველთა განწყობის მიმართ), ასევე უარყოფითი მხარეები (ხშირი *რ-ით* მოსახლეობის „გადალიდან" დაწყებული, დასრულებული იმით, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ვერ ერკვევა პრობლემებში და შეიძლება მხარი დაუჭიროს პოლარულად საპირისპირო თვალსაზრისებს).

რეფერენტული ჯგუფი რეალური ან წარმოსახვითი სოციალური ჯგუფი, რომლის ღირებულებათა და ქცევის ნორმათა სისტემა ინდივიდისათვის ეტალონს წარმოადგენს. *რ. ჯ.* სოციალური კატეგორიაა, რომელსაც ინდივიდი ადარებს თავის სოციალურ მდგომარეობას, ატიტუდებს, მოქმედებებს, მრწამსსა და ა. შ. სოციალური *აქტორი* ახდენს თვითიდენტიფიკაციას *რ. ჯ-თან* და საკუთარი ქცევის მასზე ორიენტირებას ცდილობს.

რ. ჯ. შეიძლება იყოს სხვადასხვა სოციალური ერთობა, სინამდვილეში არსებული თუ წარმოსახვითი, მაგ., *ოჯახი*, სკოლა, მეგობრების წრე, სტუდენტური ჯგუფი, სპორტული ორგანიზაცია და სხვ.

ტერმინი *რ. ჯ.* შექმნა ამერიკელმა სოციალურმა ფსიქოლოგმა ჰ. ჰაიმანმა (Herbert Hyman, Archives of Psychology, 1942) ისეთი ჯგუფის აღსანიშნავად, რომლის წევრი ინდივიდი არ იყო, მაგრამ სურდა გამხდარიყო და რომელთან მიმართებაშიც იგი საკუთარ სიტუაციას აფასებდა. მეორე ამერიკელმა მკვლევარმა მ. შერიფმა (M. Sherif) ეს ტერმინი გამოიყენა 1948 წელს, როდესაც მცირე სოციალური ჯგუფები, რომლებიც ზემოქმედებენ ინდივიდის ქცევაზე, დაყო ორ ჯგუფად: ჯგუფები, რომელთა წევრია ინდივიდი (membership groups), და ჯგუფები, რომელთა წევრი არ არის ინდივიდი (nonmembership groups), მაგრამ

ცდილობს თავისი შეხედულებები და ქცევა შეუფარდოს მათ ღირებულებებსა და ნორმებს. ასეთ ჯგუფებს მ. შერიფმა *რ. ჯ-ები* უწოდა. მოგვიანებით სხვა მეცნიერებმა (რ. მერტონი, ტ. ნიეკომი) ტერმინი *რ. ჯ.* განავრცეს ყველა იმ გაერთიანებაზე, რომლებიც ეტალონს წარმოადგენდნენ ინდივიდისათვის თავისი სოციალური მდგომარეობის, შეხედულებების, მოქმედებებისა და სხვ. შეფასებისას.

ახლა ეს ტერმინი უფრო ფართო მნიშვნელობით გამოიყენება. *რ. ჯ.* შეიძლება იყოს ჯგუფი, რომელსაც ინდივიდი არ მიეკუთვნება, ან ჯგუფი, რომლის წევრი ადრე იყო, ან ის ჯგუფი, რომლის წევრობაც მას სურს. ე. ი. სოციალურ აქტორს *რ. ჯ-ად* შეიძლება მიაჩნდეს ჯგუფი (ან ჯგუფები), რომლის წევრი თავად არის ან სხვა, რეალური ან წარმოსახვითი ჯგუფი (ან ჯგუფები).

რ. ჯ. შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნეგატიური. განასხვავებენ შედარებით („კომპარატიულ") და ნორმატიულ ჯგუფებს (გ. კელი). ნორმატიულია ჯგუფი, რომელთანაც ასოცირდება განწყობების, ღირებულებების, ნორმების, შეხედულებებისა და სხვ. ჩამოყალიბება და რომელიც ინდივიდის ქცევის მარეგულირებელ როლს თამაშობს. ნორმატიულ ჯგუფში ინდივიდი ისწრაფვის, მიიღოს ან შეინარჩუნოს აღიარება. შედარებითია *რ. ჯ.*, რომელიც წარმოადგენს იმ სტანდარტს, რომლითაც ინდივიდი აფასებს საკუთარ თავსა და სხვ.

რ. ჯ-ის არჩევისას ინდივიდი ითვალისწინებს ჯგუფის მახასიათებლებს (როგორიცაა, მაგ., ცხოვრების წესი, პრესტიჟი, შემოსავალი, მრწამსი, ღირებულებები, ქცევის ნორმები, ინტერესები და სხვ.).

რეფლექსურობა იხ. *სტრუქტურაციის თეორია; დისკურსული ცნობიერება; პრაქტიკული ცნობიერება.*

რეფორმა *საზოგადოების* რომელიმე პოლიტიკური ინსტიტუტის, პოლიტიკურ სუბიექტთა ურთიერთობების ისეთი გარდაქმნა, რომელიც ხორციელდება მოცემული სისტემის ფარგლებში. პოლიტიკური *რ.* შეიძლება ინიცირებული იყოს გარკვეული ჯგუფების ან პოლიტიკური *პარტიების*, გნებავთ, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ფენების მოთხოვნებით, მაგრამ *რ.* ყველა შემთხვევაში წარიმართება *სახელმწიფო* ხელისუფლების უშუალო მონაწილეობით. სხვადასხვა პერიოდში დასავლეთის ქვეყნებში წარმატებით განხორციელდა სოციალური და პოლიტიკური ხასიათის ლიბერალურ-დემოკრატიული *რ-ები.* სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნების აქტუალობა *რ-ის* წარმატებული განხორციელების გარანტია არ არის. როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის მაგალითი გვიჩვენებს, არსებობს პოლიტიკური სისტემები, რომლებიც რეფორმირებას არ ექვემდებარება. გორბაჩოვის „პერესტროიკის" წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი საბჭოთა ტოტალიტარიზმის ბუნებაში უნდა ვეძიოთ, რომელიც ვერც იდეოლოგიურ, ვერც პოლიტიკურ და ეკონომიკურ *რ-ებს* ვერ ეგუებოდა.

რისკი (პოლიტიკური) ნებისმიერი დონის პოლიტიკური პრობლემის (დაწყებული მთელი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნიდან, ცალკეული ამომრჩევლის ხმით დამთავრებული) გარდაუვლად თანმხლები ფაქტორი, რომელიც თან ახლავს პოლიტიკური მოქმედების ამა თუ იმ ხაზის გათვლას. სარისკო გადაწყვეტილებები მიიღება გაურკვეველი სიტუაციის დროს და ობიექტური პირობებისა და სუბიექტური მოქმედების განსაკუთრებული ურთიერთობებით ხასიათდება. ასეთი გადაწყვეტილების წარმატება დამოკიდებულია არა მარტო წინასწარ გათვლაზე, არამედ მტკიცე ნებასა

და მოვლენათა მსვლელობის არჩეული ალტერნატიული მიმართულებით წარმართვის უნარზე.

რიტუალი ცერემონიული ხასიათის მოქმედებათა სტანდარტული და მყარი თანმიმდევრობა. შეიძლება გაგებულ იქნეს სამი აზრით: **1.** ინდივიდთაშორის ყოველდღიური ურთიერთქმედების პრინციპი, ქცევის ადაპტაციური ფორმა, პიროვნების, ჯგუფის ან დიდი სოციალურ-კულტურული სისტემის ღირებულებითი მახასიათებელი. **2.** მერტონის თვალსაზრისით, *რიტუალიზმი* კულტურულ მიზნებსა და მათ მისაღწევ ინსტიტუციურ ნორმებთან ინდივიდის ადაპტაციის ერთ-ერთი ტიპია. *რ.* ადაპტაციის ისეთი ფორმაა, როცა ინდივიდისთვის კულტურული მიზნები მიუღებელი ხდება, მაგრამ მათი მისაღწევი ინსტიტუციური წესებისა და ნორმების შესრულებას მაინც აგრძელებს. მერტონი *რ-ს* ასე ხსნის: წარმატების მისაღწევად დაწესებული რუტინული პროცედურების მიმდევარი ინდივიდი თავს დაცულად გრძნობს; მარცხში კიდევაც რომ იყოს დარწმუნებული, ინსტიტუციურ მოდელთან თვით ეს შესაბამისობა იცავს მას იმ შფოთისა და ნერვული ჩავარდნებისგან, რომლებიც შეიძლება პროვოცირებულ იქნეს მიზნის მისაღწევად განხორციელებულ ცდათა წარუმატებლობით. **3.** ტრადიციული ნორმები და წესები, რომელთა სისტემატური შესრულება აღარ შეესაბამება რეალური ცხოვრების მოთხოვნილებებსა და ღირებულებებს.

რიტუალიზმი მერტონის მიხედვით, საზოგადოებაში ინდივიდთა შეგუების ტიპი, როდესაც ხდება ინსტიტუციური ნორმების გამძაფრებული, უპირობო დაცვა კულტურაში აქცენტირებული მიზნების გათვალისწინების გარეშე. ასე იქცევა, მაგ., ორგანიზაციის წევრი, რომელიც ზედმიწევნით იცავს ორგანიზაციის წესებს, თითქოს ეს იყოს ერთადერთი პირობა (მიზეზი) ამ ორგანიზაციის არსებობისა და მასში მისი უსაფრთხოების შენარჩუნებისა. ესაა მოხელე, რომელიც, შეშინებული იმით, რომ შეიძლება დაითხოვონ ან ვითარება გაუუარესდეს, თავისი შრომის მწარმოებლურობას ყინავს განსაზღვრულ – არც ზრდად და არც კლებად – დონეზე. ინდივიდი უარს ამბობს ძირითად კულტურულ მიზნებზე და რუტინული წესრიგისადმი უსაზღვრო ერთგულებით გამოირჩევა. მოქმედებს ამ შემთხვევისათვის ტიპური ლოგიკა: „არ დაისახოთ მაღალი მიზნები – არ იქნება იმედგაცრუებაც“, ანდა, „ვცდილობ, ვითამაშო ფრთხილად და თავი არ წამოვყო.“ ამრიგად, *რ.* არ ითვალისწინებს სოციალურ იერარქიაში ნინ და მაღლა მოძრაობას, არამედ ორიენტირდება არსებულის შენარჩუნებაზე (იხ. აგრ. *ინოვაცია, რეტრიტიზმი, ამბოხი*).

როიალიზმი სამეფო, მონარქიული ხელისუფლების მხარდამჭერი პოლიტიკური მოძრაობა. ტერმინი პირველად გამოიყენეს საფრანგეთის რევოლუციის დროს, როდესაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ რესპუბლიკელები და სამეფო ხელისუფლების შენარჩუნების მომხრეები. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში არაერთი მონარქია არსებობს, რომელსაც მხარდამჭერების ფართო ნრე ჰყავს, *რ.* მისი პირველადი მნიშვნელობით დღეს თითქმის აღარსად გვხვდება. ტერმინი არ ემთხვევა მონარქიზმს, რადგან *მონარქია* შეიძლება განხორციელდეს როგორც სამეფო, ასევე საიმპერატორო ხელისუფლების ფორმით. საფრანგეთის როიალისტები მომხრენი იყვნენ, უპირველეს ყოვლისა, მემკვიდრეობითი სამეფო ხელისუფლების შენარჩუნებისა და არა იმისა, რომ საფრანგეთს ერთი სუზერენი ჰყოლოდა.

როლი მოსალოდნელი ქცევა, რომელსაც ინდივიდი ასრულებს კერძო სიტუაციაში და რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ სტატუსთან. მაგ., ექიმის სტატუსთან ასოცირდება სხვადასხვა შესაძლო ქცევა, როგორც ექიმის მიერ შესრულებული *რ-ები. რ.* სოციალურად კონსტრუირებული ქცევაა. ინდივიდის ცხოვრება *საზოგადოებაში* არის *რ-ების* ათვისების (სწავლის) პროცესი. ანალოგია შეიძლება გატარდეს თეატრის *რ-ებთან,* მაგრამ, თეატრისაგან განსხვავებით, სოციალური *რ-ები* არ არის გამოგონილი (წარმოსახვითი). პარსონსი ახდენს *რ-ების* კლასიფიკაციას ხუთი კრიტერიუმის საფუძველზე. *რ-ები* ერთმანეთისაგან განსხვავდება: 1. ემოციურობის ხარისხის მიხედვით (ზოგი რ. ემოციურ თავშეკავებას გულისხმობს, ზოგი – დაუშვებს გრძნობების გამომჟღავნებას); 2. მიღების წესის მიხედვით (ზოგი რ. ინდივიდს მიეწერება, ზოგი – მოიპოვება პიროვნული ძალისხმევის შედეგად); 3. მასშტაბის მიხედვით (ზოგი რ. შემოსაზღვრულია ერთი ტიპის ურთიერთობებით, ზოგი – ფართო და მრავალასპექტიანია); 4. ფორმალიზაციის მიხედვით (ზოგი რ. დადგენილ წესებს შეესაბამება, ზოგი – არაფორმალურ ურთიერთობებს ეფუძნება); 5. მოტივაციის მიხედვით (ზოგი *რ-ის* შესრულებას საფუძვლად პირადი სარგებლობის მიღება უდევს, ხოლო ზოგისას – საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვა). *რ-ები* საშუალებას იძლევა, ინდივიდებმა იწინასწარმეტყველონ, თუ როგორ მოიქცევიან სხვები კერძო სიტუაციებში და ჰქონდეთ შესაბამისი რეაქციები. ამრიგად, *რ-ების* არსებობა საზოგადოებაში უზრუნველყოფს *სოციალური წესრიგის* განსაზღვრულ ხარისხს.

როლური თეორია იხ. *პიროვნების სოციოლოგიური თეორიები.*

როლური კონფლიქტი სიტუაცია, რომელიც იქმნება მაშინ, როდესაც სხვადასხვა სტატუსიდან გამომდინარე მოთხოვნები ერთმანეთს ეწინააღმდეგება. არცთუ იშვიათად ინდივიდები აღმოჩნდებიან დაძაბულ ურთიერთობებში მაშინ, როდესაც ცდილობენ განახორციელონ ერთმანეთთან შეუთავსებელი *როლების* მოთხოვნები. მაგ., დედის როლის შესრულება ხშირად ვერ თავსდება დასაქმებული (მომუშავე) ადამიანის როლთან, ან ლექტორის როლი შეუთავსებელია მკვლევრის საქმიანობასთან და ა. შ.

ს

საარჩევნო სისტემა ნორმების, წესებისა და მეთოდების მოწესრიგებული ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების არჩევითი და სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების წარმოქმნის გზებს, ფორმებსა და მეთოდებს. *ს. ს-ის* საფუძვლები, როგორც წესი, *კონსტიტუციით* განისაზღვრება და სპეციალური კანონმდებლობით კონკრეტდება. ასეთი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას საარჩევნო სამართალი ეწოდება. ეს უკანასკნელი არეგულირებს როგორც მის აქტიურ ფორმას, ე. ი. მოქალაქეთა უფლებას არჩევის შესახებ, ასევე მის პასიურ ფორმას, ანუ მოქალაქის უფლებას, იყოს არჩეული. საყოველთაო, თანასწორუფლებიანი საარჩევნო სამართლის არსებობა დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია. *ს. ს.* შეიძლება ითვალისწინებდეს ერთსაფეხურიან ან ირიბ, მრავალსაფეხურიან არჩევნებს. ეს უკანასკნელი აისახება, მაგ., აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებისას, რომელსაც ხალხი ირჩევს არა უშუალოდ, არამედ მათ მიერ არჩეული სპეციალური პირების – ამომრჩევლების საშუალებით. ხმათა დათვლისა და კენჭისყრის შედეგად ადგილების განაწილების მი-

ხედვით გამოარჩევენ მაჟორიტარულ, პროპორციულ და შერეულ *ს. ს-ებს.* პირველ შემთხვევაში განისაზღვრება ყოველი *პარტიის* (*ორგანიზაციის*, მოძრაობის) და მათი *ბლოკების* მიერ მიღებული ხმების პროცენტი და, შესაბამისად, დეპუტატების რაოდენობა. მეორე შემთხვევაში ყოველ საარჩევნო უბანში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი ან კანდიდატთა სია, ვინც დააგროვა ხმათა შეფარდებითი ან ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა. შერეული სისტემის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს ამჟამინდელი *ს. ს.*

საბაზრო ეკონომიკა ეკონომიკური სისტემა, რომელშიც *სახელმწიფოს* მონაწილეობა მინიმუმამდეა დაყვანილი. ამგვარ ეკონომიკაში მოთხოვნილება საქონელზე, ფასწარმოქმნა და ა. შ. განპირობებულია ბაზრის სტიქიის პრინციპებით. *ს. ე.*, რომელიც *ლიბერალიზმის იდეოლოგიას* ერგება, უპირისპირდება სახელმწიფოს მიერ რეგულირებად, ცენტრალიზებულ დაგეგმარებაზე დამყარებულ ეკონომიკურ სისტემებს, რომელთა ტიპურ ნიმუშებსაც კომუნისტური რეჟიმების ქვეყნების ეკონომიკა წარმოადგენდა. *ს. ე-ის*, როგორც ეკონომიკური ლიბერალიზმის გამოხატულების თეორიული პრინციპები პირველად შოტლანდიელმა ეკონომისტმა ადამ სმიტმა დაამუშავა. ამგვარი ეკონომიკური სისტემის ძირითად მექანიზმს სმიტი „უჩინარ ხელს" (invisible hand) უწოდებდა. იმავე მექანიზმის აღსანიშნავად ლიტერატურაში ზოგჯერ შეიძლება ფრანგული გამოთქმა laissez faire შეგვხვდეს.

საბაჟო კავშირი სახელმწიფოთაშორისი *ინტეგრაციის* ერთ-ერთი საფეხური, რომელიც ინტეგრაციაში ჩართულ სახელმწიფოთა შორის ტარიფების გაუქმებასა და დანარჩენი მსოფლიოს მიმართ საერთო ტარიფების შემოღებას ითვალისწინებს. საბაჟო კავშირის შემოღება ეტაპობრივად ხდება, რასაც ჰარმონიზაცია ეწოდება. საბაჟო კავშირის მაგალითია 1958 წლის რომის ხელშეკრულება, რომლითაც ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა შეიქმნა.

საგარეო პოლიტიკა *სახელმწიფოს* მხრიდან სხვა სახელმწიფოებთან ქმედებებისა და უკუქმედებების ერთობლიობა, რომელიც შიდა სახელმწიფოებრივი და საერთაშორისო პროცესების გავლენით ყალიბდება. *ს. პ-ზე* გავლენას ახდენს ისეთი შიდასახელმწიფოებრივი ფაქტორები, როგორიცაა ტერიტორიის სიდიდე, სარესურსო ბაზა, ეკონომიკის განვითარების დონე, დემოგრაფიული ვითარება, *იდეოლოგია* და სხვ. *ს. პ-ს*, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესები უნდა განსაზღვრავდეს (იხ. *მაღალი პოლიტიკა*). *ს. პ*, იდეალურ შემთხვევაში, სახელმწიფოს *ეროვნულ ინტერესებს* ემსახურება და რაციონალურ გათვლებს ეყრდნობა. მის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობა და აღასრულებს საგარეო საქმეთა უწყება. *ს. პ-ის* რუტინული ამოცანების გადაწყვეტა ყოველდღიური დიპლომატიური საქმიანობით ხდება (იხ. *დაბალი პოლიტიკა*). *ს. პ-ის* მიზნების შესასრულებლად სახელმწიფოს დიპლომატიური საშუალებების გარდა სამხედრო, ეკონომიკური და იდეოლოგიური ინსტრუმენტებიც აქვს (იხ. *საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტები*). *საერთაშორისო პოლიტიკისაგან* განსხვავებით, რომელიც მოიცავს ყველა მონაწილის ურთიერთმოქმედების საერთო სურათს, *ს. პ.* განიხილება როგორც ერთი სუბიექტის მიერ განხორციელებული ქმედება სხვა სუბიექტის მიმართ. *ს. პ.* მჭიდროდ უკავშირდება საშინაო პოლიტიკას. მკვლევართა ნაწილი იმ აზრისაა, რომ *ს. პ.* სა-

შინაო პოლიტიკით განისაზღვრება და მისი გაგრძელებაა საერთაშორისო არენაზე. კერძოდ, *მარქსისტების* აზრით, როგორიცაა საზოგადოებრივი წყობა, ეკონომიკა, იდეოლოგია და ა. შ., ისეთივეა სახელმწიფოს *ს. პ. ნეორეალისტების* აზრით, პირიქით, სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა განპირობებულია საერთაშორისო მდგომარეობით და, ამდენად, იგი *ს. პ-ს* ემორჩილება. არსებობს მესამე თვალსაზრისიც, რომლის მიმდევრები ფიქრობენ, რომ საგარეო და საშინაო პოლიტიკა, მიუხედავად მჭიდრო ურთიერთკავშირისა, ავტონომიური სფეროებია და ერთმანეთზე არ არის დამოკიდებული.

ნებისმიერ ქვეყანას აქვს უმთავრესი საგარეო-პოლიტიკური მიზნები, რომელთა დასაცავად იგი მზადაა მიიღოს უკიდურესი ზომები. გარდა ამისა, შეიძლება არსებობდეს სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი მიზნები, რომლებიც, წესისამებრ, დროის ჩარჩოებით განისაზღვრება (გრძელვადიანი, მოკლევადიანი).

საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით, სახელმწიფოები შეიძლება იყოს ნეიტრალური, მიუმხრობელი (ნეიტრალისტური), იზოლირებული (მაგ., იაპონია XVII-XVIII სს.), ბლოკური (სამხედრო *ბლოკების* წევრი) და ა. შ.

საგარეოპოლიტიკური ორგანოების ნაწილი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ იმყოფება (დიპლომატიური წარმომადგენლობები, მისიები და ა. შ.), ქვეყნის შიგნით კი ამ ფუნქციებს ძირითადად საგარეო საქმეთა სამინისტრო და ზოგიერთი სხვა სამთავრობო უწყება ასრულებს. საგარეო-პოლიტიკური ფუნქციები აკისრია აგრეთვე *პარლამენტის* შესაბამის კომიტეტებსა და კომისიებს. უმთავრეს საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება, წესისამებრ, *სახელმწიფოს მეთაურის* დონეზე ხდება.

ზოგჯერ *ს. პ-ის* სინონიმად იხმარება ტერმინი *დიპლომატია*, თუმცა ეს ცნებები იდენტური არ არის. დიპლომატიას უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს და *ს. პ-ის* წარმართვის ხერხებისა და მანევრირების ხელოვნებას გულისხმობს.

საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტები ხერხებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც *სახელმწიფო* ახორციელებს თავის *საგარეო პოლიტიკას. ს. პ. ი-ს* მიეკუთვნება *პროპაგანდა, დიპლომატია, ეკონომიკური სანქციები, ომი.* საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და ეროვნული ინტერესების მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ყველა ინსტრუმენტი. მათგან უკანასკნელი – ომი – მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და ისიც თავდაცვის მიზნით უნდა გამოიყენებოდეს. ეკონომიკურ სანქციებსაც ქვეყანა განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართავს. საგარეო პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად მშვიდობიან დროს დიპლომატია რჩება (ეკონომიკურიც). სახელმწიფოს დადებითი იმიჯის შესაქმნელად და განსამტკიცებლად ძალიან დიდი როლი ენიჭება პროპაგანდასაც.

საერთაშორისო კავშირები *ალიანსის* ერთ-ერთი სახეობა, რომელიც არაა გამყარებული სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულებით, არამედ წარმოადგენს ორმხრივი მოლოდინების ნაკრებს, რომ ორი ან მეტი *სახელმწიფო* ერთმანეთს დაეხმარება მესამე სახელმწიფოსთან დავის ან *ომის* შემთხვევაში.

საერთაშორისო კონფერენცია დროებითი საერთაშორისო ორგანო, რომელიც მოწვეულია გარკვეული საკითხის (საკითხების) განსახილველად და შეთანხმებული გადაწყვეტილების მისაღებად. *ს. კ-ის* აღსანიშნავად ზოგ-

ჯერ ტერმინი „საერთაშორისო თათბირიც“ გამოიყენება.

ს. კ-ების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმებია კონფერენციები *საერთაშორისო სამართლის* კოდიფიკაციისათვის (მაგ., 1961 წლის ვენის კონფერენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ) და პოლიტიკური *ს. კ-ები* (სამშვიდობო კონფერენციები, პოლიტიკური თათბირები). თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკაში *ს. კ-ის* (საერთაშორისო თათბირების) ერთმა ნაწილმა ნახევრად მუდმივი ხასიათი შეიძინა – ასეთი თათბირები (კონფერენციები) გარკვეული პერიოდულობით მოიწვევა (მაგ., თათბირები უმაღლეს დონეზე; *დიდი შვიდეულის* ყოველწლიური შეხვედრები და სხვ.). კონფერენციებზე მოქმედებს კენჭისყრისა და გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგი წესი – თუ კონფერენციის (თათბირის) მუშაობაში მონაწილეთა ოდენობა შეზღუდულია, გადაწყვეტილებები მიიღება ერთხმად, სხვა შემთხვევებში კი მათი მიღება ხდება ან უმრავლესობით (პროცედურულ საკითხებზე – დამსწრეთა და კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობით, ხოლო დასკვნითი ტექსტი – მეტწილად ორი მესამედის უმრავლესობით), ან *კონსენსუსით*. თათბირებზე გადაწყვეტილებები მიიღება, ჩვეულებრივ, ერთობლივი განცხადების ან კომუნიკეს სახით, ხოლო ფართო წარმომადგენლობის პირობებში ჩატარებულ კონფერენციებზე – დასკვნითი აქტის სახით.

საერთაშორისო კონფლიქტი *საერთაშორისო ურთიერთობათა* გამწვავების უკიდურესი ფორმა, რასაც ზოგჯერ შეიარაღებული შეტაკება მოჰყვება. *ს. კ-ის* წინაპირობაა პოლიტიკური *კრიზისი* მხარეებს შორის, რაც უკიდურესად ძაბავს სიტუაციას და ერთმანეთს უპირისპირებს როგორც პოლიტიკურ *ელიტებს*, ისე მასებსაც. თუმცა ყველა კრიზისი *კონფლიქტში* არ გადაიზრდება. საერთაშორისო ურთიერთობების წარმოდგენა კონფლიქტების გარეშე უტოპია იქნებოდა, მაგრამ მათი შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა. კონფლიქტების რეგულირების ტრადიციული ფორმებია შეკავება (იხ. *შეკავების პოლიტიკა*) და *ძალთა წონასწორობა*. *ს. კ-ების* ძირითადი სახეებია ტერიტორიული, რესურსული, ეთნიკური, ეკოლოგიური, იდეოლოგიური კონფლიქტები, რომლებიც უმთავრეს შემთხვევებში პოლიტიკური კონფლიქტების სახით ვლინდება, თუმცა არც თუ იშვიათია მათი გამოვლენა ეკონომიკური და კულტურული კონფლიქტების ფორმითაც. *ს. კ.* შეიძლება მოხდეს ორი ან მეტი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს შორის ან *ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა* და *მეტროპოლიის* შეიარაღებულ ძალებს შორის შეტაკებით. ნიშანდობლივია საომარ მოქმედებათა შეზღუდული მასშტაბი და შედარებითი ხანმოკლეობა. *ს. კ-ის* მხარეები მოვალენი არიან თავიანთ მოქმედებაში დაიცვან *საერთაშორისო სამართლის* ნორმების მოთხოვნა – *ომის* კანონები და ჩვეულებები. დამატებითი ოქმით დაცულია კულტურული ფასეულობები, აკრძალულია თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობის სასიცოცხლო ობიექტებზე (სახნავ მიწებზე, სასმელი წყლისა და ირიგაციულ სისტემებზე და სხვ.), აგრეთვე ისეთ ნაგებობებზე (წყალსაცავები, დამბები, ატომური ელექტროსადგურები და სხვ.), რომელთა ნგრევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დანაკარგები მშვიდობიან მოსახლეობაში. განსაკუთრებული დაცვის ობიექტები არიან ქალები და ბავშვები, დაჭრილები და ავადმყოფები, სამედიცინო პერსონალი და სანიტარული სატრანსპორტო საშუალებანი. განსაზღვრულია *აგრესიის* ან სხვა

სახელმწიფოს მიერ *ოკუპაციის* დროს მიყენებული ზარალის კომპენსაცია.

საერთაშორისო მიგრაცია მოსახლეობის მასობრივი გადაადგილება სახელმწიფოებს შორის, რომელიც საგრძნობლად ცვლის განსახლების საერთო სურათსა და ცალკეული ქვეყნების მოსახლეობის დემოგრაფიულ, სოციალურ და რასობრივ-ეთნიკურ სტრუქტურას. *ს. მ.* თანამედროვე *საერთაშორისო ურთიერთობების* ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. *მიგრაციის* გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს როგორც პოლიტიკური (მათ შორის *ეთნიკური წმენდა* და *გენოციდი*), ისე ეკონომიკური (მატერიალური პირობების გაუმჯობესება), რელიგიური, სოციალურ-კულტურული, ბუნებრივ-ეკოლოგიური და სხვ. განხორციელების ფორმის მიხედვით გამოყოფენ ნებაყოფლობით და იძულებით მიგრაციებს, ხოლო დროითი განზომილებით – მუდმივსა და დროებითს. *გლობალიზაციის* ეპოქაში, როცა კომპლექსურმა ურთიერთდამოკიდებულებამ და ტრანსნაციონალიზაციამ საყოველთაო ხასიათი მიიღო, *ს. მ.* მასობრივ მოვლენად იქცა. მიგრაციისა და თავისუფლად გადაადგილების უფლება დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებაა და *ადამიანის უფლებების* უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ამიტომ დემოკრატიულ სახელმწიფოს არა აქვს უფლება თავის მოქალაქეებს აუკრძალოს *ემიგრაციაში* წასვლა. მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის უმწვავესი პრობლემა გახდა უკონტროლო, არალეგალური მიგრაცია *მესამე სამყაროს* ქვეყნებიდან, რამაც უამრავი სიძნელე შექმნა და იძულებული გახადა აღნიშნული ქვეყნები, მკვეთრად შეეზღუდათ იმიგრაცია.

საერთაშორისო მორალი სოციალური ქცევის წესების ერთობლიობა, აღიარებული *სახელმწიფოთა* საერთაშორისო თანამეგობრობით, *საერთაშორისო საზოგადოებრიობის* მიერ, როგორც კაცობრიობის განვითარების დღევანდელი საფეხურისაგან განუყოფელი ნორმა, რომელსაც ან ჯერ არა აქვს იურიდიული ძალა (მაგ., გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებით ჩამოყალიბებული წესები), ან უკვე შერწყმულია მოქმედ სამართლებრივ ნორმასთან. დღეისათვის აღიარებულია, რომ თანამედროვე საერთაშორისო სამართალს საფუძვლად უდევს კაცობრიობის განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები, რომლებიც, პირველ რიგში, სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს შეიცავს. როგორც წესი, საერთაშორისო საზოგადოებრიობის წარმოდგენა – რა არის მორალური, ზნეობრივი, წინ უსწრებს სამართლებრივი ნორმის ჩამოყალიბებას და მანამდე, მისი დარღვევისათვის, მხოლოდ საზოგადოებრივი გაკიცხვის ზომებს ეყრდნობა.

ს. მ. ეთიკური ღირებულებები და ნორმებია, რომლებიც *საერთაშორისო სამართალს* არ მიეკუთვნება, მაგრამ, ზოგიერთი მოსაზრებით, *საერთაშორისო ურთიერთობების* წარმართვის საფუძველი უნდა იყოს. რეალიზმის სკოლა *ს. მ-ის* ობიექტურ არსებობას უარყოფს. რეალისტებისათვის პოლიტიკური ქმედება და ზნეობა თავსებადია მხოლოდ *სახელმწიფო ინტერესების* ფარგლებში. ზნეობის ისეთი კატეგორიები, როგორიცაა სამართლიანობა და თანასწორობა მხოლოდ სახელმწიფოს შიგნით შეიძლება განხორციელდეს. საერთაშორისო *ანარქიის* პირობებში უზენაესი ზნეობა თვითგადარჩენაა, რაც *ეროვნული ინტერესებისა* და სახელმწიფო ინტერესის (raison d'etat-ს) აღსრულებას ნიშნავს. წესრიგის ინტერესები უპირატესია სამართლიანობისა და თანასწორობის კატეგორიებთან შედარებით, რადგან წეს-

რიგის გარეშე რომელიმე მათგანის განხორციელება შეუძლებელი ხდება. რეალისტური მიდგომის მოწინააღმდეგეთა აზრით, ზნეობის საკითხში კაცობრიობის ეროვნული ინტერესების მიხედვით დაყოფა მცდარია, რადგან ადამიანებს ერთმანეთის მიმართ ზნეობრივი მოვალეობები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვრებს მიღმაც აკისრიათ. საზღვრები ზნეობრივ პოზიციებს არ უნდა ცვლიდეს და თუ ეს მაინც ხდება, მიზეზი არსებული საერთაშორისო სისტემის ნაკლოვანებებში უნდა ვეძიოთ. ისეთი საკითხები, როგორიცაა *თვითგამორკვევა, ადამიანის უფლებები* და უნივერსალური სამართლიანობა, საყოველთაო-საკაცობრიო ხასიათისაა (იხ. აგრ. *ნორმატიული თეორია*).

საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივმოქმედი საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი (მთავრობათაშორისი) და საერთაშორისო არასამთავრობოთშორისი დაწესებულებანი, რომლებიც იქმნება პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, კულტურული და სხვა მიზნების განსახორციელებლად. *ს. ო-ის* როლი ინტეგრაციის პროცესების გაღრმავებასთან ერთად სულ უფრო იზრდება. მსოფლიოს ქვეყნებს შორის სხვადასხვა სფეროებში ურთიერთკავშირი თანამედროვე ეტაპის გარდაუვალი მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო გაერთიანებათა შექმნის ცდები შორეულ წარსულშიც ყოფილა (მაგ., ძველ საბერძნეთში არსებობდა რელიგიურ-პოლიტიკური გაერთიანება „ამფიქტიონია" და სამხედრო-პოლიტიკური კავშირი „სიმმაქია"), პირველი ნამდვილი, მასშტაბური საერთაშორისო ორგანიზაციები მხოლოდ XIX ს-ში ჩამოყალიბდა. *ს. ო-ის* ჩამოყალიბების პროცესი ინტენსიურად დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, რაც დაკავშირებულია გაეროს შექმნასთან და თანამედროვე *საერთაშორისო სამართლის* შემდგომ განვითარებასთან.

საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები სახელმწიფოებთან ერთად წარმოადგენენ *საერთაშორისო ურთიერთობების* ძირითად *აქტორებს.* თავისი ფუნქციებით *ს. ო.* არის პოლიტიკური, ეკონომიკური, იურიდიული, კულტურული, სამეცნიერო, შეიძლება იყოს უნივერსალურიც. გეოგრაფიული განზომილებით გვხვდება რეგიონული, რეგიონთაშორისი, საყოველთაო ორგანიზაციები. საყოველთაო, უნივერსალური *ს. ო-ის* მაგალითია გაერო.

საერთაშორისო პოლიტიკა ერთი მნიშვნელობით იგივეა, რაც საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობები და ამდენად, *საერთაშორისო ურთიერთობების* ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საერთაშორისო ეკონომიკურ, სამართლებრივ, იდეოლოგიურ, კულტურულ და სხვა ურთიერთობებთან ერთად. მეორე, უფრო ფართო მნიშვნელობით *ს. პ.* გაიგივებულია საერთაშორისო ურთიერთობებთან, რადგან ყველა სახის ურთიერთობას თავისი პოლიტიკა აქვს, რაც საბოლოოდ განსაზღვრავს კიდეც ურთიერთობების სახესა და თავისებურებებს. ამდენად, შეესაძლებელია ლაპარაკი საერთაშორისო ეკონომიკურ პოლიტიკაზე, სამართლებრივ პოლიტიკაზე, იდეოლოგიურ პოლიტიკაზე და ა. შ. ამიტომ *ს. პ.* მიჩნეულია საერთაშორისო ურთიერთობების ბაზისად და საფუძვლად. ამასთანავე, *ს. პ.* შეიძლება გაგებული იქნეს როგორც პროცესი, პრაქტიკული საქმიანობა და როგორც ამ პროცესებისა და ქმედებების შემსწავლელი მეცნიერება. ხშირად *ს. პ-ს* განსაზღვრავენ როგორც ისეთ ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის, რომლებსაც პოლიტიკური შინაარსი აქვს. ამ ურთიერთობებს ახორციელებენ სა-

ხელმწიფოთა მთავრობები ან უშუალოდ, ან მათ მიერ აკრედიტებული წარმომადგენლობების მეშვეობით. *ს. პ-ის აქტორები* არიან *საერთაშორისო ორგანიზაციებიც*, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობების სხვა სახეობებისგან განსხვავებით, *ს. პ-ში* საერთაშორისო ორგანიზაციები თითქმის მთლიანად მთავრობათშორისია და *სახელმწიფოებითაა* წარმოდგენილი.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია *საერთაშორისო ურთიერთობების*, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ერთ-ერთი ქვედარგი, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკაზე პოლიტიკური გარემოს ზემოქმედებასა და, პირიქით, *საერთაშორისო პოლიტიკაზე* ეკონომიკის ზეგავლენას შეისწავლის. *ს. პ. ე-ის*, როგორც ცალკე დისციპლინის წარმოშობას ხელი შეუწყო *ბრეტონ-ვუდსის* სისტემის ფორმირებამ და საერთაშორისო დახმარების განვითარებამ, რამაც უფრო მწვავედ დააყენა საერთაშორისო ეკონომიკაზე პოლიტიკური პროცესების ზეგავლენის პრობლემა. შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ეკონომიკისა და პოლიტიკის ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან გამიჯნულად შესწავლის უარყოფითი ტენდენცია, გარკვეულწილად, *ს. პ. ე-ის* გამოცოცხლებამ შეაჩერა. ისევე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში, *ს. პ. ე-შიც* მიმდინარეობს პარადიგმული კამათი ნეორეალისტურ, ნეოლიბერალურ და რადიკალურ მიმდინარეობებს შორის.

საერთაშორისო რეჟიმი მოლოდინების, ინტერესების, პრინციპების, ნორმების, წესებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების ერთობლიობა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების მოცემულ სფეროში მოქმედებს და რომელზეც საერთაშორისო პროცესების მონაწილეები თანხმდებიან. ამ თანხმობის საფუძველია ამა თუ იმ სფეროში თანამშრომლობის ინტერესი. რეჟიმების თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში მჭიდროდაა დაკავშირებული ურთიერთდამოკიდებულების ცნებასთან (იხ. *კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება*) და ლიბერალურ ინსტიტუციონალიზმთან. *ს. რ-ის* შექმნამ შეიძლება *ინტეგრაციის* პროცესებამდე მიგვიყვანოს. რეჟიმების შესაქმნელად და შესანარჩუნებლად, რეალისტების აზრით, აუცილებელია *ჰეგემონური* სტაბილურობა, რომლის პირობებშიც რომელიმე *დიდი სახელმწიფო* საკუთარ თავზე აიღებს რეჟიმის შექმნასა და მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. მეორე მხრივ, ნეოლიბერალები ამტკიცებენ, რომ ჰეგემონის *როლი* მხოლოდ რეჟიმის შექმნისას არის გადამწყვეტი, მაგრამ თუ რეჟიმი შეიქმნა, მაშინ ის საკუთარ ფუნქციონირებას თავადვე უზრუნველყოფს და ჰეგემონის ჩარევა აუცილებელი აღარაა. *ს. რ-ების* ტიპებია: უსაფრთხოების, გარემოს დაცვითი, კომუნიკაციისა და ეკონომიკური რეჟიმები. *ს. რ-ის* მაგალითია *ბრეტონ-ვუდსის* სისტემა, მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაცია და სხვ.

საერთაშორისო საზოგადოება პირველად ეს ტერმინი გვხვდება *საერთაშორისო სამართლის* მეცნიერების მამამთავრის, XVII ს-ის ჰოლანდიელი იურისტის ჰუგო გროციუსის შრომაში „ომისა და მშვიდობის სამართალი" (1625), სადაც მითითებულია, რომ „სახელმწიფოთა დიდი საზოგადოება" ის ძირითადი საფუძველია, რომელზეც საერთაშორისო სამართლის, წესრიგისა და თანამშრომლობის შენობა უნდა აიგოს. კამათი *ს. ს-ის* რაობასა და, საერთოდ, მისი არსებობა-არარსებობის შესახებ დღემდე გრძელდება. ბევრს საეჭვოდ მიაჩნია ასეთი საზოგადოების საერთაშორისო მასშტაბით არსებობა. ამიტომ მკვლევართა უმრავლე-

სობა ამჯობინებს გამოიყენოს უფრო ნეიტრალური ცნების გამომხატველი ტერმინი – „სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემა“, რომელშიც იგულისხმება საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილეებისა და მათ შორის ურთიერთდამოკიდებულების გარკვეული მოდელი სპეციფიკურ (საერთაშორისო) გარემოში, მაგრამ არ არის ურთიერთდამოკიდებულების ის დონე და ხარისხი, რაც აუცილებელია იმისათვს, რომ მას *საზოგადოება* ეწოდოს. მიუხედავად ამისა, მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერს იმ თვალსაზრისს, რომ *ს. ს-ის* არსებობა უკვე ფაქტია და მიმდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობათა *ს. ს*-ად გარდაქმნის პროცესი. *ს. ს-ის* იდეის მხარდამჭერები განსაკუთრებით ბევრია საერთაშორისო ურთიერთობათა ინგლისური სკოლის წარმომადგენლებს შორის. მათი აზრით, თვით საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ძირითადი ობიექტი არის საზოგადოებრივი წესრიგის პირობების შესწავლა ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში. ამ სკოლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელი ჰ. ბული წერს, რომ „სახელმწიფოთა საზოგადოება (საერთაშორისო საზოგადოება) არსებობს მაშინ, როდესაც იმ ქვეყნების ჯგუფი, რომლებსაც საერთო ინტერესები და ფასეულობათა სისტემა აქვთ, აცნობიერებენ საკუთარი ინტერესების გარკვეული შეზღუდვის საჭიროებას და ამასთანავე ერთმანეთთან ურთიერთობებში ერთობლივი მართვისა და საერო ინსტიტუტების შექმნის აუცილებლობას“. ინსტიტუტები, რომლებმაც *ს. ს-ში* წესრიგი უნდა უზრუნველყოს, არის საერთაშორისო სამართალი, *დიპლომატია, საერთაშორისო ორგანიზაციები* და *ძალთა წონასწორობა.*

ს. ს-სა და საერთაშორისო ურთიერთობებს შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ პირველი მათგანისათვის აუცილებელია საერთო ინტერესების, ღირებულებებისა და მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულების არსებობა. ბოლო წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იზრდება ასეთი საზოგადოების ჩამოყალიბების ტენდენცია, რომლის რეალიზაციის პირველ ეტაპს სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა წარმოადგენს.

საერთაშორისო საზოგადოების ინსტიტუტები წესებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც *საერთაშორისო წესრიგის* შენარჩუნებასა და განმტკიცებას უწყობს ხელს. ჰ. ბულის მიხედვით, *ს. ს. ი-ა საერთაშორისო სამართალი, დიპლომატია, ომი, საერთაშორისო ორგანიზაცია, ძალთა წონასწორობა.* ეს ინსტიტუტები საერთაშორისო სისტემის მდგრადობას განაპირობებს, რადგან ამკვიდრებს საერთო ღირებულებებისა და ქცევის წესების ნაკრებს, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს უფრო „საზოგადოებრივ“ ხასიათს ანიჭებს და ამით მასში წესრიგის დამყარებასაც უწყობს ხელს. (იხ. აგრ. *საერთაშორისო საზოგადოება*).

საერთაშორისო სამართალი ტერმინი შემოტანილ იქნა 1780 წელს ინგლისელი მეცნიერის ჯერემი ბენთამის მიერ. განარჩევენ საერთაშორისო საჯარო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალს. საერთაშორისო კერძო სამართალი არეგულირებს ინდივიდების უფლებებსა და მოვალეობებს თავისი სახელმწიფოს გარეთ (სხვა ქვეყნებში და საერთაშორისო არენაზე). საერთაშორისო საჯარო სამართალი განისაზღვრება როგორც სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა სფეროში მოქმედი ქცევის იმ წესების ერთობლიობა, რომლებიც *სახელმწიფოთა* და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტთა მიერ აღიარებულია იურიდიულად სავალდებულო

ნორმებად და გამოხატავს სუბიექტთა საერთო ინტერესებს. ეს ნორმები თავს იჩენს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა თუ ჩვეულებებში და მათ შესრულებას უზრუნველყოფენ სუბიექტები ინდივიდუალურად ან კოლექტიურად. *ს. ს-ს* ისტორიულად სახელმწიფოები ქმნიდნენ. XX ს-ის მეორე ნახევარში საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობა მიენიჭა *საერთაშორისო ორგანიზაციებს*, თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს; სახელმწიფოს მაგვარ წარმონაქმნს (მაგ., ვატიკანი 1929 წლიდან). *ს. ს-ის* სრულუფლებიან სუბიექტად დღესაც მხოლოდ სუვერენული სახელმწიფო ითვლება. სწორედ სახელმწიფოები ქმნიან და იცავენ საყოველთაო *ს. ს-ში* ჩამოყალიბებულ საერთაშორისო მართლწესრიგს.

შიდასახელმწიფოებრივი სამართლისაგან *ს. ს.* (აქ და ქვემოთ ყველგან საერთაშორისო საჯარო სამართალი იგულისხმება) მრავალი თავისებურებით განსხვავდება: ა) ფიზიკური პირი, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ძირითადი სუბიექტია, არ მონაწილეობს საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში; ბ) *ს. ს.* არეგულირებს მთავრობათშორის ურთიერთობებს, ე. ი. იმ ურთიერთობებს, რომლებშიც სახელმწიფოები მონაწილეობენ როგორც უზენაესი სუვერენული ხელისუფლების მქონე ერთეულები. სახელმწიფოში მოქმედი სხვა ელემენტები – პოლიტიკური *პარტიები* და საზოგადოებრივი ორგანიზაციები – მოკლებული არიან საერთაშორისო-სამართლებრივ სუბიექტუნარიანობას, რაც არ გამორიცხავს მათ აქტიურ მონაწილეობას საერთაშორისო არასამთავრობათშორის ურთიერთობებში; გ) *ს. ს-ის* ნორმებს სახელმწიფოები და სხვა სუბიექტები ურთიერთშეთანხმებით ქმნიან. არ არსებობს ცენტრალიზებული, სახელმწიფოებზე მაღლა მდგომი საკანონმდებლო ორგანო; დ) სახელმწიფოები თუ სხვა სუბიექტები იცავენ იმ ნორმებს, რომლებიც თვითონვე დააწესეს და რომელთაგან უმთავრესია შემდეგი – დაზარალებული სახელმწიფო უფლებამოსილია თავისი ძალებით ან სხვა სახელმწიფოებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით დაიცვას შელახული უფლებები.

თანამედროვე *ს. ს-ს* საყოველთაო ხასიათი აქვს, იგი დედამიწის ზურგზე არსებულ ყველა კონტინენტის ყველა სუვერენულ სახელმწიფოს მოიცავს. ეს შესაძლებელი გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კაპიტალისტური და სოციალისტური კოლონიური სისტემების მსხვრევისა და საერთაშორისო მართლწესრიგის დემოკრატიულ საწყისებზე გადაყვანის შედეგად.

ს. ს-ის რეგულაციის სფერო დღითი დღე იზრდება, რაც თავის მხრივ, განაპირობებს *ს. ს-ის* დარგების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: დიპლომატიური და საკონსულო სამართალი, საზღვაო სამართალი, საჰაერო სამართალი, კოსმოსური სამართალი, საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი; განსაკუთრებული აქცენტი გადატანილია *ადამიანის უფლებათა* დაცვაზე, რაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარგებად ჩამოყალიბდა.

საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოება იხ. *სამოქალაქო საზოგადოება.*

საერთაშორისო სისტემა სისტემა, რომლის შემადგენელი ელემენტებია საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტები (პირველი რიგში, *სახელმწიფოები*). ამ სუბიექტებს შორის დამოკიდებულებისა და ურთიერთობათა ხარისხი და თავისებურებანი განსაზღვრავენ კიდევაც მთელი სისტემის ხასი-

ათს. თვითონ ტერმინი ხაზს უსვამს იმას, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათი, სახელმწიფოებისა და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების ერთმანეთზე დამოკიდებულების დონე ისეთი მჭიდრო და ურთიერთგანმსაზღვრელია, რომ აკმაყოფილებს პირობას, იწოდებოდეს *ს. ს-ად*. ამგვარად, *საერთაშორისო ურთიერთობებს* სისტემური ხასიათი აქვს და სხვადასხვა ტიპის ქვესისტემათა ერთობლიობას წარმოადგენს.

ს. ს. რთული, ჩაკეტილი სისტემაა. თითოეული მისი ელემენტი, თავის მხრივ, სისტემას წარმოადგენს. მაგალითად, სახელმწიფოები *ს. ს-ის* ელემენტებია, მაგრამ სახელმწიფო თვითონ არის სისტემა, რომელშიც სხვადასხვა ჯგუფები თუ ინტერესები ქვესისტემებად შეიძლება წარმოვიდგინოთ. *საგარეო პოლიტიკა*, რომელსაც სახელმწიფოები აწარმოებენ, სისტემის ელემენტებს შორის კავშირების ფორმაა, რომლის ხასიათი, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავს სისტემის ხასიათს. *ს. ს-ის* ხასიათზე განსაკუთრებით დიდ გავლენას ახდენს მისი ძირითადი ელემენტების (უმთავრესი სახელმწიფოების) საგარეო-პოლიტიკური მიზნები და ორიენტაციები. კერძოდ, სუპერსახელმწიფოების ურთიერთობებმა შეიძლება საერთოდ შეცვალოს *ს. ს-ის* სტრუქტურა.

მკვლევრები *ს. ს-ში* გამოყოფენ ორ ძირითად, ფუნდამენტურ სისტემურ პროცესს – *კონფლიქტსა* და თანამშრომლობას, რომლებიც ფაქტობრივად განსაზღვრავენ სისტემის ხასიათს, ხოლო სახელმწიფოების ქმედება თითქოს რეაგირებაა ამ „წინასწარ მოცემულ" პროცესებზე. აღნიშნული პროცესებისა და, საერთოდ, *ს. ს-ის* სათანადო რეგულირების მიზნით იქმნება *საერთაშორისო ორგანიზაციები*, მუშავდება *საერთაშორისო სამართლის* ნორმები და ა. შ.

სტრუქტურის მიხედვით გამოყოფენ *ს. ს-ის* სხვადასხვა ტიპს. ძირითად კრიტერიუმად მიჩნეულია ძალოვანი დამოკიდებულება სახელმწიფოებს შორის. ამ თვალსაზრისით კ. ჰოლსტი *ს. ს-ის* ხუთ ტიპს გამოყოფს (იერარქიული, დიფუზიური, დიფუზიურ-ბლოკური, ერთპოლუსიანი, მრავალპოლუსიანი), მ. კაპლანი კი – ექვსს (იერარქიული, რბილი ბიპოლარული, ხისტი ბიპოლარული, უნივერსალური, *ძალთა წონასწორობისა*, ერთეული *ვეტოს*); მკვლევართა უმრავლესობის აზრით, პრაქტიკაში არსებითად თავს იჩენს მხოლოდ ორი ტიპი: 1) რბილი ბიპოლარული (ორ პოლუსად დაყოფილი მსოფლიო, სადაც ქვეყნების გარკვეული ჯგუფი შეიძლება შედარებით დამოუკიდებელი იყოს და არც ერთ პოლუსს არ მიეკუთვნებოდეს) და 2) ძალთა წონასწორობისა, სადაც რამდენიმე პოლუსს შორის ძალთა გადანაწილება განაპირობებს სტაბილურობასა და ამის შესაბამისად სისტემის მდგრადობას.

სოციალისტური სისტემის ნგრევისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო რბილი ბიპოლარული სისტემიდან გადაიქცა დიფუზიურ, ანუ მრავალპოლუსიან სისტემად. თუმცა ერთადერთ სუპერსახელმწიფოდ აშშ-ის დარჩენის გამო ზოგიერთი მკვლევარი თანამედროვე სისტემას უნიპოლარულს (ერთპოლუსიანს) უწოდებს და ვარაუდობს მის გადაქცევას იერარქიულ (აშშ-ზე დამოკიდებულ) სისტემად. უფრო ოპტიმისტური პროგნოზით – მსოფლიოს მომავალია უნივერსალური სისტემა, სადაც *საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო სამართალი* და *საერთაშორისო მორალი* საერთაშორისო სისტემის რეგულირებისა და მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორები იქნება.

საერთაშორისო ტერორიზმი საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის ნაირსახეობა. გამოიხატება ცალკეული

პირებისა და ორგანიზაციების მოქმედებით ან მოქმედების მუქარით, რომელიც მიმართულია გარკვეული მიზნების (უმეტესად პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური და სხვ.) მისაღწევად ძალადობის, ტერორისტული აქტების საჯაროდ განხორციელებით, მოსახლეობის ან ხელისუფლების დაშინებით და მასზე პირდაპირი ან ირიბი ზეწოლით. *ს.ტ.* არის საერთაშორისო მასშტაბის საზოგადოებრივად საშიში ქმედებების ერთობლიობა, რომელიც იწვევს ადამიანთა მსხვერპლს, დიპლომატიური სამსახურებისა და მათი პერსონალის ნორმალური საქმიანობის მოშლას, აბრკოლებს საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობას. *ს.ტ-ისათვის* დამახასიათებელი ნიშანია სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეების ტერორისტულ ჯგუფებში (ორგანიზაციებში) გაერთიანება, ერთი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ მეორე სახელმწიფოში ტერორისტული აქტის ჩადენა, ინდივიდის ან ტერორისტული ჯგუფის ქმედება *საერთაშორისო ორგანიზაციების* პერსონალის ან დიპლომატიური წარმომადგენლებისა და დიპლომატიური აგენტების, აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა ოფიციალურ წარმომადგენელთა (*სახელმწიფო მეთაური*, მთავრობის მეთაური, პარლამენტის წევრები, მინისტრები და სხვ.), *საერთაშორისო ორგანიზაციების* და მათი პერსონალის წინააღმდეგ. *ს.ტ-ის* წინააღმდეგ ბრძოლისათვის მიღებულია როგორც უნივერსალური, ისე რეგიონალური საერთაშორისო სამართლებრივი აქტები. მნიშვნელოვან როლს თამაშობს, აგრეთვე, სახელმწიფოთა შორის ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ საერთაშორისო სამართლის თეორია და პრაქტიკა მკვეთრად იცვლის პოზიციას და ერთხმად აღიარებს *ს.ტ-ს* როგორც ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულს, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი აქტების მონყობა-ჩადენაში ეჭვმიტანილი პირები წარდგებიან საერთაშორისო იურისდიქციის მქონე სასამართლოს წინაშე, ხოლო ის სახელმწიფო, რომელიც თავშესაფარს აძლევს საერთაშორისო ტერორისტებს, მათ ლიდერებს და აძლევს უფლებას იქონიონ იქ სასწავლო ბაზები და სხვა ინფრასტრუქტურა, შეიძლება გახდეს სამხედრო ოპერაციების ობიექტი დაზარალებული სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების მხრიდან.

საერთაშორისო ურთიერთობების თეორია საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო კვლევის ძირითადი დისციპლინა, შეისწავლის სახელმწიფოებსა და სხვა სუბიექტებს შორის მიმდინარე პროცესებს, რომლებიც საზღვრების გადაკვეთით ხორციელდება. საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც ცალკე დარგის სამეცნიერო შესწავლა დაიწყო 1919 წელს, როდესაც უელსში, აბერისთვითის უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების პირველი კათედრა დაარსდა. საერთაშორისო ურთიერთობების ერთიანი თეორია არ არსებობს. არსებობს რამდენიმე სკოლა და პარადიგმა, რომელთა შორის მიმდინარე დებატები *ს. უ. თ-ის* ბირთვს შეადგენს. საერთაშორისო თეორიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა მარტინ უაიტმა შემოგვთავაზა საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ნააზრევის სამი კლასიკური ტრადიცია: *რეალიზმი, რაციონალიზმი* და *რევოლუციონიზმი*. XX ს-ში საერთაშორისო ურთიერთობების გავლენიანი სკოლებიდან ერთმანეთს ცვლიდა *რეალიზმი, ბიჰევიორიზმი, ნეორეალიზმი, ნეოლიბერალიზმი, საერთაშორისო საზოგადოების თეორია, მსოფლიო სისტემების თეორია, კრიტიკული თეორია* და *პოსტმოდერნიზმი*. ხოლო ძირითადი, გადამწყვეტი პარადიგმატული დებატები მიმდინარეობდა ჯერ იდეალიზმსა

და რეალიზმს, ხოლო შემდეგ რეალიზმსა და ბიჰევიორიზმს შორის. თანამედროვე *ს. უ. თ-ში* ძალას იკრებს ნორმატიული მიდგომები, რომელთა განვითარება საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციულ მიმდინარეობებთან ახალ პარადიგმატულ დებატებს მოასწავებს.

საერთაშორისო ურთიერთობის სოციოლოგია *სოციოლოგიის* დარგი, რომელიც სწავლობს *სახელმწიფოთა* შორის ურთიერთობას: თანამშრომლობის, თანაარსებობის, ურთიერთგაგების, *კონფლიქტის, კოლონიზაციის* და ა. შ. სოციოლოგიურ ასპექტებს. *ს. უ. ს-ის* მთავარი ამოცანაა ახსნას სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის არსებობის მიზეზები, შეიმუშაოს მისი გადაჭრის გზები და მეთოდები, დასახოს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ისეთი რაციონალური ფორმები, რომლებიც ემყარება ჰუმანიზმის, თანასწორობის, მშვიდობიანი თანაარსებობის, ურთიერთდახმარებისა და ურთიერთპატივისცემის აღიარებულ პრინციპებს. თანამედროვე პირობებში, როცა მასობრივი განადგურების საშუალებების არსებობა საფრთხეს უქმნის კაცობრიობას, *ს. უ. ს-ის* ფოკუსში ექცევა ისეთი საკითხები, როგორიცაა საერთაშორისო *მშვიდობისა* და უშიშროების სისტემის უზრუნველყოფის, განიარაღების, საერთაშორისო *ტერორიზმის*, ეკოლოგიური კრიზისის, *სეპარატიზმის* დაძლევის სოციალური საკითხები, ახალი პოლიტიკური აზროვნების დამკვიდრება, *ინტერნაციონალიზაცია* და *გლობალიზაცია*, რაც ორიენტირებულია ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე.

ს. უ. ს-ის კვლევის მეთოდებია: სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზი (ა. ეტციონი), სოციალურ-ფსიქოლოგიური ანალიზი (ი. გალტუნგი), ლიბერალურ-დემოკრატიული მიდგომის მეთოდი (ჩ. ნილსი), სისტემური კვლევისა და მოდელირების მეთოდი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, თამაშისა და ოპერაციონალიზმის მეთოდი და ა. შ.

საერთაშორისო წესრიგი სახელმწიფოთა ურთიერთქმედების გარკვეული წყობა, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების მიზნების დამკვიდრებას უწყობს ხელს. ჰ. ბულის განმარტებით, ეს მიზნებია: სიცოცხლის დაცვა ხელყოფისაგან, დადებული პირობების შესრულება და საკუთრების უფლების გარკვეული დონით უზრუნველყოფა. *ს. წ-ს* აქვს პოლიტიკური, დიპლომატიური, სამართლებრივი, ეკონომიკური და სამხედრო წახნაგები. თანამედროვე *ს. წ.* ვესტფალიის ზავის შედეგად დამყარებულ *საერთაშორისო სისტემას* ახასიათებს (იხ. *ვესტფალიის სისტემა*). მისი ნიშნებია *ანარქია* (ანუ უზენაესი მთავრობის არარსებობა) და სუვერენულ სახელმწიფოთა სიმრავლე, რომლებიც ურთიერთქმედებისა და ქცევის საერთო სტანდარტებს აღიარებენ. თანამედროვე *ს. წ.* სახელმწიფოების სუვერენულობის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დამცველად გვევლინება. წესრიგის მიზანი საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვაა, რასაც ხშირად სამართლიანობის უნივერსალური პრინციპი ეწირება. ე. ი. წესრიგი შეიძლება სამართლიანობის გარეშეც დამყარდეს, მაგრამ არა პირიქით. გარდა ამისა, *ს. წ-სა* და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად ხშირად საჭირო ხდება *მშვიდობის* დარღვევაც.

საერთაშორისო ხელშეკრულება ორი ან რამდენიმე *სახელმწიფოს* ან სხვა სუბიექტების შეთანხმება უფლებათა და ვალდებულებათა ჩამოყალიბების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ასეთ შეთანხმებას შეიძლება ეწოდოს *კონვენცია*, პაქტი, ოქმი, *ხელშეკრულება*, შეთანხმება და სხვ., მაგრამ, მიუხედა-

ვად სახელწოდებისა, მათი იურიდიული ძალა თანაბარია. *ს. ბ-ის* მხარედ მხოლოდ *საერთაშორისო სამართლის* სუბიექტები გვევლინებიან, ძირითადად, სახელმწიფოები. საერთაშორისო ჩვეულებისაგან განსხვავებით ხელშეკრულებას წერილობითი ფორმა აქვს და მკაფიოდ ასახავს მხარეთა პოზიციას. ზეპირი, ე. წ. ჯენტლმენური შეთანხმებები, რომლებიც წარსულშიც ნაკლებად გამოიყენებოდა, საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში თითო-ოროლა შემთხვევის გარდა აღარ გვხდება.

საველე გამოკვლევა ზოგადი ტერმინია. ის აღნიშნავს სოციოლოგიურ გამოკვლევას, რომლის მიზანია სოციალური ობიექტის უშუალო და ყოველმხრივი შესწავლა ბუნებრივ პირობებში. *ს. გ.* განსხვავდება ლაბორატორიული და მასობრივი შერჩევითი გამოკვლევებისაგან. ის პირველად გამოიყენეს XX ს-ის 20-იან წლებში „ჩიკაგოს სკოლის" წარმომადგენლებმა. *ს. გ.* დღესაც სოციოლოგიური ანალიზის ერთ-ერთ მთავარ მეთოდად ითვლება.

სოციოლოგიურ ლიტერატურაში არ არსებობს ამ ტერმინის ერთმნიშვნელოვანი განმარტება. ზოგიერთი სოციოლოგი ამ ტერმინით რამდენიმე მეთოდს აერთიანებს (მაგ., არასტრუქტურიზებული *ინტერვიუ*, ჩაღრმავებული ინტერვიუ, დაკვირვება, მონაწილე (ჩართული) *დაკვირვება*, კოლექტიური (ჯგუფური) დისკუსიები, ცხოვრების ისტორიები (life history), ცალკეული შემთხვევების შესწავლა (case-study), და სხვ.), რომელთა საშუალებითაც მკვლევრები უშუალოდ და სილრმისეულად (საფუძვლიანად) შეისწავლიან საზოგადოების რეალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შესასწავლი ობიექტის შესახებ მათთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად. ზოგი სოციოლოგი კი ტერმინებს *ს. გ.* და „ჩართული (მონაწილე) დაკვირვება" ხმარობს როგორც სინონიმებს. *ს. გ-ებს* „ბუნებრივ ექსპერიმენტებსაც" უწოდებენ, რადგან ექსპერიმენტული ობიექტი მის ბუნებრივ სოციალურ კონტექსტში განიხილება, ხოლო ექსპერიმენტული სიტუაცია არსებითად არ განსხვავდება იმ ინდივიდების ბუნებრივი პირობებისგან, რომლებიც ექსპერიმენტში მონაწილეობენ. ზოგჯერ *ს. გ-ის* ნაცვლად იყენებენ ტერმინს „საველე მუშაობა", რომელიც აღნიშნავს ნებისმიერ კვლევით მუშაობას, რაც შენობის, ოფისის გარეთ, „ველად" ტარდება.

ს. გ-ის შედეგად მიღებული ინფორმაცია უფრო სარწმუნოა, ვიდრე შერჩევითი გამოკითხვის მონაცემები, მაგრამ მას რეპრეზენტატულობა აკლია.

ს. გ-ები არის როგორც ფართომასშტაბიანი (მაგ., მასობრივი *ანკეტირება* ან ინტერვიურება, რომლებსაც უამრავი *ინტერვიუერი* ატარებს), ისე მცირემასშტაბიანი (მაგ., ჩართული დაკვირვება ან შემთხვევის შესწავლის მეთოდი (case-study), რომელსაც მხოლოდ ერთი მკვლევარი ატარებს).

გამოკვლევის ფორმები დამოკიდებულია კვლევის ამოცანებზე. გამოკვლევის მიზანი განსაზღვრავს შესასწავლ პოპულაციასა და გამოკვლევის საშუალებებს.

კვლევის მიზნისა და გამოყენებული საშუალებების მიხედვით განარჩევენ *ს. გ-ის* სამ ძირითად კატეგორიას: 1. დაზვერვითი (საძიებო) გამოკვლევა (მისი მიზანია ჯერ კიდევ უცნობი პროცესების გამოკვლევა, მას საფუძვლად არ უდევს ზუსტი ჰიპოთეზები, ძირითადად დესკრიპტული ხასიათი აქვს), 2. ანალიტიკური ანუ დიაგნოსტიკური გამოკვლევა (მისი მიზანია პრაქტიკული სოციალური პრობლემისა და მისი გადასაჭრელი გზების, საშუალებების გამოვლენა, პრობლემის გადაწყვეტა), 3. ექსპერიმენტული გამოკვლევა (საველე ანუ ბუნებრივი ექსპერიმენტი, რომლის მიზანია წამოყე-

ნებული ჰიპოთეზების ბუნებრივ პირობებში შემოწმება). ზოგიერთი სოციოლოგი, აგრეთვე, გამოყოფს მონოგრაფიულ *ს. გ-ს* (იგი გულისხმობს ცალკეული (ერთეული) სოციალური ობიექტის შესწავლას მისი საქმიანობის ყოველმხრივი და უშუალო ანალიზის მიზნით).

ს. გ-ის ეტაპები: ერთობების შერჩევა გამოკვლევისთვის, მათთან კონტაქტების დამყარება, გამოსაკითხი პირების დადგენა-მოძიება, მონაცემების შეგროვება, ინფორმაციის გაფორმება სტრუქტურული სახით, ინფორმაციის შენახვა.

საზოგადოება *სოციოლოგიის* ძირითადი ცნება, აღწერს მყარად მოწესრიგებულ ერთობას, გარკვეულ სივრცეზე განფენილ (გარკვეულ ტერიტორიაზე მოქცეულ) ადამიანთა თანაცხოვრებას, რომელსაც სტრუქტურირებული მთლიანობის სახე აქვს. ადამიანის არსებობა-გადარჩენის შანსები დამოკიდებულია სტაბილურ სოციალურ კოოპერაციასა და ურთიერთთანამშრომლობაზე. ადამიანთა გაერთიანება ერთ *ს-ში*, ადამიანების ურთიერთთანამშრომლობა აუცილებელია ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად. ამ თანამშრომლობას მეტწილად სტრუქტურული და ცნობიერი ხასიათი აქვს. როგორც მთლიანობა, ერთობლიობა – *ს.* ყოველისმომცველ სოციალურ სისტემას წარმოადგენს, რომელსაც გარკვეული ავტარკულობა (დამოუკიდებლობა, თვითკმარობა) აქვს, თუმცა ვიტალური და პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თვალსაზრისით, ყოველი *ს.* დამოკიდებულია ბუნებაზე (ბუნებრივ გარემოზე) და მასთან გაცვლითი ხასიათის ურთიერთობაზე. გელენის თანახმად, ადამიანი „ინსტინქტრედუცირებული" არსებაა და მისი საზოგადოებრივი ცხოვრება, საზოგადოებრივი ურთიერთობები და ადამიანთა ურთიერთქმედება თავისთავად, ბუნებრივად დადგენილი და ბუნების მიერ მოწესრიგებული არ არის. ადამიანების საზოგადოებრივად მართული ურთიერთქმედება, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ არსებობს, რომ ადამიანები თავიანთ მოქმედებაში ორიენტირებულნი არიან საერთო ინსტიტუტებზე, ღირებულებებსა და ნორმებზე და განიცდიან სანქციების მაიძულებელ ზეწოლას. *ს-ის* სიმყარე დამოკიდებულია იმ ინსტიტუციების ფორმირებასა და მათი ქმედითობის უზრუნველყოფის უნარზე, რომელთაც ყველა ძირითადი საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულება შეუძლიათ.

ტ. პარსონსის თანახმად, *ს-ის* ფუნქციას ადამიანების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებების კოოპერატიული წარმოება, *ს-ის* რეპროდუქცია, გარე და შიდა უსაფრთხოების დაცვა და ინდივიდებისათვის მსოფლმხედველობის, ღირებულებათა სისტემების, საზრისის სტრუქტურების შეთავაზება წარმოადგენს. სოციალურ-კულტურული ღირებულებები, ლეგიტიმირებული (აღიარებული) სოციალური ნორმები, რომლებიც პოზიტიურ და ნეგატიურ სანქციებს მჭიდროდ უკავშირდება (დასჯა და წახალისება), აწესრიგებს ადამიანთა ქცევას ყოველდღიურ სიტუაციებში. ნორმათა ამ ერთობლიობის წყალობით, ადამიანთა ურთიერთობის სფეროში ადამიანის ქცევა სიტუაციის შესაბამისად ხორციელდება და შესაძლებელია ამ ქცევის გათვლა-პროგნოზირება.

ამა თუ იმ *ს-ის* ფუნქციონირებისა და სიმტკიცისათვის აუცილებელია საყოველთაოდ გაზიარებული ნორმებისა და ღირებულებების არსებობა და სოციალიზაციის პროცესში მოზარდი თაობის მიერ მათი შეძლებისდაგვარად ათვისება-დასწავლა, გაშინაგანება (*ინტერნალიზაცია*), ყოველდღიურ მოქმედებასა და ქცევაში მათი შესრულება. ღირებულებების გაუფა-

სურება და ნორმების გადაგვარება (*ანომია*) სოციალიზებული ინდივიდების ორიენტაციაში დაბნეულობას, *ს-ისა* და *კულტურის* სტაბილურობის რყევას იწვევს, მაგრამ, ამასთან, ეს მოვლენა სოციალური ცვლილებისათვის ახალ არხებს გახსნის. პიროვნების, კულტურისა და *ს-ის* ურთიერთშელწევის შედეგად წარმოიშობა ადამიანთა დამოუკიდებელი, ერთმანეთში გადაწნული და შეჭიდული კავშირურთიერთობა, რომლის ელემენტები მხოლოდ აბსტრაქტულად და ანალიტიკურად შეიძლება ერთმანეთისაგან გამოცალკევდეს, რაც სოციოლოგიის როგორც მეცნიერების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

საზოგადოებრივი აზრი ქვეყნის მოსახლეობის, დიდი სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებისადმი, გამოხატული მსჯელობებში, შეფასებებში, ემოციებში, განწყობებსა და სხვ. *ს. ა.* ხასიათდება გარკვეული იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიური მიმართულებით, აქტივობით, მდგრადობით. იგი გამოდის ექსპრესიული, მაკონტროლებელი და დირექტიული ფუნქციებით – იკავებს გარკვეულ პოზიციას, იძლევა რჩევას, გამოაქვს გადაწყვეტილება ამა თუ იმ საზოგადოებრივ საკითხებზე, არეგულირებს ინდივიდების, ერთობების, სოციალური დაწესებულებების მოქმედებას, მხარს უჭერს ან უკუაგდებს ამა თუ იმ წარმოდგენებს, ღირებულებებს, ნორმებს. *ს. ა-ის* მხედველობის არეში, ჩვეულებრივ, ხვდება სინამდვილის მხოლოდ ის მოვლენები და ფაქტები, რომლებიც *საზოგადოებრივ ინტერესს* იწვევენ. *ს. ა.* შეიძლება ჩამოყალიბდეს სტიქიურად, თუმცა თანამედროვე *საზოგადოებების* პირობებში იგი განიცდის განსაზღვრულ ზეგავლენას მრავალრიცხოვანი სოციალური ინსტიტუტების მხრიდან. ამიტომ სხვადასხვა კონკრეტულ სიტუაციებში იგი რეალობასთან ადეკვატურობის სხვადასხვა ხარისხს ავლენს. იგი შეიძლება შეიცავდეს როგორც მართებულ, რეალისტურ, ისე მცდარ, ილუზორულ წარმოდგენებს სინამდვილეზე (ჰაბერმასი, პოპერი).

საზოგადოებრივი ინტერესი რომელიმე ჯგუფის წევრების საერთო ინტერესი, რაც ხშირ შემთხვევაში სრულიად განსხვავებულია ინდივიდუალური ინტერესების იმგვარი ერთიანობისაგან, რომელიც რომელიმე ერთ სოციალურ სფეროში არსებობს. ეს სხვაობა გამომდინარეობს თვისებრივი დიფერენციაციიდან – სხვაობიდან ადამიანთა საერთო ინტერესებსა და ინდივიდუალური ინტერესების უბრალო ჯამს შორის, რომელიც ყალიბდება ინდივიდების ლოკალური მიზნების ნიადაგზე. იგივე ფენომენები შეგვიძლია ჰობსის ტერმინოლოგიით გამოვხატოთ, როგორც „საყოველთაო ნება“ და „ყველას ნება“. ჰობსის აზრით, სახელმწიფო როგორც პოლიტიკურ ურთიერთობათა სუვერენი ყალიბდება მხოლოდ საერთო ნების მოცემულობის შემთხვევაში. სხვები, ვინც არ იზიარებენ ჰობსის ამ იდეას, ცდილობენ „საყოველთაო ნების“ „ყველას ნებამდე“ რედუცირებას და მიიჩნევენ, რომ საბოლოო ჯამში *ს. ი-ზე* მსჯელობას აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, თუ იგი ითვალისწინებს ან გულისხმობს ინდივიდუალურ ინტერესებსა და მისწრაფებებსაც.

საზოგადოებრივი მოძრაობები გულისხმობს არა მხოლოდ პოლიტიკური *პარტიებისა* და *ორგანიზაციების*, არამედ ცალკეული ინდივიდების მოღვაწეობას, რომლებიც არ შედიან არავითარ ოფიციალურ სტრუქტურებში და ერთიანდებიან მხოლოდ იდეურ საფუძვლებზე. *ს. მ-ის* ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია პოლიტიკურ და

საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეული იდეის პოპულარიზაცია – აქტიური მხარდაჭერაა, რითაც მზადდება ნიადაგი ცვლილებებისათვის. ერთი იდეის ირგვლივ კონცენტრირებული მოძრაობის ძალა შეიძლება შესუსტდეს იდეის კონკრეტული რეალიზაციის პროცესში, როდესაც თავს იჩენს უთანხმოება მოძრაობის სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის საერთო მიზნების განხორციელების გზებისა და საშუალებების შეფასებისას. ამგვარი ვითარების ნათელი მაგალითია ეროვნული მოძრაობა XX ს-ის მიწურულის საქართველოში, როდესაც მოძრაობის დაშლა-დანაწილებას მოჰყვა ჯერ ერთი დაჯგუფების ინსტიტუციონალიზაცია და მეორის მარგინალიზაცია, ხოლო შემდეგ პირუკუ პროცესის განვითარება. ერთ დროს ერთიანი დინამიკური მოძრაობის ნაცვლად საბოლოო ჯამში მივიღეთ მნიშვნელოვნად განსხვავებული პლატფორმის პარტიები, რომელთა დიდი ნაწილი შეერწყა ოფიციალურ სტრუქტურებს.

საზოგადოებრივი ხელშეკრულება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ *ორგანიზაციათა* გვერდის ავლით თავად ადამიანებს შორის უშუალოდ დადებული ხელშეკრულება. *ს. ბ.* განსაზღვრავს პირობებს, რომლის თანახმადაც ადამიანები მზად არიან მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დაემორჩილონ ხელისუფლებას. ჰობსის თეორიაში *ს. ბ.* განასახიერებდა ადამიანთა გადასვლის მომენტს ბუნებრივი მდგომარეობიდან საზოგადოებრივ და იმავდროულად პოლიტიკურ ცხოვრებაზე. *ს. ბ-ის* თეორია განსაკუთრებით დეტალურად დაამუშავა რუსომ, თუმცა ის, ჰობსთან ერთად, არ ყოფილა ამ თეორიის იშვიათი მხარდამჭერი. არსებობდა *ს. ბ-ის* სხვადასხვა ვერსია. ამ თეორიის თანამედროვე მნიშვნელობა განისაზღვრება არა იმით, მართლა დაიდო თუ არა სადმე ამგვარი ხელშეკრულება, არამედ პოლიტიკური ვალდებულებების საზღვრების მონიშვნით, რომელსაც *საზოგადოებაში* ემორჩილებიან ინდივიდები.

საზრისისეული ერთეულები იხ. *კონტენტ-ანალიზი.*

საკანონმდებლო ხელისუფლება ხელისუფლების დამოუკიდებელი შტო დემოკრატიულ ქვეყნებში, რომლის ძირითადი ფუნქციაა კანონშემოქმედება *პარლამენტში* არჩეული დეპუტატების მეშვეობით. კანონშემოქმედება არ არის პარლამენტის ერთადერთი ფუნქცია. *ს. ბ.* ამტკიცებს მთავრობას, ბიუჯეტს და ასრულებს სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ფუნქციებს. *ს. ბ.* წარმოიშვა შუა საუკუნეების საკრებულოებისაგან, რომლებიც სათათბირო ინსტიტუტების სახით არსებობდა მეფეების კარზე. *ს. ბ-ის* მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც რიგ ევროპულ ქვეყნებში რევოლუციური გარდაქმნების შედეგად განხორციელდა ხელისუფლების დეკონცენტრაცია და პარლამენტმა დამოუკიდებელი სახელისუფლებო ფუნქცია შეიძინა.

საკრალური და პროფანული ცნება, რომელიც განსაკუთრებულად გამოიყენება დიურკემის სოციოლოგიურ კონცეფციაში. დიურკემთან საკრალური მოიცავს იმ მოვლენებსა და საგნებს, რომლებიც თაყვანისცემისა და გაფრთხილების (აკრძალვის) ობიექტებია და არ უკავშირდება ყოველდღიური ყოფის საგნებსა და მოვლენებს (პროფანული). დიურკემის თანახმად, განსხვავება *ს-სა* და *პ-ს* შორის ყოველი საზოგადოების დამახასიათებელი ნიშანია. *რელიგიის* შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკრალურად მიჩნეულ საგნებსა და მოვლენებს.

სამანდატო ტერიტორია გერმანიის ყოფილი კოლონიებისა და ოსმალეთის სამფლობელოების ზოგადი სახელწოდება, რომლებიც პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და ოსმალეთის დამარცხების შემდეგ ერთა ლიგის მიერ სპეციალური დავალების ანუ *მანდატის* საფუძველზე გადაეცა გამარჯვებულ ქვეყნებს. მანდატის მფლობელი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებდნენ მოემზადებინათ *ს. ტ-ები* პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის. თუმცა ეს, ფაქტობრივად, *კოლონიალიზმის* შენიღბული ფორმა იყო.

სამართლებრივი სახელმწიფო დემოკრატიული სახელმწიფოს *პოლიტიკური რეჟიმის* სახეობა, რომელიც კანონის სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებულ ბუნებრივ, განუყოფელ, ადამიანისა და ხალხების საყოველთაო უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელ დაცვას ემყარება. *ს. ს.* დემოკრატიული და ჰუმანური სამართლებრივი ნორმებით თვითშეზღუდული *სახელმწიფოა.* შეუთავსებელია მისი არსებობა უსამართლობასთან, თვითნებურ მმართველობასა და *დიქტატურასთან,* პოლიტიკაში სუბიექტივიზმსა და თვითნებობასთან, რაც *ავტორიტარული* და *ტოტალიტარული* რეჟიმებისათვის არის დამახასიათებელი დანაშაულებრიობის თარეშთან და კორუფციასთან, ფარულ პოლიტიკურ ინტრიგებსა და კლანურობასთან და სხვ. ასეთი სახელმწიფოს სოციალურ საფუძველს *სამოქალაქო საზოგადოება* წარმოადგენს, რომლის ცნობის გარეშე არც სახელმწიფო და არც *კანონი* ლეგიტიმურად არ ითვლება. სწორედ სახელმწიფო და სამართლებრივი ნორმების ლეგიტიმურობა იძლევა სამოქალაქო საზოგადოებაში კანონიერებისა და სამართალწესრიგის დაცვის უმნიშვნელოვანეს გარანტიას. *ს. ს-ს* კონცეფცია სახელმწიფოსა და *საზოგადოების* გაუცხოებისა და მათი ურთიერთდაპირისპირების წინააღმდეგ გამოდის, ამასთან ერთად, სამართლებრივ საფუძველზე მათი ჰარმონიული ურთიერთობის აუცილებლობას აღიარებს. *ს. ს-ს* უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ხელისუფლების სამი *ძირითადი* რგოლის – წარმომადგენლობითის (საკანონმდებლო), აღმასრულებლისა და სასამართლოს რეალური დანაწილება, ურთიერთქმედება და ურთიერთკონტროლი სასამართლო ხელისუფლების განსაკუთრებული როლით, რომელიც კანონიერებისა და კანონის დაცვის გარანტად გამოდის.

სამართლიანი ომი სამართლებრივი და ზნეობრივი მიზნებისათვის *ძალის* საერთაშორისო გამოყენების ლეგიტიმურად გამოცხადება და ძალის გამოყენებაზე შეზღუდვების დაწესების მცდელობა. ეს ცნება თავდაპირველად ქრისტიანობის მიერ „სამართლიანი" რელიგიური მიზნებისათვის ძალის გამოყენების *ლეგიტიმაციას* ემსახურებოდა. *ს. ო-ის* ფორმალიზება ხდებოდა *ომის* წარმოების წესებით, რომელთაგან პირველი – ომის სამართალი – შეეხებოდა იმ პირობებს, რომლებშიც ომის გამოყენება ლეგიტიმურად ჩაითვლებოდა. ამ წესების მეორე ნაწილი, ომის წესები, თავად ომის წარმოების საშუალებებსა და მათ შეზღუდვას უკავშირდებოდა. მათი ზოგადი პრინციპი იყო ის, რომ *ს. ო-ის* წარმოება უსამართლო მეთოდებით იკრძალებოდა. ჰუგო გროციუსის მიხედვით, *ს. ო-ის* წარმოება ოთხ შემთხვევაში იყო გამართლებული: 1) თავდაცვისას; 2) უფლებების დასაცავად; 3) მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად; 4) დამრღვევი სახელმწიფოს დასასჯელად. გროციუსის მიერ დაწყებულმა ომის წარმოების რაციონალიზაციამ მიგვიყვანა ომების წესების საყოველთაოდ აღიარებამდე, რაც შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებშია

დაფიქსირებული და რომლებიც ომის შეზღუდვას ითვალისწინებს. *ს. ო-ის* კატეგორიას ტრადიციულად კრიტიკულად უდგებოდნენ საერთაშორისო ურთიერთობების *რეალიზმის* სკოლის წარმომადგენლები, რომლებიც ომს *პოლიტიკის* იარაღად მიიჩნევდნენ და მის სამართლიან და ზნეობრივ მხარეებს უარყოფდნენ. *ს. ო-ის* რადიკალური შემთხვევაა ფუნდამენტალისტების მიერ პროპაგანდირებული საღვთო ომი.

სამართლის სოციოლოგია 1. სოციოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის სამართლის აღმოცენების (გენეზისის) განვითარებისა და მოქმედების სოციალურ პირობებს საზოგადოებაში. **2.** მეცნიერების მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს მართლწესრიგის საფუძვლების სოციალური ცვლილებების შესწავლას, რაც მიმდინარეობს სამართლის ზემოქმედებით საზოგადოებრივ ურთიერთობათა რეგულირების სრულყოფის მიზნით.

სამართლის სისტემის, საზოგადოების ცხოვრებაში მისი როლის კვლევისადმი სოციოლოგიური მიდგომის შემუშავებასა და განხორციელებაში არსებითი წვლილი შეიტანეს კ. მარქსმა, ე. დიურკემმა, ვ. პარეტომ, მ. ვებერმა. *ს. ს.* როგორც ცოდნის თავისთავადი დარგი ჩამოყალიბდა მხოლოდ XX ს-ის შუახანებში, თვით ტერმინიც (თავისთავადი მეცნიერული დისციპლინის აღსანიშნავად) მეცნიერებაში შემოტანილ იქნა 1962 წ. V მსოფლიო სოციოლოგიურ კონგრესზე.

ს. ს-ის კვლევის ობიექტია საზოგადოებაში არსებული სამართლის სისტემა, მისი ფორმირების, განვითარებისა და ფუნქციონირების მექანიზმები. *ს. ს.* შეისწავლის სამართლის როგორც საზოგადოების ფუნქციონირების სპეციფიკური სფეროს აღმოცენების სოციოლოგიურ პირობებს, ასევე სამართლის მოქმედებისა და განვითარების სოციალურ მექანიზმებსა და ფაქტორებს საზოგადოების სოციალური სტრუქტურის დინამიკასთან მიმართებაში, საზოგადოებაში გაბატონებულ სოციალურ ურთიერთობებთან და სოციალურ-კულტურულ ნორმებთან ორგანულ ურთიერთკავშირში.

ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სამართლის სოციალური განპირობებულობის კვლევა. დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური ფაქტორების გამოვლენას სამართალშემოქმედებით მოღვაწეობაში.

ს. ს. (იურიდიული სოციოლოგია) ცოდნის დარგია, რომელიც მზარდ ზეგავლენას ახდენს იურიდიულ მეცნიერებათა მთელ კომპლექსზე. იგი ფართოდ იყენებს ზოგადი სოციოლოგიის კვლევით არსენალს, დისციპლინათაშორისი მიდგომის გამოყენებით შეისწავლის სამართალს ფილოსოფიის, სოციალური ფილოსოფიის, ინდივიდუალური ფსიქოლოგიის, სტატისტიკის, მათემატიკის მიღწევებზე დაყრდნობით. სისტემური და ფუნქციური მეთოდების გამოყენებით ფართო მასშტაბით შეისწავლის ისეთ გლობალურ პრობლემებს, როგორიცაა ნორმათა ზემოქმედება, კანონმდებლობის ეფექტურობა, მართლმსაჯულების არაფორმალური მექანიზმები, მოსახლეობის აზრი სამართლისა და კანონმდებლობის შესახებ, მართლშეგნების ფორმირების პრობლემები, სამართლებრივი *სოციალიზაცია* და ა. შ.

XIX ს-ში გაბატონებული იურიდიული პრიმიტივიზმისაგან განსხვავებით *ს. ს.*, ფართო გაგებით, სწავლობს სამართლებრივი აქტებისა და ცალკეული ნორმების რეალურ მოქმედებას მთელი სოციალური რეგულაციის ფონზე და მასთან შერწყმით, ჩვეულების, მორალის, ჯგუფური ღირებულებების, ორიენტაციებისა და სხვ. ჩათვლით. *ს. ს-ში* განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კანონიერებისა და ცალკეული ნორმების ეფექტურობის შეს-

წავლას, იგი აანალიზებს სამართლის ძირითად ფუნქციებს – მარეგულირებელს, აღმზრდელობითს, პროგნოზისტულს, აგრეთვე საზოგადოებრივ აზრს სამართლისა და მართლმსაჯულების შესახებ, იურიდიული პროფესიების პრესტიჟსა და სხვ. *ს. ს-ში* არსებობს ორი ურთიერთსაპირისპირო მიმდინარეობა: ნომინალისტური (ა. იაკოვლევი) და რეალისტური (ე. დიურკემი, მ. ვებერი).

სამი სტადიის კანონი ო. კონტის მიერ ფორმულირებული ისტორიულ-სოციოლოგიური კანონი, რომლის თანახმადაც, ცნობიერება და *საზოგადოების* ზოგადი ფორმა გადის სამ სტადიას, რომელთაგან თითოეული შეესაბამება ცოდნისა და მსოფლმხედველობის გარკვეულ ტიპს. პირველ – თეოლოგიურ სტადიაზე, ცოდნა განმსჭვალულია „თეოლოგიური" კონცეფციებით. გონება მოვლენის ახსნას ცდილობს ზებუნებრივი ძალების, ღმერთების ზემოქმედებით. ამ სტადიას შეესაბამება საზოგადოება, სადაც ქურუმები და *მონარქები* ბატონობენ; მეორე – ეს არის „მეტაფიზიკური", სპეკულაციური ცოდნის სტადია, რომელიც დაკავშირებულია სოციალური კრიტიციზმის ეპოქასთან, აგრეთვე პოლიტიკურ *გადატრიალებასა* და *რევოლუციასთან*. მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა, კონტის აზრით, თეოლოგიურის სახეცვლილებაა. აქ ყველა მოვლენის საფუძველს აბსტრაქტული, მეტაფიზიკური არსებები შეადგენენ. მესამე – პოზიტიური მეცნიერული ცოდნის თანამედროვე ერა. ეს არის „საიმედო" ცოდნის ეტაპი, რომელშიც, როგორც კონტი იმედოვნებდა, მოხდება სოციალური რეორგანიზაცია რაციონალური მართვისა და „რელიგიური ჰუმანიზმის" საფუძველზე. საზოგადოებას უხელმძღვანელებენ მრეწველები და ბანკირები, რომლებიც განსწავლულნი იქნებიან *სოციოლოგიაში*, მართვის ხელოვნებაში. ახალ ერას კონტი უწოდებდა „პოზიტიურს", საპირისპიროდ „ნეგატიური", სპეკულატური „მეტაფიზიკური" ერისა. პოზიტიური ერის საზოგადოებაში დამკვიდრდება ახალი მეცნიერული მორალი, თავისუფლება გამოვა ბუნების კანონების შესაბამისი მოთხოვნებიდან სოციოლოგიის მიერ გამოელენილი კანონების შესაბამისად.

სამოქალაქო დაუმორჩილებლობა მორალური პრინციპების საფუძველზე დამყარებული ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობის პოლიტიკური აქცია. ტერმინი პირველად გამოიყენა ჰენრი ტორომ პამფლეტში „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის მოვალეობის შესახებ" (1849), მაპათმა განდის მიერ შემუშავებული *ს. დ-ის* კამპანია პასიური წინააღმდეგობის ტაქტიკის გათვალისწინებით აქტიურად გამოიყენებოდა ინდოეთში ბრიტანული მმართველობის წინააღმდეგ.

სამოქალაქო თავისუფლება ლეგიტიმურ ქცევათა სისტემა, რაც გარანტირებული უნდა ჰქონდეს ადამიანს თავისი უფლებების დასაცავად როგორც სხვა კერძო პირების, ასევე სახელმწიფო ჩინოვნიკებისა და სასამართლოს მოხელეების ჩარევისაგან. ასეთი თავისუფლებების რიგს ქმნიან ისეთი კონკრეტული თავისუფლებები, როგორიცაა პოლიციის მიერ თვითნებური დაკავებისაგან დაცვა, სიტყვის, კრებების, ასოციაციებში გაერთიანების, გადაადგილების თავისუფლება, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა და ა. შ. *ს. თ-უბისათვის* აუცილებელ სამართლებრივ საფუძველს საბოლოო ჯამში *კონსტიტუცია* იძლევა.

სამოქალაქო საზოგადოება განვითარებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, სულიერ-ზნეობრივი ურთიერთობების *საზოგადოება*, რო-

მელსაც ახასიათებს მაღალი საერთო და სოციალურ-პოლიტიკური კულტურა. მისი წევრები – მოქალაქეები გამოირჩევიან მაღალი სოციალურ-პოლიტიკური აქტივობით, *სახელმწიფოსთან* ურთიერთობაში პრიორიტეტს საზოგადოებას ანიჭებენ და ხაზს უსვამენ სახელმწიფოს მიერ საზოგადოებისათვის სამსახურის აუცილებლობას. *ს. ს-ის* წარმოქმნა განუხრელად უკავშირდება თანამედროვე ცივილიზაციის სრულყოფას. ორივე ეს პროცესი მოითხოვს როგორც პიროვნების უწყვეტ სრულყოფას, მის ჭეშმარიტად თავისუფალ, სრულუფლებიან, აქტიურ, სათანადო სოციალურ-პოლიტიკური სტატუსის მქონე მოქალაქედ გარდაქმნას, ასევე *ს. ს-ის* ფუნქციონირების, მოწყობისა და განვითარების უზრუნველყოფას. *ს. ს.* შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ დემოკრატიზმის, ჰუმანიზმის, საზოგადოებრივი, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის, დეცენტრალიზაციის საფუძველზე. იგი შეუთავსებელია *ტოტალიტარიზმსა* და *ავტორიტარიზმთან,* ადამიანის, ხალხებისა და ეროვნული უმცირესობების უფლებების დარღვევასთან, შოვინიზმთან, რასიზმთან, რელიგიურ შეუწყნარებლობასთან და ა. შ. ჰეგელისა და მარქსის თვალსაზრისით, ეკონომიკური ურთიერთობები ურთიერთობების შუალედური ფორმაა, რომელიც სახელმწიფოსა და *ოჯახს* შორისაა მოქცეული. უფრო ზოგადი აზრით *ს. ს.* ფართო სოციალური ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი მონაწილეობის სფერია, რომელიც სახელმწიფოსა და ეკონომიკის მკაცრი ზემოქმედების საპირწონეს წარმოადგენს. *ს. ს-ის* და „სამოქალაქო მთავრობის" ტერმინის თავდაპირველ გამოყენებას მიზნად ჰქონდა დაპირისპირება „ბუნებრივ საზოგადოებასა" და „ბუნებრივ სახელმწიფოსთან." ა. ფერგიუსონი ამ ტერმინს იყენებდა დასავლური ცივილიზაციის და მისი შესაბამისი მმართველობის ფორმების, ასევე პოლიტიკური მმართველობის „დესპოტური" (აღმოსავლური) ფორმებისგან გასამიჯნად. *ს. ს-სთან* დაკავშირებული ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლება მარქსისტების მიერ ცხადდებოდა უფრო მოჩვენებით, ვიდრე რეალურ თავისუფლებად, მაგრამ როგორც *მარქსიზმში* (მაგ., ა. გრამშისთან), ასევე, ზოგადად სოციოლოგიაში საყოველთაოდ აღიარებულია *ს. ს-ის* გამოყოფა „ბუნების", „ოჯახისა" და „სახელმწიფოსაგან". *ს. ს-ის* თეორია მოცემულია ლოკის, ჰობსის, რუსოს და სხვა მოაზროვნეთა შრომებში. *ს. ს-ის* პრობლემებს იკვლევს თანამედროვე გერმანელი სოციოლოგი ი. ჰაბერმასი.

სამოქალაქო უფლებები კანონით გარანტირებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური უფლებები, რომელიც გააჩნია ყოველ მოქალაქეს როგორც *საზოგადოების* წევრს. ნებისმიერი *სახელმწიფო* თავის მოქალაქეებს კონსტიტუციურ და სხვა სახის გარანტიების მინიჭებასთან ერთად *ს. უ-საც* ანიჭებს. მაგრამ ხანდახან *კონსტიტუცია* აღიარებს უფლებებს და არ იძლევა მოქალაქეების მიერ მათი განხორციელების საშუალებას. საქართველოს თანამედროვე კანონმდებლობა კრძალავს დისკრიმინაციას რასობრივი, სქესობრივი, რელიგიური პრინციპით. მოქალაქეებს შეუძლიათ ზოგიერთი თავისი უფლება სახელმწიფოსთან კამათში დაიცვან (მაგ., მიმართონ ევროსასამართლოს და სხვ.).

სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები ს. ჰანტინგტონის განმარტების თანახმად, სამხედრო უსაფრთხოების *პოლიტიკის* ინსტიტუციონალური დონე, ანუ მანერა – რომლითაც ეს პოლიტიკა ფორმულირდება და ხორციელდება. *ს.-ს. უ-ის* არსი და დანიშნულებაა სამხედრო ხასიათის გარეშე საფ-

რთხეების იმგვარი განსაზღვრა და მათზე რეაგირების ისეთი გზების მოძიება, რომელიც უსაფრთხოების მაქსიმალიზაციას მოახდენს სხვა საზოგადოებრივი ღირებულებების მინიმალური მსხვერპლშეწირვით. ამ მიზნის მიღწევა გულისხმობს *ძალაუფლებისა* და შეხედულებების ბალანსს სამხედრო და სამოქალაქო ჯგუფებს შორის. ამასთან, *ს.-ს. უ.* არ მოქმედებს მხოლოდ ტრადიციულად სამხედრო ხასიათის, საგარეო ძალთაგან მომდინარე საფრთხეებზე რეაგირების პროცესში. სხვაგვარად, თანამედროვე ეტაპზე იგი მხოლოდ შედარებით მეორეხარისხოვანი ნაწილი იქნებოდა *ეროვნული უსაფრთხოების* კომპლექსისა. სამხედრონი სულ უფრო ინტენსიურად ხდებიან არატრადიციული საქმით დაკავებულნი და *უსაფრთხოების* ნებისმიერი ასპექტი მათი ყურადღებისა და საქმიანობის სფეროც ხდება. არმიისათვის შედარებით უჩვეულო პოლიციური ნიშნების მქონე მასები მხოლოდ განვითარებადი სამყაროსათვის არაა აქტუალური. განვითარებულ ქვეყნებშიც თანამედროვე სამხედროებს მშვიდობიან პერიოდშიც ბევრი საქმე უჩნდებათ და მათთვის განსხვავება *ომსა* და *მშვიდობას* შორის იშლება. სამხედრო ძალების ქმედებებში იზრდება ანტიტერორისტული და ანტიპარტიზანული მოქმედებების, სამოქალაქო მოსახლეობისათვის დახმარების, სამხედრო დიპლომატიის ადგილი. როგორც წესი, შეიარაღებული ძალები ფლობენ ისეთ ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მატერიალურ ძლიერებას, რომელიც მათ შეუცვლელს ხდის ნებისმიერი საგანგებო სიტუაციის დროს. მაგრამ სამხედროთა მზარდ როლში იმალება მუდმივი და თავისთავად მზარდი პრობლემა: როგორ უნდა ხდებოდეს სამხედროთა როლის შეზღუდვა ხელისუფლებისა და ხალხის მსახურის ფუნქციით. სწორედ ესაა *ს.-ს. უ-ის* საკვანძო საკითხი. დემოკრატიის იმპერატივია სამხედროების პოლიტიკისაგან, პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებისაგან განზე გადგომა, მაგრამ ახალი როლებიდან თუ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ბუნებიდან გამომდინარე, სამხედროს არ შეიძლება ჰქონდეს აბსოლუტური პოლიტიკური იმუნიტეტი. საქმე იმ ბალანსის პოვნაა, რომლის დროსაც სამხედროთა ჯგუფური ინტერესები პოლიტიკურ ჩარჩოებში და დემოკრატიული თამაშის წესების ფარგლებში იქნება მოქცეული. *ს.-ს. უ-ის* პრობლემა სამხედროთა ინტერესების დაცვის ფორმებისა და მექანიზმების, სამოქალაქო ინტერესებთან, *დემოკრატიასთან* და სამართლებრივ პრინციპებთან შესაბამისობაა.

სანქცია ზომების ერთობლიობა, რომელიც გამოხატულია პოზიტიური (წახალისების) ან ნეგატიური (დასჯის) ფორმებით და ემსახურება *საზოგადოებაში* სოციალური ნორმების დაცვასა და მხარდაჭერას. თავის მხრივ, *ს-ები* შეიძლება იყოს ფორმალური (მაგ., იურიდიული ხასიათის, როგორიცაა დაპატიმრება კანონდარღვევის საფუძველზე, ჯარიმა, ოფიციალური საყვედური, ან, პირიქით, მადლობა) და არაფორმალური (მაგ., ლინჩის წესით გასამართლება). *ს-ები* ლეგიტიმურობას, ანუ კანონიერებას იძენენ *ნორმების* საფუძველზე, ხოლო ნორმები, თავის მხრივ, ახდენენ სოციალური ღირებულებების რეალიზაციას. მაგ., ღირებულებას წარმოადგენს ინდივიდის სიცოცხლე და კეთილდღეობა; შესაბამისად, არსებობს სოციალური ნორმები (*კანონები*), რომლებიც კრძალავს მკვლელობას, შეიარაღებულ თავდასხმას და სხვ. ნორმებთან დაკავშირებულია *ს-ები*, მაგ., დაპატიმრება, როდესაც ხდება სიცოცხლის ხელყოფა.

საპარლამენტო პარტია ისეთი *პარტია*, რომელიც თავისი პროგრამის

განხორციელებასა და საამისოდ ხელისუფლების სათავეში მოსვლას მხოლოდ საპარლამენტო *არჩევნებში* გამარჯვების გზით ცდილობს. საქმე ისაა, რომ ყველა პარტია არ თვლის ხელისუფლების სათავეში მოსვლის ერთადერთ საშუალებად არჩევნებში გამარჯვებას. არასაპარლამენტო პარტიების ყველაზე ტიპური ნიმუში იყო ბოლშევიკების, შემდგომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელმაც რეალურად ქვეყნის მართვის სადავეები ჯერ სახელმწიფო *გადატრიალების* შედეგად ჩაიგდო, ხოლო შემდგომ *ტოტალიტარიზმის* ჩამოყალიბების კვალად შეეზარდა სახელმწიფო სტრუქტურებს. საპარლამენტო და არასაპარლამენტო პარტიების სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის განსხვავება ზეგავლენას იქონიებს მათ ორგანიზაციულ სტრუქტურასა და იდეოლოგიაზე. კომპარტია თავისი მუდმივი პირველადი ორგანიზაციებითა და ე.წ. დემოკრატიული ცენტრალიზმის ორგანიზაციული პრინციპით უფრო გასამხედროებულ დაჯგუფებას ჩამოჰგავდა, განსხვავებით დასავლური პოლიტიკური პარტიებისაგან, რომელთა პოლიტიკური აქტივობა ძირითადად არჩევნების მომზადებასა და შემდგომ შიდა საპარლამენტო ბრძოლებში ვლინდება.

საპარლამენტო რესპუბლიკა იხ. *რესპუბლიკა*.

საპარლამენტო სუვერენიტეტი სახელმწიფოებრივი მოწყობის ოფიციალური იდეოლოგიური პრინციპი, რომლის შესაბამისადაც, *პარლამენტის* მიერ მიღებული *კანონები* სასამართლოს მიერ გადახედვას არ ექვემდებარება, ხოლო კონსტიტუციური ან სხვა სახის კანონმდებლობის შესაცვლელად აუცილებელი არ არის კვალიფიციური უმრავლესობის ხმა ან რაიმე სახის განსაკუთრებული პროცედურა.

საპარლამენტო წყვილი ტერმინი გამოიყენება საპარლამენტო მოლვაწეობაში გავრცელებული პრაქტიკის აღსანიშნავად, რომლის დროსაც დაპირისპირებული პოლიტიკური *პარტიის* წარმომადგენლები ურთიერთმოლაპარაკების შედეგად არ მონაწილეობენ რომელიმე საკითხის გარკვეულ პუნქტებზე გამართულ კენჭისყრაში იმგვარად, რომ მთლიანი შედეგით არ შეცვალოს პარლამენტში არსებული არც ძალთა თანაფარდობა და არც მთელ დოკუმენტზე მოსალოდნელი გადაწყვეტილება.

საპრეზიდენტო მმართველობა იხ. *რესპუბლიკა*.

სასამართლო ხელისუფლება ხელისუფლების მესამე შტო დემოკრატიული მმართველობის ქვეყნებში, რომელსაც ევალება ქვეყანაში მართლმსაჯულების აღსრულება. *ს. ხ.* ხასიათდება სამი ძირითადი ნიშნით: პირველი და ძირითადი ნიშანი არის *ს. ხ-ის* დამოუკიდებლობა. მართლმსაჯულების აღსრულება მოითხოვს სასამართლოს სრულ დაუინტერესებლობასა და მის გადაწყვეტილებებში სხვა სახელისუფლებო ინსტიტუტების ჩაურევლობას. დემოკრატიულ ქვეყნებში ეს გარანტირებულია კონსტიტუციით. *ს. ხ-ის* მეორე მნიშვნელოვანი ფუნქციაა კანონმდებლობის, მათ შორის, კონსტიტუციური ნორმების დაცვის განხორციელება. როგორც წესი, ქვეყნების უმრავლესობაში ამ ფუნქციას კონსტიტუციური სასამართლო ახორციელებს. დასასრულ, *ს. ხ-ის* კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე ზედამხედველობა.

სასიცოცხლო სივრცე გერმანული გეოპოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ცნება, რომლის მიხედვითაც, *ერს* და,

შესაბამისად, მის *სახელმწიფოს* ნორმალური განვითარებისათვის სჭირდება გარკვეული სასიცოცხლო სივრცე, რომელიც მან თვითონვე უნდა შექმნას. *გეოპოლიტიკის* ფუძემდებელმა ფრიდრიხ რატცელმა სახელმწიფო შეადარა ცოცხალ ორგანიზმს, რომელსაც ესაჭიროება კვება, ზრდა და განვითარება. ეს ნიშნავს *ს. ს-ის* ზრდას, რაც თავისთავად გულისხმობს მეზობელი სუსტი ქვეყნების შთანთქმას, მათ ხარჯზე გაფართოებასა და დაპყრობითი *ომების* გამართლებას. *ს. ს-ის* იდეა შემდგომ განვითარებული იქნა რუდოლფ ჩელენის (კელენის) და განსაკუთრებით *ნაცი ზმის* პერიოდის გეოპოლიტიკოსების (კარლ ჰაუსჰოფერი და სხვ.) მიერ. *ფაშიზმის* განადგურების შემდეგ გერმანული გეოპოლიტიკა წარსულს ჩაბარდა და *ს. ს-ის* იდეასაც, როგორც რეაქციულსა და ცრუმეცნიერულს, სერიოზულად აღარავინ უყურებს.

სატელიტი *ძველ* რომში ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ პირად მცველებს, რომლებიც მუდამ თან ახლდნენ პატრონს. აქედან ტერმინმა თანმხლების, თანამგზავრის მნიშვნელობა შეიძინა. პოლიტიკურ ლიტერატურაში ტერმინი უმთავრესად გამოიყენება იმ *სახელმწიფოების* აღსანიშნავად, რომლებიც, მართალია, ფორმალურად დამოუკიდებლები არიან, მაგრამ ფაქტობრივად ემორჩილებიან სხვა, უფრო გავლენიან სახელმწიფოს. *ცივი ომის* პერიოდში ე. წ. სოციალისტური ბანაკის აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები საბჭოთა კავშირის *ს-ები* იყვნენ.

საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო პოლიტიკური სისტემა, რომელშიაც სოციალური პოლიტიკა მთავრობის პრიორიტეტული მოღვაწეობის სფერო ხდება და *სახელმწიფო* თავის თავზე იღებს ყველა თავისი მოქალაქის კეთილდღეობაზე ზრუნვას (პენსიებით, უფასო სამედიცინო მომსახურებით, სოციალური დაზღვევით და ა. შ. უზრუნველყოფას). *ს. კ. ს-ს* დოქტრინა პირველად დიდ ბრიტანეთში შემუშავდა, როდესაც ცალკეულ თეორიულ გააზრებებს პოლიტიკური გამოხატულება მისცა 1942 წელს ბევერიჯის მოხსენებამ პარლამენტში, სადაც წარმოდგენილი იყო ასეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბების კონკრეტული პროგრამა. ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და ომის შემდგომაც შემუშავდა პროგრამის რეალიზაციისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა. კერძოდ, შემოღებულ იქნა სავალდებულო საშუალო განათლება, სახელმწიფო დაზღვევისა და სახელმწიფო სამედიცინო სამსახურის შექმნის, აგრეთვე სახელმწიფო ბინათმშენებლობისა და ამ სფეროში მოსახლეობის სახელმწიფო დახმარების კანონები. ამგვარი პოლიტიკა გულისხმობდა სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობის ახლებურ გააზრებას საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ახალ ვითარებებში სახელმწიფო თავის თავზე იღებდა პასუხისმგებლობას, საკუთარი მოქალაქეების უმრავლესობისათვის გადაეწყვიტა არსებული პოლიტიკური სისტემის პირობებში შექმნილი პრობლემები.

საყოველთაო ნება *ჟან ჟაკ* რუსოს პოლიტიკური კონცეფცია, რომლის თანახმადაც, *ს. ნ.* მაშინ გამოიხატება, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას მოქალაქენი ზრუნავენ არა კერძო ინტერესებზე, არამედ მთლიანი საზოგადოების კეთილდღეობაზე. აღნიშნული კონცეფცია საღვთო ნების შესახებ ღვთისმეტყველთა დისკუსიისას ჩამოყალიბდა: ჟან ჟაკ რუსო იეზუიტი ფილოსოფოსის მალებრანშის (1638-1715) გავლენას განიცდიდა. ეს უკანასკნელი თვლიდა, რომ მოაზროვნე სული და მატერია მათი ბუნების განსხვავებულობის გამო

ერთმანეთზე გავლენას ვერ მოახდენს. ალნიშნული მხოლოდ უფლის ნებით ხორციელდება. რუსოს აზრით, *ს. ნ-ის* განხორციელება ანტიკურ ქალაქ-სახელმწიფოში ან თავის მშობლიურ ქალაქ ჟენევაში იყო შესაძლებელი. ამ ქალაქებში არსებული *დემოკრატია* მხოლოდ თავის მოქალაქეებს ანიჭებდა პოლიტიკურ უფლებებს. ამრიგად, მოქალაქეები ანტიკური (და არა თანამედროვე) გაგებით თავისუფლებით სარგებლობდნენ, რაც საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობას ნიშნავდა და გამორიცხავდა თანამედროვე გაგებას კოლექტიური ჩარევის შესახებ. პოლიტიკური უფლებების განხორციელება სისტემის საერთო სულისკვეთების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც *პატრიოტიზმზე* იყო დაფუძნებული და მოქალაქეების ზნეობრივ ღირებულებებს ასახავდა.

საშუალო მნიშვნელობა გამოითვლება ყველა ინდივიდუალური მნიშვნელობის შეკრებითა და მიღებული ჯამის გაყოფით შემთხვევების თუ დაკვირვებების რიცხვზე. როგორც წესი, საშუალო მნიშვნელობას უპირატესობა ენიჭება ინტერვალური დონის გაზომვების დროს, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ზღვრული მნიშვნელობები გვაქვს, რომლებიც განაწილებას ამახინჯებენ.

სახელობითი კენჭისყრა იხ. *კენჭისყრა.*

სახელმწიფო პოლიტიკური ინსტიტუტების სისტემა, რომელიც აწესრიგებს საზოგადოებრივ ცხოვრებას ამა თუ იმ განსაზღვრულ ტერიტორიაზე. მაქს ვებერი *ს-ს* სამი ძირითადი ნიშნით ახასიათებს – გარკვეული ტერიტორია, რომელზეც არსებობს ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებული მართვის გამოკვეთილი ინსტიტუტები; *ს-ს* მცდელობა, ლეგიტიმური ხასიათი მისცეს ძალადობას; დაბოლოს, პოლიტიკურ მმართველთა სამი ძირითადი ტიპის – ტრადიციული, ქარიზმატული და რაციონალური მმართველების არსებობა. სხვა მკვლევრები *ს-ს* ბუნების ანალიზისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ რეპრესიულ აპარატზე და მის სპეციფიკას იმ სახელისუფლებო სტრუქტურებში ხედავენ, რომლებსაც პრიორიტეტული ფუნქციები უჭირავთ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რომლებიც ამ გადაწყვეტილებების შესრულებისას უფლებამოსილნი არიან მიმართონ ძალადობას.

ისტორია იცნობს სახელმწიფოებრივი გაერთიანებების არაერთ ფორმას. ანტიკურ ეპოქაში ტექნიკურ-სამეურნეო ცხოვრების მაშინდელი დონის შესაბამისად, *ს-ს* ყველაზე დახვეწილ ფორმად ბერძნული პოლისი (ქალაქი-სახელმწიფო) მოგვევლინა, რომლის თავისუფალ წევრებს მოქალაქის უფლებები ჰქონდათ და მონაწილეობდნენ *ს-ს* პოლიტიკურ ცხოვრებაში. ძველბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები რომის რესპუბლიკამ შეცვალა, რომლის განვითარებული ფორმა, ციცერონის დახასიათებით, შერეულ მმართველობას განასახიერებდა: სახალხო კრება – *დემოკრატიას,* სენატი – *არისტოკრატიას,* ხოლო საკონსულო ხელისუფლება კი *მონარქიის* ელემენტებს შეიცავდა. შუა საუკუნეების ევროპაში სახელმწიფო ხელისუფლება არა მხოლოდ დეცენტრალიზებული, არამედ პრივატიზებულიც იყო ძირითადი საწარმოო საშუალების, მიწის მფლობელთა მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ცალკეული სენიორები მეფეს, უმაღლეს სენიორს ემორჩილებოდნენ, ეს დაქვემდებარება ფორმალური იყო, რადგანაც მონარქს არ შეეძლო ერთპიროვნულად ემართა ქვეყანა და საყოველთაო საგადასახადო სისტემის ასამუშავებლად თავისი ქვეშევრდომი სენიორების თანხმობა ესა-

ჭირეობოდა. არანაკლებ ზღუდავდა ხელისუფლების ცენტრალიზაციას *ეკლესიაც*, რომელიც მორალსა და *კანონს* აკონტროლებდა. თანამედროვე *ს-ს* შექმნა, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, განაპირობა, ჯერ ერთი, ეკონომიკური ცხოვრების პოლიტიკური ხელისუფლებისაგან გამოცალკევებამ, შემდეგ რწმენისა და ეკლესიის გამოყოფამ სახელმწიფო, პოლიტიკური ცხოვრებისაგან, დაბოლოს, ხელისუფლების კონცენტრაციამ სუზერენების, მონარქების ხელში, რაც საბოლოოდ *ნაციონალური ს-ების* წარმოშობით გაფორმდა. ნაციონალურ *ს-ებს* მათი არსებობის უკვე საწყის ეტაპზე თანამედროვე *ს-ების* ისეთი მნიშვნელოვანი ნიშნები ჰქონდათ, როგორიცაა რეგულარული არმია, ცენტრალიზებული ბიუროკრატია, საყოველთაო საგადასახადო სისტემა, დიპლომატიური სამსახურების შექმნა და მერკანტილიზმის ეკონომიკა, რომელიც აყალიბებდა *ს-ს* სავაჭრო პოლიტიკას. დღეს *ს. საერთაშორისო ურთიერთობების* მთავარი *აქტორი* და *საერთაშორისო სამართლის* ძირითადი, პირველადი სუბიექტია. იგი შეიძლება განისაზღვროს როგორც პოლიტიკური ხელისუფლების განსაკუთრებული, ორგანიზებული ინსტიტუტი, რომელსაც აქვს მართვისა და იძულების სპეციალური აპარატი და წარმოადგენს რა საზოგადოებას, ახორციელებს ხელმძღვანელობას მასზე და უზრუნველყოფს მის ინტეგრაციას.

ს-ს აუცილებელი ნიშნებია: *სუვერენიტეტი*, ტერიტორია, მოსახლეობა, დიპლომატიური აღიარება, შიდა სახელისუფლებო ორგანიზაცია და შინაგანი ნდობა ანუ მოსახლეობის ერთგულება საკუთარი ქვეყნისადმი. *ს-ს* ფუნქციები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: 1) საშინაო ფუნქციები, რომელიც გულისხმობს სამართლებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საკუთრებისა და მოქალაქეთა სხვა უფლებების დაცვას, აგრეთვე ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ეკოლოგიურ და იდეოლოგიურ ფუნქციებს, 2) საგარეო ფუნქციებში კი შედის *მშვიდობის* შენარჩუნება და მშვიდობიანი თანაარსებობა, საქმიანი პარტნიორობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვა გარეშე ხელყოფისგან. *ს-ს* ფუნქციონირებისა და მოწყობის თავისებურებები გამოიხატება *ს-ს* ფორმებში. *ს-ს* ფორმა შეიცავს სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ ინსტიტუტს – მმართველობის ფორმას, სახელმწიფო მოწყობის ფორმასა და სახელმწიფო რეჟიმს. მმართველობის ფორმების მიხედვით *ს-ს* ორი ძირითადი ფორმა არსებობს – *მონარქია* და *რესპუბლიკა*. მონარქია, თავის მხრივ, შეიძლება იყოს აბსოლუტური და კონსტიტუციური; ხოლო რესპუბლიკა – საპარლამენტო და საპრეზიდენტო. სახელმწიფო მოწყობის ფორმის მიხედვით *ს.* შეიძლება იყოს *უნიტარული* და *ფედერაციული*, ხოლო რეჟიმის მიხედვით – *დემოკრატიული, ავტორიტარული* და *ტოტალიტარული*. გარდა სახელმწიფოთა ფორმებისა, გამოყოფენ სახელმწიფოთა ტიპებს. ტიპოლოგიისადმი ორი ძირითადი მიდგომა არსებობს – ცივილიზაციური და ფორმაციული. ცივილიზაციური თვალსაზრისით, *ს-ები* შეიძლება იყოს აღმოსავლური, დასავლური, შერეული; ძველი, შუა საუკუნეების, თანამედროვე; ინდუსტრიამდელი, ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული და ა. შ. ფორმაციული მიდგომით, *ს-თა* ძირითადი ტიპებია: აღმოსავლური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტური.

საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით უფრო საინტერესოა *ს-ების* დაყოფა ზესახელმწიფოებად, დიდ, საშუალო და პატარა ქვეყნებად. გარდა ამისა, გამოყოფენ *ურჩ, კეაზი* და *არშემდგარ ს-ებს*. დღევანდელი *ს-ების*

უმრავლესობა ერი-სახელმწიფოების კატეგორიას მიეკუთვნება, თუმცა, მკვლევართა აზრით, *გლობალიზაციის* ეპოქაში *ერი-სახელმწიფოების* როლი თანდათან მცირდება. *ს-ებს*, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს, აქვთ ძირითადი უფლებები და მოვალეობანი. ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საერთაშორისო სამართლებრივ აქტს წარმოადგენს გაეროს წესდება, რომლის მიხედვით, *ს-ს* ძირითადი უფლებებია: *იმუნიტეტი*, მის საშინაო საქმეებში *ჩაურევლობა*, ტერიტორიული უზენაესობა და მთლიანობა, საზღვრების ურღვეობა, სხვა *ს-თან* სუვერენული თანასწორობა, ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლება და ა. შ. *ს-ს* ძირითადი მოვალეობები მისი *ძირითადი* უფლებებიდან გამომდინარეობს. ეს მოვალეობებია: სხვა *ს-ს* საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, *ს-ს* იმუნიტეტის პატივისცემა, *ძალის* გამოყენებასა და ძალით დამუქრებაზე უარის თქმა, დავათა მშვიდობიანი მეთოდებით გადაწყვეტა, *ადამიანის უფლებათა* პატივისცემა-დაცვა და ა. შ.

სახელმწიფო ადმინისტრაცია საზოგადოებრივი მომსახურების სახელმწიფო ორგანიზაციული სტრუქტურები და დაწესებულებები, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო სამსახური, სადაც შედის რეგიონალური და ადგილობრივი დონის სახელმწიფო ორგანოები. პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ცნებასთან – სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, სახალხო (public), – ყოფილი სახელმწიფო ორგანოების პრივატიზაციისა და კომერციალიზაციის შედეგად გაჩნდა. სახელმწიფო მართვის თეორიის სფეროში მუშავდება სახელმწიფო სექტორის ისეთი ორგანიზაციის პროექტი, რომელმაც შეესაძლოა ბოლო მოუღოს კერძო სექტორისა და საბაზრო პრინციპების ინტელექტუალურ ჰეგემონიას.

სახელმწიფო გადატრიალება სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი და არაკანონიერი შეცვლა, რომელიც ხორციელდება სამხედრო, პოლიციური თუ პარამილიტარისტული დაჯგუფებების გამოყენებით. *რევოლუციისაგან* განსხვავებით (რომელიც შესაძლოა თავად შეიცავდეს *ს. გ-ს* როგორც ელემენტს), *ს. გ-ის* შედეგი ერთი მმართველი დაჯგუფების მეორით შეცვლაა ერთი და იმავე პოლიტიკური სისტემის ფარგლებში. რიგ შემთხვევებში *ს. გ.* შეიძლება ნაკარნახები იყოს არაეფექტური მმართველობის პირობებში მოსალოდნელი მასობრივი არეულობებისა და რევოლუციის საწინააღმდეგო პრევენტული ზომების მიღების აუცილებლობით თავად მმართველი წრეებიდან. *ს. გ-ის* თავიდან აცილების ყველაზე ეფექტური საშუალებაა ხელისუფლების ცვლილების ლეგიტიმური და ორგანიზებული შეცვლის მექანიზმის არსებობა ქვეყანაში. ამგვარი მექანიზმები კარგა ხანია დამკვიდრებულია განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში. შესაბამისად, აქ *ს. გ-ის* მცდელობები ძალზე იშვიათია. სხვა ვითარება გვაქვს იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლება არასაკმარისი *ლეგიტიმურობითა* და მოუმწიფებელი პოლიტიკური ინსტიტუტებით, ხოლო მოსახლეობა დაბალი პოლიტიკური კულტურით ხასიათდება. XX ს-ის მეორე ნახევარი განსაკუთრებით „მდიდარი“ იყო *ს. გ-ებით* სამხრეთ ამერიკასა და აფრიკაში. *ს. გ-ების* პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხელისუფლების სათავეში მოსული მილიტარისტული ძალები ვერ წყვეტენ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს. პირიქით, ბევრ შემთხვევაში, თავად ისინი დგებიან პრობლემის წინაშე, თუ როგორ დაუთმონ მათთვის სასურველ სამოქალაქო პოლიტიკურ ძალებს ასპარეზი ისე, რომ არ გამოიწვიონ საზოგადოებრივი ძალების უკურეაქცია „სახელმწიფო დამნაშავეების“ მიმართ.

სახელმწიფო ინტერესი დოქტრინა, რომელიც *სახელმწიფოს* საჭიროებების ყველაზე მაღლა, მათ შორის უნივერსალურ ზნეობაზე მაღლა დაყენებასაც გულისხმობს. *ს. ი-ის* დოქტრინის მთავარი წარმომადგენლები არიან ნიკოლო მაკიაველი და ფრიდრიხ მაინეკე, ხოლო პრაქტიკულ პოლიტიკაში ეს ცნება კარდინალ რიშელიესა და ოტო ბისმარკის მოღვაწეობას უკავშირდება. *ს. ი-ის* ცნება ყველაზე მჭიდროდ რეალიზმის, ძალის პოლიტიკისა და რეალპოლიტიკის კონცეფციებს უკავშირდება. *ს. ი-ის* თაობაზე თეორიული დისკურსი ზნეობასთან მის შეთავსებას უკავშირდება. *ს. ი-ის* თეორეტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ზნეობა და *ს. ი.* შეთავსებადია, რადგან უზენაესი ზნეობა სახელმწიფოს კეთილდღეობაა (იხ. აგრ. *ეროვნული ინტერესები*).

სახელმწიფოს მეთაური *სახელმწიფოს* მთლიანობის გამოხატულება და ცერემონიალური ლიდერი როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. თუ *ს. მ.*, ამავე დროს, არ არის მთავრობის მეთაურიც (ასეთია ვითარება საპარლამენტო მმართველობის ქვეყნებში, სადაც მთავრობას, როგორც წესი, *პრემიერ-მინისტრი* ხელმძღვანელობს), მაშინ იგი საპარლამენტო დაპირისპირებაზე მაღლა დგას და გამოხატავს მთელი *ერის* ინტერესებს. *ს. მ.* შეიძლება იყოს *მონარქი* (როგორც ეს არის დიდ ბრიტანეთში და ევროპის სხვა ბევრ ქვეყანაში) ან *პრეზიდენტი.*

სახელმწიფო სამსახური *სახელმწიფოს* მიერ დაქირავებული მოხელეები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო *პოლიტიკას.* ტერმინს საფუძვლად უდევს ბრიტანული ბიუროკრატიული ტრადიცია, რომელიც განასხვავებდა სახელმწიფოს სამსახურში მყოფ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს. ეს სამოქალაქო მოხელეები, როგორც წესი, წარმოადგენდნენ სამინისტროებსა და მათ დაქვემდებარებულ აღმასრულებელ ინსტიტუტებს. მთლიანობაში მოსამსახურეთა ეს კორპუსი, რომელთა შრომის ანაზღაურება *საზოგადოების* სახსრებით უნდა განხორციელდეს, ყველა ქვეყანაში წარმოადგენს ამ ქვეყნის სახელმწიფო *ბიუროკრატიას.* მოხელეთა ასეთი ერთიანობის ერთერთ ყველაზე სპეციფიკურ ნიშანს განვითარებული *დემოკრატიის* ქვეყნებში მათი პოლიტიკური ნეიტრალობა წარმოადგენს. მმართველობის ასეთი სტრუქტურა ემორჩილება არჩევით მთავრობას, განურჩევლად მისი პარტიულობისა.

სახელმწიფოცენტრიზმი სახელმწიფოცენტრული მიდგომა *საერთაშორისო ურთიერთობებში,* რომელიც *სახელმწიფოებს* განიხილავს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დომინანტ და განმსაზღვრელ *აქტორებს.* იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული *პოლიტიკური რეალიზმის* თეორიასთან და საერთაშორისო ურთიერთობების შინაარსად მიიჩნევს სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირებისა და *ეროვნული უსაფრთხოების* უზრუნველყოფას. სახელმწიფოები სრულიად ავტონომიურნი არიან ქმედებაში. შესაბამისად, არ არსებობს სახელმწიფოზე მაღლა მდგომი სახელისუფლებო სუბიექტი. ხოლო ცენტრალური ბირთვის უქონლობა განაპირობებს საერთაშორისო სისტემის ანარქიულობას. *სახელმწიფოს ინტერესები* არის ძირითადი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს აქტორების ქცევას საერთაშორისო არენაზე და, ამდენად, საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათს. *ს.* ერთმნიშვნელოვნად აღიარებს სახელმწიფოს სრულ დომინირებას როგორც საგარეო (მიიჩნევს მას უნიტარულ აქტორად), ისე საშინაო პოლიტიკაში (სახელმწიფოს კონ-

ტროლს უნდა ემორჩილებოდეს ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ცხოვრებაც). ამის გარდა, მოსახლეობისაგან მოითხოვს მორჩილებასა და თავდადებას. *ს-ის* უკიდურესი ფორმაა *ტოტალიტარული* მმართველობა, განსაკუთრებით *ფაშიზმი*. თანამედროვე *გლობალიზაციის* პირობებში *ს-ის* პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდა. ზოგი მკვლევრის აზრით, მომავალში სახელმწიფო საერთოდ დაკარგავს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი აქტორის როლს და ადგილს *ტრანსნაციონალურ კორპორაციებს* და საერთაშორისო (პირველ რიგში არასამთავრობო) *ორგანიზაციებს* დაუთმობს.

სეგრეგაცია რაიმე ნიშნის (კანის ფერი, ენის, ეთნიკური წარმომავლობისა და სხვა) საფუძველზე რომელიმე ქვეყნის მიერ საკუთარი მოსახლეობის მიზანდასახული გამიჯვნის პოლიტიკა. ამგვარი გამიჯვნა ხორციელდება ცხოვრების ყველა სფეროს მიმართ, განსახლების სპეციალური ზონების შექმნიდან დაწყებული, პარალელური საზოგადოებრივი ინსტიტუტების შექმნით დასრულებული. *ს-ის* ზოგიერთი ფორმა შესაძლოა სრულიად შემთხვევით განხორციელდეს, როდესაც განსხვავებული რენტა მიწაზე მოქალაქეთა დიფერენცირებულ განსახლებას იწვევს შემოსავლების მიხედვით. შედეგად, შეიძლება ბუნებრივად მოხდეს ერთგვარი შემოსავლის მქონე ადამიანების ერთმანეთის გვერდიგვერდ განსახლება. განსაკუთრებით მძიმეა რასობრივი *ს.*, რომლის უკიდურესი ფორმები გამოვლინდა შეერთებული შტატების სამხრეთ რეგიონებსა (თეთრკანიანი და შავკანიანი ბავშვების *ს.* სკოლებში აიკრძალა უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებით მხოლოდ 1954 წელს) და სამხრეთ აფრიკაში, სადაც *ს-ის* აქაური ფორმა, *აპართეიდი* დასრულდა ხელისუფლების საათავეში ნელსონ მანდელას მოსვლის შემდეგ, 1990 წ.

სეკულარიზაცია პროცესი, რომლის დროსაც რელიგიური აზროვნება, პრაქტიკა და ორგანიზაციები კარგავს სოციალურ გავლენასა და მნიშვნელობას. ვებერი ამტკიცებდა, რომ მეცნიერული ცოდნისა და რაციონალური აზროვნების განვითარება ჩაენაცვლა მაგიაზე, ცრურწმენებსა და მისტიკაზე დაფუძნებულ რწმენას. *ს-ის* ინდიკატორებად, როგორც წესი, მიიჩნევენ *ეკლესიებში* მოსიარულეთა, რელიგიურ ცერემონიებში მონაწილეთა შემცირებას, აგრეთვე, ყოველდღიურ ცხოვრებაში ეკლესიისა და რელიგიური ლიდერების ძალაუფლების შესუსტებას. თუმცა, ამ მაჩვენებლების სანდოობას ხშირად ეჭვქვეშ აყენებენ. ამტკიცებენ, რომ ბევრი რელიგიური პრაქტიკა არ არის რეგისტრირებული და სტატისტიკურად აღრიცხული. ესაა ე. წ. „უხილავი" რელიგიური აქტები: მაგ., ადამიანების მიერ ღვთისმსახურების შესრულება სახლში მოწყობილ „საეკლესიო კუთხეებში", რელიგიური ხასიათის სატელევიზიო პროგრამებში ჩართულობა და სხვ. „უხილავი რელიგიურობის" გამოხატულებად მიიჩნევა ისიც, რომ, როგორც გამოკვლევები გვიჩვენებს, ბევრი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა აღიარებს ღმერთის ან რაიმე ზებუნებრივი ძალის რწმენას. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ფარული (აკრძალული) სექტების არსებობა. ისიც უდავოა, რომ ბევრ *საზოგადოებაში* ეკლესია კვლავ რჩება არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ გავლენიან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალად, ხოლო რიგ *ინდუსტრიულ საზოგადოებებში* (მაგ., აშშ-ში) რელიგიური ჯგუფების წევრთა რიცხვი არათუ მცირდება, იზრდება კიდეც. *ს-ის* კონცეფციის კრიტიკოსები ეჭვქვეშ აყენებენ ე. წ. „რელიგიის ოქროს საუკუნის" არსებობას. საბოლოო ჯამში ასკვნიან,

რომ რელიგიურმა ინსტიტუტებმა გავლენა კი არ დაკარგეს, არამედ უფრო მეტად სპეციალიზებული გახდნენ და შეინარჩუნეს მნიშვნელოვანი ფუნქციები. ამასვე ამტკიცებდა ტ. პარსონსი.

სელფი (ინგლ. Self – საკუთარი პიროვნება) ადამიანის მიერ თავისი თავის გარემოდან გამოყოფის უნარი, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევს თავისი თავი განიცადოს ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობების, ქცევისა და პროცესების სუბიექტად წარსულის, აწმყოსა და მომავლის მიმართ. ტერმინი აქტიურად გამოიყენება ფსიქოლოგიასა და *სოციოლოგიაში*, თუმცა, გამოყენებისას გარკვეული განსხვავებები არსებობს. სოციოლოგიაში *ს.* გაიგება სოციალურ კონსტრუქტად: იგი ვერ იარსებებს *საზოგადოების* გარეშე, პირიქით, აიგება საზოგადოებრივ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ეს ცნება სოციოლოგიაში *სიმბოლური ინტერაქციონიზმის* წარმომადგენლებმა (ჯ. მიდი, ჩ. კული) შემოიტანეს, რომლებიც იკვლევდნენ სოციალური ინტერაქციის (ურთიერთობის) ბუნებას. სოციალური ინტერაქციის შესაძლებლობას განაპირობებს სწორედ ის, რომ ადამიანს შეუძლია იყოს საკუთარი თავის ობიექტი, ანუ საკუთარი თავი ჩააყენოს სხვათა პოზიციაში და ამ პოზიციიდან შეიმეცნოს თავისი თავი. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ინდივიდების მიერ „სხვათა როლების ათვისების" პროცესი. *ს-ის* ის დონე, როდესაც ინდივიდი საკუთარ თავს უყურებს სხვა ადამიანის პოზიციიდან, იწოდება მე-ობიექტად. ამ დროს, ინდივიდი არის „გენერალიზებული სხვა", რომელიც ითვალისწინებს მოსალოდნელ რეაქციებს ჯგუფის წევრების მხრიდან განსაზღვრულ ჟესტებზე. ამ თვალსაზრისით, სხვა ადამიანებია სწორედ ის სარკეები, რომლებშიც ინდივიდისთვის საკუთარი თავის ხატი ყალიბდება. ამდენად, მე-ობიექტი საშუალებას აძლევს ინდივიდს, განჭვრიტოს მისი მომავალი მოქმედებების შედეგები და გაზომოს ალტერნატიული ქმედებების ეფექტი. ეს კი საფუძველს იძლევა, მოხდეს სოციალური ცხოვრების კალკულირება. ამ ეტაპზე ინდივიდი არ არის შემოქმედი და სპონტანური. ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ *ს-ის* იმ დონეზე, რასაც „მე-სუბიექტი" შეადგენს. ეს არის პროცესი, როდესაც ინდივიდი საკუთარ თავს უყურებს არა სხვისი, არამედ საკუთარივე პოზიციიდან. ამ დონეზე ინდივიდი შემოქმედია, მისი ქმედება, მეტ-ნაკლებად, გაურკვეველია და არასოდეს შეიძლება იყოს ბოლომდე კალკულირებადი. საბოლოო ჯამში, *ს.* მოიცავს: ა) წარმოდგენას, „როგორი ვეჩვენები სხვა ადამიანს"; ბ) წარმოდგენას, „როგორ აფასებს ეს სხვა ჩემს ხატს"; აქედან გამომდინარე, გ) სპეციფიკურ განცდას – „თვითპატივისცემას" (სიამაყე ან დამცირება). *ს.* არის ადამიანში სოციალურისა და ინდივიდუალურის სინთეზი, საზოგადოებასთან მისი ინტერაქციის გარანტია და შედეგიც.

სემიოტიკა მეცნიერება ნიშნებისა და ნიშნური სისტემების, ნიშნური (ანუ ნიშნის გამომყენებელი) ქცევისა და ნიშნური (ლინგვისტური და არალინგვისტური) *კომუნიკაციის* შესახებ. შეისწავლის სიმბოლოთა მეშვეობით ურთიერთობის ყოველგვარ საშუალებას და განიხილავს ურთიერთობას ცხოველებს (ზოოსემიოტიკა), ადამიანებს შორის და მიმართებებს სისტემაში „ადამიანი – მანქანა", ასევე იმ ობიექტებს, რომლებიც შეიძლება განხილულ იქნეს ენად: ა) ბუნებრივ ენებს; ბ) ხელოვნურ ენებს (ბრძანებები და პროგრამები სისტემაში „ადამიანი – მანქანა"); გ) მეტაენებს (ბუნებრივი და ხელოვნური ენების აღწერისთვის გამოსაყენებელი ენები); დ) მეორად ენებს (ე. წ. მეორადი მამოდელირებული სისტემები) ანუ *კულტურაში* პირ-

ველადი ბუნებრივი ენების საფუძველზე გაჩენილ მრავალგვარ ენას (მითის, *რიტუალის*, სოციალურ-ეთნიკური აკრძალვებისა და დანანესების სიმბოლური სისტემები, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ენები და სხვ.). *ს.* ყურადღებას ამახვილებს ამა თუ იმ მოვლენის ნიშნად გადაქცევაზე და ნიშნის სამ განზომილებაზე: 1) სინტაქტიკაზე (ნიშნებს შორის შინაგანი კავშირები), 2) სემანტიკაზე (ნიშანსა და აღსანიშნს შორის ურთიერთმიმართებები), 3) პრაგმატიკაზე (ნიშანსა და ნიშნით მოსარგებლეს შორის ურთიერთმიმართება). *ს-ს* სემიოლოგიასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰუმანიტარული მეცნიერების მეთოდოლოგიაში. *ს-ურობა* კულტურის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა და აისახა *ს-ური* კულტურის ცნებაში, რომელიც კულტურას ახასიათებს ნიშნურობის, კულტურის ტექსტებში ფიქსირებული მნიშვნელადი ინფორმაციის აღნიშვნა-ინტერპრეტაციის სპეციფიკით.

სენატი ტერმინი ლათინური წარმოშობისაა, ძველი რომის რესპუბლიკაში თავდაპირველად შეიქმნა როგორც უხუცესთა საბჭო. თანამედროვე მსოფლიოს ზოგმა სახელმწიფომ, მათ შორის შეერთებულმა შტატებმა, ავსტრალიამ და სხვებმა თავიანთი საკანონმდებლო ორგანოს მეორე – ზედა პალატას ეს სახელი უწოდეს.

სეპარატიზმი ახალი დამოუკიდებელი *სახელმწიფოს* შექმნის ან ფართო ავტონომიური სტატუსის მიღების მიზნით სახელმწიფოს ტერიტორიის გამოყოფის თეორია, *პოლიტიკა* და პრაქტიკა. *ს.* სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ერთიანობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვევობის პრინციპის დარღვევას იწვევს. იგი შეიძლება იყოს მძაფრი სახელმწიფოთაშორისი და ეროვნებათშორისი *კონფლიქტის* მიზეზი. ამასთან, იგი შეიძლება უკავშირდებოდეს ადამიანისა და ხალხების, ეროვნული, რასობრივი და რელიგიური ჯგუფების (უმცირესობების) უფლებების დარღვევას. ამ შემთხვევაში *ს-მა* შეიძლება გარკვეული დადებითი, თუმცა შეზღუდული როლი ითამაშოს (მაგ., *კოლონიალიზმის* წინააღმდეგ ახალგაზრდა დამოუკიდებელი *ეროვნული სახელმწიფოების* შექმნისათვის ბრძოლა.). *ს.* დღეს საკმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს როგორც განვითარებული (კანადა, ესპანეთი და სხვ.), ისე განვითარებადი ქვეყნებისათვის (ინდოეთი, პაკისტანი, ერაყი, აფრიკული ქვეყნები და სხვ.).

საერთაშორისო ურთიერთობებში და საერთოდ პოლიტიკურ მეცნიერებებში ამ ტერმინით აღინიშნება მოსახლეობის ჯგუფის (როგორც წესი, კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობის) სწრაფვა, გამოეყოს იმ სახელმწიფოს, რომლის შემადგენლობაშიც შედის: ან ახალი სახელმწიფო შექმნას (*სეცესია*), ან კიდევ სხვა სახელმწიფოს შეუერთდეს (*ირედენტიზმი*). *ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისგან* განსხვავებით, *ს.* გულისხმობს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული და შეკავშირებული ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ორგანიზმის დაშლის მცდელობას რაიმე ობიექტური მიზეზის გარეშე (ეთნიკური და რელიგიური უმცირესობა არ წარმოადგენს დაპყრობილ და ანექსირებულ ხალხს, არ განიცდის დევნასა და შევიწროებას და ა. შ.). *ს.* დაგმობილია *საერთაშორისო სამართლისა* და მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მიერ. მიუხედავად ამისა, იგი მრავალი ქვეყნის ფარული მხარდაჭერით სარგებლობს და თანამედროვე *საერთაშორისო ურთიერთობების* ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს.

სექსიზმი სქესის ნიშნით უპირატესობის მინიჭება (prejudice – მიკერძოება, წინასწარი აზრი; ცრურწმენა) ან ქცევა, რომელიც აშკარად ან შენიღბულად იწვევს ადამიანის *დისკრიმინაციას*. მაგრამ ტერმინის გამოყენება სცილდება ამ მარტივი განსაზღვრების ფარგლებს. იგი, ჩვეულებრივ, ორი აზრით გამოიყენება: წინასწარი აზრის მნიშვნელობა გაიგება როგორც განწყობა ან რწმენა, რომლის შესაბამისადაც, ამა თუ იმ სქესის წარმომადგენელს რაიმე თვისებები მცდარად მიეწერება, ან პირიქით – კონკრეტული სქესის წარმომადგენლისთვის შეუფერებლად მიიჩნევა; გარდა ამისა, ტერმინი *ს.* მასთან სემანტიკურად დაკავშირებულ ტერმინ *რასიზმთან* ერთად, აღნიშნავს სქესის საფუძველზე ადამიანთა უთანასწორობის დამამკვიდრებელ ქმედებებსა და ქცევებსაც (მაგალითად, *ორგანიზაციებში* ან სოციალურ ურთიერთობებში სქესის ნიშნით ადამიანის უგულებელყოფა). ტერმინი თითქმის ყოველთვის გამოიყენება ქალთა დისკრიმინაციის თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისის ცალმხრივობის მიუხედავად, საზოგადოებათა უმრავლესობაში ტერმინის ამ აზრით გამოყენება, გამომდინარე ობიექტური რეალობიდან, გამართლებულად მიიჩნევა.

სეცესია *სეპარატიზმის* უკიდურესი ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს გარკვეული ტერიტორიის სრულ პოლიტიკურ გამოყოფას არსებული *სახელმწიფოდან* და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. *ს.* სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების უცვლელობის პრინციპების წინააღმდეგ მიმართული ქმედებაა და ეთნიკური მინინაციონალიზმის მთავარ მიზანს გამოხატავს. შესაბამისად, *ს-ისაკენ* სწრაფვა, თუ ამის ობიექტური მიზეზები არ არის (ეთნიკური ან რელიგიური უმცირესობა განიცდის შევიწროებას და რეალურია მისი, როგორც ეთნოსის გაქრობა), საერთაშორისო სამართლის მიერ დაიგმობა, თუ, რა თქმა უნდა, თვით არსებული სახელმწიფო არ დაეთანხმა მისი ტერიტორიის ნაწილის გამოყოფას და იქ სუვერენული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. თანამედროვე *საერთაშორისო ურთიერთობებში ს-ის* მაგალითებია ბანგლადეშისა და ერითრეის სახელმწიფოების შექმნა.

სივრცისეული კონკურენცია (პოლიტიკური) უკავშირდება სოციალური არჩევანის იდეას, რომელიც გვიხსნის, თუ როგორ ურთიერთობენ *ძალაუფლებისათვის* ბრძოლისას პოლიტიკოსები იმ ამომრჩევლებთან, რომლებიც მზად არიან სწორედ მათ მისცენ ხმა. *ს.კ-ის* იდეა, თავის მხრივ, უკავშირდება ეკონომისტების გამოკვლევებს, რომელთაც მიზნად ჰქონდათ გაეგოთ, თუ რატომ არის მაღაზიების უდიდესი ნაწილი ქალაქის ცენტრში განლაგებული და არათანაბარი მანძილით დაცილებული ერთმანეთს, რაც, ერთი შეხედვით, მათთვის უფრო მომგებიანი უნდა ყოფილიყო. ამ გამოკვლევების გათვალისწინებით, *ს.კ-ის* იდეა გულისხმობს, რომ ამომრჩევლები, „გამოთვლიან" რა მანძილს მათსა და კანდიდატს შორის, ხმას მისცემენ ან ყველაზე ახლოს ან ყველაზე შორს მყოფს, მაგრამ გამარჯვების ყველაზე მეტი შანსის მქონე პოლიტიკოსს.

სიმბოლური ინტერაქციონიზმი მოიაზრება *ფუნქციონალიზმისა* და სოციალურ სისტემათა – განსაკუთრებით, პარსონის – თეორიის ალტერნატივად. იგი *მიკროსოციოლოგიური* თეორიაა, ვინაიდან უარს ამბობს სისტემურ მიდგომაზე და ანალიზის კონცენტრირებას ახდენს ერთეულ აქტებსა და მათ შორის ინტერაქციაზე. აღნიშნული მიდგომა ჩამოყალიბდა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შო-

რის პერიოდში. მისი წარმოშობა დაკავშირებულია „ჩიკაგოს სკოლასთან“ (ჯ. მიდი, ჩ. კული). *ს. ი.* ეყრდნობა სამ ძირითად წანამძღვარს (ჰ. ბლუმერი): 1. ადამიანები საგნების მიმართ მოქმედებენ იმ მნიშვნელობების საფუძველზე, რომლებიც ამ საგნებს მათთვის აქვს. ამრიგად, სოციალური სამყარო შედგება იმ მნიშვნელობებისგან, რომლებსაც ადამიანები მოვლენებს მიაწერენ; 2. საგანთა მნიშვნელობები მიიღება სოციალური ინტერაქციებიდან, რომელთაც ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ; 3. ეს მნიშვნელობები განიმარტება და მოდიფიცირდება ინტერპრეტაციული პროცესების წყალობით: *აქტორი* არჩევს, ამოწმებს, ეჭვი შეაქვს, გადააჯგუფებს და სახეს უცვლის მნიშვნელობებს იმ სიტუაციის შესაბამისად, რომელშიც ის იმყოფება. სიმბოლური ინტერაქციის დროს ინდივიდები ავტომატურად კი არ რეაგირებენ სხვათა ჟესტებზე, არამედ ახდენენ მათ ინტერპრეტაციას, ანუ აძლევენ მათ მნიშვნელობებს. ინდივიდებს შორის ურთიერთგაგებას უზრუნველყოფს ის, რომ ჟესტი იგივეობივი მნიშვნელობის მქონეა როგორც იმ ადამიანისათვის, რომელიც მას იყენებს (წარმოადგენს), ასევე იმისათვის, ვისკენაც ეს ჟესტები მიმართულია. ძირითად ჟესტებს (სიმბოლოებს) შეადგენს ენობრივი ნიშნები. ინტერაქციის პროცესში მყოფი ადამიანები მხედველობაში იღებენ იმას, თუ რას აკეთებენ სხვები და საკუთარ ქცევას აგებენ სხვათა ქმედებების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ინდივიდები იძულებულნი არიან აითვისონ სხვათა *როლები.* სოციალური ინტერაქცია როლების ორმხრივ ათვისებას წარმოადგენს. *ს. ი-ს* აკრიტიკებენ იმისთვის, რომ იგი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს იმ ობიექტურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს და ზღუდავს ინდივიდის მოქმედებებს (იხ. *სელფი*).

სინდიკალიზმი პოლიტიკური მიმართულება, რომელიც *პროფკავშირებს* (სინდიკატებს) მშრომელთა ორგანიზაციის უმაღლეს ფორმად მიიჩნევს. სინდიკალისტების აზრით, სამომავლოდ სინდიკატები უნდა გახდნენ საზოგადოებრივი თვითმმართველობის განმსაზღვრელი ფორმები, რომლებიც გაუძღვებიან და განსაზღვრავენ წარმოებისა და განანილების პროცესს. *ს.* წარმოიშვა XIX ს-ში და ძირითადად გავრცელდა საფრანგეთში, ესპანეთში, იტალიაში, შვეიცარიასა და ლათინური ამერიკის რიგ ქვეყნებში.

სისტემური ანალიზი მეცნიერულ კვლევაში მეთოდოლოგიური მიმართულება, რომელიც რთულ ობიექტს განიხილავს მისი შემადგენელი ელემენტებისა და მათ შორის კავშირების ერთიან მთლიანობად. *ს. ა. პოლიტიკის* ანალიზის ერთ-ერთი მეთოდია, რომელიც საშუალებას იძლევა პოლიტიკა განვიხილოთ როგორც გარკვეული თვირეგულირებადი სოციალური ერთობა, რომელიც სისტემატურად ურთიერთქმედებს გარემოსთან. მისი გარემოსთან შეხების წერტილები, ე. წ. „შემავალი“ და „გამომავალი“ ქვესისტემები აფიქსირებს მოქალაქეების ქცევის თავისებურებებს მათ მიერ ხელისუფლებისადმი მოთხოვნების გამოხატვისას, ასევე მისი გადაწყვეტილებების შესრულებისას.

სკალა ერთეულთა გარკვეული მეტრული სისტემა, რომელიც მოცემულ კონტინუუმში განლაგებული შესასწავლი მოვლენების გაზომვის ერთიან მასშტაბად გამოიყენება. *ს.* კონტინუუმის თანაბარ ნაწილებად დაყოფაა, რაც მოსახერხებელს ხდის ამ დაყოფის გამოყენებას შედარების ინსტრუმენტად. *ს.* შეიძლება ეწოდოს იმ ალგორითმს, რომლის მეშვეობითაც ყოველ შესასწავლ ობიექტს შესაბამისად რაღაც რიცხვი მიეწერება. ობიექტს მი-

წერილ რიცხვებს ამ ობიექტების სკალურ მნიშვნელობებს ეწოდებთ. (იხ. აგრ. *გაზომვის სკალები*).

სკალირება ანალიტიკური ინსტრუმენტის შექმნის საშუალება, რომელიც, პირველ რიგში, მისაწვდომს ხდის ვერბალური გამონათქვამების რაოდენობრივ შეფასებას და მეორეც, მკაცრად შეესატყვისება თვისებრივ მოთხოვნებს, რომლებსაც ტესტების თეორია აყენებს.

ს. უზრუნველყოფს ვერბალურ გამონათქვამთა *კვანტიფიკაციის* შესაძლებლობას. მისი პროცედურის წესები მჭიდროდ უკავშირდება მათემატიკური სტატისტიკის სამუშაო აპარატს. თუმცა მხოლოდ მათემატიკურ წესებს არ შეუძლია სოციოლოგიური ანალიზის სრულყოფა.

ს-ის მთავარი ამოცანაა თვისებრივად განსხვავებული მონაცემების მიყვანა შეპირისპირებად რაოდენობრივ მაჩვენებლებთან. იგი შეკრებილი სტატისტიკური, მოპოვებული მასალის ანალიზის საშუალებაა. *სკალა* გამოიყენება მასალის შეგროვების დროსაც, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გამოიყენება როგორც ანალიზის წინასწარ მოცემული ინსტრუმენტი. (იხ. აგრ. *გაზომვის სკალები*).

სკალის ტიპები იხ. *გაზომვის სკალები.*

სოფელი შედარებით მცირერიცხოვანი და მეტ-ნაკლებად ჩაკეტილი დასახლება. *ს-ის* სოციალური სტრუქტურა განისაზღვრება მასში მცხოვრები *ოჯახების* რაოდენობით, სადაც ძირითადად სოფლის მეურნეობასა და ხელოსნობას მისდევენ. სოციალური ურთიერთობა, ისევე როგორც *სოციალიზაცია ს-ის* საზოგადოებაში კონსერვატიული, ყველასათვის სავალდებულო (ხშირად რელიგიური ხასიათის) *ნორმებითაა* განპირობებული. *ს-ის* სტრუქტურის ადვილი თვალსაჩინოება-ხილვადობა, ისევე როგორც ის, რომ „ყველა ყველას იცნობს", ერთი მხრივ, იწვევს ძლიერ შიდა კონტროლს, ხოლო, მეორე მხრივ, გაუცხოებას გარე სამყაროსა და სოციალურ-კულტურული განვითარებისადმი. *ს-ად* ცხოვრების წესი (მემკვიდრეობით მიღებული *ტრადიციების* შენარჩუნება, მეტ-ნაკლები გამიჯნულობა გარე სამყაროსაგან, პროფესიის არჩევისა და განათლების შეძენის შანსების ნაკლებობა) იწვევს *კონფლიქტებს*, მოსახლეობის დენადობასა და *ს-ის* მცხოვრებლებს ახლომდებარე *ქალაქზე* დამოკიდებულებს ხდის. *ს-ის* თავდაპირველი, ტიპური სტრუქტურა და ცხოვრების ფორმა იშლება, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა თაობის გადინებით, ინდუსტრიული რაიონებიდან და ქალაქიდან მოსახლეობის პერიოდულად ორმხრივი („ქანქარისებური") მიგრაციით, ქალაქში მეტი განათლების მიღების შესაძლებლობისა და ქალაქურ ცხოვრებაზე ორიენტაციის აღების ზეგავლენით. *ს-ს* გარკვეული წვლილი შეაქვს ქალაქების მოსახლეობის ზრდაში.

სოფლის სოციოლოგია გლეხური, *აგრარული საზოგადოებებისა* და მათი ტრანსფორმაციის კვლევა და თეორია. *ს. ს.* მოიცავს სოფლის მეურნეობის წარმოების ორგანიზაციული ფორმებისა და გლეხური მეურნეობის კვლევას განსხვავებული ეკოლოგიური ჩარჩოს ფარგლებში. ამასთან, იგი შეისწავლის გლეხური *საზოგადოების* სტრუქტურას, პერსონალური და სახელმწიფო მფლობელობის, საკუთრების ფორმებს გლეხური საზოგადოების წიაღში, ასევე ტრადიციული სტრუქტურების ცვლილების პროცესს, გლეხთა სხვადასხვა ხასიათის მოძრაობებს. *ს. ს-ში* ასევე იკვლევენ *ინდუსტრიული საზოგადოების* პირობებში *სოფლის* სივრცისა და თემის სტრუქ-

ტურას და მათ შეცვლილ ფუნქციას. *ს. ს.* როგორც სოციოლოგიის დარგი XIX ს-ის მე-2 ნახევარში ჩამოყალიბდა. მას საფუძველი ჩაუყარეს ა. გელენმა, ფ. ზნანეცკიმ, კ. ციმერმანმა.

სოციალ-დარვინიზმი ბიოლოგიური მიმართულების ნაირსახეობა, რომელიც ემყარება დარვინის ბუნებრივი შერჩევის პრინციპებს. მას სოციალურ ცხოვრებაში გადააქვს ბიოლოგიური სამყაროს ევოლუციური განვითარების, ბუნებრივი შერჩევის, არსებობისათვის ბრძოლის კანონები. *ს. დ-ის* წარმომადგენლები არიან ლ. გუმპლოვიჩი, უ. ლიაპუნი, ლ. ვოლტმანი და სხვ. *ს. დ-ის* მთავარი თეზისია *საზოგადოებისა* და ცოცხალი ორგანიზმების იგივეობა, სრული გაზიარება ჰობსის ფორმულისა, რომ *ომი* ადამიანთა შორის მათი არსებობის ბუნებრივი ნესია. ერთი გარკვეული მემკვიდრეობით გადმოცემული ან შეძენილი უპირატესობის მეოხებით ავინროებს და თრგუნავს მეორეს, ბატონობს და იმარჯვებს მასზე. ლ. გუმპლოვიჩი ახდენს არსებობისათვის ბრძოლის ბუნებრივი შერჩევისა და სხვა ბიოლოგიური კანონების აბსოლუტიზაციას, ცდილობს საზოგადოებრივი ცხოვრების გაგება სწორედ ამ კანონების მოქმედებაზე დააფუძნოს. ამდენად, სოციალური ყოფიერება დაპირისპირებულ სოციალურ ჯგუფთა დაუნდობელი ბრძოლის არენაა, სუსტი ყოველთვის მარცხდება, ძლიერი ყოველთვის ბატონობს მასზე. ბიოლოგისტური მიმართულების მთავარი შეცდომა სოციალურის ბიოლოგიურზე დაყვანაა, აგრეთვე საზოგადოების სულიერი მხარის უგულებელყოფა. მიუთითებენ ბიოლოგიური მიმართულების სოციოლოგთა დამსახურებაზეც – ისინი საზოგადოების განხილვას ახდენენ მისი სტრუქტურული მთლიანობისა და ფუნქციური მიმართებების თვალსაზრისით და სხვ.

სოციალ-დემოკრატია როგორც ზოგადი ტერმინი, აღნიშნავს გარკვეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას, რომლის შინაარსსაც შეადგენს *საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს* მხარდაჭერა, სამოქალაქო სამსახურების *ნაციონალიზაცია*, შერეული ეკონომიკა, სახელმწიფო სამედიცინო მომსახურება და უმუშევრობის ლიკვიდაცია. *ს.-დ.*, როგორც მემარცხენე, მათ შორის მარქსისტული პარტიების საერთო პოლიტიკური პლატფორმის აღმნიშვნელი ტერმინი, პოლიტიკურ ლიტერატურაში გამოიყენება XIX ს-ის მეორე ნახევრიდან. გერმანული *ს.-დ-ის* პოლიტიკური სახე დიდად განსაზღვრა ბერნშტეინის იდეებმა. ევროპული სოციალ-დემოკრატიული პარტიების დიდმა ნაწილმა, როგორც მშრომელი *კლასის* ინტერესების გამომხატველებმა, ჩათვალეს, რომ ამ ინტერესების დაცვა და მარქსის და ენგელსის მიერ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ ჩამოყალიბებული პროგრამული მიზნებიდან ძალზე ბევრი ამოცანის განხორციელება (უფრო კონკრეტულად, საშემოსავლო პროგრესული გადასახადები, ტრანსპორტის ნაციონალიზაცია, ბავშვების შრომის გამოყენების გაუქმება და საყოველთაო სწავლების შემოღება და სხვ.) სავსებით შესაძლებელია პარლამენტური ბრძოლის მეთოდებით. მათგან განსხვავებით, რუსეთის მარქსისტული პარტიების ერთმა ჯგუფმა ლენინის მეთაურობით, რომელიც დასაწყისში ასევე სოციალ-დემოკრატიულად იწოდებოდა, შემდგომში არსებითი ტრანსფორმაცია განიცადა და ჯერ ბოლშევიკური, ხოლო ბოლოს კომუნისტური პარტიის სახით ჩამოყალიბდა, პოლიტიკური ბრძოლის განსხვავებული გზა არჩია და რუსეთში მოვიდა კიდეც ხელისუფლების სათავეში *სახელმწიფო გადატრიალების* გზით. *ს.-დ-ულ* მოდელზე მოწყობილი ქვეყნების ნიმუშია სკანდინავიის ქვეყნები,

უპირველეს ყოვლისა შვეიცია, სადაც *ს.-დ-ები* ხელისუფლებას XX ს-ის 30-იანი წლებიდან უმეტესი დროით ფლობენ.

სოციალიზაცია სხვაგვარად უწოდებენ ინკულტურაციას და აღნიშნავს ინდივიდის მიერ სოციალური ნორმების, კანონების, ქცევის მოდელებისა და ღირებულებების ათვისების პროცესს, რომლის დროსაც ინდივიდი შეიმუშავებს საზოგადოებაში ცხოვრებისა და სოციალური ნორმების დაცვის ჩვევებს. *ს.* აქტიური პროცესია. ინდივიდი ირჩევს საზოგადოების გარკვეულ ნორმებს და უკუაგდებს დანარჩენს. ის კრიტიკულად ითვისებს არსებულ ღირებულებებს და ორიენტირებულია ახალ ღირებულებებზე. ამიტომ, სოციალიზაციისას მემკვიდრეობის ათვისებასთან ერთად, ინოვაციაც გვხვდება. *ს.* საწყისს ოჯახში იღებს. ეს პირველად *ს-დ* ითვლება. შემდეგ გრძელდება საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ეს მეორადი *ს-ა.* პარსონსი და ბეილზი გამოყოფენ *ს-ის* მესამე ეტაპს – ესაა მუშაკის, მშობლის, მეუღლის როლები. *ს.* დაკავშირებულია როლების *ინტერნალიზაციასთან. ს-ის* თეორიის წარმომადგენლებია: გ. ტარდი, ტ. პარსონსი, ჯ. მიდი, ზ. ფროიდი და სხვები. ტარდის მტკიცებით, *ს-ის* შესაძლებლობა დაკავშირებულია მიბაძვასთან („სოციალური ფაქტის მუდმივი ნიშანია მიბაძვა"). პარსონსმა *ს.* გაიგო როგორც ინდივიდის სოციალურ რეალობაში ინტეგრაცია, ანუ კულტურულ ღირებულებათა ინტერნალიზაცია. მიდთან, როლების თეორიაში, პიროვნების ფორმირება, ანუ *ს.*, სხვათა როლების ათვისების შედეგად ხდება. რ. ბერნსი „მე-კონცეფციის" შედეგად თვლის *ს-ს* – ინდივიდი იმუშავებს არა მარტო გარე სამყაროსადმი, არამედ საკუთარი თავისადმი მიმართებას, რასაც ღირებულებებზე ორიენტირება განსაზღვრავს. (იხ. აგრ. *პოლიტიკური სოციალიზაცია*).

სოციალიზმი 1. მარქსიზმის თანახმად, *კომუნიზმის* როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირველი, უმდაბლესი, განუვითარებელი, მოუმწიფებელი ფაზა. იგი გარდამავალი რევოლუციური პერიოდის შემდეგ უშუალოდ *კაპიტალიზმის* სანაცვლოდ მოდის და კერძო საკუთრებისა და ექსპლუატატორული კლასების ლიკვიდაციით, საწარმოო საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დაწესებითა და საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთობის ჩარჩოში მუშათა კლასის მოწინავე როლით ხასიათდება. *ს-ის* დროს სოციალური სამართლიანობისა და პიროვნების ჰარმონიული განვითარების პირობების შექმნის საფუძველზე ხორციელდება პრინციპი – „ყველასაგან შესაძლებლობის მიხედვით, ყველას – შრომის მიხედვით". 2. პოლიტიკური მსოფლმხედველობა ან საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის სისტემა, რომელიც ეფუძნება წარმოების, განაწილებისა და გაცვლის საშუალებებზე კოლექტიურ ან სახელმწიფოებრივ საკუთრებას. დასავლეთ ევროპაში სოციალურ-დემოკრატიულმა და ლეიბორისტულმა *პარტიებმა* მარქსისტული მიდგომისაგან განსხვავებით, „კეინსის" იდეა აიღეს სახელმძღვანელოდ. მათი აზრით, *სოციალური სამართლიანობა* და თანასწორობა *ეკონომიკის* ეფექტური მართვით მიიღწევა, ამასთან ისინი გამოდიან მრეწველობის ნაწილობრივი და არა მთლიანი *ნაციონალიზაციისა* და სოციალური კეთილდღეობის გადანაწილების იდეით: სოციალ-დემოკრატები ითვალისწინებენ შერეული ეკონომიკის რეალიებს და უარყოფენ *კაპიტალიზმის* მარქსისტულ ანალიზსა და წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ძირითადი საშუალებების *სოცი-*

ალიზაციას. ს-ის მოდერნიზაციის, გარდაქმნის და ახლებურად გააზრების ცდებმა ბოლო 25-30 წლის მანძილზე მთელი რიგი „ახალი მემარცხენე" იდეები წარმოშვა. ზოგიერთმა მათგანმა ხორცშესხმა ჰპოვა სოციალისტური მოძრაობებისა და პარტიების საქმიანობაში, ზოგიერთი კი საჭიროებს ახალი დოქტრინების გამოყენებას.

სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია *ანთროპოლოგიის* ამ ორი დარგის დამოუკიდებლად არსებობას მხარს უჭერს ინგლისის სოციოლოგიური და ანთროპოლოგიური სკოლა, მაშინ როდესაც ამერიკაში მათ შორის არსებითი განსხვავება არ არის. ტერმინი „სოციალური ანთროპოლოგია" გაჩნდა ინგლისში ახალი კათედრის აღსანიშნავად, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფრეზერი. იგი დაინტერესებული იყო არა მატერიალური კულტურის, არამედ, პირველ ყოვლისა, ჩვეულების, განწყობებისა და სოციალური დანაწესების შესწავლით. *ს. ა-ის* საგანი ყველაზე მკვეთრად ადრეულ *ფუნქციონალიზმში* (ინგლისური ფრთა) გამოიკვეთა რადკლიფ-ბრაუნისა (1881-1955) და მალინოვსკის (1884-1942) მიერ, რომლებმაც თავიანთი კვლევის საგანი განსაზღვრეს როგორც სოციალური ურთიერთობებისა და სოციალური სტრუქტურის შესწავლა. *კ. ა.* ადამიანს სწავლობს როგორც „მწარმოებელ ადამიანს" („ჰომო ფაბერ" – ლათ. homo faber), ან ანგლოსაქსურად – „იარაღის მკეთებელს" („თუულ მეიქერ" – ინგლ. tool-maker). ჩვეულები, განწყობები და რწმენა ასეთ შემთხვევაში განიხილება, როგორც ინტელექტუალური ხასიათის „ტექნიკური საშუალებები", რომლებიც ისევე ემსახურება სოციალურ ცხოვრებას, როგორც სასოფლო-სამეურნეო იარაღები – ვიტალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. რაც შეეხება *ს. ა-ს,* აქ პირველ პლანზე გამოდის არა „ჰომო ფაბერი", არამედ სოციალური ჯგუფი კომუნიკაციის უამრავი ფორმით, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალურ ცხოვრებას. თუ დიურკემის ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, კულტურულ-ანთროპოლოგიური მიდგომა სოციალურ მოვლენებს სწავლობს როგორც ნივთებს, ხოლო სოციალურ-ანთროპოლოგიური მიდგომა, პირიქით, ნივთებს (ნაკეთობებს, იარაღებს, სარიტუალო საგნებს) განიხილავს როგორც სოციალურ მოვლენებს, ანუ იკვლევს მათ სოციალურ საზრისს. *კ. ა.* ამოდის მატერიალური კულტურის საგნებიდან, რათა მივიდეს იმ „სუპერტექნიკამდე", რომელიც ვლინდება სოციალურ და პოლიტიკურ მოღვაწეობაში და შესაძლებელს ხდის სოციალურ ცხოვრებას. *ს. ა-ს* ამოსავალია სოციალური ცხოვრება, რათა მისგან მივიდეს იმ საგნებამდე, რომლებზეც მან თავისი კვალი დატოვა, და იმ საქმიანობამდე, რომლის მეშვეობითაც ის თავის თავს ავლენს. *ს. ა-სთვის* მატერიალური კულტურის საგანს არა აქვს მხოლოდ უტილიტარული ღირებულება, არამედ ასრულებს ფუნქციას, რომლის გასაგებად აუცილებელია არა მხოლოდ ისტორიული, გეოგრაფიული, მექანიკური ან ფიზიკურ-ქიმიური, არამედ სოციალური ფაქტორების გათვალისწინებაც. ფუნქციათა ერთობლიობა, თავის მხრივ, მოითხოვს ახალ ცნებას, როგორიცაა *სტრუქტურა.* სოციალური სტრუქტურების შესწავლაა სწორედ სოციალურ-ანთროპოლოგიური კვლევების სფერო. მაშასადამე, როგორც კულტურული, ისე სოციალური ანთროპოლოგია ისწრაფვის, შეიმეცნოს ადამიანი, მაგრამ ერთ შემთხვევაში ამოსავალი წერტილია ადამიანის მიერ წარმოებული ნაკეთობები, ხოლო მეორე შემთხვევაში – მისი წარმოდგენები. „კულტუროლოგიური" მიმართულება ანთროპოლოგიას

აახლოებს გეოგრაფიასა და ისტორიასთან, ხოლო „სოციოლოგიური“ მიმართულება – სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიასთან. ორივე მათგანი მჭიდრო კავშირშია ლინგვისტიკასთან, რამდენადაც ენა არის არა მხოლოდ კულტურული მოვლენა (რაც ადამიანს ცხოველისაგან განასხვავებს), არამედ მისი მეშვეობით დგინდება და მყარდება სოციალური ცხოვრების ყველა ფორმა.

სოციალური დიფერენციაცია საყოველთაო მნიშვნელობით ეს ცნება აღნიშნავს *ყოველგვარი* სოციალური სტრუქტურისა და წარმონაქმნის დანაწევრებას ცალკეულ ფუნქციონალურ და ტიპობრივ ელემენტებად. *ს. დ-ის*, როგორც სოციოლოგიური ცნების შესახებ საკითხი პირველად ჰ. სპენსერმა (1820-1903) დააყენა. სპენსერის აზრით, ყველა ორგანიზმისა და მათ შორის *საზოგადოების*, „სუპერორგანიზმის“, განვითარება მიმდინარეობს „პროგრესირებადი ინტეგრაციისა“ და „პროგრესირებადი დიფერენციაციის“ მეშვეობით, რასაც „ერთმანეთზე არადამოკიდებული ჰომოგენურობიდან“ „ერთმანეთზე დამოკიდებული ჰომოგენურობის“ მდგომარეობისაკენ მივყავართ. ამ ორივე მდგომარეობის აღსანერად დიურკემი იყენებს „მექანიკური“ და „ორგანული“ სოლიდარობის ცნებას. *ევოლუციის* მიმართ ნეიტრალური სოციოლოგები, ჩვეულებრივ, „სეგმენტურ“ და „ფუნქციონალურ“ დიფერენციაციას უსვამენ ხაზს. სპენსერი ერთმანეთისაგან განასხვავებს სტრუქტურულ (სოციალური პოზიციების რაოდენობისა და მრავალფეროვნების მატება) და ფუნქციონალურ დიფერენციაციას (მრავალგვარი, ერთმანეთს დაკავშირებული და ერთმანეთზე მიმართული ფუნქციების წარმოქმნა). *ს. დ-ის* საყოველთაო მიზანს იგი სოციალური სისტემების ერთმანეთთან შეწყობის პროგრესირებადი უნარის გაუმჯობესებაში ხედავდა. *ს. დ-ის* საკითხებს ეხებოდა გეორგ ზიმელიც (1858-1918). მასთან და ასევე მაქს ვებერთან (1864-1920) საუბარია დიფერენციაციის პროცესის მრავალმნიშვნელოვნებაზე, კონფლიქტურობასა და ურთიერთდაპირისპირებულობაზე. ზიმელი, შრომაში „ფულის ფილოსოფია“, აღნიშნავდა, რომ ფული, როგორც გაცვლის საყოველთაო საშუალება, ხელს უწყობს *ს. დ-ს* და შესაბამისად, ინდივიდუალიზაციასაც. *ს. დ-ს*, როგორც ევოლუციის მექანიზმს, განიხილავს სისტემების უახლესი თეორიაც, მაგ., ტ. პარსონსი (1902-1979) *ს. დ-სთან* დაკავშირებით ლაპარაკობს გაცვლის, *ინტეგრაციისა* და ინტერპენეტრაციის (ურთიერთშეღწევის) შესახებ. ნიკლას ლუმანთან (1927-1998) სოციალური *სტრატიფიკაციის* (შესაბამისად დიფერენციაციის) ცნება ჩანაცვლებულია „სტარატიფიკაციული დიფერენციაციის“ ცნებით, რომელიც, დასავლური საზოგადოების მზარდი კომპლესურობის შესაბამისად, სრულიად ფუნქციონალურ ფორმას იღებს.

სოციალური თეორია ტერმინი, რომელიც ხშირად გამოიყენება სოციალურ ურთიერთობათა ზოგადთეორიული ხასიათის გამოკვლევის აღსანიშნავად. *ს. თ.* არ ითვალისწინებს, სოციალური მეცნიერების რომელ დისციპლინას განეკუთვნება ესა თუ ის სოციალური ურთიერთობა და როგორია მისი წარმომავლობა. ამდენად, *ს. თ.* მოიცავს განსხვავებულ მოვლენათა ფართო წრეს, რომელიც განზოგადებული კონცეპტუალური სისტემის სახით არსებობს. *ს. თ.* სწორედ ამით განსხვავდება დისკრეტული თეორიებისაგან, რომლებიც კერძო განზოგადებებს ახდენენ. ასეთია, მაგალითად, სოციოლოგიური თეორია, რომელიც *ს. თ-ისაგან*

განსხვავებით, შექმნეს ადამიანებმა, რომლებიც დარგობრივი სოციოლოგიის ამა თუ იმ სფეროში მუშაობენ და თეორიის აგებისას მოცემული სოციოლოგიური დისციპლინის პარადიგმის ფარგლებში რჩებიან. ამისგან განსხვავებით, *ს. თ-ის* წარმომადგენლები სოციალური ურთიერთობების ამსსნელი თეორიის შექმნისას სცილდებიან კონკრეტული სოციოლოგიური პარადიგმის ფარგლებს და ზოგადსოციოლოგიური ხასიათის ფართო თეორიულ მოდელებს ქმნიან. იდეალში *ს. თ.*, როგორც სისტემა, ცდილობს გახდეს „ლოგიკურად ჩაკეტილი, ე. ი. მიაღწიოს ლოგიკური ინტეგრაციის ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც მოცემულ სისტემაში მსჯელობათა კომბინაციის ყოველი მნიშვნელობა ნათლად შეესაბამება იმავე სისტემის რომელიღაც მეორე მსჯელობას. იმის გამო, რომ სოციოლოგიის მეცნიერება ღია და ეკლექტურია, აღნიშნული განსხვავება სოციოლოგიურ თეორიასა და *ს. თ-ს* შორის მკაცრი არ არის.

სოციალური იერარქია იერარქიული სტრუქტურა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სოციალური სტატუსის, შემოსავლების, პრესტიჟის, *ძალაუფლებისა* და დაქვემდებარების მიმართებათა უთანასწორობა და რომელიც სოციალური კონფლიქტის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ გვევლინება. *ს. ი.* თანმიმდევრულ დაქვემდებარებაში (სუბორდინაციაში) მყოფი ელემენტების სისტემაა. *ს. ი-ის* იდეა, როგორც დაბლიდან მაღლისაკენ განლაგებული, თანმიმდევრულ დაქვემდებარებაში მყოფი ელემენტების სისტემა, რომელიც სოციალური მთელის მრავალდონიანობას ასახავს, *სოციოლოგიაში* ფართოდ გავრცელდა მას შემდეგ, რაც მ. ვებერმა *ბიუროკრატიული იერარქიის* ცნება შემოიტანა. თანამედროვე *სოციალურ თეორიებში* იერარქიის ცნება სოციალური აგენტებისა და მათი ურთიერთობების ნებისმიერი სისტემის აღსანიშნავად გამოიყენება. იერარქიის ცნებას XX ს-ში ყველაზე მეტად იყენებდა ტ. პარსონსი. ამ ცნებით ის აღნიშნავდა სირთულის შესაბამისად აღმავალი და დაღმავალი ორგანიზაციების სისტემებს (სოციალური მოქმედების ქვესისტემათა იერარქია). განსხვავებით პარსონსისაგან, ნ. ლუმანი არ იზიარებდა სოციალური სისტემების იერარქიულობის იდეას. მისი აზრით, სოციალური სისტემები ავტოპოეზისური (თვითკმარი) სოციალური წარმონაქმნებია, რომლებიც ერთმანეთთან ჰორიზონტალურ, არაიერარქიულ მიმართებაშია.

სოციალური ინჟინერი სოციოლოგიური ცოდნის გამოყენების სპეციალისტი, რომელსაც სპეციფიკური პრობლემის გადასაწყვეტად გარკვეული გეგმა აქვს (სოციალური ტექნოლოგი ორგანიზაციასა და ქალაქების დაგეგმარებაში).

სოციალური ინჟინერია *გამოყენებითი სოციოლოგიის* მიდგომათა ერთობლიობა, რომელიც ორიენტირებულია ადამიანთა მოქმედების, განწყობებისა და მათზე კონტროლის მიზანდასახულ წარმართვაზე. *ს. ი-ის* იდეა და მისი პრაქტიკული რეალიზაციის პრინციპები ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე „ადამიანური ინჟინერიის“ ჩარჩოებში. თვით ტერმინი *ს. ი.* ამერიკულ სოციოლოგიაში მხოლოდ XX ს-ის 60-იან წლებში გამოჩნდა.

“ადამიანური ინჟინერიის“ შესასწავლი ძირითადი პრობლემებია: შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საწარმოო ტრავმატიზმის შემცირება, მანქანების ეფექტურობის ამაღლება, მუშაკის დაქანცულობის შემცირება და კომფორტულობის, ადაპტაციის უზრუნველყოფა „ადამიანი – მანქანის“ სისტემაში, შრომითი მოღვაწეობის

ჰუმანიზაცია და, საბოლოო ჯამში, საზოგადოების სტაბილურობის დამკვიდრება.

ს. ი-ის სპეციალისტები მუშაობენ უმთავრესად წარმოების სოციალურ პრობლემებზე. როგორც წესი, მათ აქვთ კომპლექსური მომზადება რიგ მეცნიერებებში, ამ მიზნით თავიანთ კვლევით და პრაქტიკულ მოღვაწეობაში იყენებენ სოციოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის მონაცემებს.

ს. ი-მ განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა აშშ-ში. უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში ფუნქციონირებს *ს. ი-ის* სპეციალისტთა მომზადების კურსები. მასშტაბური პროექტების განხორციელებაში ინტენსიურად გამოიყენება სხვადასხვა რიგის სოციალური ტექნოლოგიები, აქტიურად ინერგება პრაქტიკული რეკომენდაციები შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესების, წარმოებისა და შრომის ჰუმანიზაციის მიმართულებით.

სოციალური ინსტიტუტები *სოციოლოგიაში* მრავალმნიშვნელოვანი ტერმინი; გამოიყენება ძირითადად ნორმატიულ-შემზღუდველი წესრიგის შემქმნელ, დადგენილ ქცევით მოდელებთან მიმართებაში. *ს. ი-ში* მოიაზრება: **1.** საზოგადოებრივი ცხოვრებისა და რეგულირების ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმები (ოჯახი, რელიგია, განათლება, ეკონომიკური სისტემა, პოლიტიკური სისტემა), რომლებიც უზრუნველყოფს *საზოგადოებისთვის* სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულებას; **2.** სოციალური მოღვაწეობის ძირითადი სახეები, რომლებსაც ახორციელებს მოცემული საზოგადოების წევრთა უმრავლესობა; **3.** ნორმები, ღირებულებები, *როლები,* დანაწესები, ქცევის ნიმუშები, კონტროლის სისტემები, რომლებსაც მისდევს უმრავლესობა. ტერმინი სხვადასხვა თეორიაში განსხვავებულ მნიშვნელობას ატარებს, ამიტომ ხშირად ორაზროვანია.

სოციალური კონსტრუქტივიზმი *საერთაშორისო ურთიერთობების* სკოლა, რომლის მიხედვითაც, მსოფლიო პოლიტიკური პროცესების განმსაზღვრელია *საერთაშორისო საზოგადოების* წესები და ნორმები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა ინტერესებს განაპირობებს. *ს. კ-ის* მიხედვით, *პოლიტიკისა* და *საერთაშორისო ურთიერთობების* არსში წვდომა სწორედ ამ ნორმებისა და წესების ანალიზის საფუძველზეა შესაძლებელი. ნორმები და წესები არ არის მხოლოდ *სახელმწიფოთა* რაციონალური ინტერესების გამოხატულება. ისინი პარამეტრებია, რომელთა შიგნითაც ხდება ინტერესების ფორმულირება. ინტერესების გაგებისას წესებისა და ნორმების მხედველობაში მიღება აუცილებელია, რადგან ისინი არაა უბრალო დანამატები, არამედ თავად ახდენენ გავლენას ინტერესებზე. კონსტრუქტივისტები არ ცდილობენ სოციალური თეორიის მთლიანად შეცვლას. ისინი მიუთითებენ, რომ *საერთაშორისო პოლიტიკაში* ცვლილების უფრო ფართო შესაძლებლობები არსებობს, ვიდრე სახელმწიფოებისაგან შექმნილი *საერთაშორისო სისტემის* ანალიზი.

სოციალური მობილობა სოციალური ცხოვრება არ არის ერთ წერტილზე გაყინული. მას ახასიათებს მუდმივი მოძრაობა-ცვალებადობა, ძველის წარმავლობა, ახლის წარმოშობა. ამ ცვალებადობის მუდმივი თანამგზავრია სოციალურ აგენტთა (სუბიექტთა) თუ ჯგუფთა პოზიციების ცვლილებაც, მათი გადაადგილება ერთი პოზიციიდან მეორეში. *ს. მ.* არის სწორედ ინდივიდების ან სოციალური ჯგუფების გადაადგილება სოციალურ სივრცეში

(*საზოგადოებაში*) იერარქიულ კიბეზე, ერთი სოციალური პოზიციიდან სხვაში. ეს მოძრაობა გულისხმობს ორი მიმართულებით გადაადგილებას: ქვემოდან ზემოთ, როდესაც ხდება სტატუსის გაუმჯობესება („აღმავალი მობილობა"), და ზემოდან ქვემოთ, როდესაც ხდება სტატუსის დაქვეითება („დაღმავალი მობილობა"). იერარქიულ კიბეზე მოძრაობა ვერტიკალური *ს. მ-ის* არსია, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება ინდივიდის ან სოციალური ჯგუფის გადასვლა ერთი სტრატიდან (ფენიდან) სხვა სტრატაში (ფენაში). როდესაც პოზიციის შეცვლა ხდება ერთი სოციალური სტრატის შიგნით, ესეც მობილობაა, ოღონდ – ჰორიზონტალური. სოციალურ ცვლილებას სივრცითი (ფიზიკური) ცვლილება შეიძლება ახლდეს ან არც ახლდეს, მთავარია, იცვლება ადამიანის სოციალური მდგომარეობა, მისი სტატუსი და *როლები*. ადამიანის სოციალური მდგომარეობა რომ ვიცოდეთ, უნდა გავიგოთ მისი გარკვეული მახასიათებლები, ოჯახური მდგომარეობა, თანამდებობა, ქონება, პრესტიჟი, წარმოშობა, რწმენა, პოლიტიკური კულტურა, ეროვნება და სხვა. თუ ადამიანები ერთსა და იმავე სოციალურ ჯგუფს მიეკუთვნებიან და იდენტურ ფუნქციებს ასრულებენ, მათ ერთი სოციალური პოზიცია აქვთ. თუ განსხვავებულ ჯგუფებს ეკუთვნიან და სხვადასხვა როლებს ასრულებენ, მათი სოციალური მდგომარეობაც განსხვავებულია. *ს. მ-ის* ანალიზი პირველად ამერიკელმა (წარმოშობით რუსმა) სოციოლოგმა პ. სოროკინმა (1889-1968) განახორციელა თავის შრომაში „სოციალური მობილობა" (1927). *ს. მ-ის* კვლევა თანამედროვე საზოგადოებაში, ძირითადად, ხდება დასაქმების სტრუქტურის ფარგლებში. ვერტიკალური მობილობის შესაძლებლობა საზოგადოების არარიგიდულობის და „ღიაობის" საზომია: საზოგადოება მით უფრო ღია და დემოკრატიულია, რაც უფრო ლაბილურია სტრატებს (კლასებს) შორის საზღვრები და რაც უფრო ნაკლები სოციალური წინაღობები (წოდებრივი, ეთნიკური, რელიგიური, სქესობრივი და სხვ.) ხვდება ინდივიდებს (სოციალურ ჯგუფებს) იერარქიულ კიბეზე გადასაადგილებლად.

სოციალური მოქმედება *იხ. ქცევა, მოქმედება, სოციალური მოქმედების თეორიები.*

სოციალური მოქმედების თეორიები ამ თეორიათა კლასიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს ორ საფუძველზე: ერთ შემთხვევაში, *ს. მ. თ.* მოიაზრება *აქტორი/სტრუქტურა* დუალიზმის ფარგლებში. ამ საფუძველზე *ს. მ. თ.* დაიყოფა იმის მიხედვით, თუ რაზე ახდენენ ისინი ორიენტაციას: ა) აქტორსა და მის საქმიანობაზე (ვებერის თეორია, *სიმბოლური ინტერაქციონიზმი, რაციონალური არჩევანის თეორია* და სხვ.); ბ) აქტორისთვის გარემდებარე სოციალურ სტრუქტურებზე (პარსონსის თეორია); გ) აქტორისა და სტრუქტურის კომპრომისზე, რამაც უნდა გადალახოს მათ შორის დუალიზმი (გიდენსის *სტრუქტურაციის თეორია*). კლასიფიკაციის მეორე კრიტერიუმის მიხედვით, *ს. მ. თ.* დაიყოფა იმის მიხედვით, *მოქმედება* გაიგება მასში მონაწილე აქტორის ან აქტორთა სუბიექტური მნიშვნელობებიდან გამომდინარე (მ. ვებერი), თუ იმის მიხედვით, როგორ წარმოიქმნება და სრულდება მოქმედება. ამ უკანასკნელ თეორიებს სხვანაირად პერფორმატორულ, ან *პრაქსისის* თეორიებსაც უწოდებენ (ჯ. დიუი, ჯ. მიდი, ჰ. გარფუნკელი, ე. გიდენსი). კლასიფიკაციის აღნიშნულმა ორმა კრიტერიუმმა შესაძლოა გადაკვეთოს ერთმანეთი. კერძოდ, აქტორის მოლვაწეობაზე ორიენტირებული თეორიები, ერთი მხრივ, შესაძ-

ლოა, მოქმედების სუბიექტურ საზრისზეც აკეთებდეს აქცენტს (მაგ., ვებერის თეორია), ხოლო, მეორე მხრივ, პრაქსისის თეორიასაც წარმოადგენდეს (მაგ., სიმბოლური ინტერაქციონიზმი). პირიქით, სოციალურ *სტრუქტურაზე* ორიენტირებული თეორიები, შესაძლოა, ამავე დროს, პერფორმატორულიც იყოს (მაგ., გიდენსის თეორია).

სოციალური მოქმედების ტიპები მაქს ვებერის მიხედვით, სოციალური *მოქმედებების* კლასიფიკაცია მოიცავს ოთხი ტიპის მოქმედებას (კლასიფიკაციის კრიტერიუმად გამოყენებულია მოქმედების რაციონალობის ხარისხი): **1.** მიზან-რაციონალური მოქმედება, როდესაც ინდივიდი ორიენტირებულია მიზანზე და მის მისაღწევად იყენებს გარე სამყაროს ნივთებისა და სხვა ადამიანთა ქცევებს (ქცევის მოლოდინებს) როგორც საშუალებებს. ამ დროს *აქტორი* ყოველთვის ითვალისწინებს იმას, თუ რა დამატებითი შედეგები მოჰყვება მიზნის განხორციელებას. წმინდა სახით მიზან-რაციონალური მოქმედება რეალობაში არ არსებობს, იგი უფრო თეორიული კონსტრუქციაა, რომელიც გამოიყენება შემეცნებითი მიზნებისათვის უსაზრისო/ირაციონალური მოქმედებების მიმართ, რათა განისაზღვროს მათი *დევიაციის* ხარისხი. რეალობაში არსებობს მხოლოდ წმინდა ტიპთან მიახლოებული მოქმედება; **2.** ღირებულებით-რაციონალური მოქმედება, რომელიც დაფუძნებულია თვითკმარი ღირებულებების (რელიგიური, ეთიკური, ესთეტიკური) უპირობო რწმენაზე. ამ დროს აქტორი რაციონალურად იღვწის ღირებულებების რეალიზაციისათვის. თუმცა, მოქმედების ეს ტიპი შეფარდებითად რაციონალურია, რამდენადაც მხედველობაში არ იღებს მოქმედების მეორეხარისხოვან შედეგებს. ღირებულებით-რაციონალური მოქმედება ანტიუტილიტარულია – ინდივიდი მოქმედებს ღირებულებების და არა პრაქტიკული საჭიროებების შესაბამისად; **3–4.** აფექტური და ტრადიციული მოქმედებები, რომლებიც, მკაცრი აზრით, არც არის სოციალური, რადგან გასაზრისიანებულია მოქმედებების ზღვარზე და ხშირად ზღვარს მიღმაც. აფექტური მოქმედება ინდივიდის ემოციური მოქმედებითაა განპირობებული, ხოლო ტრადიციული მოქმედება ხანგრძლივ ჩვევაზე დაფუძნებული ქცევაა. აფექტური და ტრადიციული მოქმედებები არარაციონალური სუბიექტური საზრისის მქონეა, თუმცა, არააუცილებლად – ირაციონალური მნიშვნელობის მქონეც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისინი უსაზრისო მოქმედებებად იქცევა, შესაბამისად, კარგავს „სოციალურობის“ სტატუსს (იხ. *ქცევა, მოქმედება, სოციალური მოქმედების თეორიები*).

სოციალური ორგანიზმი იხ. *ნატურალისტური სოციოლოგია.*

სოციალური სამართლიანობა რესურსების სამართლიანი განაწილება *საზოგადოებაში.* ტერმინი ძირითადად გამოიყენება იმ კონტექსტში, როდესაც საქმე ეხება ადამიანთა თანაცხოვრების თანმხლებ საზოგადოებრივ სიძნელეებსა და სარგებელს. *ს. ს-ის* თანამედროვე გაგება გადმოცემულია ჯონ როლსის ფუნდამენტურ ნაშრომში „სოციალური სამართლიანობა“, რომელიც *ნეოლიბერალიზმის* მნიშვნელოვან შენაძენად ითვლება. როლსი ცდილობდა ეჩვენებინა სოციალური სამართლიანობის დისტრიბუციული ხასიათი და იმავდროულად განემტკიცებინა აზრი, რომ საზოგადოებაში სამართლიანი თანამშრომლობის მოთხოვნა ლიბერალიზმის განუყრელი ნიშანია.

სოციალური სახელმწიფო დემოკრატიული *სახელმწიფო,* რომელიც ფარ-

თო სოციალურ საფუძველს ემყარება და აქტიურ, ძლიერ სოციალურ პოლიტიკას ატარებს, რომლის მიზანსაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება ან მისი სტაბილურად შენარჩუნება, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა და რეალიზება, ჯანდაცვის, განათლების, სოციალური უზრუნველყოფის თანამედროვე სისტემების შექმნა, სოციალური *კონფლიქტების* თავიდან აცილება, წარმატებით მოგვარება და ა. შ. წარმოადგენს.

სოციალური სოლიდარობა ცნება, რომლითაც აღინიშნება *საზოგადოების* ან სოციალური ჯგუფის მიერ გამოვლენილი *ინტეგრაციის*, ურთიერთდაინტერესებისა და სიმჭიდროვის ხარისხი. სოციალური ინტეგრაციის საფუძვლები განსხვავებულია სხვადასხვა ტიპის საზოგადოებაში. ამ თვალსაზრისით, დიურკემი განასხვავებს ორი ტიპის – მექანიკურ და ორგანულ – სოლიდარობას. მექანიკური სოლიდარობა დამახასიათებელია ტრადიციული აგრარული საზოგადოებებისათვის, როდესაც ადამიანებს უჩნდებათ სხვებთან იდენტიფიკაციის განცდა, ვინაიდან მათი ფუნდამენტური ცხოვრებისეული გამოცდილება ერთმანეთის მსგავსია, რაც საზოგადოების სტაბილურობის წყაროა. სოციალური წესრიგის პირობას ამ შემთხვევაში წარმოადგენს კოლექტიურობის განცდა, რასაც დიურკემი „კოლექტიურ სინდისსაც“ უწოდებს. რაც შეეხება ორგანულ სოლიდარობას, იგი დამახასიათებელია ინდუსტრიული საზოგადოებებისათვის, რომლებიც *შრომის დანაწილების*, ე. ი. დიფერენციაციისა და სპეციალიზაციის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. ეს ზრდის საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას – ინდივიდებს არ შეიძლება ჰქონდეთ იმის იმედი, რომ უზრუნველყოფენ ყველა ცხოვრებისეულ საჭიროებას თვითონ, სხვა ინდივიდებთან კავშირის („ბმის“) გარეშე. ორგანული სოლიდარობა აღნიშნავს ეკონომიკური კავშირების ურთიერთდამოკიდებულებას, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს კონსენსუსსა და ინტერესების შეჯერებას (იხ. *სოციალური ინტეგრაცია*).

სოციალური ურთიერთობა ვებერის მიხედვით, რამდენიმე *აქტორის* მოქმედებათა ურთიერთორიენტაცია ამ მოქმედებებში ნაგულისხმევი სუბიექტური მნიშვნელობებიდან გამომდინარე. *ს. უ.* არსებობს მაშინ, როდესაც მასში მონაწილე თითოეული წევრი მხედველობაში იღებს სხვათა ქცევას. სოციოლოგს *ს. უ-თა* ემპირიულად მრავალფეროვანი შინაარსის შესწავლა უნდა აინტერესებდეს და არა მისი ნორმატიულად „სწორი“, ანდა მეტაფიზიკურად „ჭეშმარიტი“ მნიშვნელობის კვლევა. *ს. უ.* „ობიექტურად ცალმხრივია“ მაშინ, როდესაც მოქმედებათა ურთიერთორიენტაცია, ამავე დროს, არ წარმოადგენს ურთიერთგაგებას, ანუ არ მიიღწევა საზრისთა ერთგვაროვნება. პირიქით, მაშინ, როცა ურთიერთორიენტაციის პროცესში პარტნიორთა განწყობები და მოლოდინები თანხვდება, ასეთი ურთიერთობა „ობიექტურად ორმხრივია“. „ობიექტურად ცალმხრივი“ ურთიერთობის დროს არსებობს სუბიექტური მოლოდინი იმისა, რომ ერთი მხარისათვის დამახასიათებელ განწყობას გაიზიარებს მისი პარტნიორი. *ს. უ.* არ შედგება, თუ არ იარსებებს ასეთი სუბიექტური მოლოდინიც კი. *ს. უ-ის* შინაარსი, თუ იგი დროში ხანგრძლივი აღმოჩნდა, ყალიბდება სუპრაინდივიდუალურ (ინსტიტუციურ) ნორმებად, რომელთა დაცვასაც ყველაზე მეტად მოელიან, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში მოითხოვება კიდეც, ანუ სავალდებულოა. იმ შემთხვევაში, როდესაც *ს. უ.*

ჩვევაში გადაიზრდება, ვიღებთ *ზნე-ჩვეულებას. ადათი* ისეთი ზნე-ჩვეულებაა, რომელიც მოქმედებათა გაცილებით ხანგრძლივ განმეორებადობას მოიცავს და, ამასთან, განპირობებულია საერთო ინტერესებით. ზნე-ჩვეულებები და ადათები, ვებერის თანახმად, არავისგან „მოითხოვენ" მათ დაცვას და შეიცავენ ნორმებს, რომლებიც სრულდება ვალდებულების შეგრძნების გარეშე. მათგან განსხვავებით, ლეგიტიმური წესრიგი ისეთ მაქსიმებზე ორიენტირებული სოციალური ურთიერთობაა, რომელთა დაცვა სავალდებულოა (იხ. *ზნე-ჩვეულებები და ადათები; ადათი; ლეგიტიმურობა*).

სოციალური ფაქტი ამ ტერმინით აღნიშნავენ სოციალურ ფენომენებს, რომლებიც გარეგანია ინდივიდების მიმართ, მაგრამ მათთვის შემზღუდველი და მაიძულებელი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული გაგება შემოიტანა დიურკემმა, რომელმაც *ს. ფ.* განსაზღვრა როგორც „ქმედებათა ყოველი წესი – მდგრადი ან არამდგრადი, რომელსაც ძალუძს ინდივიდზე გავლენა მოახდინოს გარე იძულების საშუალებით ან სხვაგვარად: რაც გავრცელებულია მოცემული *საზოგადოების* მთელ სივრცეზე და იმავდროულად გააჩნია საკუთარი, თავისივე ინდივიდუალური გამოვლინებისაგან დამოუკიდებელი არსებობა". *ს. ფ-ის* კარგი მაგალითია *კანონი*, რამდენადაც ის არსებობს ინდივიდისაგან დამოუკიდებლად, თუმცა, განსაზღვრავს, „ფორმას აძლევს" მისი მოქმედებების მსვლელობას. დიურკემი ამტკიცებდა, რომ სოციოლოგებმა *ს. ფ-ები* უნდა იკვლიონ როგორც *ნივთები*, რაც იმას ნიშნავს, რომ განიხილონ ისინი რეალურად, ანუ ობიექტურად არსებულად. შესაბამისად, *სოციოლოგიამ სოციალური მოქმედებები* უნდა ახსნას *ს. ფ-ების* პოზიციიდან და არა ინდივიდის სუბიექტური მოტივაციების საფუძველზე (იხ. *რეფიკაცია*).

სოციალური ფსიქოთერაპია ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე სფერო. მისი აღმოცენება განაპირობა *ბიჰევიორიზმისა* და *ფსიქოანალიზის* უკმარისობამ და იმის მოთხოვნილებამ, რომ პიროვნებაცა და მისი სოციალური გარემოცვაც უკეთ გააზრებულიყო. *ს. ფ.* ორიენტირებულია იმ ადამიანთა დახმარებაზე, რომლებიც აღმოჩნდნენ რთულ ცხოვრებისეულ ვითარებებში (თავიანთ საქმიანობაში, რაიმე სოციალურ ჯგუფში), მაგრამ ისინი სამედიცინო დაწესებულებების პაციენტები არ არიან. მთლიანობაში ესაა *სოციალურ მოქმედებაზე* ზეგავლენის მოსახდენ მეთოდთა სისტემა, რომელიც გამოიყენება *დევიაციის* ყველა ფორმის (დანაშაული და სხვ.) კორექციისთვის.

სოციალური ფსიქოლოგია ფსიქოლოგიის დარგი. იგი სათავეს ხალხთა ფსიქოლოგიიდან, *საზოგადოების* პრაგმატისტული ანალიზიდან და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიიდან იღებს. XX ს-ის დასაწყისში *ს. ფ.* დამოუკიდებელ მიმართულებად ყალიბდება (ტერმინი *ს. ფ.* შემოიტანა მაკ-დუგალმა, 1908). *ს. ფ.* არის დისციპლინა, რომელიც ინდივიდუალურ ქცევას მასზე სოციალური ფაქტორების ზეგავლენის თვალსაზრისით განიხილავს. *ს. ფ.* იკვლევს სხვადასხვა სოციალური გაერთიანებების (ჯგუფი, მასა, სოციალური კლასი, *ორგანიზაცია*, ბუნებრივი და კულტურული ერთობები, უმცირესობები) ზეგავლენას ინდივიდის მოქმედების მზაობის პირობებზე (განწყობები, სტერეოტიპები, სოციალური მოტივები), ქცევის ტიპებსა და ხერხებზე (ინტერაქცია, კომუნიკაცია, ჯგუფური დინამიკა). *ს. ფ.* ერთდროულად შეიძლება განეკუთვნებოდეს ფსიქო-

ლოგიასა და *სოციოლოგიას*, რის გამოც მას ხშირად მარგინალურ (ინტერდისციპლინურ) მეცნიერებად მიიჩნევენ. მეცნიერებათა სისტემაში *ს. ფ.* სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიას შორის დგას. სოციოლოგიის გარკვეული მიმართულებისათვის (მაგ., *სიმბოლური ინტერაქციონიზმისათვის*) სოციოლოგია და *ს. ფ.* იდენტური მეცნიერებებია. *ს. ფ-ის* მეთოდებია სისტემატური *დაკვირვება* და *გამოკითხვა*. განსაკუთრებული წვლილი *ს. ფ-ის* განვითარებაში შეიტანეს კ. ლევინმა და გ. ვ. ოლპორტმა.

სოციალური ცვლილება ცნება *სოციოლოგიაში* შემოიტანა ოგბორნმა (1922). *ს. ც.* მიმართულია სოციალური *სტრუქტურისა* და სოციალური მიმართებების შეცვლისკენ. ამ ცნების შინაარსი სხვადასხვა თეორიებში (მაკრო და მიკრომიდგომებში) განსხვავებულადაა წარმოდგენილი. *ს. ც-ის* პროცესის შესწავლისას აუცილებელია მოიძებნოს ინდიკატორები, რათა დადგინდეს, თუ როგორ და რამდენად შეიცვალა სოციალური სტრუქტურისა (კლასობრივი სტრუქტურა, მოსახლეობის სტრუქტურა და ა. შ.) თუ სოციალურ მიმართებათა (მენტალიტეტი, ღირებულებითი ორიენტაცია და ა. შ.) ესა თუ ის ნაწილი და ფორმა. რადგანაც *რთულ საზოგადოებებში* სხვადასხვა ცხოვრების ფორმა განსხვავებული რიტმით იცვლება, ცალკეულ ქვესისტემებს შორის დაძაბულობა ჩნდება, რაც კარგად ასახავს *ს. ც-ის* პროცესებს. დაძაბულობა და არათანაბარწონადობაა განსხვავებულ სექტორებს, მაგ., ეკონომიკურ-ტექნიკურ სფეროში მატერიალურ ცვლილებებსა და ამ ცვლილებებთან სოციალურ-კულტურულ შეგუებას, ან კიდევ პოლიტიკურსა და ეკონომიკურ სისტემას შორის. არსებობს სოციალური სისტემის ცვლილების განსხვავებული ფორმები და ტენდენციები. ასეთია, მაგალითად, დაგეგმილი და დაუგეგმავი *ს. ც.* არჩევენ *ს. ც-ის* ორ სახეს: რევოლუციურ და ევოლუციურ ცვლილებას. ფორმის მიხედვით *ს. ც.* შეიძლება იყოს: არალინეარული, მულტილინეარული, მრუდლინეარული ან ციკლური. *ს. ც-ის* ახსნის მრავალი თეორია არსებობს. მარქსისტული თეორიის თანახმად, *ს. ც-ს* საფუძვლად მატერიალური ურთიერთობები უდევს. დარენდორფის აზრით, *ს. ც-ის* საფუძველი *ძალაუფლების* არათანაბარ განაწილებაში უნდა ვეძებოთ. სტრუქტურულ-ფუნქციონალისტური მიდგომის თანახმად (პარსონსი, სმელზერი, აიზენშტადტი), საზოგადოება თვითრეგულირებადი სისტემაა, რომელიც მუდმივად წონასწორობის მდგომარეობაშია და მასში ცვლილების თვითრეგულაცია მიმდინარეობს. განსხვავებით სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზისაგან, ინდივიდუალისტური მიდგომები *ს. ც-ის* მთავარ აგენტად ინდივიდს მიიჩნევს. *სიმბოლური ინტერაქციონიზმი* ხაზს უსვამს *ს. ც-ის* პროცესის განვითარების ნიმუშების შეთავსებადობას. *სოციალიზაციის* თეორია ყურადღებას ამახვილებს სოციალიზაციის სხვადასხვა ტექნიკის ზეგავლენაზე პიროვნების სტრუქტურის ცვლილებაში და მას სოციალური ცვლილების საფუძველში დებს. დასწავლის სოციოლოგიური თეორიები *ს. ც-ს* მონაწილე ინდივიდების სწავლის შედეგად თვლიან.

სოციალური წესრიგი სანიმუშო მოქმედება ან წესები, რომელთაც ადამიანები ასრულებენ თავიანთ სოციალურ ცხოვრებაში. ნებისმიერ *საზოგადოებაში* არსებობს სოციალურ მოლოდინთა და სტრუქტურათა მყარი ნიმუშები, რაც სხვა არაფერია, თუ არა *ს. წ-ის* გამოხატულება. ასეთი ნიმუშები, გარკვეული ხარისხით, იძლევა მოქმედების წინასწარმეტყველების შესაძლებლობას საზოგადოებაში და, ამდენად, ნებას რთავს სოციალურ

ცხოვრებას, რომ გაგრძელდეს (შენარჩუნდეს). *ს. წ*-ზე აქცენტირებისას სოციოლოგები ხელმძღვანელობენ სოციალური სამყაროს შესახებ კონსერვატიული წარმოდგენით, აქცენტს აკეთებენ საზოგადოების ინტეგრაციასა და მთლიანობაზე *კონფლიქტისა* და ცვლილების სანაცვლოდ.

სოციალური ხასიათი იხ. *პიროვნების სოციოლოგიური თეორიები.*

სოციოდრამა იაკობ ლევი მორენოს (1892-1974) მიერ *სოციოლოგიაში* შემოტანილი ცნება და ჯგუფური თერაპიის მეთოდი (მორენომ ეს იდეა „სპონტანური თეატრიდან" აიღო). იგი *ფსიქოდრამის* თავისებურ განვითარებას წარმოადგენს. *ს*-*ში* ერთი ჯგუფის წევრებს (შესაბამისად, პარტნიორთა ჯგუფებს) სხვადასხვა სოციალურ *როლებს* აძლევენ და უბიძგებენ, ერთმანეთთან შევიდნენ ინტერაქციაში (როლური თამაში), რათა საკუთარ თავსაც და თერაპევტსაც შესაძლებლობა მისცენ, შეიმეცნონ ურთიერთობაში არსებული პრობლემების მიზეზები და სიმპტომები. ამ შემეცნების შედეგია „სოციოდრამატული შოკი", რომელიც თამაშის პროცესში უნდა მოიხსნას. *ს.* ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს წმინდა დიაგნოსტიკური მიზნით.

სოციოლოგია ტერმინი შემოიტანა ფრანგმა სოციოლოგმა ო. კონტმა (1798-1857). ეტიმოლოგიურად იგი ლათინური და ძვ. ბერძნული სიტყვების გაერთიანებას წარმოადგენს (socius როგორც ზედსართავი სახელი ნიშნავს დაკავშირებულს, გაერთიანებულს, ხოლო როგორც არსებითი სახელი – ცხოვრების თანამგზავრს, მეგობარს, მოკავშირეს, მონაწილეს. ბერძნული ლოგოს – სიტყვას, მოძღვრებას, გონებას. ზოგადად *ს. საზოგადოების* შესახებ მეცნიერებაა. უფრო ვიწრო აზრით, სოციალური მეცნიერებაა, რომელიც სოციალურ სუბიექტებს, სოციალურ პროცესებს, სოციალურ კატალიზატორებს, სოციალურ მიმართებებს, წარმონაქმნებსა და სტრუქტურებს იკვლევს. მ. ვებერის თანახმად, *ს.* არის მეცნიერება, რომელიც *სოციალური მოქმედების* გაგებითა და ახსნით არის დაკავებული, აქედან გამომდინარე, ის სოციალური მოქმედების მდინარებამსვლელობისა და მისი შედეგების მიზეზობრივ ახსნას ცდილობს. *ს.* საზოგადოებას მიკრო და მაკროდონეზე სწავლობს (მაკრო და მიკროსოციოლოგია). მაკროდონეზე *ს*-*ის* ყურადღების ცენტრშია დიდი სოციალური წარმონაქმნები და კოლექტიური პროცესები. მისი საგანია სახელმწიფო *ორგანიზაციებისა* და ინსტიტუციების ცვლილება, *სტრუქტურა*, სოციალური ჯგუფები, ასევე *კლასები*, ფენები და სხვადასხვა სახის უმცირესობანი. აქ უპირატესობა ენიჭება საზოგადოების განხილვას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცვალებადობის დინამიკაში. მაკროდონეზე საზოგადოება განიხილება როგორც თავისთავადი, დამოუკიდებელი რეალობა, რომელიც არ დაიყვანება ინდივიდუალურ მიმართებებსა და მის ცალკეულ ელემენტებზე. მიკროდონეზე *ს.* ორიენტირებულია ინდივიდებსა და მათ ურთიერთინტერაქციაზე. აქ ინდივიდების სოციალური სტრუქტურით განსაზღვრულობა საერთოდ კი განიხილება, მაგრამ კვლევის მთავარ მიზანს არ წარმოადგენს. ამ მიდგომის ფარგლებში შეისწავლება, თუ როგორ მოქმედებენ ადამიანები გარკვეული პირობების, მაგალითად, ისეთების, როგორიცაა მოლოდინები, მოტივები და ა. შ. ზეგავლენით, როგორ მიემართება ერთმანეთს ადამიანთა მოქმედებები და ა. შ.

ს-*ში* გამოიყოფა სოციოლოგიურ თეორიათა სამი დიდი ჯგუფი: I. სისტემების თეორია, რომელიც წარმოდგენილია სისტემების ზოგადი თეორიის, *სტრუქტურული ფუნქციონალიზ-*

მის (ტ. პარსონსი), *კომპლექსური* სოციალური სისტემების თეორიის (ნ. ლუმანი) სახით; 2. საზოგადოების თეორია, რომელიც მოიცავს მარქსისტულ სოციოლოგიას, *კრიტიკულ* თეორიას (მ. ჰორკჰაიმერი, თ. ადორნო, ი. ჰაბერმასი) და ფიგურაციისა და *პროცესის* სოციოლოგიას (ნ. ელიასი); 3. *ქცევისა* და *მოქმედების* თეორია, რომელიც მოიცავს *ქცევის ს-ს* (ბ. ფ. სკინერი, გ. კ. ჰომანსი), *სიმბოლურ ინტერაქციონიზმს* (გ. ჰ. მიდი), *ფენომენოლოგიურ ს-ს* (ა. შუტცი), ეთნომეთოდოლოგიას (ჰ. გარფუნკელი). სხვა მეცნიერებების მსგავსად *ს-ში* ხდება დარგობრივი დიფერენციაცია. *ს-ის* დარგებს განეკუთვნება: 1. ზოგადი *ს.*, 2. სპეციალური ანუ დარგობრივი *ს.* (ოჯახის, რელიგიის, სოფლის, სამართლის, ლიტერატურის და ა. შ.), და 3. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები.

სოციომეტრია 1. თეორიული მიმდინარეობა თანამედროვე სოციოლოგიაში, რომლის მიზანია მცირე სოციალური ჯგუფების შესწავლა ემოციური პიროვნებათაშორისი ურთიერთობების კვლევაზე დაყრდნობით და დასკვნების ექსტრაპოლირებით დიდ სოციალურ ჯგუფებზე და *საზოგადოებაზე* მთლიანად. **2.** ემოციური ურთიერთობის რაოდენობრივი გაზომვა.

ტერმინი *ს.* აღმოცენდა XIX ს-ის ბოლოს ადამიანთა ერთი ჯგუფის სხვებზე სოციალური გავლენის გაზომვის შესაძლო ხერხების აღწერასთან დაკავშირებით. *ს-ის*, როგორც სოციალური მოვლენების შემეცნებისა და გაზომვის თეორიული და იდეოლოგიური დასაბუთება ეკუთვნის ამერიკელ სოციალურ ფსიქოლოგს იაკობ (ჯეკობ) მორენოს (1892-1974). სოციომეტრიული თეორიის ობიექტს წარმოადგენს რეალურად არსებული მცირე სოციალური ჯგუფები, რომელთაც აქვთ ერთობლივი ჯგუფური ცხოვრების საკმაო გამოცდილება; საგნობრივი სფერო – ადამიანთა ემოციური ურთიერთობები ჯგუფებში (სიმპათია, არაკეთილგანწყობა, განურჩევლობა). მორენოს მიხედვით, ემოციური ურთიერთობები ჯგუფებში წარმოადგენენ საზოგადოების ატომისტურ სტრუქტურას, რომელიც მიუწვდომელია უბრალო დაკვირვებისთვის და მისი აღმოჩენა შეიძლება მხოლოდ სოციალური მიკროსკოპის დახმარებით. *ს-ის* ზოგადი თეორიის არსი იმის მტკიცებაა, რომ სოციალური სისტემები წარმოადგენენ მიზიდულობა-განზიდულობის ნეიტრალურ სისტემებს, რომლებიც მოიცავს არა მარტო ობიექტურ, გარეგნულად გამოვლენად ურთიერთობებს (მაკროსტრუქტურა), არამედ სუბიექტურ, ემოციურ ურთიერთობებსაც, რაც ხშირად გარეგნულად არ ჩანს (მიკროსტრუქტურა).

გამოყენებით *ს-ში* გამოკითხვისა და მონაცემების დამუშავების სპეციალური ტექნიკის სახით შემუშავებულია მცირე ჯგუფებში სხვადასხვა *კონფლიქტების* ლიკვიდაციის, ჯგუფების ფორმირების, ჯგუფური თერაპიისა და ა. შ. მეთოდიკა. *სოციოდრამისა* და *ფსიქოდრამის* ფარგლებში შესაძლებელი ხდება არაადეკვატურ ემოციურ რეაქციებზე ზემოქმედება ნევროზების, ალკოჰოლიზმის და რიგი სომატური დაავადებების მკურნალობისას.

სპიკერი საკანონმდებლო ორგანოს სხდომების წარმმართველი. ტერმინი დამკვიდრდა ბრიტანეთის თემთა პალატის სპიკერებთან ანალოგიით. ამ უკანასკნელთათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ მიუხედავად *ს-ის* რომელიმე პარტიისადმი ფაქტობრივი მიკუთვნებისა, *ს.* მიუმხრობელი რჩებოდა სხდომების რეგლამენტის დაცვის, *კანონების* ინტერპრეტირებისა და დებატების წარმართვის პროცესის ხელმძღვანელობისას. ბრიტანელი *ს.* კენჭისყრაში არ მონაწილეობს. *ს-ის* მსგავსი, მიუმხრობელი ფორმა ბრიტანე-

თის გარდა შენარჩუნებულია მხოლოდ კანადაში. ავსტრალიასა და შეერთებულ შტატებში *ს.* ღიად გამოხატავს იმ პოლიტიკური ძალების ინტერესებს, რომელთაც ის წარმოადგენს პარლამენტში. შეერთებულ შტატებში, მაგ., წარმომადგენელთა პალატას უმრავლესობის წარმომადგენელი ხელმძღვანელობს, ხოლო სენატს – ვიცე-პრეზიდენტი.

სპორტის სოციოლოგია *სოციოლოგიის* სფერო, რომელიც კონცენტრირდება სოციალური ინსტიტუტების (*ოჯახი,* განათლება, *პოლიტიკა* და *ეკონომიკა*), სოციალური *ორგანიზაციების, სოციალური ურთიერთობებისა* და ჯგუფური ქცევის პრობლემატიკაზე. იგი შეისწავლის სპორტის, როგორც საზოგადოებრივი მოვლენის ფუნქციონირებასა და განვითარებას საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სულიერ სფეროებთან კავშირში. სპორტი განიხილება როგორც გაცნობიერებული სათამაშო მოღვაწეობა და განისაზღვრება საზოგადოებისა და ინდივიდის განვითარების შინაგანი და გარეგანი ფაქტორებით. *ს. ს-ის* კვლევის ობიექტებია ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემები, როგორიცაა სპორტი, როგორც სოციალურ-კულტურული სისტემა, მისი სოციალური ფუნქციები, მისი კავშირი სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან (ოჯახი, *ეკლესია,* სხვადასხვა ორგანიზაციები), სპორტსმენების ღირებულებებსა და ქცევასთან, სპორტი და დასვენება, სპორტი და შრომა, სპორტი და დანაშაული, სპორტი და *აგრესია* და ა. შ.

ს. ს-ის მნიშვნელოვანი მიმართულებაა სპორტული კოლექტივებისა და სპორტული ორგანიზაციების სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზი.

სტანდარტული გადახრა დისპერსიის ზომები მჭიდროდ უკავშირდება ცენტრალური ტენდენციის ზომებს, რომელთაგან ერთ-ერთია სტანდარტული კვადრატული გადახრა. იგი კვადრატული ფესვია საშუალო დისპერსიიდან. მისი ინტერპრეტაცია უფრო მარტივია, რადგან მნიშვნელობა იმ მასშტაბში აქვს, რომლიდანაც იგი მიიღება.

სტატუსი ინდივიდის ან სოციალური ჯგუფის მეტ-ნაკლებად მყარი პოზიცია *საზოგადოებაში,* რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებთან. განასხვავებენ: ა) მიღწევად *ს-ს,* როდესაც ინდივიდი სოციალურ პოზიციას აღწევს საკუთარი ძალისხმევის წყალობით (მაგ., მეცნიერებათა დოქტორის, ქმრის, მასწავლებლისა და სხვ. *ს-ები*); ბ) მიწერილ *ს-ს,* როდესაც სოციალური პოზიცია მიიღება დაბადებით ან მემკვიდრეობით (მაგ., შავკანიანად, ქალად, ქართველად და ა. შ. ყოფნა); გ) ძირითად *ს-ს,* რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის საზოგადოებრივ მდგომარეობას. *ს.* უნდა განვასხვაოთ სოციალური სტატუსისაგან. ეს უკანასკნელი გულისხმობს დადებით ან უარყოფით პრესტიჟსა და რეპუტაციას, რომელსაც საზოგადოების წევრები ანიჭებენ ჯგუფებს ან ინდივიდებს. მისი საფუძველია არა ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ სოციალური მდგომარეობა მთლიანობაში და რეალურად გამოხატულია (მანიფესტირებულია) განსაზღვრული *ს-ის* მატარებელი ინდივიდების ან ჯგუფების ცხოვრებაში. სოციალური *ს-ის* ცნება დაკავშირებულია ვებერთან, რომელიც მას იყენებს, როგორც უკეთეს (ადეკვატურ) საშუალებას *სოციალური დიფერენციაციის* ანალიზისათვის, ვიდრე ამის უფლებას *კლასის* ანალიზი იძლევა.

სტიგმა ფიზიკური ან სოციალური თვისება, ნიშანი, რომელიც ახდენს *აკ-*

ტორის ან ჯგუფის სოციალური იდენტობის დევალვაციას და დისკრედიტაციას. *ს.* შეიძლება იყოს სხეულებრივი ნიშანი (მაგ., ფიზიკური სიმახინჯე), ანდა ისეთი სოციალური მახასიათებლები, როგორიცაა ინდივიდის კრიმინალური რეპუტაცია ან ჯგუფის მიკუთვნება განსაზღვრული რასისადმი (მაგ., შავკანიანთა *რასისადმი*). შესაძლოა *ს.* იყოს ხილული (აშკარა დისკრედიტაცია) ან ფარული (პოტენციურად დისკრედიტებული). ფარული *ს.* უფრო მეტად იძლევა შესაძლებლობას, რომ ინდივიდმა მართოს საკუთარი თავი და ადაპტირდეს გარემოსთან. თუმცა როგორც აშკარა, ისე პოტენციური დისკრედიტაციის შემთხვევაში აქტორის პრობლემა ისაა, რომ მოძებნოს ადეკვატური საშუალებები, რათა არა მხოლოდ შეამციროს თავისი მდგომარეობის მავნე შედეგები, არამედ სასარგებლოდაც კი აქციოს იგი.

სტრატეგია პოლიტიკურმა მეცნიერებამ ტერმინი სამხედრო მეცნიერებებიდან შემოიტანა. განსხვავებით ტაქტიკისაგან, რომელიც ბრძოლის წარმოებას გულისხმობს, *ს.* ომის წარმოების ხელოვნებაა. ამ გაგებით, *ს.* არის გრძელვადიანი გეგმა, რომელიც უშუალო სამხედრო ოპერაციების გარდა, გულისხმობს *ომის* წარმოებისათვის საჭირო ყველა კომპონენტის (ეკონომიკური, საკომუნიკაციო, კულტურული და ა. შ.) გათვალისწინებასა და დაგეგმარებას. განასხვავებენ „სტრატეგიას" და „დიდ სტრატეგიას". დიდი *ს.* ასოცირებულია *მსოფლიო ომსა* და გლობალურ *კონფლიქტებთან. ცივი ომის* პერიოდში დიდ *ს-ს* ძირითადად ზესახელმწიფოები, საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები შეიმუშავებდნენ. ტერმინი *ს.* პოლიტიკური მნიშვნელობით გულისხმობს რომელიმე *პარტიის,* პოლიტიკური დაჯგუფების ან სულაც *სახელმწიფოს* გრძელვადიანი საქმოქმედო პროგრამის დაგეგმვას.

სტრატეგიული კვლევები ამ ტერმინით აღინიშნება ამა თუ იმ ქვეყნის ან მსოფლიოს შესაძლო გლობალური განვითარების ანალიზი. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციულმა პროცესებმა შექმნა იმგვარი პოლიტიკური სისტემა, რომლის პირობებშიც რომელიმე ერთ რეგიონში მომხდარი მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური ან სოციალური ხასიათის ძვრები ზეგავლენას იქონიებს დანარჩენ ქვეყნებზე. ამგვარი მოვლენების შესწავლის ცენტრებია ლონდონის სტრატეგიული კვლევებისა და სტოკჰოლმის მშვიდობის შესწავლის ცენტრები, რომლებიც ყოველი წლის ბოლის აქვეყნებენ რეზიუმირებულ გამოკვლევას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ.

ს. კ. საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ქვედარგია, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა მიერ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სამხედრო ძალის გამოყენებას შეისწავლის. *ს. კ-ის* მოთავსება შეიძლება *რეალიზმის* პარადიგმის ჩარჩოებში, რადგან ეს დისციპლინა საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ მონაწილედ *სახელმწიფოს* მიიჩნევს. *ს. კ.* საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერების გამოყენებით ქვედარგად მიიჩნეოდა, მაგრამ მისი მნიშვნელობა *ცივი ომის* დასრულების შემდეგ შემცირდა. *ტერორიზმისა* და ბრძოლის პარტიზანული მეთოდების საყოველთაოდ გავრცელებამ შეიძლება ააღორძინოს ეს დისციპლინა, მაგრამ, სავარაუდოდ, სახელმწიფოს როლის შესახებ *რეალიზმის* შეხედულებების დათმობის ხარჯზე.

სტრატიფიკაცია *საზოგადოების* დაყოფა იერარქიულ ფენებად სხვადასხვა სოციალური მახასიათებლის საფუძველზე, რომლის შედეგია უფრო მაღალი და უფრო დაბალი ფენების

არსებობა. სოციალური განსხვავებები საზოგადოებაში სტრატიფიცირდება მაშინ, როდესაც ამა თუ იმ მახასიათებლის (მაგ., სიმდიდრის, კაპიტალის) ფლობა ან არფლობა იქცევა სისტემის შიგნით ინდივიდების მთავარ გამანაწილებელ პრინციპად. *ს.* სოციალური უთანასწორობის საფუძველია, რამდენადაც იგი გულისხმობს უფლებებისა და პრივილეგიების, პასუხისმგებლობისა და ვალდებულებების, სოციალური კეთილდღეობის, *ძალაუფლებისა* და ა. შ. არათანაბარ განაწილებას საზოგადოების წევრებს შორის. სოციალური *ს-ის* უამრავი კონკრეტული ფორმა არსებობს. თუ ხდება ეკონომიკური სტატუსის მიხედვით ინდივიდების დაყოფა, როდესაც, ზოგადი სახით, გამოიყოფა ორი სტრატა – მდიდრები და ღარიბები – მაშინ ხდება ეკონომიკური დიფერენციაციაც. თუ საზოგადოებაში არსებობს იერარქიულად განსხვავებული რანგები ძალაუფლების სხვადასხვა ხარისხის შესაბამისად, პრესტიჟის, ავტორიტეტის და სხვ. ფლობის თვალსაზრისით, როდესაც საზოგადოება, ზოგადად, იყოფა მმართველებად და მართულებად, ხდება *პოლიტიკური ს.* ხოლო მაშინ, როდესაც საზოგადოება დაყოფილია სხვადასხვა საქმიანობის მქონე ჯგუფებად, ეს მიუთითებს პროფესიულ *ს-ზე.* სხვადასხვა საზოგადოება იყენებს ინდივიდების იერარქიული განლაგების განსხვავებულ პრინციპს. ტრადიციული საზოგადოებები ხშირად მიმართავენ მემკვიდრეობით მახასიათებლებს, მაშინ როცა თანამედროვე საზოგადოებები იყენებენ სიმდიდრეს ან შემოსავალს.

სტრუქტურა გამოხატავს ობიექტის ელემენტთა შორის შედარებით მყარი, სტანდარტიზებული მიმართებების არსებობას. ობიექტის *ს-ის* განსაზღვრა ნიშნავს, მოვიხსენიოთ მისი ნაწილები და ის წესები, რომელთა გზითაც ეს ნაწილები ურთიერთქმედებაში (ურთიერთობაში) მოდიან. როდესაც ლაპარაკია სოციალურ *ს-ზე,* ამ შემთხვევაში მიუთითებენ სოციალური ორგანიზმის (*საზოგადოების*) ელემენტებს (სოციალურ ერთეულებს) შორის ურთიერთობების სტანდარტიზებულ სისტემაზე. საკითხი ეხება იმას, თუ რა შეიძლება იყოს ასეთ ურთიერთობაში ჩართული სოციალური ერთეული, ანუ საზოგადოების ელემენტი. ზოგი სოციოლოგი ერთეულად ასახელებს *აქტორს* (მოღვაწეს), ზოგი – სოციალურ ინსტიტუტებს როგორც სოციალური ურთიერთობისა და ქმედების განმეორებად ნიმუშებს, ზოგიც – სოციალურ *როლებს.*

სოციოლოგთა უმეტესობა ემხრობა მოსაზრებას, რომ სტრუქტურა ანალიტიკური აბსტრაქციაა, ინტელექტუალური მოდელია, რომელიც აგებულია ემპირიულ ურთიერთობებზე დაკვირვების შედეგად. ამდენად, მოთხოვნა ასეთია – ერთმანეთში არ ავურიოთ *სოციალური ურთიერთობისა* და სოციალური *ს-ის* ცნებები. სოციალური ურთიერთობა ემპირიული მოღვაწეობაა, ხოლო სტრუქტურა – ემპირიული მოღვაწეობის მსგავსად აგებული მოდელი. ეს ნიშნავს, რომ სოციალური ურთიერთობა ძირითადი მასალაა *ს-ული* მოდელების ასაგებად. კ. ლევი-სტროსი აყალიბებს ოთხ პირობას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოდელი, რათა მას *ს-ის* კვალიფიკაცია მიეცეს: ა) *ს.* ურთიერთდაკავშირებული ელემენტებისგან შემდგარი სისტემაა, როდესაც ერთ-ერთი მათგანის შეცვლა იწვევს ყველა დანარჩენის ცვლილებას; ბ) *ს-ის* სახით არსებული მოდელი შეიძლება შეიცვალოს (გარდაისახოს), თუმცა ყოველი მათგანი ერთი და იმავე მოდელის ტიპს მიეკუთვნება; გ) შესაძლებელია იმის გათვალისწინება, თუ როგორი რეაგირება ექნება მოდელს მისი ერთ-ერთი ელემენტის ცვლილების შემთხვევაში;

დ) მოდელი იმგვარად უნდა აიგოს, რომ მისი გამოყენება მოიცავდეს ყველა დასაკვირვებელ მოვლენას.

სტრუქტურალიზმი *სოციოლოგიაში* სოციალური *სტრუქტურის* სოციოლოგიური ანალიზი. უფრო ვიწრო მნიშვნელობით *ს.* ანალიზის ფორმაა, სადაც სტრუქტურას პრიორიტეტი აქვს აგენტთან მიმართებაში. ლინგვისტიკაში (ფერდინანდ დე სოსიური (1857-1913), ნ. ჩომსკი (დაიბ. 1928)), *ს.* ნიშნავს ენის სტრუქტურის თავისებურებების კვლევას. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია ლინგვისტური ელემენტების სინქრონიულ მიმართებებზე და ნაკლები ყურადღება ექცევა დიაქრონიულ, ისტორიულ ან შედარებით კვლევას. *ს.* ასევე კულტურული და სოციოლოგიური ანალიზისადმი მეთოდოლოგიური და თეორიული მიდგომაა, რომელიც ემყარება ვარაუდს, რომლის თანახმადაც, შესაძლებელია *საზოგადოების* ანალიზი ენის როგორც ნიშანთა სისტემის მსგავსად. აქ აქცენტირებულია სოციალური ცხოვრების „კონცეპტუალური ელემენტები", „უხილავი", მაგრამ გამოსავლენად შესაძლებელი სტრუქტურული მიმართებები. კონცეპტუალური ელემენტები სოციალურ მეცნიერებებში გამოკვლევის საბოლოო მიზნად და სოციალური სინამდვილის სტრუქტურულ დეტერმინანტებად მიიჩნევა. სოციოლოგიაში *ს.* (სტრუქტურული ანალიზი) წარმოდგენილია ანთროპოლოგ კლოდ ლევი-სტროსის (1908), სემიოლოგ როლანდ ბარტისა (1915-1980) და ფსიქოანალიზის თეორეტიკოსის ჟაკ ლაკანის (1901-1981) შრომებში. ლევი-სტროსის შრომებში სოციალური მითები და აზროვნების სხვა ფორმები წარმოადგენს ადამიანის აზროვნების ტენდენციის შედეგს – ადამიანის უნარს, იაზროვნოს ბინარული დაპირისპირებულობებით (მაგ., უმი/მოხარშული, ქორწინების ასაკს მიღწეული / ქორწინების ასაკს მიუღწეველი და ა. შ.). *ს.* შეიძლება ასევე გავიგოთ როგორც დოქტრინა, რომლის თანახმადაც, სოციალური გამოკვლევა უნდა იყოს მიმართული არა იმ გამოვლენილ სტრუქტურებზე, რომლებიც ზედაპირზე დევს, არამედ უფრო ღრმა, „რეალურ" სტრუქტურებზე, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ ურთიერთობებს. თანამედროვე სოციოლოგია ცდილობს მოძებნოს ერთგვარი კომპრომისი სტრუქტურასა და ინდივიდის (*აქტორის*) ნებას შორის. მაგ., ბერგერი და პულბერგი გვთავაზობენ სოციალური რეალობის კონსტრუირების დიალექტიკურ თეორიას, რომლის თანახმად, სოციალური სტრუქტურა ადამიანისგან მოწყვეტილი არ არის. სტრუქტურა ადამიანის მიერაა შექმნილი, მაგრამ მასვე უპირისპირდება, როგორც უცხო მოცემულობა, როგორც იძულების საშუალება. ე. გიდენსი (დაბ. 1938) საუბრობს „სტრუქტურის დუალობაზე". გიდენსის თანახმად, სტრუქტურა დუალისტურია, რადგან მასში წარმოდგენილია როგორც ინდივიდუალური ნება, ასევე თავად სტრუქტურა.

საერთაშორისო ურთიერთობებში ს. იმგვარი ხედვაა, რომელიც საერთაშორისო პროცესების ახსნისას გადამწყვეტ მნიშვნელობას სოციალურ სტრუქტურებს ანიჭებს. *ს.* რამდენიმე ცალკეულ თეორიას აერთიანებს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია *დაქვემდებარების* თეორია და *მსოფლიო სისტემების* თეორია. *ს.* მსოფლიო პოლიტიკის მთავარ მოქმედ პირად არა *სახელმწიფოს*, არამედ სოციალურ *კლასს* მიიჩნევს, ხოლო *საერთაშორისო ურთიერთობების* წამყვან პროცესად *კონფლიქტს* ასახელებს. *ს.*, როგორც თეორიული პერსპექტივა, მსოფლიო პოლიტიკაში *მესამე სამყაროს* ქვეყნების გააქტიურების შედეგად განვითარდა. საერთაშორისო უთანასწორობის მთავარ მიზეზად *ს.*

ძალის უთანასწორო განაწილებას მიიჩნევს, რაც, თავის მხრივ, შრომის დანაწილების არსებული კაპიტალისტური სისტემის ნაყოფია.

სტრუქტურაციის თეორია დაკავშირებულია ენტონი გიდენსის სახელთან. თეორია მოწოდებულია, გადაჭრას ტრადიციული დუალიზმი – *მოქმედება/სტრუქტურა*. მისთვის ამოსავალი ხდება არა აღნიშნული დიქოტომიის რომელიმე წევრი, არამედ მათი მედიუმი – სოციალური პრაქტიკის (*პრაქსისის*) ცნება. ეს უკანასკნელი ფოკუსირდება არა მოქმედების შედეგზე, არამედ მოქმედების პროცესზე, რაც წარმოადგენს სოციალური ცხოვრების წარმოებას (ქმნადობას). სოციალური პრაქტიკა არის გზა, რომლის საშუალებითაც სუბიექტის აქტივობა ობიექტურ მოცემულობად იქცევა, მაგრამ რომელიც, თავისთავად აღებული, არც ერთია და არც მეორე. იმ შემთხვევაში, როდესაც პრაქტიკები მეორდება, ხდება პრაქტიკების კვლავწარმოება (რეპროდუქცია), *რაც სოციალური ინსტიტუტების* (რუტინების) არსებობის პირობაა. სოციალური ინსტიტუტების ფარგლებში *აქტორები* თავიანთ ქცევას განიხილავენ როგორც თავისთავად ნაგულისხმევს (taken for granted), რაც გამორიცხავს სოციალური *ცვლილებების* შესაძლებლობას. ეს უკანასკნელი მოითხოვს ხანიერი სოციალური პრაქტიკის შეწყვეტას, ანუ პრაქტიკის ტრანსფორმაციას. როდესაც სოციალური ინსტიტუტების მოდელირება ხდება დროსა და სივრცეში, მაშინ სახეზეა სოციალური სისტემა. გიდენსი ამტკიცებს, რომ სოციალური პრაქტიკა ხორციელდება განსაზღვრული წესებისა და რესურსების საფუძველზე. წესებში იგულისხმება პროცედურული და მორალური პრინციპები. რაც შეეხება რესურსებს, გიდენსი გამოყოფს ორი ტიპის – მატერიალურ და ადმინისტრაციულ – რესურსებს. მატერიალური რესურსები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ აქტორებმა გამოიყენონ მატერიალური ობიექტები: ტექნიკური იარაღები, წარმოების, გაცვლის საშუალებები, ნედლი მასალები და სხვ. ავტორიტეტული რესურსების საშუალებით აქტორები გავლენას ახდენენ პიროვნებებზე. მათ მიეკუთვნება სოციალური დროისა და სივრცის ორგანიზაცია, თვითგანვითარებისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობები და სხვ. წესებსა და რესურსებს „შეაქვს“ *სტრუქტურა* სოციალური ცხოვრების ქმნადობის პროცესში. გიდენსი სტრუქტურას განსაზღვრავს სწორედ წესებისა და რესურსების თვალსაზრისით, რომლებიც შესაძლებელს ხდის *მოქმედების* განხორციელებას. თუმცა, სტრუქტურა არა მხოლოდ პრაქტიკათა კვლავწარმოების საშუალებაა, არამედ მისი შედეგიც: ყოველდღიურ ცხოვრებაში გარკვეული ქმედებების შესასრულებლად აქტორები იყენებენ სტრუქტურის, ანუ წესებისა და რესურსების შესახებ ცოდნას, როგორც საშუალებას, თუმცა, ამავე დროს, ახდენენ ამ ცოდნის, ე. ი. სტრუქტურის კვლავწარმოებას შედეგის სახით. ესაა სტრუქტურის დუალობის არსი. სტრუქტურა ანალიტიკური აბსტრაქციაა, რომელიც ვირტუალურად არსებობს როგორც „მეხსიერების ნაკვალევი“. რეალურად არსებობს მხოლოდ სტრუქტურაციის დინამიკური პროცესი. ამ პროცესთან დაკავშირებულია კიდევ ერთი – *რეფლექსურობის* – ცნება. რეფლექსია წარმოადგენს იმ გზას, რომლის საშუალებითაც აქტორი საკუთარ მოქმედებას აკონსტრუირებს. გიდენსი მიუთითებს ორი ტიპის რეფლექსიაზე – აქტიურსა და პასიურზე. აქტიური რეფლექსია *დისკურსიულია*, ხოლო, პასიური – პრაქტიკული ცნობიერების დონეზე ხორციელდება (იხ. *სუბიექტურობის დონეები*). სტრუქტურის დუალობამ, გიდენსის აზრით, უნდა დაძლიოს დუალიზმი – მოქმედება/სტრუქტურა: სტრუქტურა არა მხოლოდ ქმნის მოქმე-

დებას (ცალკე აღებული, სტრუქტურის პრიმატი), არამედ, იმავდროულად, კვლავ იქმნება მოქმედების პროცესში (ცალკე აღებული, მოქმედების პრიმატი). ამრიგად, მოქმედება და სტრუქტურა ურთიერთგანმაპირობებელი ფენომენებია.

სტრუქტურული ანთროპოლოგია ტერმინი გამოიყენება *სოციოლოგიაში*, ფილოსოფიურ *ანთროპოლოგიაში*, კულტუროლოგიაში. *ს. ა.* ყველაზე სრულად განვითარებულია კლოდ ლევი-სტროსის თეორიაში, რომელიც ეყრდნობა პირველყოფილი *კულტურების* კვლევის მონაცემებს. მის ჩამოყალიბებაზე უძლიერესი გავლენა იქონია დიურკემის სოციოლოგიამ, აგრეთვე კულტურულმა ანთროპოლოგიამ. ლევი-სტროსის თეორიაში გამოყენებულია ზუსტ მეცნიერებათა (ინფორმატიკის, მათემატიკური ლოგიკის, სტრუქტურული ლინგვისტიკის, ფიზიკისა და სხვ.) მეთოდები, განსაკუთრებით ლინგვისტური, რამდენადაც ენას ლევი-სტროსი ადამიანური ურთიერთმიმართებების ყველაზე სრულყოფილ მოდელად მიიჩნევს და უწოდებს „სიმბოლური გაცვლის" მიმართებებს. სოციალური რეალობის ძირითად მასტრუქტურირებელ ფაქტორად მიჩნეულია კოლექტიური არაცნობიერი. ლევი-სტროსის თანახმად, ქვეცნობიერი უკიდურესად ინდივიდუალური და უსასრულოდ მრავალფეროვანია, არაცნობიერი გვევლინება ობიექტური საწყისის როლში, რამდენადაც არ არის დამოკიდებული ინდივიდის გრძნობებზე, აზრებსა და ზრახვებზე. პირველყოფილი კულტურების კვლევის შემდეგ, რომელიც სოციალურ ფენომენებს „სტატიკაში" ათვალსაჩინოებს, ლევი-სტროსი თანამედროვე კულტურების კვლევით დაინტერესდა.

სტრუქტურული ლინგვისტიკა იხ. *პიროვნების სოციოლოგიური თეორიები.*

სტრუქტურული რეალიზმი იხ. *ნეორეალიზმი.*

სტრუქტურული ფუნქციონალიზმი იხ. *ფუნქციონალიზმი.*

სუბკულტურა სოციალური *ნორმებისა* და ღირებულებების, ქცევის მოდელების სისტემა, რომელიც განსაზღვრული სოციალური ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი და გამოარჩევს მას *საზოგადოებაში* გაბატონებული *კულტურისაგან* (ანუ, საზოგადოების უმრავლესობის კულტურისაგან). არ არის აუცილებელი, *ს.* ეწინააღმდეგებოდეს გაბატონებულ კულტურას, არამედ შეიძლება იყოს მისი რელევანტური. თუმცა, ამასთან დაკავშირებით თავს იჩენს პრობლემა, ვინაიდან თანამედროვე საზოგადოებებში კულტურული ფრაგმენტაციის მაღალი ხარისხი აძნელებს გაბატონებული კულტურის გამოყოფას. *ს-ებში* ჩართულობის მოტივაცია ზოგიერთისათვის შეიძლება იყოს კომპენსაცია იმ წარუმატებლობისა და წყენისა, რაც მათ საზოგადოების უმრავლესობის მხრიდან შეხვდათ. *ს.* შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა სოციალური მახასიათებლის საფუძველზე, როგორიცაა ეთნიკურობა, კლასობრივი და რელიგიური კუთვნილება, სექსუალური ორიენტაცია, უბრალოდ, ცხოვრების ახალი სტილი (ისეთი, რომელიც დაამკვიდრეს, მაგ., პანკებმა) და სხვ. თანამედროვე კვლევები ყველაზე მეტად მიმართულია ახალგაზრდული და დევიანტური *ს-ების* შესწავლისაკენ (იხ. *კონტრკულტურა*).

სუვერენიტეტი უფლება სრულ პოლიტიკურ უზენაესობაზე. საერთაშორისო სისტემაში *ს.* არის *სახელმწიფოს* უფლება სრულ *თვითმმართველობაზე*, სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. სახელმწიფოთა მიერ ერთმანეთის *ს-ის* აღიარება საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველია. *ს-ის* ცნება სა-

ხელმწიფო და *საერთაშორისო სამართალში* შემოიღო ფრანგმა მეცნიერმა ჟან ბოდენმა (!576), რომელიც ასაბუთებდა მეფეების აბსოლუტურ ხელისუფლებას, მათ დამოუკიდებლობას ვინმესაგან, გარდა ღმერთისა. დღეს ერთმანეთისაგან განასხვავებენ სახელმწიფო *ს-ს*, ეროვნულ *ს-სა* და სახალხო *ს-ს*. სახელმწიფო *ს.* სახელმწიფო ხელისუფლების ნიშან-თვისებაა, რომელიც გამოხატავს ამ ხელისუფლების უზენაესობას ქვეყნის საშინაო საქმეებში და რომელიმე სხვა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას საერთაშორისო ასპარეზზე; ეროვნული *ს.* არის *ერის* სისხლხორცეული უფლება, თვითონ განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება, შექმნას დამოუკიდებელი, ანუ სუვერენული სახელმწიფო. ეროვნულ უმცირესობებს ასეთი უფლება არა აქვთ; სახალხო *ს-ს* იგივე ნიშან-თვისებები აქვს, რაც ეროვნულს, მაგრამ მისი მოქმედების სფერო უფრო ფართო ხასიათისაა – მრავალეროვან საზოგადოებაში ხალხის ცნება არ თავსდება მხოლოდ ერთი ერის ჩარჩოებში, იგი ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ერისა თუ ეროვნების მოქალაქეთა საერთო უფლებად გვევლინება, თუმცა ზოგიერთ ერს შეუძლია სრულად გამოიყენოს თავისი ეროვნული *ს.* და შექმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ს. განუსხვისებელი უფლებაა და მისი გარედან ძალით შეზღუდვა თუ გაუქმება საერთაშორისო დანაშაულად ითვლება. *ს.* სახელმწიფო ხელისუფლების განუყოფელი თვისებაა, რომელიც ვლინდება მისი როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობისას. *ს.* ასევე ხელშეუხებელია სხვა სახელმწიფოებისაგან, მაგრამ ხელისუფლებას შეუძლია თვითონ, სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით (*ხელშეკრულებით, საერთაშორისო ორგანიზაციაში* მონაწილეობით), ნებაყოფლობით შეზღუდოს თავისი სუვერენული უფლებები საშინაო თუ საგარეო საქმეების ამა თუ იმ სფეროში. თავისთავად, სახელმწიფოთა ზოგიერთი სუვერენული უფლების შეზღუდვა (ფედერაციულ და კონფედერაციულ კავშირში გაერთიანება, სახელმწიფოთაშორის ასოციაციებში გაწევრიანება) და, მით უმეტეს, თვითშეზღუდვა, არ ნიშნავს *ს-ის* დაკარგვას.

სუიციდი იგივეა, რაც *თვითმკვლელობა.*

სუპერ-ეგო იხ. *იდი, ეგო, სუპერ-ეგო.*

ტ

ტაბუ 1. ტერმინი წარმოდგება პოლინეზიური სიტყვიდან ტაბუ (tabu), რაც ნიშნავს წმინდას, ხელშეუხებელს. დაკავშირებულია პირველყოფილ *კულტურასთან* და აღნიშნავს მკაცრ კატეგორიულ ნიშნურ აკრძალვას განსაკუთრებით გამოყოფილი საგნების, ქცევისა და სიტყვების მიმართ, რის დარღვევასაც კოლექტივის მხრიდან მკაცრი სასჯელი მოსდევს, ამასთან, თვით დამრღვევმაც შეიძლება საკუთარი თავი დაუნდობლად დასაჯოს. *ტ-ს* აკრძალვა სხვა აკრძალვებისგან იმით განსხვავდება, რომ არაფრით მოტივირდება და ასევე არაფრით საბუთდება. თავდაპირველად უკავშირდებოდა ყოველდღიური მოხმარებისთვის აკრძალულ რელიგიურ, საწესჩვეულებო და საცერემონიო ობიექტებს, შემდგომში ასეთი აკრძალვა განივრცო ნებისმიერი სახის აქტზე, ადგილზე, ობიექტზე, ქცევის მოდელზე; ეს უკანასკნელი ყველაზე ხშირად ფიგურირებს ინცესტთან მიმართებაში, რის შესახებაც ბევრი გამოკვლევაა *ანთროპოლოგიის* სფეროში; ფუნქციონალისტები *ტ-ს* ხსნიან ჯგუფური სო-

ლიდარობის პოზიციიდან, სტრუქტურალისტებს კი აინტერესებთ როგორც ბინარულობის (ორაზროვნების) პრობლემა. თანამედროვე ეტაპზე ტერმინი ფართოდ გამოიყენება. **2.** აკრძალვის აქტი თავისთავად.

ტარიფი იხ. *პროტექციონიზმი.*

ტერორიზმი სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის ფორმა, მეთოდი, რომელიც სისტემატური ძალადობით (მკვლელობის ჩათვლით) ან მისი გამოყენების მუქარით ხორციელდება და მიზნად ისახავს პოლიტიკური ან სხვა სახის მოწინააღმდეგის დაშინებას, დათრგუნვას ან ფიზიკურ განადგურებას. *ტ.* შეიძლება იყოს მიმართული როგორც *სახელმწიფოს,* ისე საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეების, ორგანოებისა და *ორგანიზაციების,* უბრალო მოქალაქეების მიმართ. იგი ხორციელდება არა მარტო მკვლელობისა და მუქარის სახით, არამედ აფეთქებების, შეიარაღებული თავდასხმების, ტრანსპორტის, თვითმფრინავებისა და სხვ. გატაცების სახით. *ტ.* შეიძლება იყოს ინდივიდუალური, ჯგუფური (ორგანიზებული) და სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილიც, რაც განსაკუთრებით საშიშია. *ტ-თვის,* როგორც პოლიტიკური ძალადობის განსაკუთრებული ფორმისათვის, დამახასიათებელია: ფანატიკური მიზანსწრაფვა, უმოწყალობა, გათვლა გარეგან ეფექტსა და ფსიქოლოგიურ გავლენაზე და სხვ. *ტ.* დღეს უმნიშვნელოვანესი გლობალური პრობლემაა, რომელსაც მსოფლიო თანამეგობრობა, გაერო მკაცრად გმობს.

ტექნოკრატია მართვის უმაღლეს ფუნქციონერთა შემადგენლობაში მყოფ ტექნიკურ სპეციალისტთა ფენა.

ტექნოკრატიზმი **1.** ტექნოკრატიული მმართველობის პოსტულატთა პრაქტიკულად მარეალიზებელი პოლიტიკური რეჟიმი; **2.** თეორიული კონცეფცია (ან იდეოლოგია), რომელიც საზოგადოების ცხოვრებაში წამყვან როლს ანიჭებს ტექნიკას, ტექნიკურ სპეციალისტებს და მიიჩნევს მათ თანამედროვე მრეწველობის საფუძვლად.

ტირანია კლასიკურ ფილოსოფიაში – *მონარქიის* დამახინჯებული ფორმა, როდესაც მონარქი *სახელმწიფოს* საკუთარი ინტერესების შესაბამისად მართავს. უფრო ფართო მნიშვნელობით, იძულების უფლების ბოროტად გამოყენება, როდესაც *კანონი* უზენაესი არ არის (*დიქტატურის* პირობებში), ხოლო მოქალაქეები უუფლებო მდგომარეობაში, ზოგჯერ კი ტერორის ქვეშ იმყოფებიან.

ტოლერანტობა სხვისი ქცევებისა და შეხედულებების შეწყნარება. ტოლერანტიზმს თავდაპირველად რელიგიური დატვირთვა ჰქონდა და ჩამოყალიბდა ერთსა და იმავე ქვეყანაში სხვადასხვა კონფესიების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპად. შემდგომში *ტ.* დემოკრატიული თეორიის ბაზისურ ღირებულებად იქცა. უკვე სიტყვის თავისუფლება და თავისუფალი პრესის არსებობა გულისხმობს პოლიტიკური *ოპოზიციისადმი* შემწყნარებლობას. *ტ-ის* პოლიტიკური პრინციპი აუცილებლად გულისხმობს გამიჯვნას „თქმასა“ და „მოქმედებას“ შორის. ისეთი *საზოგადოება,* სადაც შეხედულებების თავისუფალი გამოთქმა შეზღუდულია, უთუოდ არადემოკრატიულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ იგივე არ ვრცელდება *მოქმედების* თავისუფლებაზედაც. დემოკრატიულ სახელმწიფოში დასაშვებია თუნდაც თავად დემოკრატიის საწინააღმდეგოდ მიმართული შეხედულებებით საჯაროდ გამოსვლა, მაგრამ არა ანალოგიური ქმედებები.

ტომი იხ. *გვარი, ტომი, ფრატრია.*

ტორები, ტორიზმი (Tories, Toryism) XVIII ს-ის დიდ ბრიტანეთში ტერმინით ტორები აღნიშნებოდა მინათმფლობელთა საპარლამენტო ფრაქცია, რომელიც მხარს უჭერდა მონარქიულ ხელისუფლებასა და ინგლისის ეკლესიას. შეერთებულ შტატებში ტორიზმი აღნიშნავდა ბრიტანული გვირგვინისადმი ლოიალობას. XIX ს-ის შუა ხანებიდან ტორების საფუძველზე შეიქმნა ბრიტანეთის კონსერვატორული პარტია, თუმცა ტორიზმის დღევანდელი მნიშვნელობა უფრო ფართოა, ვიდრე ბრიტანული კონსერვატორული პარტიის ოფიციალური იდეოლოგია და ის ზოგადად *კონსერვატიზმის* სინონიმად გამოიყენება. ამ აზრით, ტორიზმის მთავარი ღირებულებებია იერარქიულობა, *ტრადიცია*, მოვალეობისა და ორგანული საზოგადოების შენარჩუნება.

ტოტალიტარიზმი ანტიდემოკრატიული პოლიტიკური წყობა, რეჟიმი, რომლის დროსაც *სახელმწიფო* სრულად არის გაბატონებული *საზოგადოებასა* და პიროვნებაზე. იგი მიისწრაფის საზოგადოების ყველა სფეროზე კონტროლის დამყარებისაკენ, სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გაუქმებულია *პლურალიზმის* პრინციპი. სოციალურ-პოლიტიკური წინააღმდეგობების რეგულირება ხდება ძალისმიერი მეთოდებით. პოლიტიკური ხელისუფლება პრეტენზიას აცხადებს მოსახლეობის საყოველთაო ინტერესებზე. ამ საყოველთაო ინტერესებში ადგილი არ რჩება პიროვნებისა და პოლიტიკის სხვა სუბიექტების ინტერესებისათვის, თავისუფალი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის, რაც ინდივიდის ხელისუფლებისაგან გაუცხოებას იწვევს. ხდება სახელმწიფოსა და ინდივიდის იდენტიფიკაცია, რაც ამ უკანასკნელს ართმევს თვითრეგულაციის და თვითგანვითარების შესაძლებლობებს, ხელისუფლების ლეგიტიმაცია ემყარება ძალადობას, სახელმწიფოს მონოიდეოლოგიას, პიროვნების უფლებანი და თავისუფლებანი უგულებელყოფილია. შესაბამისად, ტოტალიტარული რეჟიმი – ეს არის სახელმწიფოს მთლიანი და ყოვლისმომცველი კონტროლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე ძალისმიერი მეთოდების გამოყენების გზით. აღნიშნული რეჟიმი უფრო ხშირად წარმოიშობა საგანგებო პირობებში, როდესაც საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში შეიმჩნევა არასტაბილურობა, სახეზეა ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური *კრიზისი* და ტოტალიტარული რეჟიმის დამყარება განიხილება როგორც წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტის საშუალება. პოლიტოლოგები მიუთითებენ *ტ-ის* შემდეგ ძირითად ნიშნებზე: 1. ხელისუფლების მაღალი ცენტრალიზაცია რომელიმე პიროვნების ან ჯგუფის ხელში. გაბატონებული ფენა პასუხს არ აგებს არც ერთი სახელმწიფო ორგანოს წინაშე, *აღმასრულებელი* და *სასამართლო ხელისუფლება* გაბატონებული ზედა ფენის ხელშია. ტოტალიტარულ შეგნებაში ხალხი და ხელისუფლება გააზრებულია როგორც ერთიანი მთელი, ხელისუფლების მთელი აქცენტი გადატანილია საშინაო და საგარეო მტრების ძიებასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლაზე. 2. საზოგადოებრივი ცხოვრების იდეოლოგიზაცია – მონოპოლიური *იდეოლოგია* ასაბუთებს, ამართლებს არსებული რეჟიმის უკონტროლო ბატონობას, იდეოლოგიის მნიშვნელობა ძირითადად განისაზღვრება რომელიმე მიზნის გარშემო მოსახლეობის დარაზმვით (მსოფლიო ბატონობა, კომუნიზმის აშენება და ა. შ.). ამ მიზნის მისაღწევად გამართლებულია ყველა საშუალება. 3. ერთპარტიულობა, ხელისუფალი მასობრივი პარტიის მონოპო-

ლიური არსებობა, რომელიც აყალიბებს პოლიტიკურ მიზნებს, განსაზღვრავს მისი რეალიზაციის საშუალებებს და ახორციელებს კადრების მომზადებასა და განაწილებას. მმართველი პარტიის სათავეში დგას *ქარიზმატული ლიდერი*, რომელიც ყველა არსებით საკითხს წყვეტს. 4. რეპრესიული დაწესებულებების განვითარებული სისტემა, რომელიც მკაცრ კონტროლს ახორციელებს ადამიანთა ქცევაზე და საჭიროების შემთხვევაში იყენებს ძალისმიერ მეთოდებსაც. 5. *ტ-ის* პირობებში არ არსებობს თავისუფალი ინდივიდი და *სამოქალაქო საზოგადოება*. განასხვავებენ *ტ-ის* ორ ძირითად ნაირსახეობას: მემარჯვენე რადიკალურ (ფაშისტური, ნაციონალ-სოციალისტური, მაგ., იტალიაში (1922-1943), შემდგომ გერმანიაში (1933-1945), ფრანკისტულ ესპანეთში და სხვ.) და მემარცხენე ექსტრემისტულ *ტ-ს* (სტალინის რეჟიმი სსრკ-ში). *ტ-ის* პრობლემის თეორიის თანამედროვე დონეზე განვითარება დაიწყო 40-50-იან წლებში (ჰ. არენდი, ზ. ბჟეზინსკი, კ. პოპერი, მ. ჰაიდეგერი, ფ. ჰაიეკი და სხვ.).

ტოტალური ომი *ომის* გადაზრდა „აბსოლუტურ“ სტადიაში, როდესაც საბრძოლო მოქმედებებს არა არმიები, არამედ ხალხები (*ერები*) აწარმოებენ. *ტ. ო.* შესაძლებელი გახდა *ნაციონალიზმის* აღზევების შედეგად და „დემოგრაფიული აფეთქების“ გამო მოსახლეობის ზრდის შედეგად. *ტ. ო-ის* წარმოშობაზე გავლენა იქონია სამრეწველო *რევოლუციამ*. ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახადა *ეკონომიკის* სამხედრო საჭიროებებისთვის მაქსიმალური დაქვემდებარება როგორც ომიანობის, ასევე მშვიდობიანობის დროსაც, რამაც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმოშობას შეუწყო ხელი.

ტოტემიზმი ადამიანთა მიერ საკუთარი თავის გაიგივების პრაქტიკა ადამიანისგან განსხვავებულ ობიექტებთან, ჩვეულებრივ, ცხოველთან ან მცენარესთან. *რელიგიის* პირვანდელი ფორმა, როცა სჯერათ თავისი ხალხის, *კლანის* ტოტემისგან წარმომავლობა. მაგრამ სიმბოლურ მოქმედებებთან მიმართებაში ტერმინს იყენებენ უფრო ფართო გაგებითაც. ფუნქციონალურ *ანთროპოლოგიას*, კერძოდ, რადკლიფ-ბრაუნს (დიურკემის გავლენით) ტოტემი ესმოდა ჯგუფური სოლიდარობის სიმბოლოდ. ფროიდის თვალსაზრისით, ტოტემი შუამავალია არაცნობიერ ბუნებასა და დათრგუნულ *კულტურას* შორის. *სტრუქტურული ანთროპოლოგია* მიიჩნევს, რომ *ტ., ტაბუს* მსგავსად, ბუნების სხვა ინსტანციაა, ამიტომ მისი გააზრება უნდა მოხდეს ადამიანებსა და ცხოველებს შორის განსხვავებათა სტრუქტურაზე დაყრდნობით, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ მითოსურ ობიექტებს ადამიანური გამოცდილების ამსახველი თვისებები თუ რეალური ცხოვრებისეული ნიშნები მიეწერება. შესაბამისად, მითოლოგიის შესაქმნელად კონკრეტული სინამდვილის მასალა გამოიყენება. *ტ.* შეიძლება განხილულ იქნეს მოვლენად, რომელიც არ ახასიათებს განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს, თუმცა ტოტემის შორეულ გამოძახილად მიიჩნევა ზოგიერთი თანამედროვე სიმბოლო, მაგ., თილისმა ან სპორტული გუნდის ემბლემა ცხოველის (მცენარის) გამოსახულებით.

ტრადიცია ტერმინი აღნიშნავს იმ იდეებს, პოლიტიკურ პრაქტიკასა და ინსტიტუტებს, რომლებმაც დროის გამოცდას გაუძლეს და *საზოგადოებას* წინა ეპოქებიდან გადმოეცა მემკვიდრეობით. ამასთან, იოლი არ არის გავარკვიოთ, თუ რამდენად გამძლე უნდა იყოს ესა თუ ის მოვლენა საამისოდ, რომ იგი *ტ-დ* ჩაითვალოს. *ტ.*, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, ალ-

ნიშნავს განგრძობითობას, მემკვიდრეობითობას თაობებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულსა და თანამედროვეს შორის საზღვრების მონიშნა ყოველთვის იოლი არ არის, პროგრესსა და რეაქციასთან შეპირისპირებით ტრადიცია სავსებით გამოკვეთილ სახეს იღებს. *კერძოდ*, თუ პროგრესი წინსვლას, წარსულზე დაშენებას ნიშნავს, ხოლო რეაქცია საათის ისრების უკან დაბრუნებას, *ტ.*, უპირველეს ყოვლისა, წარსულის შენარჩუნებას ან განგრძობას მოითხოვს.

სოციოლოგიური თვალსაზრისით, *ტ-ები* სოციალური ან კულტურული მემკვიდრეობის ელემენტებია, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა და სოციალურ ჯგუფში ხანგრძლივად შენარჩუნდება. ტრადიციის სახით გვევლინება გარკვეული საზოგადოებრივი დანაწესები, ნორმები და ქცევის წესები, დამოკიდებულებები კონკრეტული მორალური და ზნეობრივი ღირებულებებისადმი, *ადათები* და წეს-ჩვეულებები. *ტ-ები* განსხვავდება შინაარსით (იდეები, ნორმები და ა. შ.), ფუნქციებით (ტრადიციის არსი – ადათები და მათი ფორმა – წეს-ჩვეულებები ან *რიტუალები*), ყოფაში არსებობის ხასიათით (ზეპირი და წერილობითი *ტ-ები*), შეფასებითი თვალსაზრისით (დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი), სოციალურ-ისტორიული პლანით (ხალხური და ელიტური) და სხვ. *ტ. კულტურის* მეტ-ნაკლებად მყარი სტერეოტიპული ნაწილია და ამ აზრით უპირისპირდება სიახლეებს (*ინოვაციებს*). მაგრამ ეს დაპირისპირება შედარებითია. არსებობს *ტ-ისა* და ნოვაციის ურთიერთქმედების 4 სტადია: ა) დაპირისპირება; ბ) თანაარსებობა; გ) პალიაცია (ურთიერთშერევა და კომპრომისული ფორმის წარმოქმნა); დ) ინოვაციის გადაქცევა *ტ-ად*. ამიტომ *ტ-ის* სიმყარეც შედარებითია, თუმცა, სწორედ *ტ-ები* განაპირობებს კულტურის მემკვიდრეობითობას და მისი მეტ-ნაკლებად სტაბილური ნაწილია. ეთნოლოგიასა და კულტუროლოგიაში ასე თუ ისე ერთიანი აზრი ტრადიციის როლზე სხვადასხვა ეპოქაში არ არსებობს. მიიჩნევენ, რომ ისტორიულ პროცესში ტრადიციის ნორმატიული როლი თანდათან მცირდება და მეტი ადგილი რჩება ინდივიდის ან ჯგუფის საკუთარ არჩევანს (მაგალითად, ეტიკეტისადმი დამოკიდებულება, რომლის დარღვევაც დიდხანს ისჯებოდა, მერე კი უბრალოდ გაიცხვის საგანი გახდა).

ტრადიციული საზოგადოება საზოგადოებრივი მოწყობის ტიპი, რომელშიაც ინდივიდების ქცევა განსაზღვრულია ამ *საზოგადოებისათვის* ისტორიულად მოცემული მოდელებით. სოციალური ქცევის ძირითადი წესები თაობიდან თაობას გადაეცემა და გაჯერებულია რიტუალური მოქმედებებით. ასეთ საზოგადოებაში ცვლილება ნელა მიმდინარეობს, ხოლო თვით საზოგადოებისათვის დამახასიათებელია მექანიკური სოლიდარობა. თუმცა, ხშირად *ტ. ს-ს* აღიქვამენ როგორც პრიმიტიულ საზოგადოებას. მას საკუთარი მდიდარი კულტურა აქვს და ფლობს მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ გამოცდილებას, რომელსაც, არც თუ იშვიათად, ძველმოდურად მიიჩნევენ. ეს გამოცდილება შესანიშნავად არის შეგუებული ბუნებრივ პირობებს.

ტრადიციონალიზმი იხ. *კონსერვატიზმი*.

ტრაიბალიზმი 1. *საზოგადოების* ტიპი, რომელიც წინ უსწრებდა პრიმიტიული *სახელმწიფოს* წარმოშობას. ეს საზოგადოება თავს მონადირეობითა და შემგროვებლობით ირჩენდა და მის წევრებს შორის არსებობდა სისხლით ნათესაობა. 2. პოლიტიკური სისტემა, რომელშიც ბატონობს *ნეპოტიზმი*, ჩამოყალიბებულია და მემკვიდრეობითი

ხასიათი აქვს ამა თუ იმ გვარების პოლიტიკურ ბატონობას.

ტრანსნაციონალიზმი ტერმინი წარმოიქმნა ზედსართავიდან ტრანსნაციონალური, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით ერსმიღმიერს (სახელმწიფოსმიღმიერს). *საერთაშორისო ურთიერთობებში ტ-ის* ცნება გულისხმობს როგორც ურთიერთობებს *სახელმწიფოებს (ერებს)* შორის, ისე სახელმწიფოთაშორის *ორგანიზაციებს* შორის. უკანასკნელ წლებში *ტ-ში* უფრო ხშირად იგულისხმება *გლობალიზაციის* შედეგი, როცა სახელმწიფოებისა და ერების როლი განუხრელად მცირდება როგორც ურთიერთობებში, ისე ორგანიზაციებში. ყველა შემთხვევაში *ტ.* აღნიშნავს ეროვნულ (სახელმწიფო) საზღვრებს მიღმიერ ურთიერთობებს. ტრანსნაციონალური კავშირი გულისხმობს მოძრაობის სამ სახეს: ა) ფიზიკური ობიექტების (მათ შორის მოსახლეობის) მოძრაობას; ბ) ინფორმაციისა და იდეების მოძრაობას; გ) ფულისა და კრედიტების მოძრაობას. ტრანსნაციონალური კავშირის გააქტიურებამ და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების რიცხვის ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა არასახელმწიფოებრივი *აქტორების* როლი საერთაშორისო ურთიერთობებში და საგრძნობლად შეასუსტა *სახელმწიფოცენტრიზმი.*

ტრანსნაციონალური კორპორაცია (ტნკ) ეკონომიკური პროფილის დიდი საერთაშორისო კომპანიები, რომლებიც კონტროლს უწევენ მსოფლიო მეურნეობის ერთ ან რამდენიმე დარგს. ასეთ კომპანიებს საწარმოები გააჩნია რამდენიმე ქვეყანაში. *ტნკ-ები* უკვე დიდი ხანია მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში. მათი წილი მსოფლიოს ერთობლივ პროდუქტში 30%-ს აღწევს. *ტნკ-ების* წილად მოდის მსოფლიოში წარმოებული ელექტრონიკის, ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ფარმაცევტიკის 75-90%. ხოლო მსოფლიოს ასი უმდიდრესი ერთეულიდან 51 *ტნკ* და მხოლოდ 49 სახელმწიფოა. ყველაზე მძლავრი *ტნკ-ის,* „ჯენერალ მოტორსის" გაყიდული პროდუქციის ღირებულებამ 2000 წელს 161,3 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც მეტია, ვიდრე ნორვეგიის, პოლონეთის ან ინდონეზიის ერთობლივი ეროვნული პროდუქტი, ხოლო საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს 80-ჯერ აღემატება. მსოფლიოს 500 უმსხვილესი *ტნკ-დან* 170 ევროპულია, 162 ამერიკული, 126 იაპონური, ხოლო 42 სხვა ქვეყნებიდანაა (სათავო ოფისის მიხედვით), მაგრამ *ტნკ-ში* დასაქმებულთა (სულ 75 მილიონ კაცზე მეტი) მხოლოდ 20% მოდის განვითარებულ ქვეყნებზე. *გლობალიზაციის* პროცესმა არა მარტო ძალიან გაზარდა *ტნკ-ების* როლი მსოფლიო *ეკონომიკასა* და *პოლიტიკაში* და ისინი *საერთაშორისო ურთიერთობების* ერთ-ერთ ძირითად *აქტორებად* აქცია, არამედ მნიშვნელოვნად შეცვალა მათი სტრუქტურა და შინაარსი. ამის მაგალითია „ფორდ მოტორის" რეკონსტრუქცია. მისი მართვა და კონტროლი აღარ ხორციელდება ერთი ცენტრიდან და განაწილებულია მთელს მსოფლიოში. ეს ცენტრები დაკომპლექტებულია ადგილობრივი კადრებით. მოხდა პროდუქციის სტანდარტიზაცია და ყველა საწარმოში ერთი და იგივე პროდუქცია იწარმოება, ამ შემთხვევაში – ავტომანქანა. აღნიშნული პროდუქცია აღარ არის რომელიმე ქვეყნის ნაწარმი, არამედ წარმოადგენს „მსოფლიო ავტომობილს" და აღარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს, კონკრეტულად რომელ ქვეყანაშია იგი დამზადებული. მარკა „დამზადებულია აშშ-ში" იცვლება მარკით „დამზადებულია ფორდ მოტორში". ხოლო თვით „ფორდ მოტო-

რიც" ველარ ჩაითვლება ამერიკულ კომპანიად, რადგან იგი სათავო ოფისის გარეშეა წარმოდგენილი. როგორც ვარაუდობენ, ამ გზას დაადგებიან სხვა *ტნუ-ებიც*, რადგან ეს გლობალიზაციის ეპოქის, XXI ს-ის მოთხოვნაა.

ტრიანგულაცია კონცეფცია, რომლის თანახმად, ემპირიული რეალობა კონკურენტული ატიტუდების (მიდგომების), განწყობებისა და სოციალური ღირებულებების ასპარეზია, რომლის შესასწავლად გამოყენებული უნდა იქნეს მრავალგვარი მეთოდი და თეორიული მიდგომა. *ტ.* განსაზღვრება სწორედ როგორც მეთოდოლოგიების კომბინაცია ერთი და იმავე ფენომენის შესწავლის პროცესში. სოციალურ მეცნიერებებში *ტ-ის* იდეის გამოყენება იწყება კემპბელიდან და ფისკედან, რომლებმაც განავითარეს მრავალჯერადი ოპერაციონიზმის (multiple operationism) იდეა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ვალიდიზაციის პროცესში გამოყენებული უნდა იქნეს ერთზე მეტი მეთოდი, რათა დაკრწმუნდეთ, რომ ცვლილებები ასახავს რეალობას და არ არის მეთოდის ზემოქმედებით გამოწვეული. ამრიგად, ორ მეთოდს შორის *კონვერგენცია* (თანხმობა) ადასტურებს შედეგების კანონიერებას და არ წარმოადგენს მხოლოდ მეთოდოლოგიურ *არტეფაქტს*. მაგალითად, *ლიდერის* ეფექტურობა შეიძლება შევისწავლოთ სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით – ლიდერის გამოკითხვით, მის ქცევაზე დაკვირვებით და განხორციელებული ქმედებების შეფასებით. ყველა შემთხვევაში ფოკუსი – ლიდერის ეფექტურობა – იგივე რჩება, მაგრამ იცვლება მონაცემთა მოკვლევის ხერხები. მრავალგვარი და დამოუკიდებელი გაზომვა, თუ ისინი ერთნაირ შედეგებს (დასკვნებს) იძლევა, უზრუნველყოფს ლიდერობის ფენომენის მკაფიო სურათს.

უ

ულტიმატუმი საერთაშორისო სამართალში ერთი *სახელმწიფოს* მიერ მეორე სახელმწიფოსადმი გაგზავნილი მოკლე დიპლომატიური *ნოტა*, რომელიც შეიცავს კონკრეტულ ვადაში კონკრეტული პრობლემის გადაჭრის კატეგორიულ მოთხოვნას. *უ-ის* თემა არ შეიძლება იყოს განხილვის, დისკუსიის საგანი. *უ-ის* შეუსრულებლობას ავტომატურად მოჰყვება დიპლომატიურ ურთიერთობათა შეწყვეტა ან, უარეს შემთხვევაში, სამხედრო ძალის გამოყენება, რისი შესაძლებლობაც დაფიქსირებულია თავად *უ-ის* ტექსტში, რომელიც შეიცავს მუქარას.

უნივერსალური სისტემა *საერთაშორისო სისტემის* ერთ-ერთი ტიპი მ. კაპლანის ტიპოლოგიით. *უ. ს.* რეალურად არარსებული, ჰიპოთეზური ტიპია. იგი შეიძლება ჩამოყალიბდეს *ბიპოლარულ* სისტემაში, თუ ამ უკანასკნელში *საერთაშორისო ორგანიზაციების* როლი ძალიან გაიზრდება და ეს ორგანიზაციები *საერთაშორისო ურთიერთობების* მთავარ *აქტორებად* იქცევა. *უ. ს-ში* უნდა არსებობდეს პოლიტიკური ქვესისტემა, რომელიც იურიდიულად განსაზღვრავს სისტემის სახელმწიფოთა მოქმედების ძირითად წესსა და ზღვარს. ასეთ სისტემაში სახელმწიფოების ფასეულობათა სისტემები თითქმის ერთნაირია, რაც თავისთავად გულისხმობს კაპიტალიზმის განვითარების მაღალ დონეს. გარკვეულ პირობებში *უ. ს.* შესაძლებელია გარდაიქმნას ბიპოლარულ ან *ძალთა წონასწორობის* სისტემად. თეორიულად შესაძლებელია, რომ *უ. ს-ის* უძლიერესმა აქტორმა ძალით გადააქციოს იგი *იერარქიულ* სისტემად.

უნიპოლარიზმი *საერთაშორისო სისტემის* ტიპი ერთი დომინანტი *აქტორით*, რაც სისტემას ერთპოლუსია-

ნად აქცევს. არ არის აუცილებელი, რომ დომინანტი აქტორი მაინცდამაინც *სახელმწიფო* იყოს. ჰიპოთეზურად შესაძლებელია, რომ დომინანტად *მსოფლიო მთავრობა* მოგვევლინოს. წარსულში უნიპოლარულ სისტემასთან ახლოს იდგა ის საერთაშორისო სისტემა, რომელიც რომის იმპერიის აყვავების პერიოდში არსებობდა. *უ-ს* ბევრი რამ აქვს საერთო *იერარქიულ* სისტემასთან. მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, *ცივი ომის* დამთავრების შემდეგ, მსოფლიოში დარჩა ერთადერთი ზესახელმწიფო – აშშ. შესაბამისად, თანამედროვე საერთაშორისო სისტემა უნიპოლარულია. უმრავლესობის აზრით, ზესახელმწიფოდ ყოფნა პოლუსს არ ნიშნავს და ამიტომ დღევანდელი საერთაშორისო სისტემა მრავალპოლუსიანად უნდა მივიჩნიოთ, რომელშიც თანდათანობით უნივერსალური სისტემისათვის დამახასიათებელი ნიშნები ძლიერდება. (შდრ. *ბიპოლარულობა*.).

უნიტარიზმი ფედერალიზმის საპირისპირო, თანამედროვე მსოფლიოში ძალზე გავრცელებული, *სახელმწიფოს* კონსტიტუციონალური მოწყობა, რომლის დროსაც ცენტრალურ ხელისუფლებას არა აქვს ავტონომიური პოლიტიკური ძალის მქონე სახელისუფლებო ქვედანაყოფები. ეს ნიშანი უნიტარული ქვეყნისათვის განმსაზღვრელია, რადგან ფედერალიზმის სხვა ისეთი დამახასიათებელი თვისებები, როგორიცაა კონსტიტუციის, ან უზენაესი ან კონსტიტუციური სასამართლოს არსებობა სავსებით შესაძლებელია უნიტარული მოწყობის სახელმწიფოშიც.

ურბანიზაცია ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების რთული შერწყმა, რაც გამოწვეულია *ქალაქების* მზარდი როლით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. *უ-ის* პროცესისათვის დამახასიათებელია ქალაქის მოსახლეობის სწრაფი ზრდა უპირატესად *მიგრაციის* ხარჯზე, ამიტომაც მის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებლად ითვლება სტატისტიკური ზომა ქვეყნის მოსახლეობის წილისა, რომელიც ცხოვრობს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში. *უ-ისათვის* დამახასიათებელია მოსახლეობის კონცენტრაცია ქალაქად, რეგლამენტირებული ცხოვრების წესი, რაც ხასიათდება ანონიმურობითა და ფორმალური კავშირ-ურთიერთობებით, შრომის რთული საზოგადოებრივი დანაწილების საფუძველზე საქონლის წარმოების, მოხმარებისა და მომსახურების ინტენსიური ზრდით, ცხოვრების ქალაქური წესის სტანდარტების დაჩქარებული გადატანით *სოფლად*.

ურბანიზაციის სოციოლოგია დარგობრივი *სოციოლოგიის* სფერო, რომელიც სწავლობს სოციალურ-ტერიტორიული ერთობის ალმოცენების, ფუნქციონირებისა და განვითარების კანონზომიერებებს, მის სოციალურ-ეკონომიკურ ბუნებას, აღწარმოების სტრუქტურას, მის ცხოვრების წესსა და ტიპოლოგიას.

თანამედროვე სოციოლოგიურ თეორიაში ურბანიზმი წარმოდგენილია იმ ძალად, რომელსაც გააჩნია საზოგადოების კონსენსუსის მდგომარეობამდე მიყვანის, აგრეთვე ქალაქური ცხოვრების წესის დახმარებით კულტურული, პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაციის მიღწევის უნარი.

ლ. ვირტის ურბანისტული კონცეფციის თანახმად, მოსახლეობის რიცხობრივობა, სიმჭიდროვე და არაერთგვაროვნობა გამოვლენას პოულობს განსაკუთრებულ ქალაქურ კულტურაში, რომელიც ხასიათდება ანონიმური, საქმიანი, ხანმოკლე, კერძო და ხშირი კონტაქტებით პიროვნებათშორის ურთიერთობებში, ტერიტორიული ერ-

თობების მნიშვნელობის დაცემით, მეზობლური ურთიერთობების გაქრობით, ოჯახის როლის შესუსტებით, კულტურული სტერეოტიპების მრავალგვაროვნობით, ქალაქის მცხოვრების სოციალური სტატუსის არამყარობით, მისი მობილობის ზრდით, *ტრადიციების* როლის შესუსტებით. XIX ს-ის 70-იან წლებში ვირტის „*უ-ის* თეორიას" ცვლის „ახალი ქალაქის სოციოლოგიის" თეორია, რომლის მიხედვითაც, ქალაქის დასახლებების სიმჭიდროვე ქმნის შრომის რთული დანაწილებისა და სოციალურ ურთიერთობათა ფუნდამენტური გარდაქმნების საფუძველს.

ურჩი სახელმწიფო (rouge state, pariah state) *სახელმწიფო*, რომელიც თავისი პოლიტიკური სისტემის ან ხელმძღვანელობის ქცევის გამო საერთაშორისო დიპლომატიურ იზოლაციაშია მოქცეული. ამ სახელმწიფოების მმართველობის *ლეგიტიმურობას* საერთაშორისო თანამეგობრობა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, რადგან ისინი არ ემორჩილებიან *საერთაშორისო სამართლის, დიპლომატიისა* და *საერთაშორისო საზოგადოების* მიერ აღიარებული *ქცევის* წესებს. *უ. ს-ს* სტატუსი ხშირად სუბიექტური კატეგორიაა. სხვადასხვა თვალსაზრისით, *უ. ს-ებს* ჩვენს დროში შეიძლება მიეკუთვნებოდეს ლიბია, კუბა, ჩრდილოეთი კორეა, ერაყი, სირია ან ირანი. ისტორიულად, *უ. ს-ები* იყო ბოლშევიკური რუსეთი და გერმანია ვაიმარის რესპუბლიკის ხანაში.

უსაფრთხოება ძირითადი ფასეულობების მიმართ საფრთხის არარსებობა. *სახელმწიფოსთან* მიმართებაში *უ-ის* ცნება გულისხმობს *სუვერენიტეტის*, ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული იდეოლოგიისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. *საერთაშორისო ურთიერთობებში* *უ.* ტრადიციულად განიხილება, როგორც სახელმწიფოს უზენაესი მიზანი, ხოლო *ნეორეალიზმი* *უ-ს* საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ თემად მიიჩნევს. სახელმწიფოს სწრაფვა აბსოლუტური *უ-ისაკენ* ბადებს ე. წ. *უსაფრთხოების დილემას*, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს აბსოლუტური *უ-ის* მიღწევის ალბათობა. ტრადიციულად, *უ.* დაკავშირებული იყო სამხედრო *ძალასთან*, ძლიერებასთან. *ცივი ომის* დასრულების შემდეგ *საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრებმა* საჭიროდ მიიჩნიეს *უ-ის* ცნების გაფართოება და მის ანალიტიკურ ჩარჩოებში ეკონომიკური, საზოგადოებრივი, გარემოს დაცვითი, ინფორმაციული და სხვა სახის *უ-ის* არატრადიციული სფეროების შეტანა (იხ. აგრ. *ეროვნული უსაფრთხოება*). საერთაშორისო ურთიერთობებში ურთიერთდამოკიდებულების ზრდისა და *გლობალიზაციის* გავლენით წინ წამოიწია არა ცალკეული სახელმწიფოს, არამედ საერთაშორისო, ანუ საერთო *უ-ის* პრობლემატიკამ. თუმცა, ჯერჯერობით, საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოს, როგორც *უ-ის* მთავარ გარანტს, ალტერნატივა არ გააჩნია. ვერც საერთაშორისო ეკონომიკური *აქტორები* და ვერც *საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოება* ცალკეული ადამიანების *უ-ის* დაცვას ვერ ახერხებს ისე, როგორც ეს ძალუძს სახელმწიფოს, რომელიც ძალის ლეგიტიმური გამოყენების მონოპოლიას ინარჩუნებს და სამხედრო ძალითაცაა აღჭურვილი.

უსაფრთხოების დილემა საერთაშორისო *ანარქიით* გამოწვეული მდგომარეობა, როდესაც საკუთარი *უსაფრთხოების* გაზრდით დაინტერესებული *სახელმწიფოები* საყოველთაო უნდობლობის ვითარებასა და უზენაესი საერთაშორისო ხელისუფლების არარსებობის პირობებში თავიანთ სამხედრო ძლიერებას ზრდიან. ამით ისინი სხვა სახელმწიფოებს საფრთხის შეგ-

რძნებას უძლიერებენ, რასაც ამ უკანასკნელთა მხრიდანაც სამხედრო ძლიერების ზრდა მოსდევს. შედეგად იქმნება ჩაკეტილი წრე, რომლის მონაწილეებიც სამხედრო ძლიერების ზრდით სასურველის საწინააღმდეგო შედეგს, *ომის* საშიშროებას აღწევენ. *უ. დ-ის* გამომწვევი მიზეზები *საერთაშორისო სისტემის ანარქიული* ხასიათის გარდა, შეიძლება აღქმის ფსიქოლოგიურ სირთულეებშიც ვეძიოთ. ჯერვისის აზრით, *უ. დ-ის* სიმწვავე დამოკიდებულია თავდაცვა-შეტევის სამხედრო დოქტრინებზე და სამხედრო ტექნოლოგიებში არსებულ ვითარებაზე.

უსაფრთხოების თანამეგობრობა უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც შეიძლება *ინტეგრაციის* საფუძველი გახდეს. ამ ცნების ავტორის კარლ დოიჩის აზრით, *უ. თ-ის* შექმნისათვის აუცილებელია, მონაწილე სახელმწიფოთა *ელიტებს* სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელების განწყობა ჰქონდეთ. *უ. თ-ის* მონაწილეები უარს ამბობენ ერთმანეთის წინააღმდეგ სამხედრო ძალადობაზე ან ამგვარი ძალადობისთვის მზადებაზე. ამგვარი თანამეგობრობის მაგალითია შეერთებული შტატებისა და კანადის თანაარსებობა. ერთმანეთისაგან განასხვავებენ უსაფრთხოების პლურალისტულსა და შერწყმულ თანამეგობრობას. მათ შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი საერთო ინსტიტუტების არსებობა ან არარსებობაა. პლურარისტური თანამეგობრობის შექმნა უფრო იოლია, რადგან ეს სამი წინაპირობის არსებობას მოითხოვს: 1) ფასეულობათა თავსებადობის; 2) ერთმანეთის საჭიროებათა გათვალისწინების; და 3) პოლიტიკურ ელიტათა ქცევისა და მიზნების პროგნოზირების.

უსაფრთხოების კომპლექსი *სახელმწიფოთა* ჯგუფი, რომელთა *უსაფრთხოების* ძირითადი პრობლემები იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ თითოეული მათგანის *ეროვნული უსაფრთხოების* საკითხები დანარჩენისგან მოწყვეტილად ვერ გადაწყდება. ბიუზანის აზრით, სახელმწიფოთა უმრავლესობა *საგარეო პოლიტიკის* წარმართვისას, უპირველეს ყოვლისა, რეგიონულ კონტექსტს ითვალისწინებს, ანუ სახელმწიფოთა უსაფრთხოების პრობლემატიკაში რეგიონული საკითხები დომინირებს. თუმცა, *უ. კ-ის* მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს შეიძლება რეგიონის მეზობელი დიდი სახელმწიფოები ან ზესახელმწიფოებიც წარმოადგენდეს. *უ. კ-ის* ცნება *საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის დონეებს* შორის ანალიზის რეგიონული დონის დამკვიდრების მცდელობაა.

უსაფრთხოების რეჟიმი *სახელმწიფოთა* მიერ *უსაფრთხოების* სფეროში საერთო ინტერესების საფუძველზე შექმნილი წესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ერთობლიობა, რომელიც *უსაფრთხოების კომპლექსში* შექმნილი პრობლემების გადაწყვეტას ითვალისწინებს. საერთაშორისო *ანარქიის* პირობებში *უ. რ-ის* შექმნას ნეორეალისტები შეუძლებლად მიიჩნევენ, რადგან უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ერთვერადმა დარღვევამაც კი მონაწილე მხარეები შეიძლება გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანოს. ჯერვისი *უ. რ-ის* წარმოშობისათვის რამდენიმე წინაპირობას აყენებს, მათ შორის *დიდი სახელმწიფოების* მხრიდან დაინტერესებას. *უ. რ.* შეიძლება განვიხილოთ როგორც გარდამავალი ეტაპი უსაფრთხოების კომპლექსსა და *უსაფრთხოების თანამეგობრობას* შორის.

უტილიტარიზმი სოციალურ მეცნიერებებში სარგებლიანობის თეორიის ერთ-ერთი ვარიანტი. მისი პრინციპია

სოციალური ცხოვრებისა და პროცესების განხილვა სარგებლიანობასთან მიმართებაში, შესაბამისად, ყველა არსებული ურთიერთობის სარგებლიანობისთვის დაქვემდებარება. *უ-ს* დასაბამი მიეცა ბენტამის თეორიაში, რომელშიც ყოველგვარი მიმართების ერთადერთი შინაარსი სარგებლიანობაა. ბენტამი სარგებლიანობას აიგივებდა სიამოვნებასთან, ტკბობასთან და მიაჩნდა, რომ ზნეობრიობის საფუძველი უნდა იყოს „რაც შეიძლება მეტი ადამიანის სწრაფვა რაც შეიძლება მეტი სიამოვნებისკენ", კაცობრიობის ჭეშმარიტი მიზანი კი – სარგებლიანობის მაქსიმალიზება ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიზაციის საფუძველზე. ბენტამი ცდილობდა ამ მიდგომის მისადაგებას ეკონომიკისადმი, მართვისადმი, სამართლისადმი. მის მიერ გამოყენებულ ერთადერთ ოპერაციონალურ ინსტრუმენტს წარმოადგენდა სარგებლიანობისა და ტანჯვის ბალანსი. უ-ის უძლიერესი გავლენა განიცადა ადრინდელმა, განსაკუთრებით, სპენსერის სოციოლოგიამ, მოგვიანებით კი დიურკემის მკვეთრი კრიტიკის ობიექტი გახდა. თანამედროვე სოციოლოგიაში *უ-ის* პრინციპებმა გამოყენება ვერ პოვა.

უტოპიზმი შეხედულებები ალტერნატიულ საზოგადოებრივ მოწყობაზე, რომელშიც მოსპობილია ყველა საზოგადოებრივი ბოროტება და დამყარებულია საყოველთაო კეთილდღეობა, თავისუფლება და თანასწორობა. ტერმინი პოლიტიკურ ლიტერატურაში შემოვიდა თომას მორის ტრაქტატის „უტოპია" (1516) სახელწოდებაზე დაყრდნობით. ამ შრომაში მორი აღწერდა ფანტასტიკურ კუნძულზე მოწყობილ იდეალურ სახელმწიფოს. მორის ტრაქტატი ეხმაურება პლატონურ ტრადიციას, რომლის ძირითადი პოლიტიკურ-ფილოსოფიური ინტერესი მიმართული იყო იმის კვლევისაკენ, თუ როგორი უნდა იყოს იდეალური სახელმწიფო და როგორი საზოგადოებაა სამართლიანი. პლატონის შეხედულებებმა იდეალურ სახელმწიფოზე შესაბამისი გამოხმაურება ჰპოვა ჯერ ქრისტიან მწერლებთან (ნეტარი ავგუსტინეს „ღვთის ქალაქი"), ხოლო შემდეგ აღორძინებისა და ახალი დროის ავტორებთან (კამპანელას „მზის ქალაქი", ბეკონის „ახალი ატლანტიდა"). ევროპული საზოგადოების განვითარების კვალად, მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა პროლეტარიატი, *უ.* სოციალური საპროტესტო მოძრაობების იდეოლოგიად იქცა. XIX ს-ის მოაზროვნეები სენ-სიმონი, ფურიე, ოუენი და კაბე ავითარებდნენ იდეებს მუშათა კლასის მიერ საზოგადოების დეჰუმანიზაციისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციისგან ხსნის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მარქსი და ენგელსი კომუნისტური საზოგადოების საკუთარ თეორიას მკვეთრად მიჯნავდნენ ძველი, „არამეცნიერული" უტოპიებისაგან, კომუნისტური საზოგადოების მარქსისტული იდეალიც იმავე უტოპიური ტრადიციის გამგრძელებელია. XX ს-ში *უ-ს* ძლიერ შეურყია საფუძველი ანტიუტოპისტურმა მოძრაობამ (ოლდოუს ჰაქსლი და ჯორჯ ორუელი), რომელმაც აჩვენა უკიდურესი რაციონალიზმით ორგანიზებული საზოგადოების მანკიერებანი.

უტოპიური სოციალიზმი XVII-XVIII სს-ის უტოპიური იდეები სოციალური პროტესტის მოძრაობაში, რევოლუციურ წრეებსა და პარტიებში, აგრეთვე, საუკუნის ახალ გლობალურ პოლიტიკურ იდეებში, სამრეწველო და დემოკრატიულ *რევოლუციებშიც* აისახა. კერძოდ, XIX ს-ის დასაწყისში ფართოდ გავრცელდა სენ-სიმონის, ფურიეს, ოუენის, კაბეს და სხვათა მიერ ფორმულირებული იდეები სამრეწვე-

ლო მუშათა კლასის ბრძოლის შედეგად *საზოგადოების* დეჰუმანიზირებული და ექსპლუატატორული *ინდუსტრიალიზაციისაგან* გადარჩენის შესახებ. სოციალ-უტოპისტები ლაპარაკობდნენ ახალი საზოგადოებრივი წყობის შესახებ, სადაც სრული ჰარმონია, მშვიდობა და სამართლიანობა სუფევს. ისინი ხშირად დეტალურად აღწერდნენ, თუ როგორ იქნებოდა ორგანიზებული ასეთი საზოგადოება პატარა თემის სახით, ეროვნულ (ფურიე, ოუენი) და საერთაშორისო დონეზეც კი (სენ-სიმონი, კაბე). მარქსი და ენგელსი ცდილობდნენ მკაფიოდ გაემიჯნათ უტოპიური და, მათი აზრით, მეცნიერული სოციალიზმი. თავიანთი წინამორბედების – უტოპიური სოციალისტების იდეებს, რომლებიც საკმაოდ დიდ იმედს ამყარებდნენ გონიერებასა და განათლებაზე, როგორც *სოციალიზმის* მშენებლობის ძირითად ინსტრუმენტზე, ისინი უპირისპირებდნენ *კლასობრივი ბრძოლისა* და საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის აუცილებლობის იდეას.

უცხოური დახმარება *საგარეო პოლიტიკის* ეკონომიკური ინსტრუმენტი, რომელიც *საერთაშორისო ურთიერთობების აქტორებს*, მაგ. დონორ და რეციპიენტ (მიმღებ) *სახელმწიფოებს* შორის განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარებას ითვალისწინებს, რასაც ორივე მხარე დადებითად აფასებს. *უ. დ-ის* ძირითადი მონაწილეები, ტრადიციულად, სახელმწიფოებია, თუმცა სულ უფრო მეტ როლს ასრულებენ *საერთაშორისო ორგანიზაციები* და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები (მაგ., საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი). როგორც სახელმწიფოების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაწეულ საერთაშორისო დახმარებას ხშირად პოლიტიკური ზემოქმედების იარაღად მიიჩნევენ. *უ. დ-ის* მაგალითია შეერთებული შტატების მიერ ევროპისათვის „მარშალის გეგმით" გაწეული დახმარება. *უ. დ-ის* პოლიტიკური ხასიათი ინვევს ე. წ. „დონორულ დაღლილობას", რომელიც დონორი ქვეყნების საზოგადოების მიერ უცხოეთისათვის, განსაკუთრებით *მესამე სამყაროს* ქვეყნებისათვის გაწეული დახმარების კრიტიკის შედეგია.

ფ

ფაბიანობა ფაბიანური საზოგადოება, რომელიც შეიქმნა ლონდონში 1884 წელს, და რომელსაც რომაელი მხედართმთავრის ფაბიუს მაქსიმ ვერუკუსის სახელი ეწოდა. ამ უკანასკნელს კუნკტატორს (ზოზინას) უწოდებდნენ. მან მოთმინების მეტად ზუსტი ტაქტიკის გამომუშავებითა და თავდასხმის საჭირო მომენტის შერჩევით შეძლო ჰანიბალის დამარცხება. ამ საზოგადოების არამრავალრიცხოვანი წევრები თვლიდნენ, რომ პოლიტიკური ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა დარწმუნება, რაციონალური დაგეგმვა, და არა პირდაპირი კონფრონტაცია. ბრიტანულ საზოგადოებაში აღნიშნულ მოძრაობას სათავე დაუდეს ბეატრის და სიდნეი ვებებმა, ჯორჯ ბერნარდ შოუმ, ანი ბეზანტმა და ჰიუბერტ ბლენდმა. 1900 წელს ფაბიანელებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს მუშათა წარმომადგენლობითი კომიტეტის – ლეიბორისტული პარტიის ჩანასახის შექმნაში. ისინი ყოველთვის გამოირჩეოდნენ აზრთა მრავალფეროვნებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იშვიათად გამოდიოდნენ ლეიბორისტული პარტიის „ზომიერი მემარცხენე" ფრთის *სოციალ-დემოკრატიის* საზღვრებიდან.

ფალსიფიკაციის პრინციპი ემპირიული და არაემპირიული მსჯელობების გამმიჯნავი კრიტერიუმი, რომელიც

შეიმუშავა კარლ პოპერმა და რომელიც მისი მეთოდოლოგიური კონცეფციის ფუძემდებლურ დებულებად იქცა. მეცნიერების კანონები, ამტკიცებს პოპერი, უნივერსალურ დებულებებს წარმოადგენს, რომელთა *ვერიფიკაცია* (შემოწმება) ინდუქციის პრინციპის საფუძველზე შეუძლებელია (ვინაიდან „ყველა" ვერიფიკაციას არ ექვემდებარება). სამაგიეროდ, იოლია მათი ემპირიული ფალსიფიკაცია. საკმარისია მხოლოდ ერთი საწინააღმდეგო ფაქტი, რომ მოცემული უნივერსალური დებულება უარვყოთ. თუ ვნახავთ თუნდაც ერთ გედს, რომელიც თეთრი არ არის, მაშინ დებულება „ყველა გედი თეთრია" – ფალსიფიცირებულია. ფალსიფიცირებადობა – ცდასთან დაპირისპირების შედეგად გაყალბების შესაძლებლობა – მეცნიერული სისტემების ძირითად ნიშნად გამოცხადდა. ყველა ემპირიული დებულება ფალსიფიცირებადია. არაემპირიულ სისტემებს ეს ნიშანი არ მიეწერება, ვინაიდან ისინი ცდისეული არ არის.

ფ. პ. არის გარკვეული წესების სისტემა, რომლის მიხედვით გადაწყდება საკითხი იმის შესახებ, თუ რისი გაყალბება შეიძლება.

ფაქტორული ანალიზი მრავალგანზომილებიანი მათემატიკური სტატისტიკის მეთოდი, რომელიც გამოიყენება სოციალურ ობიექტთა ნიშნებსა და მახასიათებლებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების გასაზომად და კლასიფიკაციისთვის. მისი საშუალებით გამოვლინდება სტრუქტურული კავშირურთიერთობები ცვლადებს შორის: ჯერ დგინდება ყველა ცვლადის წყვილ-წყვილი კორელაციური კავშირი, ხოლო შემდეგ მოიძებნება ე. წ. კორელაციური პლეადები ანუ კავშირების „ნასკვები", ერთობლიობები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამოყოფენ ისეთ ცვლადებს, რომლებიც ყველაზე უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. გამოვლენილი „ნასკვები" ანუ გამსხვილებულ ნიშანთა ერთობლიობა არის სწორედ ფაქტორები. მათი რიცხვი ყოველთვის ნაკლებია საწყის ცვლადებზე. ამოსავალი ცვლადის წონის სიდიდე მერყეობს –1-სა და +1-ს შორის. იგი უჩვენებს, რამდენად მჭიდროდ უკავშირდება მოცემული ნიშანი ფაქტორს და როგორია ამ კავშირის ხასიათი. ყველაზე რთული ტიპია აღმოჩენილი კავშირების შინაარსობრივი ინტერპრეტაცია. ამიტომ ცვლადების საწყის ერთობლიობას ამატებენ ნიშნებს, რომლებიც მასში ადრე არ შედიოდა და ამ გამსხვილებული ერთობლიობით იმეორებენ *ფ. ა-ს. ფ. ა-ს* აქვს ასევე შემოწმების, ნიშანთა კლასიფიკაციის და ჰიპოთეზების შემუშავების ფუნქციაც.

ფაშიზმი ტერმინი წარმოიშვა რომის იმპერიაში მაგისტრატების მიერ ხალხის ერთიანობის სიმბოლოდ გამოყენებული ტოტების კონისაგან („ფასციო"), რომელშიც ჩადებული იყო ნაჯახი (მმართველობის სიმბოლო). *ფ.* წარმოადგენს მემარჯვენე რადიკალი ნაციონალისტების იდეოლოგიას, რომელიც მიისწრაფის *ტოტალიტარიზმისაკენ.* დასავლურ პოლიტიკურ ლიტერატურაში *ფ.* შეიძლება გაგებული იყოს უკიდურესი *ნაციონალიზმის* სამხედრო ფორმად, რომელიც *სახელმწიფოს* საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ყოველმხრივ ახალისებდა *ომის* გაჩაღებას. პირველი ფაშისტური მოძრაობა, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვიდა ევროპაში (1922), იყო იტალიის ფაშისტური ორგანიზაცია მუსოლინის მეთაურობით. მისი მონათესავე მოძრაობები იყო: გერმანიის ნაციონალ-სოციალისტები, ესპანელი ფალანგისტები, მოძრაობა „აქსიონ ფრანსეზი" საფრანგეთში. ფაშისტური *იდეოლოგიისათვის* დამახასიათებელია საკუთარი *ერის* განდიდება და მისი ყველა სხვა ერისაგან გამორჩეულო-

ბის, მისი *კულტურის* უნიკალურობის მტკიცება. ამბობენ, რომ წარსულში ეს ერი აყვავებული იყო. ამას მოსდევს თეზისი ამ ერის არსებული მძიმე ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, რაც სხვა ერების ბოროტი განზრახვითაა გამოწვეული. ხშირად ერის დაკნინება ასოცირებულია რასობრივი სიწმინდის დარღვევასთან. ფაშისტური მოძრაობების განსაკუთრებული აღმავლობის ხანად ორ მსოფლიო ომს შორის არსებული პერიოდი ითვლება.

ფედერალიზმი იხ. *ფედერაცია (I), აგრ. უნიტარიზმი.*

ფედერაცია **1.** ახალი, გაერთიანებული *სახელმწიფოს* შექმნის მიზნით რამდენიმე სახელმწიფოს კავშირი, რომლის დროსაც მასში შემავალი სახელმწიფოები, როგორც *ფ-ის* სუბიექტები, ინარჩუნებენ თავიანთი უფლებების გარკვეულ ნაწილს. **2.** ცალკეული *საზოგადოებების, ორგანიზაციების* კავშირი.

ფემინიზაცია **1.** ქალის როლისა და გავლენის ზრდა *საზოგადოებაში* ან ცხოვრების რომელიმე სფეროში; **2.** ისტორიული პროცესი, როცა ქალთა დასაქმების ზოგიერთი სახეობის განხილვა (მაგ., სასკოლო სწავლება, მოვლა) დაიწყო ქალურ სამუშაოდ, რასაც მოჰყვა სტატუსის დაქვეითება და ანაზღაურების შემცირება; **3.** მამრობითი სქესის წარმომადგენლებში მეორადი სქესობრივი ნიშნების განვითარება.

ფემინიზმი ქალთა და მამაკაცთა უფლებების გათანაბრებისათვის წარმოებული ფართო პოლიტიკური მოძრაობის საერთო სახელწოდება. დღეს ბევრი ფიქრობს, რომ ფემინისტური იდეები ჯერ კიდევ აღორძინების ეპოქაში ჩაისახა. ზოგიერთ მკვლევარს პირველ ფემინისტად პლატონი მიაჩნია. აღორძინების ეპოქაში შეიქმნა ქრისტინა დე ლიზანის და კორნელიუს აგრიპას პირველი ტრაქტატები, რომლებშიც აშკარად იყო საუბარი ქალის პიროვნების დათრგუნვასა და მისდამი *საზოგადოების* უსამართლო დამოკიდებულებაზე. *ფ-ის* განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი დაკავშირებულია საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ პერიოდთან. 1792 წელს ოლიმპია დე გუჟმა შეადგინა „ქალისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, რომელიც შეიცავდა მოთხოვნას ქალებისათვის საარჩევნო უფლებისა და სახელმწიფო თანამდებობების დაკავების უფლების მიცემის შესახებ. ფემინისტური მოძრაობის პირველ ეტაპზე დაარსდა ქალთა ორგანიზაციები და კლუბები, რომლებიც კონვენტმა სულ მალე აკრძალა, თავად ოლიმპია დე გუჟი კი სიკვდილით დასაჯეს. დღეს ნათელია, რომ ფემინისტური იდეების ჩასახვა და ჩამოყალიბება მნიშვნელოვანწილად მომზადებულ იქნა სოციალურ-ფილოსოფიური კონცეფციებით. ამასთან დაკავშირებით პირველ რიგში აღსანიშნავია ჯონ ლოკის, ჟან-ჟაკ რუსოს და ჯონ სტიუარტ მილის ლიბერალური ფილოსოფია, რომლის ფარგლებშიც ვითარდებოდა *ადამიანის უფლებათა* დაცვის ძირითადი თეორიები. ცალკე უნდა გამოიყოს შარლ ფურიეს, ანრი სენ-სიმონის და რობერტ ოუენის უტოპიური სოციალიზმის თეორიების გავლენა. დაბოლოს, აღსანიშნავია XX ს-ის შუახანებისა და დასასრულის თეორიები, რომლებიც მათში სექსუალურობისა და ადამიანის სექსუალური ქცევის პრობლემების განხილვის საფუძველზე შეიძლება სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში გავაერთიანოთ. *ფ-ის* ახალი ეტაპი XX ს-ის 60-იან წლებში დაიწყო. ამ პერიოდში *ფ-ის* შიგნით ჩამოყალიბდა სამი ძირითადი მიმართულება: ლიბერალურ-რეფორმატორუ-

ლი, სოციალისტური და რადიკალური. 70-იან წლებში წარმოიშვა საზოგადოებაში ქალთა ჩაგვრისა და დისკრიმინაციის მიზეზებისადმი სოციალურ-კულტურული მიდგომის ტრადიცია. (იხ. *გენდერი*).

ფემინისტური სოციოლოგია სოციოლოგიური თვალსაზრისები, რომლებიც სოციალურ მოვლენებს განიხილავს ქალთა თვალთახედვით და მათი პოზიციიდან. მას საფუძვლად სქესთა თანასწორობის თეორიები დაედო, რომლებიც ქალთა გათავისუფლებისა და სქესთა თანასწორობის იდეებს ქადაგებდა. *ფ. ს-ის* შეხედულებით, კლასიკურ სოციოლოგიაში გაბატონებულია უმართებულო ტენდენცია სოციალური პროცესების მამაკაცთა თვალთახედვით განხილვისა, შესაბამისად, ქალის როგორც საზოგადოების წევრის ტრადიციული შეუმჩნევლობა აისახა სოციოლოგიური მეცნიერების მდგომარეობაზეც. *ფ. ს-ს* ორი ძირითადი მიზანი აქვს: 1. სამართლიანობის აღდგენა და ქალთა პოზიციიდან *საზოგადოების* შესწავლა იმ წესთა მხილებით, რომელთა მეშვეობითაც მამაკაცები დომინირებენ სოციალურ ურთიერთობათა სისტემებში და ზღუდავენ ქალთა შესაძლებლობებს; 2. ტრადიციული *სოციოლოგიის* მიერ იგნორირებული თემის, კერძოდ, ქალთა ცხოვრების, მისი სამყაროს სერიოზულ სოციოლოგიურ საკვლევ საგნად ქცევა. არსებობს *ფ. ს-ის* მრავალგვარი მიმართულება: შავი, რადიკალური, ლიბერალური, მარქსისტული და სხვ.

ფენომენოლოგიური სოციოლოგია თეორიულ-მეთოდოლოგიური მიმართულება თანამედროვე *სოციოლოგიაში*, რომელიც საზოგადოებას განიხილავს როგორც მოვლენას, შექმნილს და მუდმივად აღწარმოებადს ინდივიდების სულიერი ურთიერთქმედების პროცესში. *ფ. ს-ის* საფუძველი გახდა ე. ჰუსერლის, მ. შელერის, მ. მერლო-ნონტის იდეები. *ფ. ს-ის* ფუძემდებელია ა. შუტცი, რომლის ნაშრომებიც გავრცელდა XX ს-ის 60-70-იან წლებში და *ფ. ს-ის* კონცეფციათა სიმრავლის ამოსავალი პუნქტი გახდა. მის ახალ განვითარებას (ე. ტირიაკინის სტრუქტურული სოციოლოგია, ა. ბერგერისა და თ. ლუკმანის ცოდნის სოციოლოგია, ეთნომეთოდოლოგია და სხვ.) მივყავართ *ფ. ს-ის* ძირითადი პრინციპების გადახედვისაკენ. *ფ. ს-ის* მომხრეები, ადანაშაულებენ რა ნატურალიზმს და პოზიტივიზმს სოციალური მოვლენების გაუცხოებაში, ობიექტივირებასა და რეიფიცირებაში, ცდილობენ თეორიულად გაიაზრონ სოციალური სამყარო მის ადამიანურ, სულიერ ყოფიერებაში. *ფ. ს-ის* მთავარი საგანია ფაქტებისა და მოვლენების უნივერსალური სტრუქტურები, რომლებიც აღმოცენდება სოციალური ურთიერთმოქმედების მსვლელობაში, აგრეთვე სოციალურ-კულტურული სამყაროს სუბიექტურად მნიშვნელადი ნიმუშების ინტერპრეტაციის პროცესში. ამასთან, სოციალური რეალობა განიხილება, როგორც ინტერპრეტაციული მოლვაწეობის პროდუქტი, ე. ი. ფაქტობრივად ხორციელდება *საზოგადოების*, როგორც ასეთის, გაიგივება მის შესახებ ადამიანთა წარმოდგენების ერთობლიობასთან. იგი წარმოადგენს ცალმხრივ, სუბიექტურ პოზიციას, რომელიც უგულებელყოფს საზოგადოების ფუნქციონირებისა და განვითარების ბუნებრივ ობიექტურ მახასიათებლებს. *ფ. ს-ის* ძირითადი ცნებებია სიცოცხლის, სამყაროს მნიშვნელობა და სასრული ჰორიზონტი, ინტერსუბიექტურობა, პერსპექტივათა ურთიერთჩანაცვლება, კოგნიტური სტილი და სხვ. *ფ. ს-ის* განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი 60-იანი წლებიდან გახდა მისი ძირითადი წარმომადგენლების (ა. სიკურელი, ა. ბლაუ და სხვ.) ინტერესის გადატანა ეთნო-

ლოგიაში, ფსიქოლოგიაში, ლინგვისტიკაში. *ფ. ს.* დღესაც დიდ გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციოლოგიურ მიმართულებებზე, როგორიცაა *ეგზისტენციალური სოციოლოგია*, ყოველდღიურობის სოციოლოგია, *სიმბოლური ინტერაქციონიზმი* და სხვ.

ფეოდალური საზოგადოება ეკონომიკური და საზოგადოებრივი ფორმაცია, რომელიც ემყარება ბატონყმურ სამართალს. ეს ნიშნავს, რომ არისტოკრატიულ ზედაფენას, რომელიც მიწას ფლობს, აქვს პრივილეგია და ასრულებს ბატონობის (მმართველობით) ფუნქციას. ეს საზოგადოებრივი ფორმაცია ნაწილობრივ ჯერ კიდევ არსებობს ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიასა და სამხრეთ ამერიკის ზოგ ქვეყანაში. *მარქსიზმში* ფეოდალიზმი ეკონომიკურ წყობად (ფორმაციად) განიხილება და მისი ადგილი ქრონოლოგიურად მონათმფობელობასა და *კაპიტალიზმს* შორისაა განსაზღვრული.

ფეტიში 1. პირველყოფილ *კულტურაში* საგანი, რომელიც სულის განხორციელებად მიიჩნევა. ასეთი საგნები, ჩვეულებრივ, რელიგიური და მაგიური რიტუალების აუცილებელი ატრიბუტია; ხშირად მაგიასთან ერთად მოიხსენიება. 2. უფრო ფართო გაგებით (ძირითადად, ფსიქოლოგიაში, *ფსიქოანალიზში*), არაეროტული ობიექტისადმი (მაგალითად, ტანსაცმლის) აკვიატებული ერთგულება ან ინტერესი. არსებობს ე. წ. სასაქონლო ფეტიშიზმი (*მარქსიზმში*), რაც გულისხმობს *კაპიტალიზმში* ადამიანის შრომით შექმნილი მატერიალური ობიექტების შემოსვას „ბუნებრიობით", რაც სინამდვილეში სოციალური პროცესების შედეგია. მარქსი მიიჩნევდა, რომ *პოლიტიკური ეკონომიის* დიდი ნაწილი დამნაშავეა *ეკონომიკის* ფეტიშიზაციაში და ასე ფარავს ფუნდამენტურ – ეკონომიკურ და სოციალურ – მიმართებებს.

ფლობა და ყოფნა ცნებები, რომლებიც გამოხატავს ადამიანის ცხოვრების ორ განსხვავებულ წესს, ფორმასა და ორიენტაციას. ადამიანის ფლობის წესით ცხოვრება რაციონალისტური ორიენტაციით ხასიათდება, რომელიც საგანს განიხილავს სარგებლიანობის თვალსაზრისით. ამ მიმართულებით ორიენტირებული ადამიანი თავისი არსებობის საზრისს მოხვეჭაში, დაუფლებაში, გაბატონებაში ხედავს. იგი აფუძნებს ეგოიზმს და უშუალოდ უკავშირდება ადამიანის გაუცხოებას. ფლობაზე ორიენტირებული ადამიანისათვის საგნის თვისებრივი სიმდიდრე უგულებელყოფილია, ნამდვილი ადამიანური ღირებულებები – დათრგუნული.

ყოფნისეული ორიენტაცია კი *ალტრუიზმს* უკავშირდება. ამ მიმართულებით ორიენტირებული ადამიანი თავისი არსებობის საზრისს ხედავს არა ნივთის რაოდენობრივ დაუფლებაში, მოხვეჭასა და გაბატონებაში, არამედ ჭვრეტაში, გაგებაში, ალტაცებაში, ალტრუიზმსა და მშვენიერებაში.

ამ ცნებების ყოველმხრივი ანალიზი მოცემული აქვს ერიხ ფრომს თავის წიგნში „ფლობა თუ ყოფნა?" (1976), თუმცა, ეს ტერმინები მას არ შემოუტანია, ისინი ფრანგ ეგზისტენციალისტ თეოლოგ გ. მარსელთან არის დაკავშირებული. მისი მთავარი შრომა „ყოფნისა და ფლობის" სახელს ატარებს; მარსელი ამ საკითხს იხილავდა ფილოსოფიური და თეოლოგიური პოზიციებიდან. თავად ფრომი კი – *ანთროპოლოგიისა* და სოციალური *ფსიქოანალიზის* საფუძველზე ასაბუთებს, რომ ეს ორი განსხვავებული ტენდენცია ყველა ადამიანშია და ერთდროულად არსებობს. ისინი ბიოლოგიურად დაჰყვება ადამიანს, მაგრამ შესაბამის სოციალურ გარემოში ერთი გაბატონ-

დება როგორც ცხოვრების წესი, მეორე კი ითრგუნება. ადამიანთა არსებობის ეს ორი ძირეულად განსხვავებული, დაპირისპირებული ტენდენცია სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის ზემოქმედების შედეგად ყალიბდება სოციალურ ხასიათად. ფლობაზე ორიენტირებული სოციალური ხასიათი (რეცეპტული, დამგროვებლური, ექსპლუატატორული და ბაზრული) თავის მხრივ, ზემოქმედებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაზე. როგორც წესი, იგი განამტკიცებს არსებულ საზოგადოებრივ წყობას და დამატებით სტაბილურობას ანიჭებს მას. ყოფნაზე ორიენტირებული სოციალური ხასიათი უპირისპირდება გაბატონებულ საზოგადოებრივ წყობას და მის „ამაფეთქებელ მასალად" გვევლინება. იგი მიმართულია ყოფნაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი წყობის დასამყარებლად.

ფოკუსჯგუფის მეთოდი სოციალური ინფორმაციის შეგროვების ხერხია. *ფ. მ.* კვლევითი სტრატეგიაა, რომელიც გულისხმობს წინასწარ შერჩეული ადამიანების პატარა ჯგუფების ინტერვიუირებასა და ინტენსიურ ფოკუსირებულ დისკუსიას საკვლევი თემის შესახებ. ამ მეთოდის მიზანია გარკვეული პრობლემის, მოვლენის, შემთხვევის ან სიტუაციის შესახებ ჯგუფში განსხვავებული შეხედულებების, პოზიციების, განწყობების, რეაქციების ან შეფასებების გამოვლენა და შესწავლა. *ფ. მ.*, გარკვეული აზრით, თვისებრივი და რაოდენობრივი მიდგომების კომბინაციას წარმოადგენს. ის, ერთი მხრივ, გარკვეული საკვლევი პრობლემის შესახებ ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებებისა და შეხედულებების სიღრმისეული შესწავლის ხერხია. მეორე მხრივ, ჯგუფების შემადგენლობა მეტნაკლებად რეპრეზენტატულია გამოსაკვლევ ერთობლიობასთან (პოპულაციასთან) მიმართებაში.

ფ. მ. ფართოდ გამოიყენება მარკეტინგულ გამოკვლევებში, მათ შორის: 1. საქონლისა და მომსახურების ტრადიციული მარკეტინგი, 2. არაკომერციული ორგანიზაციების მარკეტინგი, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სოციალური პროექტებისა და პროგრამების ეფექტურობის შეფასებასთან, 3. ე. წ. პოლიტიკური მარკეტინგი, რომლის მიზანია პოლიტიკური მოღვაწეების, ორგანიზაციებისა და მათი პროგრამული დოკუმენტების იმიჯის შესწავლა.

ფ. მ. მარკეტინგული გამოკვლევების, ბაზრისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების მნიშვნელოვან ელემენტად იქცა. ამ მეთოდის პრაქტიკაში დანერგვა ხელს უწყობს საბაზრო და პოლიტიკური ინსტიტუტების მუშაობის კულტურის ამაღლებას.

აკადემიური გამოკვლევების სფეროში *ფ. მ.* ნაკლებად გამოიყენება.

ფ. მ-ს ზოგჯერ ღრმა ჯგუფური *ინტერვიუს* მეთოდსაც უწოდებენ.

ფოკუსჯგუფური გამოკვლევის ძირითადი პარამეტრები (როგორიცაა ჯგუფში მონაწილეთა რიცხვი, მათი სოციალური მახასიათებლები, ჯგუფების რიცხვი და ა. შ.) განისაზღვრება გამოკვლევების მიზნებითა და ამოცანებით. გამოკვლევის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული მოდერატორზე, რომელიც ატარებს ინტერვიუს და წარმართავს დისკუსიას.

ფორდიზმი და პოსტფორდიზმი წარმოების ორგანიზაციის მეთოდი განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში, რომელიც ჰენრი ფორდის სახელს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ *ფ.* და *პ.* უმთავრესად წარმოების პროცესს უკავშირდება, ისინი ხშირად გამოიყენება მათთან დაკავშირებულ სოციალურ და პოლიტიკურ შედეგებ-

თან მიმართებაში. მართალია, ფორდის დიად წამონყებად ითვლება სტანდარტიზებული პროდუქციის მასობრივი წარმოება, რომელიც ფასის საყოველთაო ხელმისაწვდომობის მეშვეობით მასობრივ მოხმარებას წარმოშობს, ის ასევე გულისხმობს 1) ინტენსიურ მსხვილმასშტაბიან წარმოებას, 2) წარმოების მოუქნელ პროცესს, 3) მკაცრ იერარქიულ და ბიუროკრატიულ მმართველობით სტრუქტურას, 3) მეცნიერული მართვის მეშვეობით ნახევრადკვალიფიცირებული შრომის გამოყენებას რუტინული, განმეორებადი ამოცანების შესასრულებლად, 4) მსხვილი *პროფკავშირული* გაერთიანებების ფორმირების ტენდენციას და წარმოების ადვილად მონყვლადობას ინდუსტრიული კონფლიქტით, 5) ეროვნული ბაზრის დაცვას. თუმცა ფორდის მიერ შემოტანილი სიახლე მანქანების წარმოების ტექნოლოგიაში ომებს შორის პერიოდში ინერგებოდა, მისი მეთოდები სწრაფად გავრცელდა სხვა სექტორებზე და მალე მას უკვე განიხილავდნენ როგორც ორგანიზაციულ საფუძველს, რომლის წყალობითაც წარმოებამ აშშ-ში სწრაფად შეძლო წინსვლა, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ფ., როგორც ცნება და ანალიზის ინსტრუმენტი პირველად გამოიყენა ანტონიო გრამშიმ.

ფრანკფურტის სკოლა (კრიტიკული თეორიის ფრანკფურტის სკოლა) ეკონომიკურად შეძლებული, მარქსისტული რადიკალზმის მომხრე პოლიტოლოგის ფელიქს ბელის დაარსებული სოციალური გამოკვლევების ინსტიტუტი მაინის ფრანკფურტში (გერმანია) (აქედან სახელწოდება: „ფრაკფურტის სკოლა"), რომელშიც გაერთიანდნენ მემარცხენე მოაზროვნეები. *ნაციონალ-სოციალიზმის* გამო ინსტიტუტი გადავიდა ნიუ-იორკში და იქიდან მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა (1947), ხოლო 1969 წ. საერთოდ დაიშალა, თუმცა ამ სკოლის ზეგავლენა დღემდე შენარჩუნებულია, მაგ., ი. ჰაბერმასის თეორიაში. *ფ. ს-სთან* დაკავშირებულნი იყვნენ მემარცხენე თეორეტიკოსები: თეოდორ ადორნო, ვალტერ ბენიამინი, ერიხ ფრომი, მაქს ჰორკჰაიმერი, ჰერბერტ მარკუზე. კრიტიკული თეორიის ფრანკფურტის სკოლის *ნეომარქსისტული* მიმდინარეობა ემყარება დასავლურ პოზიტივიზმს, ასევე მარქსისტულ სციენტიზმს და კრიტიკული პოზიცია უკავია როგორც დასავლური *კაპიტალიზმის*, ასევე რუსული *სოციალიზმის* მიმართ. ამ სკოლის მთავარ თეორიულ წვლილს განეკუთვნება: 1. დისკუსია ნეოპოზიტივისტური ეპისტემოლოგიის სოციალურ მეცნიერებებთან შესაბამისობის შესახებ, 2. კაპიტალისტური და სოციალისტური *საზოგადოებების* დომინირებადი სტრუქტურებისა და კულტურული წარმონაქმნების შეფასება, 3. მარქსისა და ფროიდის იდეების შეხამება, რასაც შედეგად მოჰყვა ფროიდის თეორიის რადიკალიზაცია, ხოლო *მარქსიზმის* შევსება პიროვნების უფრო ღრმა თეორიით. *ფ. ს-ის* წარმომადგენლები ძირითადად მარქსის შემოქმედების პირველ პერიოდს („ახალგაზრდა მარქსი") ეყრდნობოდნენ და მარქსის თეორიის საბჭოთა ინტერპრეტაციის რევიზიას ეწეოდნენ. ინსტიტუტის წევრები იმედოვნებდნენ, რომ თავისუფალ კონკურენციაზე დაფუძნებული კაპიტალიზმის მონოპოლისტურ კაპიტალიზმად და *ფაშიზმად* ტრანსფორმაცია სოციალიზმით დამთავრდებოდა, მაგრამ შემდეგ ზოგი მათგანის, განსაკუთრებით ადორნოსა და ჰორკჰაიმერის, პოზიცია პესიმისტური გახდა. მათი აზრით, მუშათა კლასი მართული გახდა მასობრივი კულტურით და დაკარგა რევოლუციური ცნობიერების გამომუშავების უნარი. მარკუზე უფრო ოპტიმისტურად იყო განწყობილი, ის რევოლუციური ცნობიერების წყაროს ეთ-

ნიკურ უმცირესობებსა და სტუდენტობაში ხედავდა. *რევოლუციის* პერსპექტივის განსხვავებული ხედვის მიუხედავად, *ფ. ს-ის* ყველა წარმომადგენელი აგრძელებდა საერთო თემას – *განმანათლებლობის* ეპოქის რაციონალობის იდეის შეცვლას ვიწრო და არაჰუმანისტური „ტექნიკური რაციონალობით". განმანათლებლობის რაციონალობის „ტექნიკური რაციონალობით" შეცვლა სოციალურ მეცნიერებებს უბიძგებს პოზიტივისტური და სციენტისტური ფორმისაკენ, რასაც *ფ. ს-ის* წარმომადგენლების თანახმად, კრიტიკული თეორია უნდა ებრძოლოს.

ფრატრია სოციალური ორგანიზაციის ფორმა ათენსა და ძველი საბერძნეთის სხვა რეგიონებში. *ფ-ის* წევრებს ჰქონდათ თვითმმართველობის საერთო ორგანოები და კულტი. ეს ტერმინი მეცნიერებაში შემოიტანა ლ. მორგანმა. *ფ.* იყო მონათესავე *გვართა* გამაერთიანებელი ეგზოგამიური ჯგუფი, რომელიც საქორწინო კავშირში იმყოფებოდა სხვა *ფ-სთან.* ორი *ფ-ის* დუალური ორგანიზაცია შეადგენდა ტომს. ასეთი ორგანიზაციის მთავარი ფუნქცია იყო საქორწინო ურთიერთობათა რეგულირება. (იხ. აგრ. *გვარი, ტომი, ფრატრია*).

ფრაქციონიზმი პოლიტიკურ *პარტიათა* შიგნით თანამოაზრეთა ორგანიზებული გაერთიანება და ფუნქციონირება. ნორმალური შიდაპარტიული ცხოვრებისას ბუნებრივია სხვადასხვა შეხედულებების, უთანხმოების, პოლიტიკური დაჯგუფებების წარმოშობა, რომლებიც აუცილებელი არ არის ფრაქციებს ქმნიდნენ. *ფ-ის* მთავარი ნიშანია განსაკუთრებული იდეურ-პოლიტიკური პლატფორმის არსებობა და ჯგუფური დისციპლინა, რომელსაც ხშირად ფრაქციის წევრები საერთო პარტიულ დისციპლინაზე უფრო მაღლა აყენებენ.

ფსიქოანალიზი ტერმინი რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება: **1.** ორთოდოქსული კლასიკური *ფ.* – ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზური თეორია, რომლის თანახმად, პიროვნების განვითარებისა და სტრუქტურის საფუძველია ცნობიერთან დაპირისპირებული ირაციონალურ ფსიქიკურ ფაქტორთა ერთობლიობა, აგრეთვე ინდივიდის ფსიქიკის სილრმისეულ ძალებსა (არაცნობიერი ლტოლვები) და გარემოდან მომდინარე სოციალურ მოთხოვნებს (აკრძალვებს) შორის დაპირისპირება; პიროვნების სტრუქტურა წარმოდგენილია სამი შრის სახით: *იდი, ეგო, სუპერ-ეგო,* პიროვნების განვითარების მექანიზმია *ოიდიპოსის კომპლექსი. ფ-მა* წარმოაჩინა ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა – არაცნობიერი მოტივაცია, ფსიქიკის ნორმალურ და პათოლოგიურ მოვლენათა თანაფარდობა, დაცვის მექანიზმები, სექსუალური ფაქტორის როლი, მოზრდილის ქცევაზე ბავშვობის ტრავმების გავლენა, სუბიექტის ფსიქიკური ორგანიზაციის წინაალმდეგობრიობა და კონფლიქტურობა და სხვ. ფროიდმა თავისი თეორია აიყვანა ადამიანის, *საზოგადოებისა* და *კულტურის* შესახებ ყოვლისმომცველი მოძღვრების რანგში. ამ სახით *ფ-მა* და მისმა შემდგომმა ვარიანტებმა დიდი გავლენა მოახდინა *სოციოლოგიაზე,* მთლიანად სოციალურ თეორიაზე და კულტურის მეცნიერებებზე. ბოლო პერიოდში *ფ-ური* თეორიები დიდ გავლენას ახდენდნენ *ფემინიზმსა* და ფემინისტურ თეორიებზე. **2.** ზოგადად აღნიშნავს ორთოდოქსული კლასიკური თეორიისგან ნაწარმოებ თეორიებს. **3.** ფსიქოთერაპევტული მიზნით, გაუცნობიერებელ მოტივთა საფუძველზე აღმოცენებულ განცდათა და ქცევათა თავისებურებების გამოსავლენი მეთოდების ერთობლიობა, რომელთა ძირითადი კომპონენტებია თავისუფალი ასოციაციები, მდიდარი ინტერპრეტაციები და

ტრანსფერი (გადატანა): სუბიექტი თავისუფალ ასოციაციებს იძლევა, ანალიტიკოსი მისი ასოციაციებისა და სუბიექტის მისდამი განცდების ინტერპრეტაციას ახდენს; ამ პროცესის მიზანია ადამიანის ქცევის გაგება მისი (განსაკუთრებით ადრეული ბავშვობის ხანის) გამოცდილების საფუძველზე.

ფსიქოდრამა ფსიქოთერაპიის მორენოსეული (იაკობ ლევი მორენო 1892-1974) მოდელი, დაკავშირებული „სპონტანურ თეატრთან". ამ მეთოდის მეშვეობით პაციენტს შესაძლებლობა ეძლევა, საკუთარი თავი განსხვავებულ *როლებში* განიცადოს. ამ მეთოდის მიზანია, ისევე როგორც *ფსიქოანალიზში*, „კათარზისის" მიღწევა ანუ საკუთარი ცხოვრების რეალობის და მასში დამალული კონფლიქტურობის მეტნაკლებად შოკური გაცნობიერება. ეს პრინციპი შესაძლებელია წმინდა დიაგნოსტიკური თვალსაზრისითაც იქნეს გამოყენებული (ისევე როგორც *სოციოდრამა*.).

ფსიქოსემანტიკა 70-იან წლებში აღმოცენებული ექსპერიმენტული პარადიგმა, რომელიც შეისწავლის მნიშვნელობათა ინდივიდუალური და ჯგუფური სისტემების გენეზისს, აგებულებასა და ფუნქციონირებას; ექსპერიმენტულად იკვლევს ცნობიერებაში მნიშვნელობათა არსებობის მრავალგვარ ფორმას (ყოველდღიურ ცნებებს, ხატებს, სიმბოლოებს, კომუნიკაციურ და რიტუალურ ქმედებებსა და სხვ.). *ფ.* ეყრდნობა მნიშვნელობათა სემანტიკური მსგავსების დასადგენ მეთოდთა (ასოციაციურ, მრავალობითი იდენტიფიკაციის, სემანტიკური დიფერენციალის, კლასიფიკაციის, *სკალირების*, დახარისხებისა და სხვ.) ერთობლიობას და იყენებს მრავალგანზომილებიანი სტატისტიკის ტექნოლოგიურ ინსტრუმენტარიებს. *ფ-ის* ძირითადი მეთოდია სემანტიკური სივრცეების აგება, რომელიც განიხილება ცნობიერების მოდელურ ოპერაციონალისტურ ანალოგად. *ფ-ის* გამოკვეთილი ინტერდისციპლინური ხასიათი განაპირობებს ამ მიდგომის წარმატებით გამოყენებას არა მარტო ზოგად და სოციალურ ფსიქოლოგიაში, არამედ სოციალურ მეცნიერებათა მრავალ სფეროში, მათ შორის სოციოლოგიასა და პოლიტოლოგიაში, აგრეთვე, ეთნოლოგიასა და კულტურის სხვა მეცნიერებებში.

ფუნდამენტალიზმი რელიგიური პოზიცია, რომელიც მოცემული რელიგიის ბაზისური მცნებების უპირობო მხარდაჭერას მოითხოვს და მათ პირდაპირ რეალიზაციას ისახავს მიზნად. *ფ.*, როგორც წესი, არატოლერანტობის გამოვლინებაა განსხვავებული რწმენის ან შეხედულებების მხარდამჭერი ადამიანებისადმი, ან საკუთარი რწმენის იმ მიმდევართა მიმართ, ვინც არ იზიარებს რადიკალურ პოზიციას რწმენის საკითხში. არსებობს ფუნდამენტალისტური მოძრაობების განსხვავებული სახეები. ასე მაგ., პროტესტანტული *ფ.* საბოლოო ჯამში ყოველთვის მიმართულია კათოლიციზმის წინააღმდეგ. ებრაულ *ფ-ს* ძირითად მოწინააღმდეგეებად ისევ ებრაელები ჰყავს, თუკი ეს უკანასკნელნი იუდაიზმის სეკულარიზაციისაკენ იხრებიან. ისლამური *ფ-ის* ძირითადი ამოცანაა ისლამის დაცვა ნებისმიერი სახის მოდერნიზაციისაგან და ა. შ. (იხ. აგრ. *ისლამური ფუნდამენტალიზმი*).

ფუნქცია და დისფუნქცია ამ ორ ცნებას შორის განსხვავება გვიანდელ *ფუნქციონალიზმში* რობერტ მერტონმა შემოიტანა, როდესაც იგი აანალიზებდა თანამედროვე, *სეკულარიზებული საზოგადოების* მახასიათებლებს. *ფ-ს* მერტონი განსაზღვრავს როგორც „დაკვირვებად შედეგებს, რომლებიც ხელს უწყობს მოცემული სისტემის მიმართ ადაპტაციას და შე-

გუებას". სხვანაირად რომ ითქვას, *ფ-ში* იგულისხმება გარკვეული ამოცანა (დავალება), რომელსაც რაიმე ინსტიტუტი ასრულებს უფრო ფართო სოციალური სტრუქტურებისათვის, რაც მიუთითებს მის წვლილზე სოციალური დანაწესების უწყვეტობასა და შენარჩუნებაში. რაც შეეხება *დ-ს*, მერტონის განსაზღვრებით, ესაა „ის დაკვირვებადი შედეგები, რომლებიც ამცირებენ სისტემის მიმართ ადაპტაციას და შეგუებას". მერტონი საუბრობს აგრეთვე არაფუნქციური შედეგების ემპირიულ შესაძლებლობაზე, რომელიც უბრალოდ სულერთია განსაზღველი სისტემისათვის. ნებისმიერ მოცემულ მომენტში მოვლენას შეიძლება ჰქონდეს როგორც *ფ-ური*, ისე *დ-ური* შედეგები. ეს, მერტონის მიხედვით, წარმოშობს შედეგთა ერთობლიობის წმინდა „ბოლოვადი ბალანსის" განსაზღვრის პრობლემას, როდესაც სისტემის სტაბილურობისათვის აუცილებელია შენარჩუნდეს წონასწორობა მოვლენის განსხვავებულ შედეგებს შორის.

ფუნქციონალიზმი მიმდინარეობა *სოციოლოგიასა* და *სოციალურ ანთროპოლოგიაში*, რომელიც ცდილობს სოციალური სტრუქტურების არსებობა ახსნას იმ ფუნქციების (*როლების*) მიხედვით, რომელსაც ისინი ასრულებენ მთელი *საზოგადოებისათვის*. *ფ.* მოიცავს სტრუქტურულ თეორიებს, რომელთა მიერ წარმოებული ანალიზი ორიენტირებულია უფრო მეტად საზოგადოების, ვიდრე ინდივიდის დონეზე. საზოგადოება, ამ შემთხვევაში, განიხილება როგორც ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთმარეგულირებელ ნაწილთა სისტემა. შესაბამისად, ანალიზის ფოკუსს წარმოადგენს ურთიერთდამოკიდებული ნაწილების ურთიერთმიმართება და ის, თუ რატომაა თითოეული ნაწილის ფუნქციონირება აუცილებელი სისტემის (მთელის) სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის. ფუნქციონალისტურ მიდგომას საფუძველი XIX ს-ში ჰერბერტ სპენსერმა დაუდო, რომელიც საზოგადოებას განიხილავდა ბიოლოგიურ ორგანიზმთან ანალოგიით. თუმცა, საზოგადოების შესწავლის იდეა მისი ნაწილების (სტრუქტურების) მიერ შესრულებული ფუნქციების მიხედვით აქტუალური გახდა XX ს-ის დასაწყისში, *სოციალური ანთროპოლოგიის* ბრიტანულ სკოლაში (რადკლიფ-ბრაუნი, მალინოვსკი). XX ს-ის 50-იან წლებში ძალზე პოპულარული ხდება *სტრუქტურული ფუნქციონალიზმი*, რომელიც დაკავშირებულია ტალკოტ პარსონსის სახელთან. იგი ავითარებს სისტემების თეორიას, რომლის თანახმადაც, საზოგადოებისა და მისი ცალკეული ქვესისტემის ფუნქციონირება უნდა გაანალიზდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად ასრულებენ ისინი განსაზღვრულ ფუნქციურ მოთხოვნებს. პარსონსი გამოყოფს ოთხ ასეთ მოთხოვნას: ადაპტაცია, მიზნის მიღწევა, ინტეგრაცია, ლატენტურობა (ცნობილია სახელწოდებით *აგილ-ი*). სტრუქტურული ფუნქციონალიზმისთვის დამახასიათებელია ე. წ. „ნორმატივიზმი", ანუ აღიარება ნორმატიული წესებისა და ღირებულებებისა, რომლებიც განაპირობებს ადამიანებისა და სოციალური *ორგანიზაციების* ქცევას. თეზისი იმის შესახებ, რომ ყველაფერს, რაც საზოგადოებაში არსებობს, პოზიტიური ფუნქცია აქვს, გააკრიტიკეს თანამედროვე ფუნქციონალისტებმა (რობერტ მერტონი). მერტონს თანამედროვე საზოგადოებების ფუნქციონალური ანალიზის პროცესში შემოაქვს ისეთი ცნებები, როგორიცაა დისფუნქცია, ლატენტური ფუნქცია, *ფუნქციური ეკვივალენტები* (შემცვლელები) და სხვ. საბოლოო ჯამში, ნეილ სმელზერი გამოყოფს *ფ-ის* 5 მახასიათებელს: 1. საზოგადოება ერთ მთელში გაერთიანებულ ნაწილთა სისტემაა;

2. საზოგადოებრივი სისტემები ინარჩუნებს მდგრადობას, რამდენადაც მათში არსებობს კონტროლის ისეთი შინაგანი მექანიზმები, როგორიცაა სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო; 3. მართალია, საზოგადოებაში არსებობს დისფუნქციები, მაგრამ მათი გადალახვა (დაძლევა) შესაძლებელია; 4. ცვლილებებს, როგორც წესი, აქვს ევოლუციური და არა რევოლუციური ხასიათი; 5. სოციალური *ინტეგრაცია*, ანუ განცდა იმისა, რომ საზოგადოება მყარი ქსოვილია, მოქსოვილი სხვადასხვა ძაფებისგან, ყალიბდება ღირებულებათა ერთიანი სისტემის საფუძველზე, რომელიც გაზიარებულია მოქალაქეთა უმრავლესობის მიერ.

ფ-ს რამდენიმე თვალსაზრისით აკრიტიკებენ: ა) ის კონსერვატორული მიდგომაა, აქცენტს სვამს *რა სოციალურ წესრიგ ზე* და არ ითვალისწინებს სოციალური *კონფლიქტების* და *დევიაციების* მნიშვნელოვნებას; ბ) იგი ტელეოლოგიური ხასიათისაა, რამდენადაც *სოციალურ მოქმედებას* ხსნის მისი შედეგების მიხედვით; ბ) ახდენს ინდივიდების იგნორირებას, რამდენადაც ფოკუსირდება მხოლოდ სტრუქტურულ ელემენტებზე; გ) არის აისტორიული, რამდენადაც კონცენტრირდება მხოლოდ აწმყოზე ნამყოსთვის რაიმე მნიშვნელობის მინიჭების გარეშე (იხ. *აგილი, ფუნქცია და დისფუნქცია, აშკარა და ლატენტური ფუნქციები, ფუნქციური ეკვივალენტები*).

ფუნქციური ანალიზის პოსტულატები ბრიტანული სოციალურ-ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენლების, ანუ ადრეული (XX ს-ის 20-იანი წლები) ფუნქციონალისტების (რადკლიფ-ბრაუნი, მალინოვსკი) მიერ ჩამოყალიბებული სამი ძირითადი პოსტულატი: 1. საზოგადოების ფუნქციური ერთიანობის პოსტულატი – სოციალური (კულტურული) სტანდარტები (მოვლენები) ფუნქციურია მთელი სოციალური ან კულტურული სისტემისათვის; 2. უნივერსალური *ფუნქციონალიზმის* პოსტულატი – ყველა სოციალური ან კულტურული ელემენტი ასრულებს პოზიტიურ ფუნქციას; 3. აუცილებლობის პოსტულატი – პოზიტიური ფუნქციის შესრულებასთან ერთად სოციალური ან კულტურული მოვლენები აუცილებელია (შეუცვლელია) მოცემული სისტემისათვის. მერტონი აკრიტიკებს ამ პოსტულატებს და მიიჩნევს, რომ ისინი ვალიდურია მხოლოდ პრიმიტიული, დამწერლობამდელი *საზოგადოებების* მიმართ და არ გამოდგება თანამედროვე საზოგადოებების ანალიზისათვის. მერტონი ამტკიცებს, რომ ესა თუ ის მოვლენა (ინსტიტუტი, სტრუქტურა) შეიძლება ფუნქციური მნიშვნელობის მქონე იყოს სოციალურ ერთეულთა განსაზღვრული ერთობლიობისათვის, ხოლო დისფუნქციური – სხვა ერთობლიობის მიმართ. გარდა ამისა, ერთი და იგივე ფუნქცია შეიძლება შესრულდეს ალტერნატიული სოციალური სტრუქტურების მიერ, ე. ი. ესა თუ ის სტრუქტურა არ არის შეუცვლელი ამა თუ იმ ფუნქციის შესასრულებლად. ასე შემოაქვს მერტონს *დისფუნქციის* და *ფუნქციური ეკვივალენტების* ცნებები, როგორც *ფ. ა. პ-ის* კრიტიკის მთავარი კონცეპტუალური იარაღი (იხ. *ფუნქცია და დისფუნქცია; ფუნქციური ეკვივალენტები*).

ფუნქციური ეკვივალენტები ალტერნატიული სტრუქტურები *საზოგადოებაში*, რომელთაც ისეთივე ეფექტურობით შეუძლიათ იმავე ფუნქციის შესრულება, რაც სხვა სტრუქტურებს სხვა საზოგადოებაში. ეს ტერმინი დაამკვიდრა რ. მერტონმა ადრეული *ფუნქციონალიზმის* (რადკლიფ-ბრაუნი, მალინოვსკი) მიერ წამოყენებული აუცილებლობის პოსტულატის საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმადაც, ესა

თუ ის სოციალური ინსტიტუტი ან სტრუქტურა შეუცვლელია მოცემული ფუნქციის შესასრულებლად და შეუძლებელია, ესა თუ ის ფუნქცია ალტერნატიულმა ინსტიტუტებმა (სტრუქტურებმა) შეასრულოს. მაგ., რელიგიური ინსტიტუტები საზოგადოებაში ასრულებს უნიკალურ ფუნქციას, რომლის უზრუნველყოფა არც ერთ სხვა სტრუქტურას არ შეუძლია. მერტონი ამტკიცებს, რომ აუცილებლობის პოსტულატი გამოუსადეგარია თანამედროვე, სეკულარიზებული საზოგადოების ანალიზისათვის. იგი აყალიბებს ასეთი საზოგადოებისათვის რელევანტური ფუნქციური ანალიზის ძირითად თეორემას: „ზუსტად ისე, როგორც ერთმა და იმავე მოვლენამ შეიძლება შეასრულოს მრავალრიცხოვანი ფუნქცია, ასევე, ერთი და იგივე ფუნქცია შეიძლება განსხვავებულად შესრულდეს განსხვავებული მოვლენების მიერ.“ ასე შემოდის *ფ. ე-უბის* ცნება, რომელსაც მერტონი ფუნქციურ შემცვლელებს ან ფუნქციურ ალტერნატივებსაც უწოდებს. მაგ., მალინოვსკის საპასუხოდ, რომელიც აღიარებდა *მაგიის* ინსტიტუტის შეუცვლელობას, მერტონი ამტკიცებს, რომ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დაურწმუნებლობის ელემენტები ერთვება ემოციურად მნიშვნელოვანი მიზნების განხორციელებაში, ყოველთვის მოსალოდნელია გაჩნდეს თუ მაგია არა, ფუნქციურად მისი ეკვივალენტური მოვლენა მაინც. თუმცა, აქ თავს იჩენს პრობლემა მოვლენათა (სტრუქტურათა) ცვალებადობის დიაპაზონის განსაზღვრისა, რომლის ფარგლებშიც მოვლენებს შეუძლია განსაზღვრული ფუნქციის შესრულება. თუ დავუშვებთ, რომ სტრუქტურის ნებისმიერი ცვალებადობის პირობებში, მის მიერ ფუნქციის შესრულება უზრუნველყოფილია, ასეთი დაშვება უტოპიური აზროვნება იქნება, რასაც ემპირიული მეცნიერება უნდა გაურბოდეს. მაშასადამე, ამა თუ იმ სტრუქტურის შესაძლებლობები საზოგადოებაში ყოველთვის შეზღუდულია, რაც მის *კონტექსტუალურ* ბუნებაზე მიუთითებს.

ფუნქციური წანამძღვრები ბაზისური მოთხოვნილებები (საჭიროებები), რომლებიც აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რათა *საზოგადოებამ* არსებობა შეინარჩუნოს. მაგ., მიიჩნევენ, რომ სოციალური *სტრატიფიკაციის* სისტემა აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სოციალური პოზიციები საზოგადოებაში დაიკავონ შესაბამისი უნარების მქონე ადამიანებმა; მიუთითებენ, აგრეთვე, რომ საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია ისეთი ფუნდამენტური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, როგორიცაა: ქცევის დევიანტური ფორმების ეფექტური კონტროლი, *სოციალიზაცია*, მიზანთა ერთობლივი არტიკულაცია, მიზნის მისაღწევი საშუალებების ნორმატიული რეგულირება და სხვ. პარსონსი გამოყოფს ფუნქციურ მოთხოვნილებათა ოთხ სიდიდეს (ადაპტაცია, მიზნის მიღწევა, ინტეგრაცია, ლატენტურობა – იხ. *აგილ-ი*), რომელთა რეალიზაციის გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებს. მერტონი აღნიშნავს, რომ ფუნქციური მოთხოვნილებების განსაზღვრა წინაალმდეგობას ანყდება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია მკაცრი ექსპერიმენტის ჩატარება. სხვანაირად რომ ითქვას, ძნელია განისაზღვროს, რა მოთხოვნილებები გაუჩნდება კონკრეტულ საზოგადოებას კონკრეტულ სიტუაციებში.

ქ

ქალაქი საზოგადოების არსებობის ისტორიულად კონკრეტული სოციალურ-სივრცობრივი ფორმა, რომელიც

აღმოცენდა შრომის დანაწილების, კერძოდ, სოფლის მეურნეობისაგან ხელოსნობის გამოყოფისა და საქონელგაცვლის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ჯგუფის ხელში თავმოყრის შედეგად. *ქ-ისათვის* დამახასიათებელია ადამიანთა დიდი რიცხვის თავმოყრა და მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე, ადამიანთა მოღვაწეობის მრავალგვარობისა და ინტეგრაციის მაღალი ხარისხი. მასში თავმოყრილია მრეწველობა, მეცნიერება, ხელოვნება, ინფორმაცია. *ქ.* წამყვან როლს თამაშობს საზოგადოებრივ პროგრესში. *ქ-ის* მოსახლეობისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური ცხოვრების წესი. სწრაფი *ურბანიზაციის* პროცესში სულ უფრო იზრდება *ქ-ის* მოსახლეობის რიცხვი. (იხ. *ურბანიზაციის სოციოლოგია*).

ქალაქი-სახელმწიფო იხ. *პოლისი.*

ქარიზმა თეოლოგიური თვალსაზრისით, განსაკუთრებული სულიერი თვისება, რომელიც ღვთიურია, ღვთისგან ბოძებულია. *სოციოლოგიაში ქ.* გააანალიზა მაქს ვებერმა ბატონობის ლეგიტიმური ტიპების შესახებ კონცეფციაში, როდესაც *ქ.* გამოცხადდა *საზოგადოებაში ძალაუფლების* ერთ-ერთ წყაროდ. *ქ-ული* ბატონობა დაფუძნებულია ბელადის განსაკუთრებულ თვისებებზე, რომლებიც მას არამინიერ მიმზიდველობას ანიჭებს. ბელადს მიეწერება „დიადი მისიის" შესრულება. მის მიმართ მასის დამოკიდებულება ემოციურ-მისტიკური ხასიათისაა, რაც გულისხმობს მასის, ადამიანის მიერ საკუთარი თავის სრულ მიძღვნას, ბელადის მიმართ პიეტეტს და ბრმა რწმენას. თავად ბელადი დგას სამართლებრივი და ინსტიტუციური წესრიგის გარეთ (იხ. *ბატონობა და მორჩილება; დაქვემდებარება*).

ქარიზმატული მმართველობა *ქარიზმის* ცნება სოციალურ მეცნიერებებში შემოიტანა მ. ვებერმა. ასეთი მმართველობისას ლიდერის, ბელადის კავშირი ხალხის მასასთან დამყარებულია არა რაციონალურ, არამედ ირაციონალურ ემოციურ-მისტიკურ საფუძველზე, ლიდერის – ნახევრად ღმერთის ზებუნებრივი თვისებების ბრმა რწმენაზე. ამიტომ *ქ. მ.* – არის ხელისუფლება, რომელიც ისეთი ლიდერის ერთგულებაზეა დამყარებული, რომელსაც ზეადამიანურ, თითქმის მისტიკურ თვისებებს მიაწერენ. *ქ. მ-ის* ტიპური გამოვლინებაა, მაგ., *პიროვნების კულტი.* თანამედროვე ისტორიაში ქარიზმატული ლიდერები იყვნენ: ვლადიმირ ლენინი, იოსებ სტალინი, მაჰათმა განდი, ჯავაჰარლალ ნერუ, მაო ძე დუნი, ადოლფ ჰიტლერი, ბენიტო მუსოლინი, კიმ ირ სენი, მარტინ ლუთერ კინგი და სხვ.

ქორწინება სოციალური ინსტიტუტი, სოციალური ნორმების ერთობლიობა. ისტორიულად *ქ.* სანქციას აძლევს საპირისპირო სქესის ორი ან მეტი პარტნიორის ურთიერთობას, მათს ურთიერთმოვალეობებსა და უფლებებს, რაც არსებითია *ოჯახის* ფუნქციონირებისათვის. *ქ.* თითოეულ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობითა და დამკვიდრებული ტრადიციით, *ადათ-წესებით* ნებადართული ნებაყოფლობითი კავშირია *საზოგადოების* წევრებს შორის, რაც თითოეული მათგანის გარკვეულ უფლებებსა და მოვალეობებს აღიარებს. *ქ-ის* გაბატონებული ფორმაა მეუღლეობა საპირისპირო სქესის ორ პირს შორის, თუმცა ზოგიერთ საზოგადოებაში ნებადართულია მრავალცოლიანობა და მრავალქმრიანობა (იხ. *პოლიგამია, პოლიგინია, პოლიანდრია*) და აგრეთვე ქორწინება ერთი და იმავე სქესის ადამიანებს შორის (იხ. *ოჯახის სოციოლოგია*).

ქრისტიანობა *რელიგია*, რომელიც თავის სარწმუნოებრივ მოძღვრებას, საღვთისმსახურო *რიტუალსა* და მსოფლხედვას ღვთის მიერ ქვეყნად იესო ქრისტეს მოვლინების ფაქტსა და საღვთო წერილზე (ძველი და ახალი აღთქმა) აფუძნებს. ამ ფორმალური და გარეგანი დეფინიციის გარდა შეუძლებელია სხვა განსაზღვრება, რომელსაც ყველა ქრისტიანი (ამ რელიგიის ყველა მიმდევარი) გაიზიარებდა. *ქ-ის* მიმდევრებს ასევე არა აქვთ საერთო შეხედულებები ბიბლიის შინაარსისა და ავტორიტეტის საკითხებზე. *ქ-ში* იმთავითვე იესოს ქადაგებისა და მოღვაწეობის განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს, რომლებიც არსებითად ერთმანეთს თეოლოგიური თვალსაზრისით უპირისპირდება. აქედან გამომდინარე, *ქ-ის* არსის შესახებ თითოეულ კონფესიას თავისი განმარტება აქვს. *ქ-ის* ძირითადი ფორმებია: რომაულ-კათოლიკური *ქ.* (კათოლიციზმი), აღმოსავლური *ქ.* (მართლმადიდებლობა, მონოფიზიტობა, ნესტორიანელობა და ა. შ.) და პროტესტანტიზმი. რელიგიათმცოდნეობითი თვალსაზრისით, *ქ-ის* ყველა სამი ზემოთ ნახსენები ფორმა გამოცხადებისა და ხსნის რელიგიას განეკუთვნება. ეს ნიშნავს, რომ *ქ.* საკუთარ მოძღვრებასა და ღვთისადმი თაყვანისცემას აფუძნებს არა ადამიანის გონებაზე, არამედ იესო ქრისტესა და მასში გაცხადებული ღმერთის განსაკუთრებულ გამოვლენაზე (გამოცხადება), რომლის ამოცანა და მიზანი ადამიანის ცოდვებისაგან განთავისუფლება და მარადიულ ცხოვრებასთან (ცხონება, ხსნა) ზიარებაა. *ქ-ის* ინდივიდუალისტური ფორმა სრულებით მოწყვეტილია ამა თუ იმ საეკლესიო ორგანიზაციულ მოწყობას (*ეკლესიას*, სექტას, დენომინაციას ან *კულტს*). ისტორიულად შეიძლება გამოიყოს *ქ-ის* ინდივიდუალისტი აღმსარებლის ორი ტიპი: რელიგიური ინდივიდუალისტი, რომელიც მრწამსსა და რელიგიურობას, ასევე საღვთისმსახურო რიტუალის ფორმას ქრისტიანული გამოცხადების საკუთარი ინტერპრეტაციით ქმნის; მეორე ტიპი „ეთიკური ადამიანია", რომელიც გულგრილია ეკლესიისა და დოგმის მიმართ, მაგრამ აღიარებს *ქ-ის* ზნეობრივ საფუძვლებს: ჰუმანურობის ქრისტიანულ იდეალს (ადამიანის ღირებულებასა და ღირსებას, სინდისის სიწმინდეს), ტრადიციულ საზოგადოებრივ წესრიგსა (*ქორწინება*, *ოჯახი*, აღზრდა) და სოციალურ ვალდებულება-პასუხისმგებლობას. ისტორიულად ქრისტიანობა იუდაისტური რელიგიიდან გამოდის, როგორც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველების ასრულება (წინასწარმეტყველება მესიის შესახებ) და იმავდროულად, ისრაელის ხალხის კანონებისა და მისი პოლიტიკური იმედების გადალახვა. *ქ.* მსოფლიო რელიგიაა, მას დაახლოებით ორ მილიარდზე მეტი მიმდევარი ჰყავს. *ქ.* სოციოლოგიური შესწავლის საგანია (იხ. *პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება*, ასევე *რელიგიის სოციოლოგია*).

ქრისტიანული დემოკრატია ომის შემდგომი პოლიტიკური მოძრაობა ევროპასა და ლათინურ ამერიკაში. ამ მოძრაობის საფუძველი შექმნა კათოლიკური *ეკლესიის* რეაქციამ *ლიბერალიზმსა* და *კაპიტალიზმზე*. ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციამ აიძულა კათოლიკური ეკლესია, რომელიც ჩართული იყო პოლიტიკურ ბატალიებში, საკუთარი ინტერესების დასაცავად დემოკრატიული ფორმები დაეძებნა კათოლიკური ასოციაციების სახით. XIX ს-დან ვატიკანის ძალისხმევით დაიწყო მოქმედების კათოლიკური ჯგუფების შექმნა, რათა ხელი შეეწყო იტალიური სახელმწიფოს აღორძინებისათვის. კათოლიკურმა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა უკვე პირველ მსოფლიო ომში მიაღწიეს წარმა-

ტებას იტალიასა და გერმანიაში, ხოლო შემდგომში რადიკალურად შეცვალეს თავდაპირველი დაპირისპირება *ლიბერალიზმთან* და *კაპიტალისტური* ცხოვრების წესთან და ამჯერად *სოციალიზმს* დაუპირისპირდნენ. ქრისტიანულ-დემოკრატიულმა პარტიებმა რეალურ წარმატებას მიაღწიეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, ბელგიასა და ნიდერლანდებში ხელისუფლების სათავეში ქრისტიან-დემოკრატები მოვიდნენ. ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიების შემდგომი დიდი წარმატება XX ს-ის 80-იანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ევროპის წამყვან ქვეყნებში ისინი ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ. ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიები, როგორც წესი, იცავენ ტრადიციულ ქრისტიანულ ღირებულებებს და ცენტრისტული პოზიციით გამოირჩევიან.

ქსენოფობია მტრობის გაძლიერებული განცდა ან შიში უცხოთა თუ სხვა ეთნიკური წარმომაელობის მქონე ადამიანთა მიმართ, რაც ხშირად ვლინდება არა მარტო ამგვარ ჯგუფთა მიუღებლობაში, არამედ ყოველგვარი უცხოს – ენის, ცხოვრების წესის, აზროვნების სტილისა და ა. შ. – მიუღებლობაშიც.

ქცევა, მოქმედება, სოციალური მოქმედება მოქმედების ზოგიერთი თეორია ერთმანეთისაგან განასხვავებს მოქმედებისა და ქცევის ცნებებს, ან მიუთითებს, რომ მოქმედება არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ განსაზღვრული ხასიათის ქცევაა. მაქს ვებერი მათ შორის წყალგამყოფად მიიჩნევს საზრისის ფლობის ფაქტორს. ადამიანის მოქმედების სპეციფიკას ვებერი უკავშირებს სუბიექტური საზრისის ქონას. ამისაგან განსხვავებულია ქცევა, რომელიც უსაზრისო – ავტომატურ ან ირაციონალურ – რეაქციებს წარმოადგენს. ტალკოტ პარსონსმა კიდევ უფრო გამოაცალკევა მოქმედების კომპონენტები, დაუკავშირა რა მოქმედება მიზანს, ემპირიულ სიტუაციას და ამ სიტუაციაში *აქტორის* ნორმატიულ ორიენტაციას. სხვა შემთხვევაში (ჯ. ელსტერი), განსხვავების მთავარ კრიტერიუმად გამოიყენება „ინტენციონალობის" კატეგორია და მოითხოვება, განსხვავდეს ინტენციონალური და არაინტენციონალური ქცევები, როდესაც მოქმედება განიხილება როგორც ინტენციონალური ქცევა. ეს უკანასკნელი სრულდება იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს განსაზღვრული მიზანი. ასეთი ქცევა აუცილებლად უკავშირდება მომავალს. მოქმედების ინტენციონალურ ახსნას მიმართავენ მაშინ, როდესაც შესაძლებელია მითითება მომავალ მდგომარეობაზე, რისი მიღწევაც სასურველია. რაც შეეხება განსხვავებას მოქმედებასა და სოციალურ მოქმედებას შორის, აქ საკითხი ეხება მოქმედების სოციალურობის კრიტერიუმს. ასეთ კრიტერიუმად სახელდება მოქმედების ორიენტაცია სხვა სუბიექტების (სუბიექტის) მოქმედებაზე, რაც გულისხმობს სხვათა ქცევის გაგებას და ინტერპრეტაციას. სოციალური მოქმედება, უშუალოდ თუ გაშუალებულად, ყოველთვის შეიცავს საზრისით გაჯერებულ ინტერაქციას. აქედან გამომდინარე, ვებერის მიხედვით, სოციალურ მოქმედებად არ შეიძლება ჩაითვალოს: ა) გარეგანი მოქმედება, რომელიც ორიენტირებულია მატერიალურ საგანზე; ბ) შინაგანი, ანუ საკუთარ თავზე მიმართული მოქმედება; გ) წმინდა რეაქტიული მოქმედება, რომელსაც არ ახლავს საზრისის მიხედვით ორიენტაცია; დ) მრავალი ადამიანის ერთგვაროვანი მოქმედება, რომელიც არ არის მოტივირებული სხვათა ქცევაზე ორიენტაციით, არამედ რეაქციაა გარე გამღიზიანებელზე; ე) მასობრიობის ზეგავლენით განპირობებული მოქმედება, რომელიც გასაზრისიანებული ქცევის

ფარგლებს სცილდება და სხვ. (იხ. *სოციალური მოქმედების ტიპები; სოციალური მოქმედების თეორიები*).

ღ

ღია და დახურული საზოგადოება ცნება „ღია საზოგადოება" პირველად ჰ. ბერგსონმა გამოიყენა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამ ცნებამ კ. პოპერის სოციოლოგიურ ნააზრევში შეიძინა („ღია საზოგადოება და მისი მტრები", 1957). პოპერის თანახმად, *ღ. ს-ში* არ არსებობს შეზღუდვები და ბარიერები სოციალური პოზიციების (სტატუსების) მიღებასა (შეუზღუდავი ვერტიკალური *სოციალური მობილობა*) და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში (პრესის თავისუფლება). *ღ. ს.* საზოგადოების ტიპია, რომელიც დიდ შესაძლებლობას იძლევა ადამიანის გონების თავისუფალი განვითარების, კრიტიკული დისკუსიისა და გადაწყვეტილების თავისუფალი მიღებისათვის. *ღ. ს-ისათვის* არსებითია რწმენა ადამიანისადმი, მისი გონებისა და კანონის წინაშე თანასწორობისადმი. *ღ. ს-ში* განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დისკუსიას, არ არსებობს კრიტიკისათვის აკრძალული თემები. ამის საპირისპიროდ, *დ. ს-ში* ვერტიკალური სოციალური მობილობა შეზღუდულია, სოციალური სტატუსი შვილებს ხშირად მშობლებისაგან მემკვიდრეობით გადაეცემა. ცოდნასა და ინფორმაციაზე საზოგადოების მხოლოდ გარკვეულ (პრივილეგირებულ) ფენას მიუწვდება ხელი, ასევე შეზღუდულია არსებული *ნორმებისა* და *ტრადიციების* კრიტიკა. როგორც წესი, *დ. ს.* გამოირჩევა ტრადიციულობით.

„ღია კარის" პოლიტიკა იხ. *გავლენის სფეროები.*

ღირებულება ფილოსოფიური და სოციოლოგიური კატეგორია, რომელიც გამოხატავს: 1. ობიექტის დადებით ან უარყოფით მნიშვნელობას მისი ეგზისტენციალური და რაოდენობრივი მახასიათებლების მიუხედავად (საგნობრივი *ღ.*); 2. ნორმატიულ შეფასებით დამოკიდებულებას საზოგადოებრივი მოვლენებისადმი (სუბიექტური *ღ.*). *ღ-ის* ფილოსოფიური თეორიის შექმნა უკავშირდება ლოტცესა და კოჰენის სახელებს, ხოლო *ღ-ის* სოციოლოგიური თეორია სრულყოფილად ჩამოაყალიბა მაქს ვებერმა. *ღ.* არის ყოველივე ის, რასაც მნიშვნელობა აქვს ადამიანთა მოღვაწეობისათვის. იგი მოიცავს სულიერ იდეალებს, ზნეობრივობის ნორმებსა და პრინციპებს, პოლიტიკურ და სამართლებრივ ურთიერთობებსა და ა. შ. სოციალური *ღ-ები* ის ფუნდამენტური *ნორმებია*, რომლებიც უზრუნველყოფს სოციალური სისტემის მთლიანობას, რამდენადაც მასში გამოიხატება განსაზღვრული სულიერი ფასეულობების განსაკუთრებული მნიშვნელობა მოცემული სისტემის არსებობისა და განვითარებისათვის. იგი ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ სინამდვილის მიმართ მნიშვნელობს. იგი მიზან-საშუალებათა სფეროა, რომელშიც მიზნები ბატონობს და მომავლისკენაა მიმართული.

ეპოქათა ცვალებადობის პროცესში ადგილი აქვს *ღ-თა* შეცვლას ან გადაფასებას. არსებობს *ღ-თა* სრული გადაფასების, მათი მსხვრევის, უარყოფის პროცესიც.

ღირებულებითი ორიენტაციები სოციალური სუბიექტების, პიროვნებების, *კლასების, ეთნოსების,* პროფესიული და დემოგრაფიული ჯგუფების (ახალგაზრდების, ქალების, მამაკაცებისა და სხვ.) მატერიალური, პოლიტიკური, სამართლებრივი, სულიერი ფასეულობებისადმი დამოკიდებულება, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდების

მოქმედების მიმართულებასა და *ქცევას*. სუბიექტების მიერ გაზიარებული სოციალური ღირებულებები ხდება ცხოვრების მიზანი და ამ მიზნების მისაღწევი ძირითადი საშუალება. ამით იძენენ ისინი სოციალური ქცევის მნიშვნელოვანი რეგულაციის ფუნქციას. *ლ. ო. სოციალიზაციის* პროდუქტია, ე. ი. კრებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური იმპერატივებისა და აუცილებელი ნორმატიული მოთხოვნებისა, რომლებიც წაეყენება მოცემული სოციალური ერთობის წევრს. *ლ. ო-ის* ცნება *სოციოლოგიაში* შემოიღეს უ. თომასმა (აშშ) და ფ. ზნანეცკიმ (პოლონეთი), როგორც პიროვნების სოციალური განწყობის („სოციალური ატიტუდის") მაჩვენებელი, მისი ქცევის მარეგულირებელი. *ლ. ო-ის* სიმტკიცე და თანამიმდევრულობა სუბიექტების სტაბილურობის და მყარი პოზიციების, ხოლო საწინააღმდეგო – არასტაბილურობის, *მარგინალობის* ან ფსიქიკური მოშლილობის მაჩვენებელია.

ყ

ყოფნა იხ. *ფლობა და ყოფნა*.

შ

შეზღუდული ბირთვული ომი *ბირთვული იარაღის* გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც არ გულისხმობს გლობალური *ომის* წარმოებას. *შ. ბ. ო-ის* დაწყება შეიძლება იყოს იმ *სახელმწიფოთა* იდეა, რომლებიც მოწინააღმდეგეს, ჩვეულებრივ, შეიარაღებით ჩამორჩებიან. *შ. ბ. ო-ის* იდეა ცივი ომის პერიოდში ჩაისახა. *ცივი ომის* დასრულების შემდეგ *შ. ბ. ო.* შეიძლება ორ ვითარებაში დაიწყოს: 1) ბირთვული *დიდი სახელმწიფოს* მიერ რომელიმე *ურჩი სახელმწიფოს* წინააღმდეგ ბირთვული იარაღის გამოყენების; ან 2) ორ რეგიონულ სახელმწიფოს (მაგ., ინდოეთსა და პაკისტანს) შორის ბირთვული დარტყმის გაცვლის შემთხვევაში.

შეიარაღების კონტროლი სამხედრო ძალების მშენებლობის, განლაგების ან გამოყენების ნებაყოფლობითი შეზღუდვის *პოლიტიკა*. *შ. კ-ის* *პოლიტიკა* გულისხმობს, რომ სამხედრო *ძალა საერთაშორისო პოლიტიკის* ინსტრუმენტს წარმოადგენს და მისი გამოყენება *დაშინების* მიზნებისათვის დასაშვებია. *შ. კ.* სწორედ ამით განსხვავდება *განიარაღების* პოლიტიკისაგან, რაც სამხედრო შეიარაღების სრულ მოსპობას ითვალისწინებს. *შ. კ.* ეფუძნება მოსაზრებას, რომ გამალებული შეიარაღება, რომელიც *უსაფრთხოების დილემას* წარმოშობს, *საერთაშორისო ურთიერთობების* ყველა მონაწილეს წამგებიან მდგომარეობაში აყენებს. *ცივი ომის* პირობებში *შ. კ-ის* პოლიტიკის მთავარი მიზანი საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობებში სტაბილურობის მიღწევა იყო, ხოლო შეიარაღების ნუსხაში ყველაზე მნიშვნელოვან ადგილს *მასობრივი განადგურების იარაღი* იკავებდა.

შეკავების პოლიტიკა შეერთებული შტატების პოლიტიკის წარმმართველი პრინციპი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელიც საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელებას ისახავდა მიზნად. *შ. პ.* მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში მოქმედებდა. თავდაპირველად *შ. პ-ის* იდეა ამერიკელმა დიპლომატმა ჯ. ქენანმა წამოაყენა 1947 წელს. *შ. პ-ის* ძირითადი კომპონენტები იყო სამხედრო *ალიანსები*, ეკონომიკური დახმარება და ძირგამომთხრელი საქმიანობის ფარული ხელშეწყობა, ხოლო მთავარი პრინციპები – *დაშინება* და *ინტერვენცია*. უფრო გვიანდელი

ინტერპრეტაციით, *შ. პ. კომუნიზმისა* და *ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის* გავრცელების შეზღუდვას ითვალისწინებდა.

შემეცნების სოციოლოგია *სოციოლოგიის* განყოფილება, რომელიც შეისწავლის შემეცნების, მათ შორის გაგების, ცოდნის სოციალურ პრობლემებს. საყოველთაოდ მიღებული აზრით, *შ. ს.* მრავალი სოციოლოგიური თეორიის განუყოფელი ნაწილია. მაგ., კონტის სამი სტადიის კანონი ხსნის *საზოგადოების* ინტელექტუალურ და სოციალურ განვითარებას. *შ. ს-ის* მომიჯნავე მიმართულებებია *მეცნიერების სოციოლოგია, რელიგიის სოციოლოგია, ხელოვნებისა* და *ლიტერატურის სოციოლოგია.* უკანასკნელ წლებში აშკარაა ეპისტემოლოგიური (შემეცნების თეორია ფილოსოფიაში) საკითხებისადმი სოციოლოგიური მიდგომები (მაგ., კუნის ნაშრომი მეცნიერების შესახებ).

შ. ს-ის ცენტრალური პრობლემაა შემეცნებისა და აზროვნების ყველა ისტორიული ტიპის კონკრეტული ანალიზი, თითოეული მოცემული ეპოქის სოციალურ-კულტურულ წანამძღვრებთან ურთიერთკავშირში. ეს პრინციპულად განასხვავებს *შ. ს-ს* აზროვნებისადმი ე. წ. წმინდა გნოსეოლოგიური მიდგომისაგან, რომლისთვისაც დამახასიათებელია მისი მოწყვეტა კონკრეტული ისტორიული ფონისაგან და მისი შეფასება აპრიორული ნორმების თვალსაზრისით. *შ. ს-ის* მიზანია ამ შეზღუდული და არაისტორიული მიდგომის დაძლევა. მისი ძირითადი წანამძღვარია – აზროვნება არ უნდა განიხილებოდეს სტრუქტურალისტური ავტონომიურობის მანერით, რაც ეჭვქვეშ აყენებს აზროვნების კონკრეტული ისტორიული ტიპების კონკრეტულ ურთიერთკავშირს, არც – გნოსეოლოგიური ტელეოლოგიზმის სულისკვეთებით, რაც აზროვნების მთელ ისტორიულ პროცესს ხსნის ერთი ტიპის (მაგ., რაციონალობის) საზომით. *შ. ს.* გნოსეოლოგიური მეთოდოლოგიის დახმარებით პირველად იძენს კონკრეტულობას და ისტორიულ შინაარსობრიობას. *შ. ს-ის* ყველაზე საინტერესო კონცეფციები ეკუთვნის მ. ვებერს, მ. შელერს, კ. მანჰაიმს. კ. მანჰაიმი გამოვიდა მისი პრობლემების რედუქციონისტული გადაწყვეტის წინააღმდეგ. (მაგ., *მარქსიზმის* მიხედვით, კლასობრივი და ეკონომიკური ინტერესები ძირითადია ცოდნის შემეცნების ფორმირებასა და შედეგების განსაზღვრაში). კ. მანჰაიმის გაგებით, არა მარტო კლასობრივი და ეკონომიკური ინტერესები ფიგურირებს ამ პროცესში, არამედ ჯგუფური კუთვნილება და სოციალური მდგომარეობაც არანაკლებ როლს ასრულებს ამ საქმეში. მანჰაიმი მნიშვნელოვნად განასხვავებს ცოდნის „რეალისტურ", „იდეოლოგიურ" და „უტოპიურ" ფორმებს, ავლენს თითოეულის არსებობის განმაპირობებელ სოციალურ პირობებს.

შ. ს. გამოიყენება მრავალ გამოკვლევაში, კერძოდ მეცნიერების სოციოლოგიისა და ყოფითი ცოდნის სოციალური კონსტრუირების ჩარჩოებში.

შერჩევა პოპულაციის ნაწილის შედგენა გარკვეული მიზნებითა და პროცედურების გამოყენებით. ტერმინი ხშირად გამოიყენება განმსაზღვრელი სიტყვებით, შესასწავლი სეგმენტის ან შერჩევის პროცედურის სახეობის დასაზუსტებლად. თუკი *შ.* განმსაზღვრელი სიტყვების გარეშე გამოიყენება, ჩვეულებრივ, გულისხმობენ შემთხვევით *შ-ს* ანუ *შ-ს,* როცა პოპულაციაში ობიექტები ერთნაირი ალბათობით შეიძლება იყოს არჩეული (იხ. *შერჩევის ტიპები*).

შერჩევითი ერთობლიობა ინდივიდებისა თუ შემთხვევების წილი, რომელიც ამოღებულია დიდი ჯგუფიდან.

სოციოლოგიაში *შ.ე-ს* უწოდებენ გენერალური ერთობლიობის ანუ საკვლევი პოპულაციის იმ ნაწილს (ჯგუფს), რომელიც მონაწილეობს გამოკვლევაში და მიიჩნევა მთლიანი პოპულაციის თავისებურებათა ამსახველად.

შერჩევის ტიპები მთლიანი პოპულაციიდან საკვლევი ჯგუფი ყალიბდება *შერჩევის* რამდენიმე ტიპის საფუძველზე: ა) შემთხვევითი შერჩევა. მიმართავენ ან შემთხვევითი რიცხვებს, ან სისტემატურ შერჩევას; შემთხვევითი რიცხვები გამოიყენება ყველა ინდივიდისთვის გამოკვლევაში მონაწილეობის თანაბარი შანსის უზრუნველსაყოფად. ასეთი გამოკვლევების სისტემატური ჩატარებისას პირველ ინდივიდუუმს ჩამონათვალიდან უწესრიგოდ არჩევენ, მომდევნოებს კი – დადგენილი ინტერვალების შესაბამისად. სიიაფისა და სისწრაფის გამო გამოიყენება ბაზრისა და საზოგადოებრივი აზრის საკვლევად, მაგრამ მოულოდნელობებისგან დაზღვეული არ არის (მაგ., ვინმემ შეიძლება ნებაყოფლობით მოინდომოს გამოკვლევაში მონაწილეობა). ბ) სტრატიფიცირებული შერჩევა გულისხმობს მოსახლეობის დაყოფას სტრატებად რაიმე მახასიათებლით (ასაკი, სქესი, საცხოვრებელი, სოციალური კლასი) და ყოველი სტრატიდან შემთხვევითი შერჩევით გამოსაკითხი ჯგუფის შექმნას შერჩევის რეპრეზენტატულობის (წარმომადგენლობის) გაუმჯობესების მიზნით, რამდენადაც შერჩევის მოცულობა გენერალურ ერთობლიობაში არსებული სტრატის ზომის პროპორციული ხდება. გ) კვოტური შერჩევა მიზნობრივი შერჩევის ფორმაა. მისი ზომა შეიძლება წინასწარ იყოს განსაზღვრული. გულისხმობს სტრატებად დაყოფას რაიმე მახასიათებლით და იმ ინდივიდუუმთა რაოდენობის დათვლას, რომელთა ჩართვაცაა საჭირო ყოველი კატეგორიის გენერალური პოპულაციის სტრუქტურის ასახვისათვის ანუ პოპულაციაში არსებული რაიმე ჯგუფიდან შერჩევა ხდება კვოტებით. ახლანდელ სტადიაზე გამოკვლევების ჩატარებისას შემთხვევითობა დაშვებულია, მაგრამ თითოეული უჯრედის ზომის დადგენისთანავე ამგვარი შერჩევა შეწყდება; შემთხვევითი შერჩევის ნაცვლად ჩამტარებლები ცდილობენ შესაბამისი კვოტების მიღწევას ყოველ უჯრედში, შემთხვევითობის არარსებობა კი ნიშნავს სწორი პროპორციის მიღწევას ყველა უჯრედში; შემთხვევითი შერჩევა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, რამდენადაც საკვლევი პოპულაციის ინდივიდებს გამოკვლევაში მონაწილეობის თანაბარი შანსები არა აქვთ, ამასთან, არსებობს სხვა ცვლადებთან აღრევის ალბათობაც. დ) კლასტერული შერჩევა ნათესაური ერთობლიობიდან (ჯგუფებიდან), კლასტერებიდან ირჩევს გამოსაკვლევ ჯგუფს და ნაკლებად მიმართავს შემთხვევით შერჩევას; უფრო სწრაფია და იაფი, მაგრამ თუ კლასტერები წარმომადგენლობითი არ არის, არსებობს ცვლადთა აღრევის საშიშროება. მაგ., ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულებების თაობაზე გამოკითხვები ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში ტარდება, მაგრამ კლასტერული შერჩევით შექმნილი გამოსაკითხი ჯგუფი შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს წარმომადგენლობითი კონკრეტულ რეგიონში არსებული პოლიტიკური სიტუაციის გამო.

შეფასება სოციალური კონტროლის ელემენტი: მოწონება–არმოწონება, რომელსაც ინდივიდი, ჯგუფი, *ორგანიზაცია* ან *საზოგადოება* გამოხატავს ინდივიდის მიმართ წარდგენილი მოთხოვნების შესრულების ან შეუსრულებლობის პასუხად. არსებითად, სოციალური კონტროლი იწყება სწორედ სოციალური პოზიციების ინდივიდუალური აქტების *შ-იდან*. ინდივი-

დის წინაშე საზოგადოების, როგორც ფაქტის არსებობა წარმოდგება, როგორც ინსტანცია, რომელიც მას უპირისპირდება. ინდივიდუალური მოქმედება, შედის რა სოციალურ სამყაროში, თავის განსაზღვრებას, *შ-ს* იღებს. მისი არსი, აზრი და მნიშვნელობა განისაზღვრება სოციალური მიზნებით. ინდივიდუალური აქტის მიერ სოციალური თვისების, სოციალური განსაზღვრულობის მიღება, მისი აზრისა და მნიშვნელობის *შ.* საზოგადოების მხრიდან, ამასთან ერთად არის საზოგადოების რეაქციის ფორმა ინდივიდუალურ აქტზე. *შ-ზე* არის დამოკიდებული ინდივიდუალური აქტების მომავალი ბედი, მათი განმეორება ან შეწყვეტა.

შიდა ანალოგია *საერთაშორისო ურთიერთობების* განსაკა ცალკეული სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებიდან მიღებული გამოცდილების მიხედვით. ყველაზე ხშირად *შ.ა-ით საერთაშორისო ურთიერთობების* განხილვა ჰობსის „ლევიათანის“ მაგალითზე ხდება. განსხვავება, რომელიც *საერთაშორისო წესრიგსა* და შიდასახელმწიფოებრივ წესრიგს შორის არსებობს, ყველაზე დამაჯერებლად ჰედლი ბულმა აღწერა.

შობადობა მოსახლეობის აღწარმოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. ტერმინი აღნიშნავს ბავშვთა შობას არა ცალკეული შემთხვევების, არამედ ერთობლივი პროცესის სახით ადამიანთა ჯგუფების (ასაკობრივ, ეთნიკურ და ტერიტორიულ ჭრილში) ან მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის მასშტაბით. ბავშვთა სიკვდილიანობასთან, საერთო სიკვდილიანობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობასთან ერთად *შ.* მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. *შ-ის* დონეზე მოქმედებს სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი, ისტორიული, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული, ბიოლოგიური და სხვ. ფაქტორები. მაგ., ქალების მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში, ბავშვთა დაწესებულებებით უზრუნველყოფა, მოსახლეობის კულტურული დონე, ჯანდაცვის განვითარების დონე, დაქორწინების ასაკი და სხვ.

შოვინიზმი საკუთარი *ერის* გამორჩეულობის ბაზაზე სხვა ერებისადმი სიძულვილის *იდეოლოგია* და პრაქტიკა. ტერმინი პოლიტიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდა ნაპოლეონის დაპყრობითი ომების აპოლოგეტის, ვინმე შოვენის სახელიდან. როგორც წესი, შოვინისტები ერთი ერის გამორჩეულობის ან მისი „მსოფლიო ისტორიული მისიის“ მტკიცების საფუძველზე ამართლებენ ამ ერის მიერ სხვა „არასრულყოფილი“ ერების დამორჩილებას. *შ-ს* შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ საერთაშორისო, არამედ შიდასახელმწიფოებრივი ხასიათიც, როდესაც მრავალეროვნულ სახელმწიფოში „სატიტულო“ ერი იწყებს სხვა *ეთნოსებთან* შედარებით თავისი გამორჩეული როლის მტკიცებას.

შრომა ადამიანის გაცნობიერებული, გამიზნული ფიზიკური ან გონებრივი საქმიანობა, რომლის შედეგადაც მატერიალური ან არამატერიალური პროდუქტი იქმნება და რომელიც ადამიანის სულიერი და ფიზიკური არსებობის შენარჩუნებას ემსახურება. ეკონომიკაში *შ.* კაპიტალთან და მიწასთან ერთად წარმოების ფაქტორს წარმოადგენს. *მარქსიზმში* ხაზგასმულია *შ-ის* ორმაგი ხასიათი: აბსტრაქტული და კონკრეტული. აბსტრაქტული *შ-ის* შედეგად იქმნება გაცვლითი ღირებულება და ახალი ღირებულება, მაშინ როცა კონკრეტული *შ.* მხოლოდ სახმარ ღირებულებას წარმოშობს. ანაზღაურებადი სამუშაო, მარქსის აზ-

რით – შ, *რომელიც* აუცილებელია წარმოების უზრუნველსაყოფად – ანაზღაურების გარეშე შეუძლებელია. ზოგადად, ანაზღაურებადი ეწოდება *იმ შ-ს*, *რომელშიც* შესაძლებელია საფასურის მიღება. მარტივია ისეთი *შ*, *რომლის* შესრულება შესაძლებელია სპეციფიკური ცოდნისა და *კვალიფიკაციის* გარეშე. ეს ტერმინი ასევე *მარქსი*ზმიდან მომდინარეობს. *რთული შ.* მარტივის საპირისპიროა. *რთული შ-ით* იქმნება მაღალი ღირებულების მქონე საქონელი. გაუცხოებული *შ*, *მარქსის* თანახმად, არის მომუშავის დამოკიდებულების ხასიათი მის მიერვე შექმნილ პროდუქტთან, *რომელიც* მას არ ეკუთვნის. *მონოტონური შ.* მექანიზებულ და *შ-ის* *პროცესებად* დანაწევრებულ წარმოებაში სამუშაო ადგილის მქონეებს მოეთხოვებათ განმეორებადი, სპეციფიკური მოქმედება. ეს მოქმედება ხორციელდება დიდი გონებრივი და ფიზიკური ძალისხმევის გარეშე, *რაც* კიდევ უფრო აძლიერებს მონოტონურობას. *გონებრივი შ.* საქმიანობა, *სადაც* *შ-ის* *პროდუქტი* ფიზიკური მოქმედების გარეშე ანუ „თავით მუშაობით" იქმნება.

შრომის საზოგადოებრივი განაწილება *ამ* კატეგორიას აქვს ორი მნიშვნელობა: **1.** *პირველი* მნიშვნელობა დაკავშირებულია ეკონომიკურ ეფექტურობასთან და წარმოების *პროცესში* შესასრულებელი ოპერაციების განაწილებასთან. ესაა *წარმოების* *პროცესში* ოპერაციების ტექნიკური განაწილება, *რის* შედეგადაც შრომა ხდება უფრო სპეციალიზებული. *კლასიკური* ეკონომიკური *თეორიის* *წარმომადგენლები* (ა. სმიტი) *შ. ს. გ-ის* *კატეგორიას* სწორედ *ამ* მნიშვნელობით იყენებდნენ. ასეთი *განაწილება* ზრდის *წარმოების* *პროცესის* ეფექტურობასა და *შრომის* ნაყოფიერებას. *ეკონომიკური* *თეორიის* *თანახმად*, *შ. ს. გ-მ* *გამოიწვია* *საერთაშორისო* ვაჭრობის *განვითარება* (*შედარებითი* *უპირატესობების* *თეორია*); **2.** *შ. ს. გ-ის* *კატეგორია* *სოციოლოგიაში* *მოვლენათა* *უფრო* *ფართო* *სპექტრს* *აღწერს*. *ესაა* *საზოგადოებაში* *პროფესიული* *სპეციალიზაციის* *და* *ზოგადად*, *საზოგადოებრივი* *ცხოვრების* *ცალკეულ* *სფეროებად* *და* *ინსტიტუტებად* (*ოჯახი*, *სახელმწიფო*, *ეკლესია* *და* *ა. შ.*) *დიფერენცირება*.

შ. ს. გ-ის *კატეგორიას* *ცენტრალური* *როლი* *მიენიჭა* *ფუნქციონალისტურ* *პარადიგმებში* (ჰ. სპენსერი, ე. დიურკემი, ტ. პარსონსი). ე. *დიურკემის* *თეორიაში* *შ. ს. გ-ის* *ფორმა* *მიჩნეულია* *საზოგადოებათა* *კლასიფიკაციის* *ერთ-ერთ* *უმნიშვნელოვანეს* *კრიტერიუმად*. *პირველყოფილი* *და* *თანამედროვე* *საზოგადოებები* *სწორედ* *იმით* *განსხვავდება* *ერთმანეთისგან*, *რომ* *პირველყოფილი* *საზოგადოება* *ხასიათდება* *შრომის* *განაწილების* *დაბალი* *ხარისხით*, *რაც* *დაკავშირებულია* *ძლიერ* *კოლექტიურ* *ცნობიერებასთან* *და* *საზოგადოების* *სეგმენტურ* *სტრუქტურასთან* (*იხ. მექანიკური* *სოლიდარობა*). *რაც* *შეეხება* *თანამედროვე* *საზოგადოებას*, *მისთვის* *დამახასიათებელია* *სოლიდარობის* *ორგანული* *ტიპი*, *რაც* *გამოწვეულია* *შ. ს. გ-ისა* *და* *საზოგადოების* *სხვადასხვა* *სეგმენტს* *შორის* *ურთიერთდამოკიდებულების* *მაღალი* *ხარისხით*.

თანამედროვე *სოციოლოგიურ* *თეორიებში* *შ. ს. გ-ის* *ანალიზი* *ხდება* *სოციალური* *სტრატიფიკაციისა* *და* *მობილურობის* *თეორიის* *ფარგლებში*. *გარდა* *ამისა*, *ინდუსტრიული* *სოციოლოგიის* *წარმომადგენლები* *იკვლევენ* *შრომის* *პროცესის* *სპეციალიზაციის*, *ავტომატიზაციისა* *და* *რაციონალიზაციის* *პროცესთან* *დაკავშირებულ* *სოციალურ* *და* *ფსიქოლოგიურ* *დაძაბულობას*, *უკიდურესად* *სპეციალიზებული* *შრომის* *პროცესში* *მოტივაციისა* *და* *ანომიის* *პრობლემებს*.

შრომის სოციოლოგია – *იხ. ინდუსტრიული* *სოციოლოგია*.

ჩ

ჩართული დაკვირვება (მონაწილეობითი დაკვირვება) სოციალური ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი. იგი ფართოდ გამოიყენება *სოციოლოგიაში, ანთროპოლოგიასა* და *ეთნოგრაფიაში.* მისი სპეციფიკა ისაა, რომ მკვლევარი ხდება იმ სოციალური ჯგუფის (ან სიტუაციის) წევრი, რომელსაც იკვლევს. დამკვირვებელი თავის თავზე იღებს ჯგუფში გარკვეული როლის შესრულებას და ბუნებრივი სოციალური აქტივობის მონაწილე ხდება. *ჩ. დ.* გულისხმობს ობიექტის ხანგრძლივ შესწავლას ბუნებრივ პირობებში, მის მიზანმიმართულ, სისტემატურ, უშუალო ვიზუალურ და სმენით აღქმას (თვალყურის დევნებას), გამოკვლევის მიზნებისა და ამოცანებისთვის მნიშვნელობის მქონე სოციალური ფაქტების, მოვლენების, პროცესების რეგისტრაციას.

ჩ. დ-ის სახეობა: გამჟღავნებული (ღია) (overt observation) და გაუმჟღავნებელი (ფარული) (covert observation). ღია (გამჟღავნებული) მონაწილეობითი დაკვირვება ტარდება შესასწავლ სუბიექტთან შეთანხმების საფუძველზე.- ეს შეთანხმება შეიძლება იყოს უსიტყვო ან ფორმალურად გამოხატული. ფარული მონაწილეობითი დაკვირვება ხდება შესასწავლი სოციალური ერთობის გაფრთხილებისა და თანხმობის გარეშე, ჯგუფის წევრებმა არ იციან, რომ მათ აკვირდებიან, მათთვის უცნობია გამოკვლევის ჩატარების ფაქტი, მკვლევრის ფუნქციები და მოტივები. *ჩ. დ-ის* ტიპების არჩევას განსაზღვრავს კვლევის მიზნები და ამოცანები, აგრეთვე შესასწავლი პრობლემა. ჩართული გაუმჟღავნებელი მეთოდი შეუცვლელია იმ დახურული და დეევიანტური ერთობების გამოკვლევის დროს, რომელთა შესწავლა სხვა მეთოდებით შეუძლებელია.

ჩ. დ-ს განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ თვისებრივ სოციოლოგიაში. ხშირად მას *საველე გამოკვლევას* უწოდებენ, რადგან ობიექტის შესწავლა ბუნებრივ პირობებში ხდება.

ჩ. დ-ის ჩატარების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება დამკვირვებლის კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმს, მის პიროვნულ თვისებებს.

რ. გოულდი განასხვავებს დამკვირვებლის ოთხ ტიპს: 1. სრული მონაწილე, 2. მონაწილე დამკვირვებელი, 3. დამკვირვებელი მონაწილე და 4. სრული დამკვირვებელი.

ჩ. დ-ით მიღებულ მონაცემებს *კალიდურობისა* და სანდოობის უფრო მაღალი ხარისხი აქვს, ვიდრე სხვა მეთოდებით მიღებულ სოციალურ ინფორმაციას.

ზოგჯერ ტერმინს „მონაწილეობითი დაკვირვება" უფრო ფართო მნიშვნელობით ხმარობენ. ზოგიერთი სოციოლოგი *მ. დ-ს* მიიჩნევს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან სტრატეგიად, რომლის მიზანია შესასწავლი სფეროს ღრმა შესწავლა (მაგ., რელიგიური, პროფესიული ან დეევიანტური ჯგუფების) ბუნებრივ პირობებში მყოფ ადამიანებთან ინტენსიური ურთიერთობის საშუალებით. ასეთი კვლევის დროს გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი: არაფორმალური *ინტერვიუ,* უშუალო, ღია *დაკვირვება, ჩ. დ.,* კოლექტიური დისკუსიები, ჯგუფის წევრების პირადი დოკუმენტების ანალიზი, თვითანალიზი, ცხოვრების ისტორიები.

ზოგიერთი მკვლევარი ტერმინებს „ჩართული დაკვირვება" და „საველე გამოკვლევა" ეკვივალენტურად იყენებს.

ჩაურევლობა თანამედროვე საერთაშორისო სისტემის მთავარი პრინციპი, რომელიც *სახელმწიფოთა* დამოუკიდებლობასა და სუვერენულ თანასწორობას ეფუძნება. *საერთაშორისო სამართლისა* და *დიპლომატიური* პრაქ-

ტიკის მიხედვით, დაუშვებელია უცხო სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევა. ეს პრინციპი ვესტფალიის ზავით დანესებული პრინციპის – ვინც მართავს, რწმენასაც განაგებს (cuius regio, eius religio) – ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა (იხ. აგრ. *ვესტფალიის სისტემა*). *ჩ-ის* პრინციპი, როგორც თავად *სუვერენიტეტი*, აბსოლუტური არ არის. *ინტერვენცია* (რომელიც *ჩ-ის* საწინააღმდეგო ცნებაა) *საერთაშორისო ურთიერთობების* თანამდევი მოვლენა იყო და დღემდე ამგვარად რჩება. ამრიგად, *ჩ-ის* პრინციპი, მისი ფუნდამენტური ხასიათის მიუხედავად, საერთაშორისო ურთიერთობებში წმინდა ფორმით არასოდეს არსებულა. საერთაშორისო ურთიერთობებში *საერთაშორისო ორგანიზაციების* როლის ზრდისა და *მსოფლიო მთავრობის* შექმნის შემთხვევაში *ჩ-ის* პრინციპის მოქმედების არეალი კიდევ უფრო მეტად დავიწროვდება. გაეროს 1970 წლის დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ ამგვარად განსაზღვრავს *ჩ-ის* შინაარსს: „არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არა აქვს უფლება ჩაერიოს პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რა მიზეზითაც უნდა იყოს, სხვა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში; დაუშვებელია შეიარაღებული ჩარევა და ჩარევის ყველა სხვა ფორმა ან ყოველგვარი მუქარა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს სამართალსუბიექტობის ან მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საფუძვლების წინააღმდეგ; ისეთი ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს სხვა სახელმწიფოს დამორჩილებას, მის სუვერენულ უფლებათა შელახვასა და მისგან რაიმე უპირატესობის მიღებას; არც ერთი სახელმწიფო არ უნდა მიმართავდეს შეიარაღებულ, ძირგამომთხრელ ან ტერორისტულ ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავს მეორე სახელმწიფოს წესწყობილების შეცვლას ძალადობის გზით; ყოველ სახელმწიფოს დაუშვებლად უნდა მიაჩნდეს ასეთი ქმედებები და უარი თქვას მათთვის დახმარების გაწევაზე, მათ დაფინანსებაზე, წაქეზებაზე და არ უნდა ერეოდეს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიმდინარე შინაომებში“. წესდება უფლებას არ აძლევს გაეროს, ჩაერიოს ისეთ საქმეებში, რომლებიც არსებითად ნებისმიერი სახელმწიფოს საშინაო კომპეტენციას მიეკუთვნება, მაგრამ ეს პრინციპი არ ეხება იძულებითი ზომების გამოყენებას, ანუ როდესაც გაერო მიმართავს ქმედებებს *„მშვიდობისადმი* საფრთხის, მშვიდობის დარღვევისა და *აგრესიის* მიმართ“. *ჩ-ის* პრინციპი ასევე არ ვრცელდება *ადამიანის უფლებათა* ისეთ უხეშ და სისტემატურ დარღვევებზე, როგორიცაა *გენოციდი, აპართეიდი, ეთნიკური წმენდა*, სხვა დანაშაულობანი კაცობრიობის წინააღმდეგ (იხ. *ჰუმანიტარული ინტერვენცია*).

ტერმინი *ჩ.* აღნიშნავს, აგრეთვე, საგარეო პოლიტიკასა და საერთაშორისო სამართალში დამკვიდრებულ სახელმწიფო პოზიციას, რომელიც გამოიხატება ომის მონაწილე რომელიმე მხარისათვის დახმარების გაწევისაგან თავის შეკავებით (იხ. *მიუმხრობლობა, ნეიტრალიზმი, ნეიტრალიტეტი*).

ჩიკაგოს სკოლა ჩამოყალიბდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში. ამ სკოლამ სათავე დაუდო რამდენიმე ახალ სოციოლოგიურ მიმდინარეობას. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია *ქალაქის სოციოლოგია* და *სიმბოლური ინტერაქციონიზმი*. ქალაქის სოციოლოგიური კვლევები ეფუძნებოდა ქ. ჩიკაგოს სწრაფცვალებადი სოციალური ცხოვრების ემპირიულ შესწავლას, რომელიც დაუკავშირდა რ. მაკენზის, რ. არკის, ე. ბერჯესისა და სხვათა სახელებს. ამ ცვლილებების ძირითადი მიზეზი იყო ჩიკაგოში ახალმოსახლეთა

დიდი ნაკადის ჩასვლა, რამაც გამოიწვია განსხვავებული ჯგუფებისა და ტერიტორიული ერთობების გაჩენა (მაგ., პრიტონების რაიონი, ებრაული გეტო, შავკანიანთა უბანი და სხვ.). რაც შეეხება სიმბოლურ ინტერაქციონიზმს, მისი მთავარი „არქიტექტორია“ ჯორჯ მიდი (იხ. *სიმბოლური ინტერაქციონიზმი*).

ჩრდილოეთი–სამხრეთი XX ს-ის *საერთაშორისო სისტემის* ბიპოლარული დაყოფის ერთ-ერთი სახე, რომელიც განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებსა და *მესამე სამყაროს* განვითარებად ქვეყნებს შორის ურთიერთობებს აღნიშნავდა. *ჩ-ს-ის* დიქოტომია *დეკოლონიზაციის* პროცესის შედეგად გაჩნდა. *ჩ-ს-ის* დაპირისპირების თავდაპირველი მიზეზი პოლიტიკური იყო. სამხრეთის (მესამე სამყაროს) ქვეყნებმა *მიუმხრობლობის* მოძრაობის საშუალებით სცადეს თავი დაეღწიათ შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ზეგავლენისაგან და ყოფილი მეტროპოლიების მხრიდან *ინტერვენციისაგან*. მოგვიანებით, *ჩ-ს-ის* დაპირისპირების წინა პლანზე ეკონომიკურმა საკითხებმა წამოიწია, რაც ვაჭრობასა და ფინანსებში სამხრეთის ქვეყნების ჩრდილოეთის ქვეყნებზე დამოკიდებულებამ განაპირობა. სამხრეთის ქვეყნები *საერთაშორისო ორგანიზაციების* (მათ შორის გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის) გამოყენებით ცდილობდნენ ეიძულებინათ ჩრდილოეთი მეტი ყურადღება მიექცია სამხრეთის პრობლემებისათვის. სამხრეთის ქვეყნების ყველაზე წარმატებული შეთანხმებული ქმედება ჩრდილოეთის წინააღმდეგ ნავთობის ექსპორტიორი სახელმწიფოების ორგანიზაციის, „ოპეკის“ დაარსება აღმოჩნდა, რამაც ჩრდილოეთის ქვეყნებს თავდაპირველად სერიოზული ენერგეტიკული პრობლემები შეუქმნა. სამხრეთის ეკონომიკური მოთხოვნები XX ს-ის 70-იან წლებში ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის იდეოლოგიის სახით ჩამოყალიბდა. *ცივი ომის* დასრულებამ *ჩ-ს-ის* ურთიერთობებზე შედარებით ნაკლები გავლენა მოახდინა. სამხრეთის ქვეყნებმა საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად ჩრდილოეთის ქვეყნებზე პოლიტიკური ზემოქმედების ერთ-ერთი ბერკეტი დაკარგეს. ამჟამად სამხრეთის ბლოკში პოლიტიკური სოლიდარობა თითქმის დაკარგულია.

ჩრდილოვანი კაბინეტი ალტერნატიული მთავრობა, რომელიც ჩამოყალიბებულია არსებული მთავრობის საპირისპიროდ ოპოზიციური პოლიტიკური ძალების ლიდერების მიერ. რეალური მთავრობის ყოველ წევრს ჰყავს თავისი ჩრდილოვანი ოპონენტი ოპოზიციურ მთავრობაში. იდეის მიხედვით, *ოპოზიციის* ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში *ჩ.კ.* ლეგიტიმურ მთავრობად იქცევა, თუმცა ამგვარი პრაქტიკა, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების მრავალფეროვან თავისებურებათა ზეგავლენით, ხშირად გარკვეულ კორექტირებას განიცდის. მმარცხენე *პარტიები* კაბინეტის წევრებს ირჩევენ, მმარჯვენეებთან კი გავრცელებულია პოტენციური მინისტრების პარტიული ხელმძღვანელობის მიერ დანიშნა. *ჩ.კ-ის* ჩამოყალიბება, როგორც წესი, ორპარტიული სისტემებისათვის არის დამახასიათებელი, როდესაც ერთი პარტია ადრე თუ გვიან შეცვლის მეორეს ხელისუფლების სათავეში. იმ პოლიტიკურ სისტემებში, სადაც მრავალპარტიულობა ჭარბობს და, შესაბამისად, მთავრობებიც კოალიციურად შედგება, *ჩ.კ-ის* შექმნა მიზანშეუწონელია.

ცენტრალიზმი

ცენტრალიზმი მმართველობისა და ორგანიზაციის სისტემა, რომლის

დროსაც სტრუქტურული ელემენტები ურთიერთდაქვემდებარებულია იმგვარად, რომ ყოველი ელემენტი ერთმნიშვნელოვნადაა განსაზღვრული ზემდგომი ინსტანციით და ასეთივე სახით განსაზღვრავს ქვემდგომს. ამასთან, *ცენ*ის აუცილებელ პირობას ის წარმოადგენს, რომ მთელი სისტემა იმართება ერთი ცენტრიდან. მმართველობისა და ორგანიზაციის მსგავსი პოლიტიკური სისტემის ყველაზე ნათელი ნიმუში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იყო.

ცენტრისტული პარტია პოლიტიკური სპექტრის ერთგანზომილებიანი განაწილების პირობებში ასეთად ითვლება *პარტია*, რომელსაც მარცხენა და მარჯვენა მხარეს სხვა პარტია ჰყავს. სოციალური სტრუქტურის ჭრილში *ცპ*. გამოხატავს საშუალო *კლასების* ინტერესებს, მაშინ როდესაც ცენტრისტების მარცხნივ და მარჯვნივ მყოფი სხვა პარტიები იცავენ ან მშრომელი, ან საზოგადოების უმაღლესი ფენების ინტერესებს. პარტიების ერთ სპექტრზე განაწილების ამგვარი სტრუქტურა მხოლოდ ერთია სხვა შესაძლო განაწილებებს შორის და, შესაბამისად, თავად *ცპ*-ს გაგება სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში არაერთგვაროვანია. ასე მაგ., იმპერიულ გერმანიაში *ცპ*-დ ითვლებოდა კათოლიკური პარტია, რომელიც თუმცა კონსერვატიული იყო თავისი იდეალებით, მაინც თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა ნაციონალისტური მუმარცხენე პარტიებისაგან. შვეიცარიაში *ცპ*. დაარსდა 1910 წელს. ეს იყო ფერმერების კავშირი. *ინდუსტრიალიზაციის* შემდეგ, როდესაც *სოფლის* ცხოვრება, თავად ფერმერული მეურნეობები მნიშვნელოვნად გარდაიქმნა, პარტიამ სახელი შეიცვალა და მოგვეკლინა „შვეიცის ცენტრისტულ პარტიად". *ცპ-ების* წარმატება-წარუმატებლობა პოლიტიკურ არენაზე დიდადაა დამოკიდებული როგორც ქვეყნის საარჩევნო სისტემაზე, ასევე კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაზე. გერმანიის *ცპ*., თავისუფალი დემოკრატები დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ ხელისუფლებაში, რადგან ისინი სჭირდებოდათ როგორც ქრისტიან-დემოკრატებს, ასევე სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც მარტო უჭირდათ უმრავლესობის მოპოვება ბუნდესტაგში. ორპარტიული *საარჩევნო სისტემის* პირობებში, საპირისპირო ვითარებაში აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთის ცენტრისტული, ლიბერალური პარტია.

ცვლადი მახასიათებელი, ნიშანი, რომელსაც ერთზე მეტი კატეგორია (ან ღირებულება) აქვს და რომლის გაზომვა შესაძლებელია. *ცვ*. შესასწავლი ობიექტის (დაკვირვების ერთეულების) საერთო თვისებაა, რომლის კონკრეტული გამოვლინებები (*ცენ*ის მნიშვნელობები) ობიექტის შესაბამისად იცვლება. ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენება ემპირიულ გამოკვლევებში. სოციოლოგიური კვლევების ტიპური *ცვ-ებია*: ასაკი, სქესი, სოციალური ფენა, ეთნიკური კუთვნილება (ეთნიკური ჯგუფის წევრობა), განათლების დონე, საქმიანობის სფერო, თანამდებობრივი სტატუსი, შემოსავლის დონე და სხვ. *ცვ-ები* ასახავს ადამიანთა გარკვეული ერთობის ფარგლებში არსებულ განსხვავებებს. მათი საშუალებით ხდება სხვადასხვა ინდივიდებისა და ერთობების დაჯგუფება გარკვეული კრიტერიუმის ფარგლებში. *ცვ-ები* არაა მუდმივი, ისინი შეიძლება იცვლებოდეს კონტინუუმის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ერთი და იგივე ფაქტორი ერთ გამოკვლევაში შეიძლება იყოს დამოუკიდებელი *ცვ*., მეორეში კი – დამოკიდებული, იმისდა მიხედვით, რომელი მიზნობრივი პროცესების გაანალიზებაა საჭირო. *ცენ*ის ძირითადი ნიშანია ის, რომ მას შეუძლია ასახოს ცვლილებები მოსახლეობის შიგ-

ნით, მიიღოს სხვადასხვა მნიშვნელობები.

სოციოლოგიურ გამოკვლევაში *ც.* ხშირად ინდიკატორთან გაიგივდება. სოციოლოგიური გამოკვლევების დანიშნულებაა, გამოავლინოს და გაზომოს *ცუბი*, რომლებიც დამახასიათებელია რომელიმე მოვლენისათვის, შემდეგ კი ისინი სხვა *ცუბის* მოქმედებით ახსნას.

ცუბი სხვადასხვა ტიპისაა. მიზეზისა და შედეგის მიხედვით განასხვავებენ დამოუკიდებელ, დამოკიდებულ და შერეულ *ცუბს*. დამოუკიდებელია *ც.*, რომელსაც სავარაუდოდ შეუძლია სხვა *ცის* (ან *ცუბის*) შეცვლა. დამოუკიდებელი *ც.* ხსნის ან იწვევს ცვლილებებს შესასწავლ მოვლენაში. დამოკიდებულია *ც.*, რომელზეც ზეგავლენას ახდენს დამოუკიდებელი *ც.* ან სხვა ფაქტორი. შერეული *ც.* არის გარდამავალი საშუალება, რომლითაც დამოუკიდებელი *ც.* გავლენას ახდენს დამოკიდებულ *ც-ზე*, მაგ., თუ საჭიროა გამოკვლევა, რა გავლენას ახდენს განათლება შემოსავალზე გარკვეულ სამსახურში ყოფნისას, განათლება იქნება დამოუკიდებელი *ც.*, შემოსავალი კი – დამოკიდებული. სამსახური მოყვანილ მაგალითში გამოდის როგორც შერეული *ც*

არსებობს პირველადი და მეორადი *ცუბი*. პირველადი *ცის* მნიშვნელობები უშუალოდ მონაცემების მოპოვებისას მიიღება, მეორადის კი – მონაცემების დამუშავების შედეგად. *ცუბი* შეიძლება დაიყოს თვისებრივ და რაოდენობრივ *ცუბად*. თვისებრივ *ცუბს* ატრიბუტულსაც უწოდებენ. რაოდენობრივი *ცუბი* ორი სახისაა: დისკრეტული და უწყვეტი.

ცივილიზაცია *ცს* სამი განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ამ სიტყვის პირველი და მესამე მნიშვნელობა ყველა ენაში გამოიყენება, ხოლო მეორე მნიშვნელობა აზროვნების მხოლოდ გერმანულ ტრადიციას უკავშირდება.

1. *ც.* – ცხოვრების წესი, რომელიც დიდ სივრცეზეა განფენილი, აქვს დამოუკიდებელი ღირებულებათა სისტემა და სამყაროს სურათი, ასევე სპეციფიკური *ეკონომიკა* და ბატონობის ფორმა. ამ აზრით შეიძლება ვილაპარაკოთ ქრისტიანულ, დასავლურ და ა. შ. *ც-ზე*. ამგვარად გაგებული *ც.* ხშირად *კულტურის* ცნების სინონიმია. **2.** გერმანულ ტრადიციაში ხშირად *ცის* ცნება კულტურის ცნებასთან არის დაპირისპირებული, მაგ., ფრიდრიხ ნიცშე (1844-1900) წერდა კულტურასა და *ცს* შორის ძირეულ დაპირისპირებაზე. კულტურასა და *ცს* შორის განსხვავებაზე პირველად გერმანელმა სოციოლოგმა ალფრედ ვებერმა (1868-1958) მიუთითა. გერმანულ სამეცნიერო ტრადიციაში *ც.* გულისხმობს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების წმინდა ინსტრუმენტულ გამოყენებას. *ც.* არსებულ ცოდნას, უნარ-ჩვევებს, ორგანიზაციებს მხოლოდ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ცხოვრების პრაქტიკული პრობლემების გადაჭრას უქვემდებარებს, რასაც შედეგად ადამიანზე ტექნიკის ბატონობა მოაქვს. მაშინ როცა კულტურა აღწერს მიღწევებს, ცოდნას, მოქმედებებს, ობიექტებსა და ინსტიტუტებს, რომელთაც თავისთავადი, დამოუკიდებელი ღირებულება აქვთ და რომლებიც ყოველდღიური, პროფანული ცხოვრების მოთხოვნილებებზე მაღლა დგას. კულტურა არსებითად *რელიგიას*, ხელოვნებასა და მორალს ანიჭებს უპირატესობას და მათ ექვემდებარება, მაშინ როცა *ც-ში* მეცნიერებასა და ტექნიკასთან ერთად ეკონომიკის, *პოლიტიკისა* და სამართლის პრიმატია აღიარებული. **3.** *ც.* (ცივილიზება) ნიშნავს ლტოლვისა და აფექტის რეგულირების პროცესს, ძალადობისა და ძალადობისათვის მზაობის შემცირება-მოხსნას და ურთიერთობის ფორმებისა და ზნე-ჩვეულებების დახვეწას. ამ აზრით ცნება „ცივილიზაცია“ (ცივილიზებუ-

ლი) უპირისპირდება ველურობასა და ბარბაროსობას. ცნება „ცივილიზაციას“ ამ მნიშვნელობით იყენებდნენ ფრანგულ და ინგლისურ განმანათლებლობაში.

სოციოლოგმა ნ. ელიასმა (1897-1990) შემოიტანა „ცივილიზაციის პროცესის“ ცნება. *ცივილიზაციის პროცესი საზოგადოების* იმგვარი განვითარების შედეგი და ფუნქციაა, როგორიცაა საზოგადოების მზარდი დიფერენციაცია, დამოუკიდებლობა და სახელმწიფო მონოპოლიის შემცირება.

ცივილიზაციათა შეჯახება კონცეფცია, რომელიც ეკუთვნის ცნობილ ამერიკელ მეცნიერს სამუელ ჰანტინგტონს და გამოსატულია 1993 წელს ჟურნალ „ფორინ აფეარზ-ში“ გამოქვეყნებულ და ფართოდ გახმაურებულ სტატიაში „ცივილიზაციათა შეჯახება“. ჰანტინგტონის აზრით, *ცივი ომის* დამთავრების შემდეგ შეიქმნა პირობები ახალი და უკიდურესად საშიში *კონფლიქტების* წარმოშობისათვის, რაც დაკავშირებულია კულტურულ-რელიგიურ და ეთნიკურ განსხვავებებთან. თუ აქამდე ომები *დინასტიებს, იმპერიებსა* და *იდეოლოგიებს* შორის წინააღმდეგობების შედეგი იყო, მომავალში კონფლიქტების მთავარი მიზეზი *ცივილიზაციათა* შორის დაპირისპირება იქნება. ჰანტინგტონი გამოყოფს რვა ძირითად ცივილიზაციას: დასავლურს, სლავურ-მართლმადიდებლურს, ისლამურს, კონფუციურს, იაპონურს, ინდუისტურს, ლათინო-ამერიკულს და (შესაძლო) აფრიკულს. სწორედ ამ ცივილიზაციათა შორის კულტურულ სხვაობას მიიჩნევს ჰანტინგტონი მომავალი მსოფლიო კონფლიქტების მიზეზად. ჰანტინგტონი თვლის, რომ ძირითადი დაპირისპირება დასავლურ და ისლამურ ცივილიზაციებს შორის მოხდება. დასავლურ ცივილიზაციას აქვს უნივერსალობის პრეტენზია და იბრძვის დასავლური ფასეულობების მთელ მსოფლიოში დამკვიდრებისათვის. ამას ყველაზე მეტად ისლამური ცივილიზაცია ეწინააღმდეგება, მიიჩნევს რა დასავლურ ღირებულებებს სრულიად მიუღებლად ისლამური ზნეობისათვის. ამ წინააღმდეგობამ აგრესიული, შეურიგებელი სახე მიიღო, რაც ისლამურ *ფუნდამენტალიზმში* გამოიხატა. დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ისლამის მთავარ მოკავშირედ ჰანტინგტონს კონფუციური ცივილიზაცია მიაჩნია, მაგრამ არ გამორიცხავს ისლამურ-კონფუციურ ბლოკში სხვა ცივილიზაციების გაერთიანებასაც, რაც საბოლოოდ იღებს სახეს – „ყველანი დასავლეთის წინააღმდეგ“. თუმცა ჰანტინგტონის კონცეფცია მკვლევართა დიდი უმრავლესობის მიერ არ არის გაზიარებული, იგი მაინც რჩება ერთ-ერთ გავრცელებულ ჰიპოთეზად. ხოლო 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ მისი პოპულარობა საგრძნობლად გაიზარდა.

ცივი ომი ტერმინი, რომლითაც აღინიშნებოდა მწვავე პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირება, ერთი მხრივ, აშშ-სა და დასავლეთის სხვა წამყვან სახელმწიფოებს, ხოლო, მეორე მხრივ, ყოფილ საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტებს შორის, რამაც თავი იჩინა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში და 90-იანი წლების დასაწყისამდე გრძელდებოდა. ტერმინი ეკუთვნის ამერიკელ ჟურნალისტ ჰ. სვოუპს და ფართოდ გავრცელდა უ. ლიპმანის სტატიებისა და გამოსვლების შედეგად. *ც. ო.* გამოხატავდა XX ს-ის მეორე ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითად შინაარსს, როცა მსოფლიოს ორ ძირითად პოლუსს შორის არც *ომი* იყო და არც *მშვიდობა*.

1945 წელს, ნაცისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ, სსრ კავშირი და აშშ წარმოადგენდნენ მსოფლიოს

ორად ორ სუპერსახელმწიფოს. სსრ კავშირმა *ფაშიზმისაგან* გაათავისუფლა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, მაგრამ თვითონვე მოახდინა მათი *ოკუპაცია*. ასევე აშშ-მა გადამწყვეტი როლი შეასრულა დასავლეთ ევროპის განთავისუფლებაში. დამარცხებული გერმანიის ტერიტორია ოთხ საოკუპაციო ზონად დაიყო (სსრ კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის). 1947 წლისათვის ცხადი გახდა, რომ სსრ კავშირს განზრახული ჰქონდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმის დამყარება. აშშ და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები, რომლებმაც დაინახეს კომუნიზმის ექსპანსიის რეალური საფრთხე, აშკარად დაუპირისპირდნენ სსრ კავშირს. შეიქმნა ე. წ. „სსრ კავშირის აგრესიის შეკავების თეორია". ეს დაპირისპირება ლიტერატურაში ხშირად „აღმოსავლეთ-დასავლეთის" დაპირისპირების სახელით მოიხსენიება.

ცივ ომის ძირითადი კრიზისული მომენტებია: აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პროსაბჭოთა კომუნისტური რეჟიმების დამკვიდრება (1945-48), ბერლინის კრიზისი (1948-49), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა (1949), კომუნისტური რეჟიმის დამყარება ჩინეთში (1949), კორეის ომი (1950-53), სსრ კავშირის მიერ უნგრეთის სამხედრო ოკუპაცია (1956), ბერლინის კედლის მშენებლობა (1961), კარიბის კრიზისი (1962), ვიეტნამის ომი (1965-72), ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია (1968) და სხვ. ამ დაპირისპირებებმა მსოფლიო რამდენჯერმე დააყენეს ბირთვული ომის საფრთხის წინაშე.

ცივ ომის პერიოდში აშშ-მა შეძლო გამხდარიყო დასავლეთის, ანუ კაპიტალისტური სამყაროს ლიდერი, დასავლური ცივილიზაციისა და ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებათა გადარჩენის გარანტი. ამასთან ერთად ცხადი გახდა, რომ აშშ ცდილობდა მთელ არაკომუნისტურ სამყაროში ეკონომიკური და პოლიტიკური ბატონობის მოპოვებას, რის გამოც ევროპისა და იაპონიის მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდა, თუმცა კომუნისტურ სამყაროსთან ბრძოლის აუცილებლობა პირველ ხანებში ანელებდა ამ წინააღმდეგობას. ამიტომ აშშ-ისათვის დამახასიათებელი იზოლაციონისტური (იხ. *იზოლაციონიზმი*) პოლიტიკა, რომელსაც ამერიკა 150 წლის განმავლობაში ატარებდა, შეიცვალა უაღრესად აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსით. *კომუნიზმის* შეჩერების საბაბით აშშ-მა განახორციელა ისეთი დიდი ღონისძიებები, როგორიც იყო დასავლეთ ევროპის ქვეყნებისადმი ფართომასშტაბიანი ეკონომიკური დახმარება (მარშალის გეგმა), საბერძნეთისა და თურქეთისათვის სამხედრო მხარდაჭერა, ნატოს ჩამოყალიბება, გფრ-ისათვის ყოველნაირად ხელშეწყობა და მისი ნატოში გაწევრიანება, სეატოსა და სენტოს სამხედრო ბლოკების შექმნა და სხვ.

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაძაბულობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის შედარებით შენელდა. ამ ერთგვარი „განმუხტვის" (დეტანტის პოლიტიკისა, როგორც ამას აშშ-ში უწოდებენ და პრეზიდენტ ნიქსონის სახელს უკავშირებენ) შედეგები იყო ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ (1971), სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულებები აშშ-სა და სსრკ-ს შორის (1972 და 1979), ვიეტნამის ომის დამთავრება (1973), ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ჰელსინკის თათბირი (1975) და სხვ. თუმცა ამ გარეგნული სიმშვიდის ფონზე გრძელდებოდა სერიოზული დაპირისპირება უფრო ფარული ფორმით და, რაც მთავარია, ახალ გეოპოლიტიკურ რეგიონებზე (ახლო აღმოსავლეთი, ტროპიკული აფრიკა, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, ცენტრალური ამერიკა) გავ-

ლენის მოპოვების მიზნით. 70-იანი წლების ბოლოსათვის *ც. ო-ს* ძირითადად *აქცია-რეაქციის* სახე ჰქონდა, როდესაც ერთი მხარე დაუყოვნებლივ ახდენს საპასუხო რეაქციას მეორე მხარის მოქმედებაზე.

ც. ო-ის მიზეზებისა და შინაარსის შესახებ არსებობს სამი განსხვავებული შეხედულება. პირველი მათგანის მიხედვით, რომელიც დასავლეთის სამეცნიერო და პოლიტიკურ წრეებში იყო მიღებული, *ც. ო-ის* წარმოშობაში მთავარი დამნაშავე არის საბჭოთა კავშირი და მისი კომუნისტური რეჟიმი, რომელმაც მიზნად დაისახა მთელი მსოფლიოს „გაწითლება", აშშ კი იძულებული გახდა წინ აღდგომოდა საბჭოთა ექსპანსიონიზმის საფრთხეს და გადაერჩინა დასავლური ფასეულობანი. მეორე შეხედულებით (საბჭოური შეხედულება), *ც. ო.* გამოიწვია აშშ-ის იმპერიალისტურმა მისწრაფებებმა მსოფლიო ბატონობისაკენ და კომუნიზმის განადგურების განზრახვამ. მესამე შეხედულებით, გერმანიის განადგურებამ წარმოშვა ძალის ვაკუუმი ევროპაში და ორი სუპერძალა (აშშ და სსრკ) ცდილობდა შეევსო ეს ვაკუუმი. მაშასადამე, *ც. ო.* იყო ჩვეულებრივი კონფლიქტი ბიპოლარული მსოფლიოს ორ ზესახელმწიფოს შორის და იდეოლოგიური მომენტი აქ მხოლოდ დამხმარე როლს ასრულებდა.

80-იანი წლების პირველ ნახევარში დაძაბულობა მკვეთრად გაძლიერდა, რაც გამოიწვია საბჭოთა კავშირის *ინტერვენციამ* ავღანეთში. ორივე მხარემ მნიშვნელოვნად გაზარდა სამხედრო ხარჯები, ბირთვული არსენალი და სამხედრო ბაზების რიცხვი. კულმინაციას მიაღწია იდეოლოგიურმა დაპირისპირებებმაც. მაგრამ, 1985 წლიდან საბჭოთა კავშირში დაწყებულმა და განხორციელებულმა „პერესტროიკის კურსმა" არსებითი ცვლილებები შეიტანა *ც. ო-ისა* და, საერთოდ, *საერთაშორისო ურთიერთობათა* ისტორიაში. სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვამ და საბჭოთა ჯარების გამოყვანამ ავღანეთიდან საერთაშორისო ვითარება სასიკეთოდ შემოაბრუნა, ხოლო ბერლინის კედლის დანგრევა, კომუნისტური რეჟიმის დამხობა აღმოსავლეთ ევროპაში და იქიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირის დაშლა მომასწავებელი გახდა ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის დასასრულისა. 1992 წლის დამდეგისათვის, როდესაც საბჭოთა კავშირი როგორც სახელმწიფო უკვე აღარ არსებობდა და კომუნისტური რეჟიმი მთელს ევროპაში დაემხო, *ც. ო.* ისტორიის კუთვნილება გახდა.

ცხოვრების დონე (ცხოვრების სტანდარტი) სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, რომელიც ადამიანთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხს გამოხატავს. იგი საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფის დონეზე მიუთითებს და *ცხოვრების წესის* ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. *ც. დ-ის* დინამიკა ცხოვრების წესსა და განვითარებაზე ახდენს გავლენას. *ც. დ-ს* ადამიანის კეთილდღეობის ხარისხი განსაზღვრავს. *ც. დ-ის* მაჩვენებლებია: შრომის ანაზღაურების რაოდენობა, შემოსავალი, ინდივიდის ან *ოჯახის* რეალური კეთილდღეობისა და მომსახურების მოცულობა, სასურსათო და სამრეწველო საქონლის მოხმარების დონე, სამუშაო და თავისუფალი დროის ხანგრძლივობა, საცხოვრებელი პირობები, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის დონე და სხვ.

ც. დ. მოიცავს აგრეთვე, საყოფაცხოვრებო, ქცევის, მოხმარების კულტურას, საზოგადოებრივ წესრიგსა და ა. შ.

ცხოვრების სტილი წესი, რომლითაც ინდივიდი ან ჯგუფი ცხოვრობს. ტერ-

მინი *ც. ს.* სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენება. *ც. ს.*, როგორც კონცეფცია, ასოცირდება მაქს ვებერის შრომებთან და აღნიშნავს სხვადასხვა სტატუსის მქონე ჯგუფისათვის ნიშანდობლივი მოხმარების მოდელებს. ტერმინი მიუთითებს ცხოვრების ალტერნატიულ წესებზე, რომლებიც ჩვეულებრივ შესამჩნევი ხდება ღირებულებებისა და მოხმარების ფორმების საშუალებებით.

ყოფით დონეზე *ც. ს.* განისაზღვრება მატერიალური კეთილდღეობის სტანდარტებით, ადამიანების მიერ შეძენილი და გამოყენებული საქონლითა და პროდუქციით, შეხედულებებითა და გემოვნებით, რაც დამახასიათებელია როგორც ცალკეული ადამიანებისათვის, ისე კონკრეტული ჯგუფებისათვის.

ბოლო დროს ტერმინი *ც. ს.* განსაკუთრებით პოპულარული გახდა საერეკლამო სააგენტოებისა და ბაზრის შემსწავლელი ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურების შედეგად. ამას ხელი შეუწყო გართობის პოპულარული ფორმების, რადიოს, ტელევიზიისა და კინოს განვითარებამ.

გარკვეული *ც. ს-ის* შექმნა განიხილება როგორც თანამედროვე *საზოგადოებაში* მომხმარებლის *ქცევის* ძირითადი სტრატეგია.

თავისი შინაარსით *ც. ს.* უფრო ვიწროა, ვიდრე *ცხოვრების წესი*, რომელიც ადამიანების მთელ საქმიანობას მოიცავს. *ც. ს.* ადამიანთა საქმიანობის სუბიექტურ მხარეზე, ინდივიდის, *ოჯახის*, სხვა სოციალური ჯგუფების ყოველდღიური ქცევის მოტივებსა და ფორმებზე ამახვილებს ყურადღებას. ცნება *ც. ს.* პიროვნების ან სოციალური ჯგუფების (ფორმალური და არაფორმალური ერთობების) ცხოვრების წესის თავისებურებების დასახასიათებლად გამოიყენება. მოცემული ერთობის შიგნით ამა თუ იმ ცხოვრების წესის ფორმირება შეიძლება ქცევისა და ურთიერთობის გარკვეული ინდივიდუალური ან ჯგუფური სტილის გავრცელების შედეგი იყოს.

ცხოვრების წესი სოციალური კატეგორია, რომელიც ინდივიდის, სოციალური ჯგუფის, მთელი *საზოგადოების* სხვადასხვა ტიპის *მოქმედებების*, საქმიანობის ერთობლიობას მოიცავს. იგი ცხოვრების განმსაზღვრელ პირობებთან ერთად განიხილება. ამ კატეგორიის საშუალებით შესაძლებელია ადამიანთა საქმიანობის ძირითადი სფეროები (შრომა, ყოფა, საზოგადოებრივი ცხოვრება, *კულტურა*) კომპლექსურად, ურთიერთკავშირში იქნეს განხილული. *ც. წ.* შრომის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საყოფაცხოვრებო და სხვ. სფეროებში ადამიანთა ურთიერთობების, ქცევისა და აზროვნების ნირის თავისებურებებზეც მიუთითებს. იგი ცხოვრების ყაიდით, დონითა და ხარისხით განპირობებული ქცევის მიზეზების გამოვლენისა და დადგენის საშუალებას იძლევა.

განასხვავებენ ნორმატიულ-ფორმაციულ *ც. წ-ს* (იგი დამახასიათებელია ამა თუ იმ სოციალური სისტემის წამყვანი *კლასისთვის*, ფენისთვის – მაგ., ახალი ქართველების *ც. წ.*) და ინდივიდის, სოციალური ჯგუფის, საზოგადოების კონკრეტულ-ისტორიულ *ც. წ-ს* ისტორიული განვითარების კონკრეტულ ეტაპზე (მაგ., თანამედროვე ქართული საზოგადოების *ც. წ.*). ორივე სახის *ც. წ.* კერძო, ცალკეულ *ც. წ-ებად* იყოფა (*ქალაქის ც. წ.*, *სოფლის ც. წ.*, *ინტელიგენციის ც. ნ.*, ახალგაზრდობის *ც. წ.* და ა. შ.). *ც. წ-ს* საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ბუნებრივი პირობები ქმნის და განსაზღვრავს, მაგრამ იგი ამა თუ იმ პირობების „ჯამამდე“ არ დაიყვანება. *ც. წ.* როგორც ობიექტური (ერთობლივი საქმიანობის წესი, ადამიანების საზოგადოებრივი კავშირი, რაც განსაზღვრავს მათი ურთიერთობისა და ქცევის ხასიათს) და სუბიექ-

ტური (ურთიერთობის მიზნები, საქმიანობის ინტერესები და მოტივები, ღირებულებითი ორიენტაციები, მოთხოვნილებები) ასპექტების ერთიანობა, მთლიან სტრუქტურას წარმოადგენს.

ც. წ. მოიცავს ადამიანების მთელ საქმიანობას. თავისი შინაარსით იგი უფრო ფართოა, ვიდრე *ცხოვრების სტილი*, რომელიც ადამიანთა საქმიანობის სუბიექტურ მხარეზე, ინდივიდის, *ოჯახის*, სხვა სოციალური ჯგუფების ყოველდღიური *ქცევის*, საქციელის მოტივებსა და ფორმებზე ამახვილებს ყურადღებას. ქცევისა და ურთიერთობის გარკვეული ინდივიდუალური ან ჯგუფური სტილის გავრცელებამ მოცემულ ერთობაში შეიძლება გამოიწვიოს *ც. წ-ის* ცვლილება. *ც. წ.* ადამიანის ქცევის მიზეზებზეც მიუთითებს.

ძ

ძალა *საერთაშორისო ურთიერთობებში ძალაუფლების* სამხედრო კომპონენტი, რასაც ოთხი ფუნქცია აქვს: *დაშინება*, *იძულება*, *თავდაცვა* და *პრესტიჟის* დემონსტრირება. *ძ.*, უპირველეს ყოვლისა, მისი შეძენის უნართანაა დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, სამხედრო რესურსების ფლობას უკავშირდება. *საერთაშორისო სისტემაში* სახელმწიფოთა იერარქიზაციის უმთავრესი პრინციპი *ძ-ის* ფლობა და მისი გამოყენების სხვათა მიერ აღქმული უნარია. *ძ-ზე* დიდ გავლენას ახდენს ტექნოლოგიური განვითარების დონე, რაც *სახელმწიფოს* ეკონომიკურ და მისი მოსახლეობის ინტელექტუალურ განვითარებაზეცაა დამოკიდებული. ბირთვული იარაღის გავრცელების კვალდაკვალ გარკვეულწილად შეიცვალა დამოკიდებულება *საერთაშორისო ურთიერთობებში ძ-ის* მნიშვნელობისა და მისი გამოყენების მიმართ. ამუამად *ძ-ის* გამოყენებასა და *ძ-ით* მუქარაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება *ძ-ის* გამოუყენებლად პოლიტიკური მიზნების მიღწევას. თუმცა, ამისათვის კვლავაც *ძ-ის* ფლობაა აუცილებელი, რადგან *ძ.* კვლავაც წარმატებული დიპლომატიის საწინდარია. *ეროვნული უსაფრთხოების* უზრუნველყოფაში სამხედრო ძლიერების კომპონენტი კვლავაც წამყვანია, რასაც თანამედროვე მსოფლიოში სამხედრო ხარჯების ზრდა, სამხედრო პოტენციალის დაგროვება და იარაღით ვაჭრობაც ადასტურებს. (იხ. აგრ., *პოლიტიკური ძალა*).

ძალაუფლება ერთგვარი უნარი, აიძულო სხვა, გააკეთოს ის, რასაც სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა. *ძ. საერთაშორისო ურთიერთობების* ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა, რომელსაც ხშირად იძულებასთან და გავლენასთან აიგივებენ. *ძ-ის* ცნება საერთაშორისო ურთიერთობებში დავის საგანია და მისი ერთგვაროვანი განსაზღვრება არ არსებობს. საერთაშორისო ურთიერთობებში *ძ-ის* ცნება *რეალიზმის* პარადიგმასთან ასოცირდება, რადგან რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებს *ძ-ისათვის* ბრძოლად მიიჩნევს. *ძ-ს* ხშირად ორმაგი გაგება აქვს: 1) *ძ.* როგორც უნარი და 2) *ძ.* როგორც ურთიერთობა. პირველ შემთხვევაში *ძ-ის* ძირითადი შემადგენელი ნაწილი *ძალა*, ძლიერებაა, რომელიც ტერიტორიის სიდიდით, ბუნებრივი რესურსებით, საერთო ეროვნული პროდუქტის სიდიდით, მოსახლეობის უნარ-ჩვევებითა და შეიარაღებული ძალების მომზადების დონით განისაზღვრება. *ძ.*, როგორც ურთიერთობა, ამ ძალის, ძლიერების გამოყენებას გულისხმობს. ურთიერთობითი *ძ-ის* მიზანია სხვა *აქტორების* მხრიდან წინააღმდეგობის გადალახვის გზით მათზე ზეგავლენის მოპოვება და მათგან დათმობების მიღწევა. ამ მნიშვნელობით *ძ.* განსხვავდება გავლენისაგან, რომელიც სხვა აქტორების მხრიდან სასურველი ქცევის მისაღწევად წინააღმდეგობების გადალახვასა და იძუ-

ლების გამოყენებას არ გულისხმობს. ცნება „სტრუქტურული ძალაუფლება", მეორე მხრივ, ნიშნავს რომელიმე *სახელმწიფოს* ან სახელმწიფოთა ჯგუფის უნარს, დაადგინოს *საერთაშორისო ურთიერთობების* ჩარჩოები, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოთა ურთიერთობის ხასიათი განისაზღვრება. სტრუქტურული ძალაუფლების შემადგენელ ნაწილებად სიუზან სთრეინჯი *უსაფრთხოებას*, ცოდნას, წარმოებასა და ფინანსებს ასახელებს.

ძალთა წონასწორობა ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი კონცეფცია *საერთაშორისო ურთიერთობათა* თეორიაში. იგი მჭიდროდ უკავშირდება *პოლიტიკურ რეალიზმს* და გამომდინარეობს *საერთაშორისო სისტემის* ანარქიული სტრუქტურიდან. ამ კონცეფციის მიხედვით, იმის გამო, რომ საერთაშორისო სისტემა *ანარქიულია*, თითოეული *სახელმწიფოს* ძირითადი ამოცანაა ბრძოლა თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისათვის. ამის აუცილებელი პირობა კი *უსაფრთხოება* და დამოუკიდებლობაა. თავიანთი დამოუკიდებლობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად სახელმწიფოები, ჩვეულებრივ, ერთად მოქმედებენ ხოლმე, რათა დაუპირისპირდნენ იმ სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ჯგუფს), რომელიც საფრთხეს უქმნის მათ უსაფრთხოებასა და *სუვერენიტეტს*. ამგვარად, *საერთაშორისო სისტემა* დაყოფილია სახელმწიფოთა რამდენიმე ჯგუფად, რომლებიც დაახლოებით თანაბარი ძალისანი არიან და მათ შორის არსებული ძალთა ბალანსი (წონასწორობა) არის *მშვიდობისა* და წესრიგის მთავარი გარანტია საერთაშორისო სისტემაში, ამ სისტემის მდგრადობის ძირითადი პირობა. ხელსაყრელ შემთხვევაში სახელმწიფოები თავიანთი სურვილით აყალიბებენ კავშირს, რომელიც იცავს თითოეული მათგანის *ეროვნულ ინტერესებს*, ამასთან, არ არის მათი უფლებების შემლახველი. სხვა შემთხვევაში სახელმწიფო თავისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით იძულებულია მიეტმასნოს დომინანტ სახელმწიფოს (იხ. *მიტმასნა*), რაც ხშირად ეროვნული ინტერესების ნაწილის დათმობას ნიშნავს. *საერთაშორისო საზოგადოებაში ძ. წ.* სახელმწიფოებსა და სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის ურთიერთობათა მთავარი რეგულატორია, რომელიც განსაზღვრავს ამ ურთიერთობათა ხასიათს. ევროპაში *ძ. წ-ის* კლასიკური მაგალითებია 1648-1789 წლები (ვესტფალიის ზავის პირობები) და პერიოდი 1815 წლიდან XIX ს-ის ბოლომდე (ვენის კონგრესის შედეგები). *ძ. წ-ისათვის* ბრძოლა XX ს-ის *საერთაშორისო სამართალშიც* იჩენს თავს – იქმნება ნორმები, რომლებიც საშუალებას არ აძლევდნენ არც ერთ *დიდ სახელმწიფოს* ან *ბლოკს*, იურიდიულად მოეპოვებინათ უპირატესობა სხვა სახელმწიფოს ან ბლოკის მიმართ. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა გაერომ და მისმა უშიშროების საბჭომ, რომელშიც მოქმედებს ერთხმივობის პრინციპი, ასევე ნატომ და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციამ.

წ

წოდება სოციალური ფენა ინდუსტრიამდელ *საზოგადოებებში*, რომლის წევრთა ადგილი საზოგადოებაში, უფლება-მოვალეობები *ადათით* ან კანონმდებლობით იყო განსაზღვრული და მემკვიდრეობით გადადიოდა. გარეშე ეკონომიკური იძულება აკანონებდა სხვადასხვა *კლასისა* და ფენის განსხვავებულ უფლება-მოვალეობებს. მაგ., ბატონყმობის პირობებში უმაღლეს პრივილეგირებულ წრეს მიეკუთვნებოდა თავადაზნაურობა და სამღვდელოება. წოდებრივ ორგანიზაციას რთული იერარქიული ხასიათი ჰქონდა და გამოი-

ხატებოდა მისი წევრების მდგომარეობის ან პრივილეგიების უთანასწორობაში. *კასტაც* განიხილება როგორც წოდებრივი ორგანიზაცია, მაგრამ აქ მემკვიდრეობის პრინციპი შეურყეველია. *წ-ში* კი წევრობის უფლების შეძენა შეიძლებოდა ფულითაც, უზენაეს ხელისუფალთაგან ბოძების სახითაც. წოდებრივი ორგანიზაციის კლასიკურ საზოგადოებად ფეოდალურ საფრანგეთს მიიჩნევენ, სადაც XIII ს-ის ბოლოსათვის დასრულდა *წ-თა* იურიდიული ჩამოყალიბება შესაბამისი სტატუსით – სამღვდელოთა, თავადაზნაურთა და მესამე *წ-დ*.

საქართველოში წოდებრივი ორგანიზაცია რიგი სპეციფიკით ხასიათდებოდა: *წ-თა* შორის არ იყო გარდაუვალი ზღვარი; *წ-ებს* არ ახასიათებდა კასტური კარჩაკეტილობა და სხვ.

წოდებრივი რანჟირება (დასტარისხება) ცვლადების შეფასების წესი, რითაც ხორციელდება მათი ადგილისა და მდგომარეობის განსაზღვრა. *წ. რ.* წოდებრივი *იერარქიის* სისტემაში გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით ინდივიდების დალაგებას გულისხმობს. ასეთი კრიტერიუმები შეიძლება იყოს წარმომავლობა, გვარიშვილობა, ქონება, დამსახურება სახელმწიფოს წინაშე. *წ. რ-ის* დიფერენციაცია შეიძლება იყოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური ტიპის. ვერტიკალურია მაშინ, როდესაც აუცილებლად გულისხმობს ქვემდგომის მორჩილებას ზემდგომისადმი (მაგ., ძალოვან სტრუქტურებში). ჰორიზონტალურია მაშინ, როდესაც ადამიანს განსაკუთრებული ტიტული ენიჭება *საზოგადოების* წინაშე დამსახურებისათვის.

ხ

ხელოვნების სოციოლოგია *სოციოლოგიის* სფერო, რომელიც შეისწავლის *საზოგადოების*, ადამიანისა და ხელოვნების ურთიერთობას, ხელოვნების სოციალურ ფუნქციებს. მის წინაშე ისმის კითხვები: რამდენად გამოხატავს ხელოვნება მის შემქმნელ საზოგადოებასა და შესაბამისი ეპოქის ღირებულებებს, რამდენადაა განპირობებული ხელოვნება საზოგადოების არსით, რა ფუნქციები აქვს ხელოვნებას საზოგადოებასთან მიმართებაში. *ხ. ს.* იკვლევს ხელოვნების სოციალურ ბუნებას, ადგენს, ემსახურება თუ არა იგი სოციალურს, აჩვენებს სოციალურის ფაქტორირივ ვითარებას და ასახავს მისი ჯერარსობის გზასაც. ხელოვნების სოციოლოგიაში მნიშვნელოვანი მიმართულებაა ხელოვნებისა და *კულტურის* ობიექტების წარმოების ორგანიზაციული და ინსტიტუციონალური ანალიზი (კოზერი, ბეკერი), ხელოვნების შინაგანი თავისებურებების კვლევა. ამ სპეციფიკის გამო ნაშრომები *ხ. ს-ში* უფრო დისციპლინათშორისი ხასიათისაა, ვიდრე ვიწრო სოციოლოგიური. საბოლოო ჯამში, სწორედ შემოქმედების გაგების შერწყმა ხელოვნების ქმნილებათა უფრო ფართო – სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და მნიშვნელობის შეფასებასთან – განასხვავებს *ხ. ს-ს* ტრადიციულად არსებული მიმართულებების – ლიტერატურული კრიტიკისა და ხელოვნების ისტორიისაგან.

ხელშეკრულება საერთაშორისო ურთიერთობებში ყველაზე ფართოდ გავრცელებული ტერმინი, რომელიც გულისხმობს *სახელმწიფოთა* შორის დადებულ იურიდიულად სავალდებულო შეთანხმებას, რაც რეგულირდება *საერთაშორისო სამართლით* (იხ. აგრ. *საერთაშორისო ხელშეკრულება*).

ხუნტა ესპანეთში, იტალიაში, ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში: საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, ქალაქის მმართველობა,

მუნიციპალური საბჭო, თვითმმართველი ადმინისტრაციული ერთეულის საოლქო ხელმძღვანელობა. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ცალკეული სესია ესპანურენოვან ქვეყნებში ხშირი სამხედრო *გადატრიალებების* დროს, როდესაც ხელისუფლებას შეიარაღებული ძალები იღებენ, მათი მეთაურები აყალიბებენ სამხედრო *ხ-ს*, რომელიც დროებითი მთავრობის ფუნქციას ასრულებს და ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო და მაკონტროლებელი ორგანოების მოვალეობებს. სამხედრო *ხ.* აძლიერებს პოლიტიკური *კლიენტელიზმის* სისტემას და სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური რეჟიმის პერმანენტულ არასტაბილურობაზე მიუთითებს. არც თუ ისე დიდ ქვეყნებში და გარეშე ძალების დახმარებით, როგორც ეს ჩილეში იყო, სამხედრო *ხ-მ* შეიძლება შექმნას პირობები ქვეყნის კაპიტალისტური მოდერნიზაციისათვის. გასული ს-ის 80-იან წლებში ლათინური ამერიკის თითქმის ყველა ქვეყანაში დემოკრატიული მოძრაობის ზემოქმედების შედეგად სამხედრო *ხ-ებმა* დამარცხება განიცადეს.

ჯ

ჯაშუში პირი, რომელიც მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ფარულად მოქმედებს და ცდილობს შეაგროვოს ცნობები მოწინააღმდეგის გეგმებისა და მისი ძალების შესახებ, რათა აცნობოს თავის მხარეს. *ჯ.* ისჯება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც შეიძლება გამოტანილ იქნეს ჯაშუშური ქმედების დროს ადგილზე მისი დაკავების შემთხვევაში. თუ შინ მშვიდობით დაბრუნებული *ჯ.* შემდგომ მოხვდა ტყვედ, იგი პასუხს არ აგებს წარსულში თავისი ჯაშუშური საქმიანობისათვის.

ჯგუფი ერთმანეთთან ურთიერთობაში მყოფ ადამიანთა გარკვეული რაოდენობის ერთობლიობა. ინდივიდები შეიძლება ურთიერთქმედებდნენ რეგულარულად ფორმალური და არაფორმალური კავშირების საფუძველზე. მათ გაცნობიერებული აქვთ მოცემულ *ჯ-თან* თავიანთი იდენტიფიკაცია და ითვლებიან მის წევრებად სხვა ინდივიდების თვალსაზრისითაც. *ჯ-ის* წევრები ერთმანეთს უკავშირდებიან *სოციალური ინსტიტუტებით* რეგულირებული ურთიერთობების სისტემით, გააჩნიათ გარკვეული საერთო ღირებულებები და სხვა ერთობებისაგან გამოყოფილი არიან განცალკევების გარკვეული პრინციპით. *ჯ-ის* სამი მთავარი ნიშანია: ურთიერთქმედება, წევრობა და ჯგუფური იდენტურობა. ჯგუფური იდენტურობა უფრო მეტია, ვიდრე *ჯ-ის* წევრობა. სისტემატური ურთიერთობა იწვევს *ჯ-ში* სოლიდარობისა და საერთო ჩვევების გაჩენას. *ჯ-ის* ელემენტების სისტემასა და მათი ურთიერთმოწესრიგების პრინციპს *ჯ-ის* სტრუქტურა ეწოდება. *ჯ-ის* წევრთა პოზიციების სისტემა ქმნის *ჯ-ის* მიკროსტრუქტურას. *ჯ.* არის გარკვეული სახის რეალობა, რომელიც არსებობს ინდივიდების მისწრაფებებისა და ნებისაგან დამოუკიდებლად.

არსებობს სხვადასხვა სახის *ჯ-ები.* მათ კლასიფიკაციას განსხვავებული კრიტერიუმები უდევს საფუძვლად. სოციოლოგიურ ლიტერატურაში *ჯ-ების* მრავალგვარი კლასიფიკაცია არსებობს. ამერიკელი სოციოლოგი იუბენკი გამოყოფს კლასიფიკაციის შვიდ ძირითად პრინციპს: 1. კლასიფიკაციები ეთნიკური ან რასობრივი კუთვნილების საფუძველზე, 2. კულტურული განვითარების დონის საფუძველზე, 3. *ჯ-ებში* არსებული სტრუქტურის ტიპების საფუძველზე, 4. *ჯ-ის* მიერ უფრო ფართო ერთობებში შესრულებული ამოცანებისა და ფუნქციების საფუძველზე 5. წევრებს

შორის კონტაქტების უპირატესი ტიპების საფუძველზე, 6. *ჯ-ებში* არსებული კავშირის სახეობის საფუძველზე, 7. სხვა პრინციპებზე დამყარებული სხვადასხვა კლასიფიკაცია.

ჯ-ების დიაპაზონი ძალიან დიდია – ძალიან მცირე *ასოციაციებიდან* მსხვილმასშტაბიან *ორგანიზაციებამდე. ჯ-ის* წევრების რაოდენობის მიხედვით გამოყოფენ მცირე, საშუალო და დიდ *ჯ-ებს. ჯ-ში* არსებული ურთიერთობის ფორმის მიხედვით განასხვავებენ პირველად და მეორად *ჯ-ებს.* მცირე სოციალური *ჯ.* შემადგენლობით მცირერიცხოვანია, რომელშიც არის არა უმეტეს რამდენიმე ათეული წევრისა. ისინი საერთო საქმიანობით არიან დაკავშირებულნი და ერთმანეთთან უშუალო მყარი ურთიერთობა აქვთ, რაც წარმოადგენს როგორც ემოციური ურთიერთობების, ისე განსაკუთრებული ჯგუფური ღირებულებებისა და *ქცევის* ნორმების საფუძველს. მათ შორის ურთიერთობები ძირითადად არაფორმალური ინსტიტუტებით რეგულირდება. დიდს უწოდებენ ისეთ *ჯ-ს,* რომელიც მეტად მრავალრიცხოვანია, თუმცა, რომლის ყველა წევრი პირადად იცნობს ერთმანეთს. ამავე დროს მათ შორის ყველა კონტაქტი და ურთიერთობა არ ხორციელდება უშუალოდ.

ტერმინი „პირველადი ჯგუფი" პირველად გამოიყენა ამერიკელმა სოციოლოგმა ჩარლზ კულიმ (Charles Cooley). პატარა *ჯ.* მცირე *ჯ-ის* ნაირსახეობაა. ასეთ *ჯ-ში* კავშირი ემყარება უშუალო პირად კონტაქტებს, *ჯ-ის* საქმიანობაში წევრების ემოციურ ჩაბმას, რაც უზრუნველყოფს ჯგუფური იდენტიფიკაციის მაღალ ხარისხს. *ჯ-ს,* უპირველეს ყოვლისა, აკავშირებს მისი წევრების პირადი ინტერესები (მაგ., *ოჯახი,* თანატოლთა *ჯ.* და სხვ.). პირველად *ჯ-ებში,* როგორც წესი, არ არის ფორმალური კავშირი, ჩვეულებრივ, ყველა პირველადი *ჯ.* მცირეა (მაგრამ ყველა მცირე *ჯ.* არ არის პირველადი). მეორადია ისეთი *ჯ.,* რომელიც შექმნილია გარკვეული მიზნის რეალიზაციისათვის. მასში ჭარბობს ან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნივთიერი კონტაქტები, რომლებიც უფრო ხშირად გაშუალებულია. მეორადი *ჯ-ები* ემყარება ურთიერთობათა ინსტიტუციონალიზებულ და სქემატიზებულ სისტემას, მათი საქმიანობა რეგულირდება წესებით. მეორადი *ჯ-ები,* როგორც წესი, დიდი *ჯ-ებია.* მაგრამ მცირე *ჯ-ებიც* შეიძლება იყოს მეორადი *ჯ.*

არაფორმალურია *ჯ.,* რომლის შინაგანი კავშირი დამყარებულია მხოლოდ არაფორმალურ ინსტიტუტებზე, ორგანიზაციასა და კონტროლზე. ფორმალურს უწოდებენ ყველა იმ *ჯ-ს,* რომლებშიც უკვე განვითარდა ფორმალური ინსტიტუტები, კონტროლისა და ორგანიზაციის ფორმალური სისტემა.

ჯ-ები შეიძლება დაიყოს *ჯ-ში* წევრების მიღების კრიტერიუმის მიხედვით. არსებობს დახურული (როცა გამოყენებულია ახალი წევრების მიღების მეტად ზუსტი, განსაზღვრული კრიტერიუმები), შეზღუდული (როდესაც მიღების კრიტერიუმები ნაკლებად მკაცრია) და ღია (როდესაც მათში შესვლა თავისუფალია ნებისმიერი მსურველისთვის) *ჯ-ები.*

განასხვავებენ ინსტრუმენტულ და ექსპრესიულ *ჯ-ებს.* ინსტრუმენტული (მიზნობრივი) *ჯ.* იქმნება გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად. ექსპრესიული *ჯ.* იქმნება მისი წევრების ემოციური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

კომუნიკაციის ფორმის მიხედვით გამოყოფენ შემდეგი სახის *ჯ-ებს:* „წრე", „ჯაჭვი", „ბორბალი" და „Y ფორმის" (გ. ლივიტი). განასხვავებენ კენტრიცხოვან და ლუწრიცხოვან *ჯ-ებს.* პოლიტიკის სოციოლოგიაში გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ინტერესთა ჯგუფი", „ზეწოლის ჯგუფი" და სხვ.

ჰ

ჰარტლენდი სიტყვასიტყვით „შუაგული მიწა". ერთ-ერთი ძირითადი ცნება *გეოპოლიტიკაში.* ტერმინის ავტორია კლასიკური გეოპოლიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ინგლისელი გეოგრაფი ჰ. მაკინდერი. მისი თეორიის მიხედვით, მსოფლიო ისტორიის „საყრდენი წერტილი," „გეოგრაფიული ღერძი" არის ტერიტორია, რომელიც აერთიანებს ცენტრალურ აზიას, ურალსა და ციმბირს. აღნიშნული სივრცე არის ევრაზიის (და ამიტომ მთელი მსოფლიოს) შუაგული, „ჰარტლენდი", საიდანაც ცხენოსანი ლაშქარი ადვილად აკონტროლებდა ევროპისა და აზიის სივრცეებს. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ ამ ტერიტორიის მნიშვნელობა მკვეთრად შემცირდა და ძალთა ბალანსი საზღვაო სახელმწიფოებისაკენ გადაიხარა. მაგრამ XIX ს-ის ბოლოდან იწყება ახალი, ე. წ. პოსტკოლუმბის ხანა, როცა სახმელეთო სახელმწიფოები იბრუნებენ უპირატესობას და *ჰ-ის* მნიშვნელობა განუზომლად იზრდება. იგი ფაქტობრივად მიუდგომელია საზღვაო სახელმწიფოებისათვის და გარს ორი კონცენტრირებული „ნახევარმთვარე" აკრავს. აქედან შიდა ნახევარმთვარე აერთიანებს ევროპას, ახლო აღმოსავლეთს, ინდოეთსა და ჩინეთს, ხოლო გარე ნახევარმთვარე – ამერიკის ორივე კონტინენტს, აფრიკას, ავსტრალიაოკეანეთს, აგრეთვე იაპონიასა და დიდ ბრიტანეთს. *ჰ-ის* სტრატეგიულ მნიშვნელობას ემატება მისი ულეველი ბუნებრივი რესურსები. ყოველივე ამის გამო *ჰ-ზე* კონტროლი, მაკინდერის აზრით, მსოფლიოზე ბატონობას ნიშნავს. მაკინდერის „ჰარტლენდის თეორიის" არსი ისაა, რომ საზღვაო სახელმწიფოებს (პირველ რიგში აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს) არ დაეშვათ რუსეთისა (რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა *ჰ-ის* უდიდესი ნაწილი) და გერმანიის (სამხედრო და ტექნოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთი წამყვანი ქვეყნის) დაახლოება და მათ შორის პოლიტიკური *ალიანსის* შექმნის შესაძლებლობა. ვერსალის კონფერენციის თანახმად, ამ მიზანს ემსახურებოდა მთელი რიგი *ბუფერული სახელმწიფოების* ჩამოყალიბება პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. შემდგომში *ჰ-ის* ნეიტრალიზების იდეამ ევროატლანტიკური ალიანსის სახით იჩინა თავი, რომლის გამოხატულებაც ნატოს შექმნა იყო.

ჰეგემონია *სახელმწიფოს* ან ადამიანთა ჯგუფის გაბატონებული მდგომარეობა. ტერმინს ხშირად იყენებდნენ ნეომარქსისტები და *საერთაშორისო ურთიერთობათა* თეორიის სპეციალისტები. ასე მიაწერდა, მაგ., ა. გრამში *ბურჟუაზიას* ჰეგემონის მდგომარეობას კაპიტალისტურ საზოგადოებაში, რისი უტყუარი ნიშანიც იყო ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის გაბატონება.

საერთაშორისო ურთიერთობებში *ჰ-ის* საკითხს უკავშირებდნენ ზესახელმწიფოებს შორის მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლას ან, ბოლოს, ამერიკის მისწრაფებას, გახდეს მსოფლიოში გაბატონებული ერთადერთი ძალა.

ჰეგემონიზმი *სახელმწიფოს* პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიო ან რეგიონალურ ბატონობას, სხვა ქვეყნების დამორჩილებასა და მათთვის საკუთარი ნება-სურვილის თავს მოხვევას. *ჰ.* არ გულისხმობს სხვა ქვეყნის აუცილებლად *ომით* დამორჩილებას და ერთი რომელიმე სახელმწიფოს ჰეგემონიის მაინცდამაინც *ძალის* გამოყენებით დამყარებას. მაგრამ სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ამა თუ იმ სახელმწიფოს სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობა აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მოცემული ქვეყანა ჰეგემონი გახდეს – მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შე-

უძლია მას უკარნახოს საკუთარი ნებასურვილი სხვა ქვეყნებს.

სხვადასხვა ავტორი ტერმინ *ჰ-ს* სხვადასხვანაირად განმარტავს. უკანასკნელი ხუთი საუკუნის განმავლობაში ევროპის ჰეგემონ ქვეყნებად მიიჩნევდნენ პორტუგალიას, ესპანეთს, ნიდერლანდებს, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს, აგრეთვე გერმანიასა და რუსეთის იმპერიას. ამერიკელი მეცნიერის ჯ. მოდელსკის აზრით, XV ს-ის ბოლოდან დღემდე მსოფლიოს სულ ოთხი ჰეგემონი ქვეყანა ჰყავდა: პორტუგალია (XVI ს.), ნიდერლანდები (XVII ს.), დიდი ბრიტანეთი (XVIII-XIX სს.) და აშშ (XX ს.). ი. ვალენშტაინი კი ფიქრობს, რომ ჰეგემონიას ეკონომიკური უპირატესობა განაპირობებს და ხანმოკლე პერიოდს (40-50 წელს) მოიცავს, სანამ ახალ ტექნოლოგიურ და ტექნიკურ მიღწევებს სხვა ქვეყნებიც არ აითვისებენ და არ შეავიწროებენ ჰეგემონს; ამ თვალსაზრისით, მსოფლიოში სულ სამი ჰეგემონი ქვეყანა შეიძლება გამოიყოს: ნიდერლანდები (XVII ს-ის შუა წლები), დიდი ბრიტანეთი (XIX ს-ის პირველი ნახევარი) და აშშ (XX ს-ის შუა პერიოდი).

XX ს-ის მეორე ნახევარში ჰეგემონისტური მიზნები ძირითადად ორ ქვეყანას – აშშ-სა და სსრ კავშირს ახასიათებდა (თუმცა, ზოგჯერ *ჰ-ში* ადანაშაულებდნენ, აგრეთვე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, რომელსაც *მესამე სამყაროს* ლიდერისა და ხელმძღვანელის პრეტენზიები ჰქონდა). საბჭოთა *ჰ.* გამოდიოდა ანტიიმპერიალისტური და ანტიკოლონიური ლოზუნგებით და მიზნად ისახავდა საკუთარი გავლენის გლობალურ გავრცელებას, მეტადრე განვითარებად ქვეყნებში. აშშ-ის *ჰ-ს* საფუძვლად ედო ბრძოლა კომუნისტური ექსპანსიისა და საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ, ამასთან ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების ქადაგებით აშშ ცდილობდა მაქსიმალურად გაეზარდა თავისი გავლენა მთელს მსოფლიოში.

კომუნისტური სისტემის ნგრევამ და სსრ კავშირის დაშლამ საბჭოთა (რუსული) *ჰ.* დროებით შეასუსტა. იმავდროულად სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა აშშ-ის საქმიანობა საერთაშორისო ასპარეზზე (ნატოს გაფართოება და მისი აქტიური მონაწილეობა ევროპულ კონფლიქტებში, *განვითარებადი ქვეყნების* ფართო ფინანსური დახმარება, ამერიკული ცხოვრების წესის პროპაგანდა და სხვ.). ეს ხშირად აღიქმებოდა და აღიქმება როგორც აშშ-ის ჰეგემონისტურ მისწრაფებათა პრაქტიკული გამოვლინება, რაც ფეხზე წამომდგარი და გაძლიერებული დასავლეთ ევროპის ქვეყნების უკმაყოფილებას იწვევდა. ამიტომ სულ უფრო და უფრო იგრძნობოდა და იგრძნობა დასავლეთ ევროპის (ევროკავშირის) მზარდი წინააღმდეგობა აშშ-ის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო (თუნდაც ნატოს შიგნით) *ჰ-ის* მიმართ და ფართომასშტაბიანი მრავალმხრივი, აქტიური ძალისხმევა საკუთარი, სუპერსახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი მდგომარეობის განმტკიცებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ მწიფდება ევროპის წამყვანი ქვეყნების კავშირის *ჰ-ის* ნიშნები.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის *ჰ.* დროებით ისტორიას ჩაბარდა, თუმცა სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება რუსეთის წადილი, დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები, ამასთან, პირველ რიგში – ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. ამ მიზნით შეიქმნა დსთ, მაგრამ ამ ორგანიზაციამ ვერ გაამართლა შემქმნელთა მოლოდინი. დღეს რუსეთის *ჰ-ის* იდეოლოგები ეძებენ ახალ ეკონომიკურ, სამხედრო და პოლიტიკურ ბერკეტებს „ახალი სახის საბჭოთა კავშირის“ შექმნის გზით რუსეთის ჰეგემონისტურ მისწრაფებათა რეალიზაციისათვის.

ჰეგემონური სტაბილურობა საერთაშორისო *პოლიტიკური ეკონომიის* ერთ-ერთი თეორია, რომლის მიხედვითაც მდგრადი *საერთაშორისო რეჟიმების* შესაქმნელად აუცილებელი იყო საერთაშორისო ჰეგემონის არსებობა, რომელიც ნორმებისა და წესების დადგენით ბიძგს მისცემდა რეჟიმს. თანამშრომლობის დასაწყებად ჰეგემონს უნდა უზრუნველეყო საერთო ხარჯები, რომლებსაც გრძელვადიან პერსპექტივაში აინაზღაურებდა. მეცნიერებს შორის უთანხმოებას იწვევს ის, თუ რამდენად აუცილებელია ჰეგემონის არსებობა უკვე შექმნილი საერთაშორისო რეჟიმის ფუნქციონირების შემდეგ. *ჰ. ს-ის* მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ ამერიკის შეერთებული შტატების როლი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საერთაშორისო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში (იხ. აგრ. *ბრეტონ-ვუდსის სისტემა*).

ჰერმენევტიკა თარგმნის, ახსნის ხელოვნება, რომელსაც ფლობდა ბერძნული მითოლოგიის ღმერთი ჰერმესი – ზევსის შიკრიკი, შუამავალი უზენაეს ღმერთსა და ხალხს შორის. XIX ს-ში *ჰ.* გახდა სასულიერო და რელიგიური ტექსტების ახსნა-განმარტების სპეციფიკური მეთოდი. უფრო კონკრეტულად *ჰ.* – ეს არის სწავლება რაიმეს პრაქტიკული გამოყენების შესახებ, რომელიც ახსნა-განმარტებას მოითხოვს, სწავლება ინტერპრეტაციის პრინციპების შესახებ. XX ს-ში მან ხელი შეუწყო რელიგიური შინაარსის თეორიის საეროში გადაზრდას. პოლიტიკურ ისტორიაში *ჰ.,* უპირველეს ყოვლისა, ასოცირდება „კემბრიჯის სკოლასთან", რომელსაც მიეკუთვნებოდნენ ისეთი მწერლები, როგორებიც არიან: კ. სქინერი და ჯ. დანი. *ჰ-ს* შეიძლება, აგრეთვე, მივუდგეთ როგორც დისციპლინას, რომელსაც, უბრალო ახსნისგან განსხვავებით, სხვა დამატებითი აქცენტები აქვს, რომლებიც უპასუხებენ კითხვაზე, თუ რა შეიძლება გადმოგვცეს მოცემულმა ტექსტმა შინაარსის მიღმა.

ჰიპოთეზა მეცნიერული ვარაუდი, რომელიც წამოყენებულია გარკვეული მოვლენების ასახსნელად და მოითხოვს ვერიფიცირებას (დამოწმებას). *ჰ-ის* საშუალებით, გარკვეული ფაქტების საფუძველზე, კეთდება დასკვნა გარკვეული ობიექტის, კავშირის ან მოვლენის მიზეზის შესახებ. *ჰ-ს* ალბათური ხასიათი აქვს, ამიტომ საჭიროა მისი შემოწმება და დასაბუთება. *ჰ.* დიდ როლს ასრულებს მეცნიერული ცოდნის განვითარებაში. ის ნებისმიერი მეცნიერული კვლევა-ძიების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. *ჰ-ებს* განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ემპირიულ მეცნიერებებში. *ჰ.* არის ვარაუდი ფაქტების ორ ჯგუფს შორის მიზეზობრივი კავშირის შესახებ.

სოციოლოგიურ გამოკვლევებში *ჰ.* ერთ-ერთი მთავარი მეთოდოლოგიური ინსტრუმენტია, რომელიც განსაზღვრავს კვლევის დაგეგმვას, კვლევის მეთოდების სწორ შერჩევას, მთელი პროცესის ორგანიზებას. სოციოლოგიურ გამოკვლევებში *ჰ.* წარმოადგენს დასაბუთებულ ვარაუდს შესასწავლი სოციალური ობიექტების, მათი სტრუქტურის, თავისებურებების, სოციალურ მოვლენებს შორის არსებული კავშირების არსისა და ხასიათის, ამ კავშირების განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ. უნდა მოხდეს ისეთი *ჰ-ების* წამოყენება, რომელთა დამტკიცება ემპირიულად არის შესაძლებელი, თუმცა კვლევის პროცესში შეიძლება მოხდეს მათი უარყოფა. რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებისას *ჰ-ის* ფორმულირება ხდება კვლევის პროგრამაში, მონაცემების შეგროვების დაწყებამდე, ხოლო მათი შემოწმება – კვლევის პროცესში. თვისებრივი მეთოდების გამოყენების დროს ფაქტების, მოვლენების მნიშვნელობის გა-

აზრება მკვლევრის მიერ კვლევის პროცესში ხდება. *ჰ-ები* ფორმულირდება, როგორც წესი, ანალიზის დასკვნით ეტაპზე.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, *ჰ-ები* შემაკავშირებელი რგოლია თეორიულ კონცეფციასა და კვლევის ემპირიულ ბაზას შორის.

არსებობს *ჰ-თა* კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმის მიხედვით: 1. კვლევის ამოცანათა მიხედვით – ძირითადი და არაძირითადი *ჰ-ები*, 2. საგნობრივი სფეროს შესახებ ვარაუდების შინაარსის მიხედვით – აღწერითი და ახსნითი *ჰ-ები*, 3. დამუშავებისა და დასაბუთებულობის ხარისხის მიხედვით – პირველადი და მეორადი *ჰ-ები*, 4. ვარაუდების ერთიანობის ხარისხის მიხედვით, *ჰ-ები* – საფუძვლები და *ჰ-ები* – შედეგები (ანუ საფუძველჩამყრელი და გამომდინარეობითი ხასიათის *ჰ-ები*).

ჰოლიზმი კვლევითი მიდგომა. გამოდის რა დებულებიდან, რომ მთელი მეტია მის ნაწილთა ჯამზე, გამოსაკვლევი ობიექტის ცალკეული თვისების რედუქციას ახდენს. *ჰ.* ცდილობს ფენომენი დაინახოს, დააკვირდეს და ახსნას მთლიანობაში. ეს პოზიცია, უპირველეს ყოვლისა, თვისებრივ სოციოლოგიურ კვლევებშია გაზიარებული, მაშინ როცა რაოდენობრივი კვლევა მოვლენებს, ფაქტებსა და ფენომენებს პარტიკულარულად და ატომარულად განიხილავს. *სოციოლოგიაში ჰ.* სოციოლოგიური თეორიაა, რომელიც სოციოლოგიურ ახსნებსა და სოციალური შედეგების განსაზღვრაში „სოციალური სტრუქტურის“, „სოციალური სისტემის“ პრიმატს აღიარებს. *ჰ-ს* სოციოლოგიაში უპირისპირდება *მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი. ჰ.* სოციოლოგიაში ასევე გულისხმობს პრეტენზიას, რომლის თანახმადაც, სოციოლოგია, განსხვავებით სხვა სოციალური მეცნიერებებისაგან, სოციალური მოვლენების მთლიან სურათს იძლევა.

ჰომოსექსუალიზმი სქესობრივი კონტაქტი ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებს შორის. ეს კონტაქტი შეიძლება იყოს არარეგურალური, შემთხვევითი, ორგაზმის გარეშე, ან – ინდივიდისთვის წამყვანი სექსუალური ორიენტაციის გამოხატულება. შესაბამისად, ტერმინი ლიტერატურაში გამოიყენება ფართო სპექტრით – არარეგულარული (ერთი ან ორი) კონტაქტის მქონე ინდივიდებთან დაკავშირებითაც და იმათ მიმართაც, ვისთვისაც ჰეტეროსექსუალური კონტაქტი პრაქტიკულად არ არსებობს. ტერმინი უფრო ხშირად გამოიყენება მამაკაცებს შორის ინტიმური კავშირების აღსაწერად. *ჰ-ის* ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სოციალურ-კულტურული ფაქტორები. ძირითად პრობლემებს წარმოადგენს *ჰ-ის* გავრცელების არეალი, მის მიმართ დამოკიდებულებებისა და სიმბოლიზების სისტემები სხვადასხვაგვარ *საზოგადოებაში*, რამდენადაც მიღება-მიუღებლობის თუ კვალიფიცირების (ცოდვა, დანაშაული, დაავადება) თავისებურებები შეესაბამება კულტურულ ორიენტაციებსა და *სოციალური მოქმედების* სტრატეგიებს. *ჰ.* დაკავშირებულია სექსუალურ მომთმენობასთან, ოჯახის სტრუქტურასთან, აღზრდის პროცესში სქესთა სეგრეგაციის ხარისხთან და სხვა სოციალურ-კულტურულ ფაქტორებთან. ჰომოსექსუალისტთა მიმართ დამოკიდებულებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სტიგმატიზაცია (რაიმე კატეგორიის ხალხის სოციალურ-ფსიქოლოგიური დისკრიმინაცია) (იხ. *სტიგმა*) და ოსტრაკიზმი (კულტურის მოთხოვნათა მიმართ დამორჩილებისთვის გამიზნული ბოიკოტის ტიპის სანქციები). თანამედროვე მიდგომით, *ჰ.* უფრო ხშირად სექსუალური უპირატესობის

სპეციფიკურ გამოვლენად მიიჩნევა და იშვიათად (ფორმის გათვალისწინებით) – დაავადებად. სოციალურ მოძრაობაში სხვადასხვა მიმართულება (*ფემინიზმი, ესენციალიზმი* და სხვ.) ხაზგასმით აღნიშნავდა სექსუალობის სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას და მოითხოვდა *ჰ-ის* თავისუფლებას. შეიქმნა ჰომოსექსუალთა დისკრიმინაციის, შევიწროების და სტიგმატიზაციის საწინააღმდეგო კონტრიდეოლოგიები. ტერმინი ჰომოსექსუალი ამგვარი მამაკაცებისთვის განსაკუთრებით მისაღები აღმოჩნდა ოსტრაკიზმის თავიდან ასაცილებლად. მისი სინონიმია გეი. მამაკაცთა *ჰ-თან* ერთად არსებობს *ქალთა ჰ-ც* – ლესბიანიზმი (საბერძნეთის კუნძულ ლესბოსის სახელწოდების მიხედვით; მისი სინონიმებია „საპფიზმი" ან „ტრიბადია").

ჰუმანიტარული დახმარება დროებითი ბუნებრივი და სოციალური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით სახელმწიფოების მიერ განეული და მიღებული დახმარება. *ჰ. დ. საერთაშორისო სამართლით* გათვალისწინებული არ არის და მხოლოდ სახელმწიფოების კეთილი ნების გამოვლინებად განიხილება.

ჰუმანიტარული ინტერვენცია *ადამიანის უფლებათა* უხეში და მასობრივი დარღვევების ჩამდენი სახელმწიფოს წინააღმდეგ *საერთაშორისო ორგანიზაციის* (ორგანიზაციების) მიერ სამხედრო, ეკონომიკური თუ სხვა სახის *ძალის* გამოყენება. *ინტერვენციისაგან* განსხვავებით, რომელიც *საერთაშორისო სამართლით* აკრძალულია როგორც *ჩაურევლობის* პრინციპის დარღვევა, *ჰ. ი.* მართლზომიერ აქტად ითვლება, რადგან არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, ჩაიდინოს თავის ტერიტორიაზე *საერთაშორისო სამართლით* აკრძალული დანაშაული – *გენოციდი, აპართეიდი, ეთნიკური წმენდა* და სხვ. *ჰ. ი-ს* შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სახე (მაგ., ნატოს მოქმედება იუგოსლავიის პროვინცია კოსოვოში 1999 წ.; გაეროს მიერ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მოქცევა ეკონომიკურ, სავაჭრო და პოლიტიკურ ბლოკადაში – 1970-1990-იან წლებში და სხვ.). *ჰ. ი-ის* გამოყენება ეკრძალებათ ცალკეულ სახელმწიფოებს, რადგან *ადამიანის უფლებათა* უხეში დარღვევის ფაქტი, რომელიც საერთაშორისო დანაშაულის ტოლფასია და რომელსაც სამხედრო ჩარევაც კი შეიძლება მოჰყვეს, გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დგინდება და მისი მოწესრიგებაც საერთაშორისო ღონისძიებებით უნდა მოხდეს, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი მიკერძოებანი. ამ პრინციპის სათანადოდ დაუცველობის გამო აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ნატოს მეთაურობით კოსოვოში *ჰ. ი-ის* განხორციელებამ.

ლექსიკონის სტატიათა და ავტორთა ნუსხა

აბოლიციონიზმი (*მ. ბიჭა შეილი*). აბსენტეიზმი (*თ. კიკნაძე*). აგილი (*ი. კაჭკაჭა შილი*). აგიტაცია (*თ. კიკნაძე*). აგრარული საზოგადოება (*ვ. გორგო ზია*). აგრესია (*ზ. დავითა შვილი*). ადათი (*ვ. გორგო ზია*). ადამიანის უფლებე ბი (*თ. კიკნაძე*). ადამიანური ფაქტორი [*იხ.* ერგონომიკა]. ადაპტაცია სოციალური (*ლ. სურმანიძე*). ადმინისტრა ცია (*თ. კიკნაძე*). აკტიკია (*ზ. დავითა შვილი*). აკტიკრატია (*მ. ბიჭა შეილი*). აკტონომია (*თ. კიკნაძე*). აკტორიტა რიზმი (*მ. ბიჭა შეილი*). აკიომოდაცია (*ზ. დავითა შვილი*). აკულტურაცია (*ლ. სურმანიძე*). ალიანსი (*ვ. ხელა შვილი*). ალტრუიზმი (*ლ. სურმანიძე*). ამბორი (*ი. კაჭკაჭა შვილი*). ანალიზის დონეები (*ვ. ხელა შილი*). ანარქია (*მ. ბიჭა შეილი, ვ. ხელა შვილი*). ანარქიზმი (*თ. კიკნაძე*). ანეექსია (*ზ. დავითა შვილი*). ანთროპოლოგია (*ვ. გორგო ზია*). ანთროპოცენტრიზმი (*ვ. გორგო ზია*). ანიმიზმი (*ლ. სურმანიძე*). ანკეტა (*ნ. დონაძე*). ანკეტირება (*ნ. დონაძე*). ანომია (*ვ. კოდუა, ი. კაჭკაჭა შვილი*). ანტაგონიზმი (*მ. ბიჭა შეილი*). აპართეიდი (*თ. კიკნაძე*). აპოლი ტიკურობა (*მ. ბიჭა შვილი*). არაცნობიერი (*ვ. ჯგერენაია*). არაცნობიერი მოტივაცია (*ი. კაჭკაჭა შვილი*). არბიტ რაჟი (*საერთაშორისო*) (*ზ. დავითა შვილი*). არბიტრირება (*მ. ბიჭა შეილი*). არისტოკრატია (*თ. კიკნაძე*). არტეფაქ ტი (*ლ. სურმანიძე*). არქეტიპი (*ლ. სურმანიძე*). არშემდგარი სახელმწიფო (*ვ. ხელა შვილი*). არჩევნები (*მ. ბიჭა შვილი*). ასიმილაცია (*ლ. სურმანიძე*). ასოციაციანი (*მ. ბიჭა შვილი*). აფლუენცია (*ლ. სურმანიძე*). აქტორი (*ზ. დავითა შვილი*). აქციონერაქციონი (*ზ. დავითა შვილი*). აღმასრულებელი ხელისუფლება (*მ. ბიჭა შვილი*). აღმოსა ვლეთი–დასავლეთი (*ვ. ხელა შვილი*). აღეშა (*ვ. ხელა შვილი*). აღნერა (*ვ. ჯგერენაია*). აშკარა და ლატენტური ფუნქციები (*ი. კაჭკაჭა შვილი*). ახალი მედიევალიზმი (*ვ. ხელა შვილი*). ახალი მსოფლიო წესრიგი (*ვ. ხელა შვილი*). ახსნა (*ვ. ჯგერენაია*). აჯანყება [*იხ.* კოლექტიური მოქმედება]. ბაზისი და ზედნაშენი (*ვ. გორგო ზია*). ბაზისური პიროვნება [*იხ.* პიროვნების სოციალური თეორიები]. ბალკანიზაცია (*ვ. ხელა შილი*). ბატონობა და მორჩილება (*ზ. ტატი შილი*). ბინარული ოპოზიციები (*ლ. სურმანიძე*). ბიოგრაფიული მეთოდი (*ნ. დონაძე*). ბიოლოგი ზმი [*იხ.* ნატურალისტური სოციოლოგია]. ბიპარტიზანული (*ზ. დავითა შვილი*). ბირთვე ული ზამთარი (*ზ. დავითა შვილი*). ბირთვული იარაღი [*იხ.* მასობრივი განადგურების იარაღი]. ბირთვული ქოლ გა (*ზ. დავითა შილი*). ბირთვული შეკავება (*ზ. დავითა შილი*). ბიუროკრატია (*ი. კაჭკაჭა შვილი, თ. კიკნაძე*). ბი უროკრატიული პოლიტიკა (*ვ. ხელა შვილი*). ბიპეიორიზმი (*ლ. სურმანიძე*). ბლიცკრიგი (*ზ. დავითა შვილი*). ბლოკადა (*ზ. დავითა შილი*). ბლოკი (*ზ. დავითა შილი*). ბოიკოტი (*მ. ბიჭა შვილი, ზ. დავითა შილი*). ბრეტონ ვუდსი (*ზ. დავითა შილი*). ბუდიზმი (*ვ. გორგო ზია*). ბულა (*თ. კიკნაძე*). ბუნებრივი და სოციალური ნორმები (*ი. კაჭკაჭა შვილი*). ბუნტი [*იხ.* კოლექტიური მოქმედება]. ბურჟუაზია (*მ. ბიჭა შვილი*). ბუფერული სახელმწიფო (*ვ. ხელა შვილი*). გაგება (*ვ. ჯგერენაია*). გადატრიალება [*იხ.* სახელმწიფო გადატრიალება]. გადმოლეული ეფექტი (*ვ. ხელა შვილი*). გაკვლევის სფეროები (*ვ. ხელა შვილი*). გაზოშვის მეთოდი (*მ. ბურძგლიძე*). გაზოშვის სკალები (*მ. ბურძგლიძე*). გამალებული შეიარაღება (*ზ. დავითა შვილი*). გამოკითხვა (*ნ. დონაძე*). გამოყენებითი სოციოლო გია (*ვ. ჯგერენაია*). გამოწვევა (*თ. კიკნაძე*). განვითარებადი ქვეყნები [*იხ.* მესამე სამყარო]. განიარაღება (*ზ. დავითა შილი*). განმანათლებლობა (*ვ. გორგო ზია*). განუზრახველი შედეგები (*ი. კაჭკაჭა შვილი*). გვიანშაფ ტი/გვიზელშიფტი (*ი. კაჭკაჭა შვილი*). გენდერი (*თ. კიკნაძე*). გენდერული კვლევები (*თ. კიკნაძე*). გენერალური ერ თობლიობა (*ი. კაჭკაჭა შვილი*). გენოციდი (*ზ. დავითა შილი*). გეოგრაფიული დეტერმინიზმი (*ზ. დავითა შვილი*). გეოგრაფიული მიმდინარეობა სოციოლოგიაში (*ზ. ტატი შვილი*). გეოეკონომიკა (*ზ. დავითა შვილი*). გეოპოლი ტიკა (*ზ. დავითა შვილი*). გერბი (სახელმწიფო) (*მ. ბიჭა შვილი*). გერონტოკრატია (*მ. ბიჭა შვილი*). გერონტოსო ციოლოგია (*ვ. გორგო ზია*). გეტო (*ი. კაჭკაჭა შვილი*). გეშტალტი (*ვ. ჯგერენაია*). გვარი, ტომი, ფრატრია (*ვ. გორგო ზია*). გვაროვნული საზოგადოება (*ვ. გორგო ზია*). გლობალიზაცია (*ი. კაჭკაჭა შვილი, ვ. ხელა შვილი*). გლობალი ზმი (*ვ. ხელა შვილი*). გლობალური პრობლემები (*ზ. დავითა შვილი*). დაბალი პოლიტიკა (*ვ. ხელა შვილი*). დაზღვევა (*ვ. ხელა შვილი*). დაკვირვება (*თ. კიკნაძე*). დანაშაულის სოციოლოგია (*ვ. გორგო ზია*). დაქვემდებარება (*ვ. ხელა შილი*). დაშინება (*ვ. ხელა შვილი*). დაშოშმინება (*ზ. დავითა შილი*). დევიაცია (*ი. კაჭკაჭა შვილი*). დევიდეოლოგიზაცია (*თ. კიკნაძე*). დეკლარაცია (*თ. კიკნაძე*). დეკოლონიზაცია (*ზ. დავითა შილი*). დეკრეტი (*მ. ბიჭა შვილი*). დელეგირება (*მ. ბიჭა შვილი*). დელინკვენტობა (*ი. კაჭკაჭა შვილი*). დემარში (*მ. ბიჭა შვილი*). დემილიტარიზაცია (*ზ. დავითა შილი*). დემოკრატია (*თ. კიკნაძე*). დემოკრატია პირდაპირი (*მ. ბიჭა შვილი*). დემოკრატია ნარმომადგენლობითი (*მ. ბიჭა შვილი*). დემოკრატიული მშვიდობა (*ვ. ხელა შვილი*). დეპორტაცია (*ზ. დავითა შვილი*). დესპოტიზმი (*მ. ბიჭა შვილი*). დესტაბილიზაცია (*ვ. ხელა შილი*). დე ფაქტო–დე იურე (*მ. ბიჭა შვილი*). დიალოგი (*პოლიტიკური*) (*თ. კიკნაძე*). დისპარა (*ზ. დავითა შვილი*). დიდი სახელმწიფოები (*ზ. დავითა შილი*). დიდი სტრატეგია [*იხ.* დოქტრინა (*პოლიტიკური*)]. დიდი შვიდეული (*ზ. დავითა შვილი*). დინამიკა (*მ. ბიჭა შვილი*). დიპლომატია (*ვ. ხელა შვილი*). დისიდენტი (*მ. ბიჭა შვილი*). დისკრიმინაცია (*სოციალურ-პოლიტიკური*) (*თ. კიკნაძე*). დისკურსი (*ი. კაჭკაჭა შვილი*). დისკურ სული ცნობიერება (*ი. კაჭკაჭა შვილი*). დისპერსიული ანალიზი (*ანოვა*) (*მ. ბურძგლიძე*). დისტანცია (*ლ. სურმანიძე*). დიქტატურა (*მ. ბიჭა შვილი*). დოგმატიზმი (*თ. კიკნაძე*). დოკუმენტების ანალიზი (*მ. ბურძგლიძე*). დომინის თეორია (*ვ. ხელა შვილი*). დოქტრინა (*პოლიტიკური*) (*მ. ბიჭა შვილი*). დრაკონული კანონები (*მ. ბიჭა შვილი*). დრამატურგიული მიდგომა (*ნ. დონაძე*). ეგალიტარიზმი (*ლ. სურმანიძე*). ეგზისტენციალური სოციოლოგია (*ვ. ჯგერენაია*). ეგზოგამია (*ლ. სურმანიძე*). ეგო [*იხ.* იდი, ეგო, სუპერ-ეგო]. ეკოლეგია (*ვ. გორგო ზია*). ეკოლეგიური სოციოლოგია (*ვ. გორგო ზია*). ეკოროპოლენტრიზმი (*ვ. გორგო ზია*). ეთიკა (*პოლიტი კური*) (*მ. ბიჭა შვილი*). ეთნიკური ნაციონალიზმი (*ზ. დავითა შვილი*). ეთნიკური წმენდა (*ზ. დავითა შვილი*). ეთ ნოგრაფია (*ლ. სურმანიძე*). ეთნოლოგია (*ლ. სურმანიძე*). ეთნოპოლიტიკა (*მ. ბიჭა შვილი*). ეთნოსი (*ლ. სურმანიძე*). ეთნოცენტრიზმი (*ლ. სურმანიძე*). ეთოსი (*ლ. სურმანიძე*). ეკლესია (*ვ. გორგო ზია*). ეკოლოგია (*ვ. გორგო ზია*). ეკოლოგიური კრიზისი (*ვ. გორგო ზია*). ეკონომიკა (*ლ. მუზერი შვილი*). ეკონომიკური სანქციები (*ზ. დავითა შვილი*). ეკონომიკური სოციოლოგია (*ლ. მუზერი შვილი*). ეკოპოლიტიკა (*თ. კიკნაძე*). ეკუმენიზმი (*თ. კიკნაძე*). ელექტორატი (*თ. კიკნაძე*). ელიტა (*ზ. ტატი შვილი*). ელიტიზმი (*მ. ბიჭა შვილი*). ემანსიპაცია

(თ. კიკანძე). ემანსიპაცია ქალთა [იხ. ფემინიზმი]. ემბარგო (ზ. დავითაშვილი). ემერჯენტული თვისებები (ი. კაჭკაჭიშვილი). ემპათია / უმპათიკური გაგება (ი. კაჭკაჭიშვილი). ენიგრაცია (ძ. ბიგაშვილი). ენერგონომიკა (ლ. ხურმანიძე). ერთგანზომილებიანი ადამიანი (ვ. გორრიზია). ერთიანი ველის სისტემა (ზ. დავითაშვილი). ერთობა (სოციალური) (ვ. გორრიზია). ერი (ძ. ბიგაშვილი, ვ. გორრიზია, ზ. დავითაშვილი). ეროსახელმწიფო (ზ. დავითაშვილი). ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა (ზ. დავითაშვილი). ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა (ძ. ბიგაშვილი). ეროვნული თვითგამორკვევა (ზ. დავითაშვილი). ეროვნული ინტერესები (გ. ხელაშვილი). ეროვნული სახელმწიფო (ძ. ბიგაშვილი). ეროვნული უსაფრთხოება (გ. ხელაშვილი). ეროვნული ცნობიერება (ძ. ბიგაშვილი). ეროვნული ხასიათი (ვ. გორრიზია). ეროსი და თანატოსი (ლ. ხურმანიძე). ესენციალიზმი (ი. კაჭკაჭიშვილი). ესკალაცია (გ. ხელაშვილი). ეტალონური ცვლადები (ი. კაჭკაჭიშვილი). ეტატიზმი (თ. კიკანძე). ეტიკური და ემიკური მიდგომები (ლ. ხურმანიძე). ექსპანსია (პოლიტიკური) (ძ. ბიგაშვილი). ექსპერიმენტი (ნ. დონაძე). ექსპერტი (ნ. დონაძე). ექსპლუატაცია (თ. კიკანძე). ექსპლორაციაა (თ. კიკანძე). ექსტერიმიზმი (ძ. ბიგაშვილი). ეიალიდურობა (ნ. დონაძე). ელრიფიკაცია (ნ. დონაძე). ელექტალიის სისტემა (გ. ხელაშვილი). ელეტი (ძ. ბიგაშვილი, ზ. დავითაშვილი). ენიტტი (ძ. ბიგაშვილი). ენექტიმოლოგია (ვ. გორრიზია). ენლენტარიზმი (თ. კიკანძე). ენოტეტი (ძ. ბიგაშვილი). ენულგარული მატერიალიზმი (ვ. გორრიზია). ზავი (გ. ხელაშვილი). ზენნოლის ფენომენები (ძ. ბიგაშვილი). ზნეწრფულებები (ი. კაჭკაჭიშვილი). თავდაუსახლებლობის პაქტი (გ. ხელაშვილი). თავდაცვა (გ. ხელაშვილი). თავისუფალი არჩევნები [იხ. არჩევნები]. თავისუფალი დროის სოციოლოგია (ლ. ძუბერიშვილი). თავისუფლება (ლ. ძუბერიშვილი). თამაშების თეორია (ლ. ხურმანიძე, გ. ხელაშვილი). თანაბარი შესაძლებლობები (ძ. ბიგაშვილი). თანასწორუფლებიანობა (თ. კიკანძე). თაობა (ნ. დონაძე). თეორისაყველიანები (ზ. ტატიშვილი). თეოკრატია (თ. კიკანძე). თვითგამორკვევა (თ. კიკანძე). თვითმკვლელობა (ვ. კოდუა). თვითმმართველობა (ძ. ბიგაშვილი). თვითცნობიერება [იხ. იდენტობა]. თინეიჯერი (ლ. ხურმანიძე). იარლიყების „მიკერების“ თეორია (ი. კაჭკაჭიშვილი). იდეალიზმი (იხ. პოლიტიკური იდეალიზმი). იდეალური ტიპი (ი. კაჭკაჭიშვილი). იდენტობა (ლ. ხურმანიძე). იდეოლოგია (ვ. ჯგერენაია). იდი, ეგო, სუპერ-ეგო (ლ. ხურმანიძე). იდიოგრაფიული და ნომოთეტური მეთოდი (ვ. გორრიზია). იერარქია (ძ. ბიგაშვილი, ზ. დავითაშვილი). იზოლაციონიზმი (ზ. დავითაშვილი). იმპერია (თ. კიკანძე). იმპერიალიზმი (გ. ხელაშვილი). იმპიჩმენტი (თ. კიკანძე). იმუნიტეტი (პოლიტიკური) (ძ. ბიგაშვილი). ინაუგურაცია (თ. კიკანძე). ინდექსი (ძ. ბურტიკიძე). ინდივიდუალიზმი (ლ. ხურმანიძე). ინდიუზმი (ვ. გორრიზია). ინდუსტრიალიზაცია (ლ. ძუბერიშვილი). ინდუსტრიული საზოგადოება (ლ. ძუბერიშვილი). ინდუსტრიული სოციოლოგია (ლ. ძუბერიშვილი). ინერციოლოგია (თ. კიკანძე). ინკვიზიცია (ძ. ბიგაშვილი). ინკრეტენტალიზმი (თ. კიკანძე). ინოვაცია (ი. კაჭკაჭიშვილი). ინტეგრაცია (გ. ხელაშვილი). ინტელიგენცია (ვ. გორრიზია). ინტერენი (ვ. გორრიზია). ინტერვენცია (ზ. დავითაშვილი). ინტერვიუ (ნ. დონაძე). ინტერვიუერი (ნ. დონაძე). ინტერიორიზაცია [ინგიჯა, რაც ინტერნალიზაცია]. ინტერნალიზაცია (ი. კაჭკაჭიშვილი). ინტერნაციონალიზმი (ზ. დავითაშვილი). ინტერპელაცია (თ. კიკანძე). ინფორმაციული საზოგადოება (ვ. გორრიზია). ინფრასტრუქტურა (ვ. ჯგერენაია). ირიდენტიზმი (ზ. დავითაშვილი). ისკეიპიზმი (თ. კიკანძე). ისლამი (ვ. გორრიზია). ისლამური ფუნდამენტალიზმი (ძ. ბიგაშვილი). ისტემელიშენტი (თ. კიკანძე). ისტორიზმი (ვ. ჯგერენაია). „ისტორიის დასასრული“ (გ. ხელაშვილი). ისტორიის სოციოლოგია (ვ. ჯგერენაია). ისტორიული მატერიალიზმი (ვ. გორრიზია). ისტორიოგრაფია (ვ. ჯგერენაია). იუდაიზმი (ვ. გორრიზია). იურიდიული სოციოლოგია [იხ. სამართლის სოციოლოგია]. კაბინეტი (ძ. ბიგაშვილი). კაზუისტიკა (ძ. ბიგაშვილი). კანონი (ძ. ბიგაშვილი). კანტატალიზმი (ძ. ბიგაშვილი). კაბატულაცია (ძ. ბიგაშვილი). კასტა (ლ. ხურმანიძე). კეთილდღეობის საზოგადოება (ვ. ჯგერენაია). კენტისყრა (ძ. ბიგაშვილი). კეკაზისახელმწიფო [იხ. არშემდგარი სახელმწიფო]. კვანტიფიკაცია (ძ. ბურტიკიძე). კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები (ი. კაჭკაჭიშვილი). კვლევის რაოდენობრივი მეთოდები [იხ. კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები]. კითხვა (ნ. დონაძე). კითხვარი (ნ. დონაძე). კლანი (ლ. ხურმანიძე). კლანი (ზ. ტატიშვილი). კლასობრივი ბრძოლა (ზ. ტატიშვილი). კლასობრივი ინტერესები და ცნობიერება (ზ. ტატიშვილი). კლასობრივი სტრუქტურა (ზ. ტატიშვილი). კლასტერული ანალიზი (ძ. ბურტიკიძე). კლაუზევიცის დოქტრინა (გ. ხელაშვილი). კლერიკალიზმი (ძ. ბიგაშვილი). კლიენტელიზმი (თ. კიკანძე). კოალიცია (პოლიტიკური) (თ. კიკანძე, გ. ხელაშვილი). კოალიცია (თ. კიკანძე, გ. ხელაშვილი). კოგნიტური სოციოლოგია (ლ. ხურმანიძე). კოეფიციენტი (ლ. ხურმანიძე). კოლაბორაციონიზმი (ძ. ბიგაშვილი). კოლონია (ძ. ბიგაშვილი). კოლექტივიზმი (ძ. ბიგაშვილი). კოლექტიური მოქმედება (ლ. ხურმანიძე). კოლექტიური პასუხისმგებლობა (თ. კიკანძე). კოლექტიური უსაფრთხოება (გ. ხელაშვილი). კოლექტიური ცნობიერება (ლ. ხურმანიძე). კოლექტიური ხელმძღვანელობა (ძ. ბიგაშვილი). კოლონიალიზმი (ზ. დავითაშვილი). კომპლექსური ფუნიციონალიზმიდან დებულების თეორია (ზ. დავითაშვილი). კომპროდარული ბურჟუაზია (თ. კიკანძე). კომპრომისი (ძ. ბიგაშვილი). კომფლიზმი (ძ. ბიგაშვილი). კომუნიკაცია (ვ. გორრიზია). კომუნიკე [იხ. საერთაშორისო კომფერენცია]. კომუნიტარიზმი (თ. კიკანძე). კონდომინიუმი (ზ. დავითაშვილი). კონფედერალიზმი (თ. კიკანძე). კონფერენცია (თ. კიკანძე). კონვერგენციის თეორია (ზ. დავითაშვილი). კონვერსია (ძ. ბიგაშვილი). კონიუნქტურა (თ. კიკანძე). კონკორდატი (ძ. ბიგაშვილი). კონსენსუსი (ძ. ბიგაშვილი). კონსერვატიზმი (ძ. ბიგაშვილი). კონსტიტუცია (თ. კიკანძე). კონსტრუქტივიზმი [იხ. სოციალური კონსტრუქტივიზმი]. კონტენტ-ანალიზი (ი. კაჭკაჭიშვილი). კონტექსტი (ლ. ხურმანიძე). კონტრკულტურა (ი. კაჭკაჭიშვილი). კონტროლის ლოკუსი (ლ. ხურმანიძე). კონფედერალიზმი (ზ. დავითაშვილი). კონფედერაცია (ზ. დავითაშვილი). კონფლიქტი (ვ. ჯგერენაია). კონფლიქტის თეორია (ვ. ჯგერენაია). კონფლიქტოლოგია (გ. ხელაშვილი). კონფორმიზმი (ძ. ბიგაშვილი). კონფორმისტული (ლ. ხურმანიძე). კონცეპტი (ლ. ხურმანიძე). კონცერტის სისტემა (გ. ხელაშვილი). კორელაცია (ლ. ხურმანიძე). კორუფცია (ლ. ხურმანიძე). კოსმოპოლიტიზმი (ძ. ბიგაშვილი). კოპორტა [იხ. თაობა]. კრიზისი (ვ. ჯგერენაია, გ. ხელაშვილი). კრიტიკული თეორია (გ. ხელაშვილი). კრისკულტურული კვლევა (ვ. ჯგერენაია). კულტი (პიროვნების) (ძ. ბიგაშვილი). კულტურა (ვ. კოდუა). კულტურული დიფუზია (ლ. ხურმანიძე). კულტურული რელატივიზმი (ი. კაჭკაჭიშვილი). კულტურული უნივერსალია (ლ. ხურმანიძე). ლაგირება (ძ. ბიგაშვილი). ლეგალობა

(ი. კაჭკაჭიშვილი). ლეგიტიმაცია (ქ. ბიგა შვილი). ლეგიტიმურობა (ი. კაჭკაჭიშვილი, გ. ხელაშვილი). ლესბიანიზმი (ლ. სურმანიძე). ლიბერალიზმი (თ. კიკნაძე). ლიბერალური დემოკრატია (თ. კიკნაძე). ლიბერტარიანიზმი (ქ. ბიგა შვილი). ლიდერი (თ. კიკნაძე). ლიდერობა (ლ. სურმანიძე). ლინგვისტური სოციოლოგია (ლ. სურმანიძე). ლობიზმი (ქ. ბიგა შვილი). ლოზუნგი (ქ. ბიგა შვილი). ლინგიტუდური კვლევები (ქ. ბურძგლინიძე). ლინგწრფივი ანალიზი (ქ. ბურძგლინიძე). ლუმპენი (ლუმპენ-პროლეტარიატი) (თ. კიკნაძე). ლუარეაველიანები (ზ. ტატიშვილი). მაგია (ლ. სურმანიძე). მაკიაველიზმი (ქ. ბიგა შვილი). მაკროსოციოლოგია (ი. კაჭკაჭიშვილი). მალთუსიანელობა (ე. ჯგერენაია). მანდატი (იმპერატიული) (ქ. ბიგა შვილი). მანიფესტი (ქ. ბიგა შვილი). მაფორტარული სისტემა (თ. კიკნაძე). მარგინალები (თ. კიკნაძე). მარგინალობა (ლ. სურმანიძე). მართვის სოციოლოგია (შენეგეშენტი, ინდუსტრიული სოციოლოგია) (ე. ჯგერენაია). მარქსიზმი (ე. გორგოშია, თ. კიკნაძე). მასმედია (ლ. სურმანიძე). მასმედიის (მასობრივი კომუნიკაციის) სოციოლოგია (ლ. სურმანიძე). მასობრივი განადგურების იარაღი (ზ. დავითაშვილი). მასობრივი ინფორმაციის საშუალებები [იხ. მასმედია]. მასობრივი საზოგადოება (ი. კაჭკაჭიშვილი). მასონობა (თ. კიკნაძე). მატერიალური კულტურა (ლ. სურმანიძე). მატრიარქატი (ლ. სურმანიძე). მაღალი პოლიტიკა (გ. ხელაშვილი). მთავრობა (ქ. ბიგა შვილი). მედიანა (ქ. ბურძგლინიძე). მეთოდოლოგია (ი. კაჭკაჭიშვილი). მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმი (ი. კაჭკაჭიშვილი). მემარცხენეობა (თ. კიკნაძე). მემარჯვენეობა (ქ. ბიგა შვილი). მეშვეობიერობითობა (ლ. სურმანიძე). მემორანდუმი (ქ. ბიგა შვილი). მენეჯერი (ე. ჯგერენაია). მენეჯმენტი [იხ. მართვის სოციოლოგია, მენეჯმენტი, ინდუსტრიული სოციოლოგია]. მერი (ქ. ბიგა შვილი). მერია (თ. კიკნაძე). მერიტოკრატია (ქ. ბიგა შვილი). მერკანტილიზმი (ქ. ბიგა შვილი). მესამე სამყარო (გ. ხელაშვილი). მეტაფიზიკა (ე. ჯგერენაია). მეტროპოლია (ქ. ბიგა შვილი). მექანიკური და ორგანული სოლიდარობა [იხ. სოციალური სოლიდარობა]. მექანიკიზმი [იხ. ნატურალისტური სოციოლოგია]. მეცნიერება (ე. ჯგერენაია). მეცნიერების სოციოლოგია (ე. ჯგერენაია). მეშვეიე კოლონი (ქ. ბიგა შვილი). მიბაძვა (ლ. სურმანიძე). მიგრაცია (ე. ჯგერენაია). მიკროსოციოლოგია (ი. კაჭკაჭიშვილი). მილიტარიზმი (ზ. დავითაშვილი). მინისტრთა კაბინეტი (ქ. ბიგა შვილი). მინისტრთა საბჭო (თ. კიკნაძე). მისია (ქ. ბიგა შვილი). მიტინგი [იხ. კოლექტიური მოქმედება]. მიტმასანა (გ. ხელაშვილი). მიუმხრობლობა (ნეიტრალიზმი) (ზ. დავითაშვილი). მმართველი პარტია (ქ. ბიგა შვილი). მნიშვნელობა (ი. კაჭკაჭიშვილი). მნიშვნელობა (ი. კაჭკაჭიშვილი). მოდა (ლ. სურმანიძე). მოდელირება (ლ. სურმანიძე). მოდერატორი [იხ. ინტერვიუერი]. მოდერნიზაცია (პოლიტიკური) (ქ. ბიგა შვილი). მოდერნიზმი (ე. ჯგერენაია). მოლაპარაკება (ზ. დავითაშვილი). მონარქია (თ. კიკნაძე). მონაცემთა ბანკი (ნ. დოლაძე). მონიტორინგი (სოციალურ-პოლიტიკური) (თ. კიკნაძე). მორნობა (თ. კიკნაძე). მორნოგამია (ლ. სურმანიძე). მორნოპოლია (ქ. ბიგა შვილი). მორალი (ლ. სურმანიძე). მორალური რელატივიზმი (ლ. სურმანიძე). მორატორიუმი (ქ. ბიგა შვილი). მოქალაქეობა (თ. კიკნაძე). მოქმედება [იხ. ქცევა, მოქმედება, სოციალური მოქმედება]. მოხმარების სოციოლოგია (ე. ჯგერენაია). მრავალპარტიული სისტემა (ქ. ბიგა შვილი). მსოფლიო მთავრობა (გ. ხელაშვილი). მსოფლიო ომი (ზ. დავითაშვილი). მსოფლიო პოლიტიკა (ზ. დავითაშვილი). მსოფლიო საზოგადოება (გ. ხელაშვილი). მსოფლიო სისტემები (გ. ხელაშვილი). მულტილატერალიზმი (ზ. დავითაშვილი). მულტიპოლარობა (ზ. დავითაშვილი). მუსიკის სოციოლოგია (ლ. სურმანიძე). მშვიდობა (ზ. დავითაშვილი). ნაციონალური ურთიერთობები (ლ. სურმანიძე). ნარკომანია (ლ. სურმანიძე). ნარკოსიზმი (ლ. სურმანიძე). ნატურალისტური სოციოლოგია (ე. ჯგერენაია). ნაცია (ე. ჯგერენაია). ნაციზმი [იხ. ფაშიზმი]. ნაციონალიზაცია (თ. კიკნაძე). ნაციონალიზმი (ზ. დავითაშვილი). ნაციონალსოციალიზმი (ქ. ბიგა შვილი). ნაციონალური სახელმწიფო (ქ. ბიგა შვილი). ნეიტრალიზმი [იხ. მიუმხრობლობა]. ნეიტრალიტეტი (ზ. დავითაშვილი). ნეოიზოლაციონიზმი (გ. ხელაშვილი). ნეოკოლონიალიზმი (გ. ხელაშვილი, ზ. დავითაშვილი). ნეოკომერციული ტალღა (ქ. ბიგა შვილი). ნეოლიბერალიზმი (ზ. დავითაშვილი). ნეომარქსიზმი (ე. ჯგერენაია, თ. კიკნაძე). ნეორეალიზმი (გ. ხელაშვილი). ნეოფაშიზმი (თ. კიკნაძე). ნეოფრონტიზმი (ლ. სურმანიძე). ნეოფუნქციონალიზმი (გ. ხელაშვილი). ნეოპოზიტივიზმი (გამიმე. რედ.). ნოემენკლატურა (ე. ჯგერენაია). ნორმა და ნორმატიული (ლ. სურმანიძე). ნორმატიული თეორია (გ. ხელაშვილი). ნორმატიული მოქმედება (ლ. სურმანიძე). ნორმატიული ნესრიგი (ლ. სურმანიძე). ნოტა (გამიმე. რედ.). ობსტრუქცია (ქ. ბიგა შვილი). ოიდიპოსის კომპლექსი (ლ. სურმანიძე). ოკუპაცია (ზ. დავითაშვილი). ოლიგარქია (ქ. ბიგა შვილი). ოლიგარქიის რკინის კანონი (ი. კაჭკაჭიშვილი). ოლიგოპოლია (თ. კიკნაძე). ომი (ზ. დავითაშვილი). ომბუდსმენი (თ. კიკნაძე). ომბორტუნიზმი (ქ. ბიგა შვილი). ორგანიზაცია (ე. გორგოშია). ორგანიზაციის თეორია (ე. გორგოშია). ორგანიზაციის სოციოლოგია [იხ. ორგანიზაციის თეორია]. ორპალატიანი სისტემა (ქ. ბიგა შვილი). ორპარტიული სისტემა (თ. კიკნაძე). ოფიციური (ქ. ბიგა შვილი). ოხლოკრატია (ქ. ბიგა შვილი). ოჯახი (ე. გორგოშია). ოჯახის სოციოლოგია (ე. გორგოშია). პანელური გამოკვლევა (ი. კაჭკაჭიშვილი). პანიკა [იხ. კოლექტიური მოქმედება]. პანნაციონალიზმი (ზ. დავითაშვილი). პარადიგმა (ი. კაჭკაჭიშვილი, გ. ხელაშვილი). პარია სახელმწიფო [იხ. ურჩი სახელმწიფო]. პარტიტეტი (პოლიტიკური) (ქ. ბიგა შვილი). პარლამენტი (თ. კიკნაძე). პარტია (თ. კიკნაძე). პარტიზანული ომი (თ. კიკნაძე). პარტიული ორგანიზაცია (ქ. ბიგა შვილი). პარტიული სისტემა (ქ. ბიგა შვილი). პატერნალიზმი (თ. კიკნაძე). პატრიარქატი (ლ. სურმანიძე). პატრიმონიალიზმი (თ. კიკნაძე). პატრიოტიზმი (თ. კიკნაძე). პატრონაჟი (თ. კიკნაძე). პატრონკლიენტური ურთიერთობები [იხ. კლიენტელიზმი]. პაციფიზმი (ქ. ბიგა შვილი). პერიფერია (ზ. დავითაშვილი). პერმანენტული რევოლუცია (თ. კიკნაძე). პირიფენის სოციოლოგიური თეორიები (ლ. მეზერიშვილი). პლატფორმა (ქ. ბიგა შვილი). პლებისციტი (ქ. ბიგა შვილი). პლურალიზმი (თ. კიკნაძე, გ. ხელაშვილი). პოზიტივისტური სოციოლოგია (ე. გორგოშია). პოზიტიური დისკრიმინაცია (ქ. ბიგა შვილი). პოლარიზაცია (თ. კიკნაძე). პოლემოლოგია (თ. კიკნაძე). პოლიანდრია (ე. გორგოშია). პოლიგამია (ე. გორგოშია). პოლიგინია (ე. გორგოშია). პოლისი (თ. კიკნაძე). პოლიტიკა (თ. კიკნაძე). პოლიტიკური გეოგრაფია (ქ. ბიგა შვილი). პოლიტიკური ეკონომია (თ. კიკნაძე). პოლიტიკური თეორია (ქ. ბიგა შვილი). პოლიტიკური იდეალიზმი (ზ. დავითაშვილი). პოლიტიკური იმიჯი (თ. კიკნაძე). პოლიტიკური კლასი (ქ. ბიგა შვილი). პოლიტიკური კულტურა (თ. კიკნაძე). პოლიტიკური პასიურობა (თ. კიკნაძე). პოლიტიკური პრიორიტეტები (ქ. ბიგა შვილი). პოლიტიკური პროცესი (ქ. ბიგა შვილი).

პოლიტიკური რეალიზმი (ზ. დავითაშვილი). პოლიტიკური რეჟიმი (მ. ბიჭიაშვილი). პოლიტიკური რიტუალი (თ. კიკანძე). პოლიტიკური საზოგადოება (თ. კიკანძე). პოლიტიკური სოციალიზაცია (მ. ბიჭიაშვილი). პოლიტიკური სტაბილურობა (თ. კიკანძე). პოლიტიკური სიმბოლიკა (თ. კიკანძე). პოლიტიკური ფილოსოფია (თ. კიკანძე). პოლიტიკური ფსიქოლოგია (მ. ბიჭიაშვილი). პოლიტიკური ქცევა (მ. ბიჭიაშვილი). პოლიტიკური ღირებულებები (ფასეულობები) (თ. კიკანძე). პოლიტიკური ცნობიერება (თ. კიკანძე). პოლიტიკური ძალა (მ. ბიჭიაშვილი). პოლიტიკური წყობა (მ. ბიჭიაშვილი). პოლიტოლოგია (თ. კიკანძე). პოპულიზმი (მ. ბიჭიაშვილი). პოსტ- (ჯ. გორგოშია). პოსტმემარცხენეობა (ჯ. გორგოშია). პოსტმარქსისტული საზოგადოება (ჯ. გორგოშია). პოსტკოლონიური სახელმწიფო (თ. კიკანძე). პოსტკომუნიზმი (თ. კიკანძე). პოსტმოდერნიზმი (ე. ჯგერენაია, გ. ხელაშვილი). პოსტმოდერნისტული სოციოლოგია (ე. ჯგერენაია). პოსტსტრუქტურალიზმი (ე. ჯგერენაია). პოსტფორდიზმი (ე. ჯგერენაია). პრაგმატიზმი (პოლიტიკური) (მ. ბიჭიაშვილი). პრაქტიკი [იხ. სტრუქტურაციის თეორია]. პრაქტიკული ცნობიერება (ი. კაჟაკაჟიშვილი). პრევენციული პოლიტიკური ზომები (თ. კიკანძე). პრევენციული შეზღუდვა (მ. ბიჭიაშვილი). პრევენციული დიპლომატია (ზ. დავითაშვილი). პრევენციული ომი (გ. ხელაშვილი). პრეზიდენტი (თ. კიკანძე). პრემიერ-მინისტრი (მ. ბიჭიაშვილი). პრერეგატივა (მ. ბიჭიაშვილი). პრესტიჟი (ჯ. გორგოშია). პრეფერენცია (თ. კიკანძე). პრეფექტი (მ. ბიჭიაშვილი). პროგრესი (მ. ბიჭიაშვილი). პროლეტარიატი (მ. ბიჭიაშვილი). პრომისიფიკაცია (ლ. ხურსმანიძე). პროპაგანდა (ზ. დავითაშვილი). პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება (ე. ჯგერენაია). პროტესტი (თ. კიკანძე). პროტექციონიზმი (გ. ხელაშვილი). პროფესია (ე. ჯგერენაია). პროფესიული კავშირები (მ. ბიჭიაშვილი). პუბლიკა (ე. ჯგერენაია). პუტჩი (თ. კიკანძე). ფანრი (ე. ჯგერენაია). რადიკალიზმი (მ. ბიჭიაშვილი). რასა (ლ. ხურსმანიძე). რასიზმი (თ. კიკანძე). რაციონალიზაცია (ი. კაჟაკაჟიშვილი). რაციონალობა (ი. კაჟაკაჟიშვილი). რაციონალობის ტიპები (ი. კაჟაკაჟიშვილი). რაციონალური არჩევანი (მ. ბიჭიაშვილი). რაციონალური არჩევანის თეორია (ი. კაჟაკაჟიშვილი). რეალიზმი (პოლიტიკური) [იხ. პოლიტიკური რეალიზმი]. რეალპოლიტიკა (გ. ხელაშვილი). რეგალია (მ. ბიჭიაშვილი). რეგიონალიზმი (გ. ხელაშვილი). რეგიონული უსაფრთხოება [იხ. უსაფრთხოების თანამეგობრობა და უსაფრთხოების კომპლექსი]. რეგლამენტი (მ. ბიჭიაშვილი). რეკანბიზმი (მ. ბიჭიაშვილი). რეკონფიგურაციონიზმი (მ. ბიჭიაშვილი). რეფერენდუმი (თ. კიკანძე). რეფორმა (ლ. ხურსმანიძე). რეფორმატორი (ნ. დონაძე). რეფაპუბლიკა (მ. ბიჭიაშვილი). რესპუბლიკანიზმი (თ. კიკანძე). რესტავრაცია (მ. ბიჭიაშვილი). რეტროტიზმი (ი. კაჟაკაჟიშვილი). რეფეერენდუმი (მ. ბიჭიაშვილი). რეფერენტული ჯგუფი (ნ. დონაძე). რეფუჯესურობა [იხ. სტრუქტურაციის თეორია; დისკურსული ცნობიერება; პრაქტიკული ცნობიერება]. რეფორმა (მ. ბიჭიაშვილი). რისკი (პოლიტიკური) (თ. კიკანძე). რიტუალი (ლ. ხურსმანიძე). რიტუალიზმი (ი. კაჟაკაჟიშვილი). როიალიზმი (მ. ბიჭიაშვილი). როლი (ი. კაჟაკაჟიშვილი). როლური თეორია [იხ. პიროვნების სოციოლოგიური თეორიები]. როლური კონფლიქტი (ი. კაჟაკაჟიშვილი). საარჩევნო სისტემა (თ. კიკანძე). საბაზრო ეკონომიკა (მ. ბიჭიაშვილი). საბიჯო კავშირი (გ. ხელაშვილი). საგარეო პოლიტიკა (ზ. დავითაშვილი, გ. ხელაშვილი). საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტები (ზ. დავითაშვილი). საერთაშორისო კავშირები (გ. ხელაშვილი). საერთაშორისო კონფედერაცია (ზ. დავითაშვილი). საერთაშორისო კონფლიქტი (ზ. დავითაშვილი). საერთაშორისო მიგრაცია (ზ. დავითაშვილი). საერთაშორისო მორალი (ზ. დავითაშვილი, გ. ხელაშვილი). საერთაშორისო ორგანიზაციები (ზ. დავითაშვილი). საერთაშორისო პოლიტიკა (ზ. დავითაშვილი). საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია (გ. ხელაშვილი). საერთაშორისო რეჟიმი (გ. ხელაშვილი). საერთაშორისო საზოგადოება (გ. ხელაშვილი). საერთაშორისო საზოგადოების ინსტიტუტები (გ. ხელაშვილი). საერთაშორისო სამართალი (ზ. დავითაშვილი). საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოება [იხ. სამოქალაქო საზოგადოება]. საერთაშორისო სისტემა (ზ. დავითაშვილი). საერთაშორისო ტერორიზმი (ზ. დავითაშვილი). საერთაშორისო ურთიერთობების თეორია (გ. ხელაშვილი). საერთაშორისო ურთიერთობის სოციოლოგია (ჯ. გორგოშია). საერთაშორისო წესრიგი (გ. ხელაშვილი). საერთაშორისო ხელშეკრულება (ზ. დავითაშვილი). საველე გამოკვლევა (ნ. დონაძე). საზოგადოება (ე. კოდუა, ე. ჯგერენაია). საზოგადოებრივი აზრი (ჯ. გორგოშია). საზოგადოებრივი ინტერესი (მ. ბიჭიაშვილი). საზოგადოებრივი მოძრაობები (მ. ბიჭიაშვილი). საზოგადოებრივი ხელშეკრულება (მ. ბიჭიაშვილი). საზრისისეული ერთეულები [იხ. კონტენტ-ანალიზი]. საკანონმდებლო ხელისუფლება (მ. ბიჭიაშვილი). საკრალური და პროფანული (ე. ჯგერენაია). სამანდატო ტერიტორია (ზ. დავითაშვილი). სამართლებრივი სახელმწიფო (თ. კიკანძე). სამართლიანი ომი (გ. ხელაშვილი). სამართალის სოციოლოგია (ჯ. გორგოშია). სამი სტადიის კანონი (ჯ. გორგოშია). სამოქალაქო დაუმორჩილებლობა (თ. კიკანძე). სამოქალაქო თავისუფლება (მ. ბიჭიაშვილი). სამოქალაქო საზოგადოება (ე. ჯგერენაია, თ. კიკანძე). სამოქალაქო უფლებები (თ. კიკანძე). სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები (თ. კიკანძე). სანქცია (ი. კაჟაკაჟიშვილი). საპარლამენტო პარტია (მ. ბიჭიაშვილი). საპარლამენტო რესპუბლიკა (თ. კიკანძე). საპარლამენტო სუვერენიტეტი (თ. კიკანძე). საპარლამენტო წყვილი (მ. ბიჭიაშვილი). საპრეზიდენტო მმართველობა (თ. კიკანძე). სასამართლო ხელისუფლება (მ. ბიჭიაშვილი). სასიცოცხლო სივრცე (ზ. დავითაშვილი). სატელიტი (მ. ბიჭიაშვილი). საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო (მ. ბიჭიაშვილი). საყოველთაო ნება (თ. კიკანძე). საშუალო მნიშვნელობა (მ. ბეურძენიძე). სახელობითი კენჭისყრა (თ. კიკანძე). სახელმწიფო (მ. ბიჭიაშვილი, ზ. დავითაშვილი). სახელმწიფო ადმინისტრაცია (თ. კიკანძე). სახელმწიფო გადატვირთვა (მ. ბიჭიაშვილი). სახელმწიფო ინტერესი (გ. ხელაშვილი). სახელმწიფოს მეთაური (მ. ბიჭიაშვილი). სახელმწიფო სამსახური (მ. ბიჭიაშვილი). სახელმწიფოფიცენტრიზმი (ზ. დავითაშვილი). სეგრეგაცია (მ. ბიჭიაშვილი). სეკულარიზაცია (ი. კაჟაკაჟიშვილი). სელექი (ი. კაჟაკაჟიშვილი, ლ. ხურსმანიძე). სიმბოლიკა (ლ. ხურსმანიძე). სენატორი (მ. ბიჭიაშვილი). სეპარატიზმი (თ. კიკანძე, ზ. დავითაშვილი). სექსიზმი (ლ. ხურსმანიძე). სეცესია (ზ. დავითაშვილი). სივრცისეული კონკურენცია (პოლიტიკური) (მ. ბიჭიაშვილი). სიმბოლური ინტერაქციონიზმი (ი. კაჟაკაჟიშვილი). სინდიკალიზმი (მ. ბიჭიაშვილი). სისტემური ანალიზი (ლ. ხურსმანიძე, თ. კიკანძე). სკალა (მ. ბეურძენიძე). სკალირება (მ. ბეურძენიძე). სკალის ტიპები (მ. ბეურძენიძე). სოფელი (ე. ჯგერენაია). სოფლის სო-

ციოლოგია (ვ. ჯგერენია). სოციალ-დარვინიზმი (ვ. გორგოშია). სოციალ-დემოკრატია (ძ. ბიჭაშვილი). სოციალიზაცია (ვ. კოდუა). სოციალიზმი (თ. კიკნაძე). სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია (ი. კაჭკაჭიშვილი). სოციალური დიფერენციაცია (ვ. ჯგერენია). სოციალური თეორია (ვ. კოდუა, ვ. ჯგერენია). სოციალური იერარქია (ვ. ჯგერენია). სოციალური ინჟინერი (ვ. ჯგერენია). სოციალური ინჟინერია (ვ. გორგოშია). სოციალური ინსტიტუტები (ლ. სურმანიძე). სოციალური კონსტრუქტივიზმი (ვ. ხელაშვილი). სოციალური მობილობა (ვ. კოდუა, ი. კაჭკაჭიშვილი). სოციალური მოქმედება (იხ. ტ.ყეცა, მოქმედება, სოციალური მოქმედების თეორიები]. სოციალური მოქმედების თეორიები (ი. კაჭკაჭიშვილი). სოციალური მოქმედების ტიპები (ი. კაჭკაჭიშვილი). სოციალური ორგანიზმი [იხ. ნატურალისტური სოციოლოგია]. სოციალური სამართლიანობა (ძ. ბიჭაშვილი). სოციალური სახელმწიფო (თ. კიკნაძე). სოციალური სოლიდარობა (ი. კაჭკაჭიშვილი). სოციალური ურთიერთობა (ი. კაჭკაჭიშვილი). სოციალური ფაქტი (ი. კაჭკაჭიშვილი). სოციალური ფსიქოთერაპია (ლ. სურმანიძე). სოციალური ფსიქოლოგია (ვ. ჯგერენია). სოციალური ცვლილება (ვ. ჯგერენია). სოციალური წესრიგი (ი. კაჭკაჭიშვილი). სოციალური ხასიათი (იხ. პიროვნების სოციოლოგიური თეორიები]. სოციოდრამა (ვ. ჯგერენია). სოციოლოგია (ვ. ჯგერენია). სოციომეტრია (ვ. გორგოშია). სპიკერი (ძ. ბიჭაშვილი). სპორტის სოციოლოგია (ვ. გორგოშია). სტანდარტული გადახრა (ძ. ბურძგლიძე). სტატუსი (ი. კაჭკაჭიშვილი). სტიგმა (ი. კაჭკაჭიშვილი). სტრატიგრა (ძ. ბიჭაშვილი). სტრატეგიული კვლევები (ძ. ბიჭაშვილი, გ. ხელაშვილი). სტრატიფიკაცია (ი. კაჭკაჭიშვილი). სტრუქტურა (ვ. კოდუა, ი. კაჭკაჭიშვილი). სტრუქტურალიზმი (ვ. ჯგერენია, გ. ხელაშვილი). სტრუქტურაციის თეორია (ი. კაჭკაჭიშვილი). სტრუქტურული ანთროპოლოგია (ლ. სურმანიძე). სტრუქტურული ლინგვისტიკა [იხ. პიროვნების სოციოლოგიური თეორიები]. სტრუქტურული რეალიზმი [იხ. ნეორეალიზმი]. სტრუქტურული ფუნქციონალიზმი [იხ. ფუნქციონალიზმი]. სუბკულტურა (ი. კაჭკაჭიშვილი). სუვერენიტეტი (ზ. დავითაშვილი, თ. კიკნაძე). სუიციდი [იგივეა, რაც თვითმკვლელობა]. სუპერ-ეგო [იხ. იდი, ეგო, სუპერ-ეგო]. ტაბუ (ლ. სურმანიძე). ტარიფი [იხ. პროტექციონიზმი]. ტერორიზმი (თ. კიკნაძე). ტექნოკრატია (ლ. სურმანიძე). ტექნოკრატიზმი (ლ. სურმანიძე). ტირანია (თ. კიკნაძე). ტოლერანტობა (ძ. ბიჭაშვილი). ტომი [იხ. გვარი, ტომი, ფრატრია]. ტორტი, ტორტიზმი (ძ. ბიჭაშვილი). ტოტალიტარიზმი (თ. კიკნაძე). ტოტალური ომი (გ. ხელაშვილი). ტოტემიზმი (ლ. სურმანიძე). ტრადიცია (ძ. ბიჭაშვილი, ლ. სურმანიძე). ტრადიციული საზოგადოება (ვ. ჯგერენია). ტრადიციონალიზმი (თ. კიკნაძე). ტრიბალიზმი (ძ. ბიჭაშვილი). ტრანსსაციონალიზმი (ზ. დავითაშვილი). ტრანსსაციონალური კორპორაცია (ტნკ) (ზ. დავითაშვილი). ტრანგულაცია (ი. კაჭკაჭიშვილი). ულტიმატუმი (ძ. ბიჭაშვილი). უნივერსალური სისტემა (ზ. დავითაშვილი). უნიმოლარიზმი (ზ. დავითაშვილი). უნიტარიზმი (ძ. ბიჭაშვილი). ურბანიზაცია (ვ. გორგოშია). ურბანიზაციის სოციოლოგია (ვ. გორგოშია). ურჩი სახელმწიფო (გ. ხელაშვილი). უსაფრთხოება (გ. ხელაშვილი). უსაფრთხოების დილემა (გ. ხელაშვილი). უსაფრთხოების თანამეგობრობა (გ. ხელაშვილი). უსაფრთხოების კომპლექსი (გ. ხელაშვილი). უსაფრთხოების რეჟიმი (გ. ხელაშვილი). უტილიტარიზმი (ლ. სურმანიძე). უტოპიზმი (ძ. ბიჭაშვილი). უტოპიური სოციალიზმი (თ. კიკნაძე). უცხოური დახმარება (ვ. ხელაშვილი). ფაბიანობა (თ. კიკნაძე). ფალსიფიკაციის პრინციპი (ვ. გორგოშია). ფაქტორული ანალიზი (ძ. ბურძგლიძე). ფაშიზმი (ძ. ბიჭაშვილი). ფედერალიზმი [იხ. ფედერაცია (!), აგრ. უნიტარიზმი]. ფედერაცია (თ. კიკნაძე). ფემინიზაცია (ლ. სურმანიძე). ფემინიზმი (თ. კიკნაძე). ფემინისტური სოციოლოგია (ლ. სურმანიძე). ფენომენოლოგიური სოციოლოგია (ვ. გორგოშია). ფეოდალური საზოგადოება (ვ. ჯგერენია). ფეტიში (ლ. სურმანიძე). ფლობა და ყოფნა (ვ. გორგოშია). ფოკუსჯგუფის მეთოდი (ნ. დონაძე). ფორდიზმი და პოსტფორდიზმი (ვ. ჯგერენია). ფრანფურტის სკოლა (ვ. ჯგერენია). ფრაქტია (ვ. გორგოშია). ფრაქციონიზმი (თ. კიკნაძე). ფსიქოანალიზი (ლ. სურმანიძე). ფსიქოდრამა (ვ. ჯგერენია). ფსიქოსომატიკა (ლ. სურმანიძე). ფუნდამენტალიზმი (ძ. ბიჭაშვილი). ფუნქცია და დისფუნქცია (ი. კაჭკაჭიშვილი). ფუნქციონალიზმი (ი. კაჭკაჭიშვილი). ფუნქციური ანალიზის პოსტულატები (ი. კაჭკაჭიშვილი). ფუნქციური ეკვივალენტები (ი. კაჭკაჭიშვილი). ფუნქციური წანამძღვრები (ი. კაჭკაჭიშვილი). ქალაქი (ვ. გორგოშია). ქალაქი-სახელმწიფო (თ. კიკნაძე). ქარიზმა (ი. კაჭკაჭიშვილი). ქარიზმატული მმართველობა (თ. კიკნაძე). ქორწინება (ვ. გორგოშია). ქრისტიანობა (ვ. ჯგერენია). ქრისტიანული დემოკრატია (ძ. ბიჭაშვილი). ქსენოფობია (ლ. სურმანიძე). ქცევა, მოქმედება, სოციალური მოქმედება (ი. კაჭკაჭიშვილი). ღია და დახურული საზოგადოება (ვ. ჯგერენია). „ღია კარის" პოლიტიკა [იხ. გაელების სტერეოტიპი]. ღირებულება (ვ. გორგოშია). ღირებულებითი ორიენტაციები (ვ. გორგოშია). ყოფნა [იხ. ფლობა და ყოფნა]. შეზღუდული ბირთვული ომი (გ. ხელაშვილი). შეიარაღების კონტროლი (გ. ხელაშვილი). შეკავების პოლიტიკა (გ. ხელაშვილი). შემეცნების სოციოლოგია (ვ. გორგოშია). შერიგება (ლ. სურმანიძე). შერჩევითი ერთობლიობა (ლ. სურმანიძე). შერჩევის ტიპები (ლ. სურმანიძე). შეფასება (ვ. გორგოშია). შიდა ანალოგია (გ. ხელაშვილი). შობადობა (ვ. გორგოშია). შოვინიზმი (ძ. ბიჭაშვილი). შრომა (ვ. ჯგერენია). შრომის საზოგადოებრივი განაწილება (ლ. ბეზერაშვილი). შრომის სოციოლოგია (იხ. ინდუსტრიული სოციოლოგია]. ჩართული დაკვირვება (მონაწილეობითი დაკვირვება) (ნ. დონაძე). ჩაურევლობა (ზ. დავითაშვილი, გ. ხელაშვილი). ჩიკაგოს სკოლა (ი. კაჭკაჭიშვილი). ჩრდილოეთი-სამხრეთი (გ. ხელაშვილი). ჩრდილოვანი კაბინეტი (ძ. ბიჭაშვილი). ცენტრალიზმი (ძ. ბიჭაშვილი). ცენტრალისტული პარტია (ძ. ბიჭაშვილი). ცვლადი (ნ. დონაძე). ცივილიზაცია (ვ. ჯგერენია). ცივილიზაციათა შეჯახება (ზ. დავითაშვილი). ცივი ომი (ზ. დავითაშვილი). ცხოვრების დონე (ცხოვრების სტანდარტი) (ნ. დონაძე). ცხოვრების სტილი (ნ. დონაძე). ცხოვრების წესი (ნ. დონაძე). ძალა (გ. ხელაშვილი). ძალაუფლება (გ. ხელაშვილი). ძალთა წონასწორობა (ზ. დავითაშვილი). წოდება (ვ. გორგოშია). წოდებრივი რანგირება (დახარისხება) (ვ. გორგოშია). ხელოვნების სოციოლოგია (ვ. გორგოშია). ხელშეკრულება (ზ. დავითაშვილი). ხუნტა (თ. კიკნაძე). ჯაშუში (ზ. დავითაშვილი). ჯგუფი (ნ. დონაძე). ჰარტლენდი (ზ. დავითაშვილი). ჰეგემონია (ძ. ბიჭაშვილი). ჰეგემონიზმი (ზ. დავითაშვილი). ჰეგემონური სტაბილურობა (გ. ხელაშვილი). ჰერმენევტიკა (თ. კიკნაძე). ჰიპოთეზა (ნ. დონაძე). ჰოლიზმი (ვ. ჯგერენია). ჰომოსექსუალიზმი (ლ. სურმანიძე). ჰუმანიტარული დახმარება (გ. ხელაშვილი). ჰუმანიტარული ინტერვენცია (გ. ხელაშვილი).